ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ცომაია

# რუსული და უკრაინული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციები და მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი, პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

თბილისი
2023

# აბსტრაქტი

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა სხვადასხვა სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციები. მათ შორის იყო როგორც რუსული, ისე უკრაინული შენაერთები. ათწლეულების მანძილზე ისინი მოიხსენიებოდნენ მხოლოდ როგორც მესამე რაიხის მარიონეტები და დამქაშები. რუსეთში ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება და ამგვარი მიდგომა გახდა რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის ერთ-ერთი საბაბი. შესაბამისად, საკვლევი თემის მიზანია, არსებული დოკუმენტური წყაროებისა და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, გამოიკვეთოს მეორე მსოფლიო ომის დროს რუსული და უკრაინული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციების რეალური როლი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ვეცადეთ იმის ჩვენება, თუ რა მსგავსებები და განსხვავებები იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკრაინელი ნაციონალისტების, რუსეთის განმათავისუფლებელი არმიისა და კაზაკური დაჯგუფებების მიერ განხორციელებულ ქმედებებს შორის და ასევე პასუხი გაეცა კითხვას, თუ რატომ მოხდა, რომ რუსეთის განმათავისუფლებელმა არმიამ და კაზაკურმა შენაერთებმა ბრძოლა შეწყვიტეს 1945 წელს გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, ხოლო უკრაინელმა ნაციონალისტებმა, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერეს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედება.

ნაშრომზე მუშაობისას ნათელი გახდა ასევე, რომ მას შემდეგ, რაც გერმანელებმა არ მოიწონეს 1941 წლის 30 ივნისის უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მესამე რაიხი უკრაინელი ნაციონალისტებისათვის იყო მხოლოდ სიტუაციური მოკავშირე, ისიც მცირე ხნის განმავლობაში. 1942 წლის მარტიდან მოყოლებული უნო(ბ) გერმანიას ფაქტობრივ მტრად აღიქვამს, ხოლო 1943 წლის ზაფხულიდან ამას ოფიციალურად აცხადებს კიდეც. ამ პერიოდიდან მოყოლებული უკრაინელები ფაქტობრივად ორ ფრონტზე იბრძვიან 1944 წლის მეორე ნახევრამდე, როდესაც გერმანელები საბოლოოდ ტოვებენ უკრაინის ტერიტორიას. უკრაინელი ნაციონალისტები არანაირ განსხვავებას არ აკეთებდნენ გერმანულ და რუსულ იმპერიალიზმებს შორის, როგორც ისინი მოიხსენიებდნენ მესამე რაიხს და საბჭოთა კავშირს. მათი მთავარი მიზანი იყო უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

# Abstract

Various national military and patriotic organizations fought against the Soviet Union. There were both Russian and Ukrainian units among them. For decades they were usually mentioned only as the puppets and supporters of the Third Reich. This tendency continues to exist in Russia and such attitude became one of the pretexts for the Russian aggression against Ukraine. Thus, the aim of the research is to show, on the basis of documentary sources and scholarly literature, the real scope of their involvement in the war. We also attempted to show the differences between Ukrainian nationalists, Russian Liberation Army, and Cossacks, and answer the question why it was that the RLA and Cossacks stopped fighting after the capitulation of Germany in 1945 while the Ukrainian nationalists even strengthened their efforts against the Soviet regime.

While working on the thesis, it also became clear that the Third Reich was just a situational ally for the Ukrainian nationalists after the Germans refused to recognize the restoration of Ukrainian independent state on 30 June 1941. Beginning from March of 1942 UNO(b) is viewing Germany as an enemy and officially declared it from summer of 1943. From this period till the second half of 1944 when the German finally left the territory of Ukraine, the Ukrainian nationalists practically fought on two fronts. They made no differences between the German and Russian imperialisms, as the usually referred to the Third Reich and the Soviet Union. Their only goal was to achieve the independence for Ukraine.

## შინაარსი

აბსტრაქტი.....II

Abstract.....III

შესავალი.....1

თავი I. უკრაინელი ნაციონალისტების ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1939-1945 წლებში.....22

1.1. უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე.....22

1.2. გერმანია-სსრკ-ს ომის დასაწყისი და უკრაინელი ნაციონალისტების ქმედებები 1941 წლის ივნისიდან 1942 წლის მაისის ჩათვლით.....37

1.3. უკრაინელი ნაციონალისტების ქმედებები 1942 წლის ზაფხულიდან 1943 წლის ნოემბრამდე.....56

1.4. უკრაინელი ნაციონალისტების ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის 1943 წლის ნოემბრიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე. უკრაინელი ნაციონალისტების საქმიანობის შეფასება.....75

თავი II. კაზაკები და მათი შენაერთების ბრძოლა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.....91

2.1. ნაცისტური გერმანიის დამოკიდებულება კაზაკების მიმართ და კაზაკური შეიარაღებული შენაერთების შექმნა.....91

2.2. კაზაკური შეიარაღებული შენაერთების საბრძოლო გამოყენება საბჭოთა ძალების წინააღმდეგ.....98

2.3. კაზაკების გადაცემა საბჭოთა კავშირისთვის და მათი ბედი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.....100

2.4. კაზაკთა შეიარაღებული შენაერთების მოქმედებების შეფასება.....116

თავი III. რუსული ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.....119

3.1. პირველი რუსული ანტისაბჭოთა სამხედრო ფორმირებები.....119

3.2. ანდრეი ვლასოვი – წითელი არმიის სარდლიდან რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის მეთაურობამდე.....123

3.3. რგა-ს სტრუქტურა და შემადგენლობა.....157

3.4. რგა-ს მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში.....161

3.5. რგა-ს ნაწილების კაპიტულაცია და მისი მეთაურების ბედი.....171

3.6. რგა-ს საქმიანობის შეფასება.....179

დასკვნა.....183

გამოყენებული ლიტერატურის სია:.....186

# შესავალი

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. პასუხად, 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც 1941 წლის 17 სექტემბერს ჩაერთო საბჭოთა კავშირიც, რომელიც შეიჭრა პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში. მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე (1939 წლის 1 სექტემბერი – 1941 წლის 22 ივნისი) გერმანია და სსრკ მოკავშირეები იყვნენ. მათი შეთანხმების საფუძველზე, პოლონეთი ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი შევიდა ბელორუსიის სსრ-სა (დასავლეთ ბელორუსია) და უკრაინის სსრ-ს (დასავლეთ უკრაინა) შემადგენლობაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის მთავარი მიზანი გახდა უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვება.

ომის პირველ ეტაპზე უკრაინელები ემზადებოდნენ აჯანყებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიის მხრიდან მათ ამ პერიოდში რაიმე მხარდაჭერა არ ჰქონიათ, რადგანაც მესამე რაიხი და საბჭოთა რეჟიმი კვლავ მოკავშირეები იყვნენ. უკრაინელები ახდენდნენ სალაშქრო ჯგუფების შექმნასა და იარაღის საცავების მოწყობას საბჭოთა ტერიტორიაზე. მოხდა რამდენიმე შეტაკებაც საბჭოთა სასაზღვრო ძალებთან თუ მილიციასთან, თუმცა აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა.

გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ უკრაინელ ნაციონალისტებთა ორგანიზაციის სტეპან ბანდერას ფრთამ – უნო(ბ)-მ 1941 წლის 30 ივნისს დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს აღდგენა გამოაცხადა. როგორც გაირკვა, ეს გერმანელების გეგმებში არ შედიოდა. შედეგად, უნო(ბ)-ს ლიდერები ჯერ შინაპატიმრობაში აიყვანეს, შემდეგ კი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. მოგვიანებით, მათ რეპრესიები გაატარეს უკრაინელ ნაციონალისტებთა ორგანიზაციის ანდრი მელნიკის ფრთის – უნო(მ)-ის წინააღმდეგაც. შესაბამისად, 1942 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული უკრაინელი ნაციონალისტები თანდათან მტრად აღიქვამდნენ მესამე რაიხსაც და ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს მათ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად.

გერმანია-სსრკ-ს ომის პერიოდში, გერმანელთა ნაწილს გაუჩნდა სურვილი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოეყენებინა ტყვედ აყვანილი ჯარისკაცები.

რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, არჩევანი შეჩერდა გენ. ანდრეი ვლასოვზე, რომელმაც დაიწყო რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის (რგა) შექმნა, თუმცა გერმანელებში ამის შესახებ საერთო აზრი არ იყო და პროცესი გაჯანჯლდა. დიდი ხნის განმავლობაში ვლასოვს და მის თანამოაზრეებს იყენებდნენ მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლისთვის და მხოლოდ 1944 წლის მიწურულისთვის მოხდა როგორც რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელი კომიტეტის შექმნა, ისე მის ოფიციალურ სამხედრო ფორმირებად რგა-ს აღიარება. ბრძოლაში რგა-ს შენაერთები მონაწილეობდნენ მხოლოდ 1945 წლიდან და ისიც მცირე მასშტაბების შეტაკებებში. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ კი რგა-ს ყველა ლიდერი ტყვედ აღმოჩნდა, გადაეცა საბჭოთა მხარეს, გასამართლდა და სიკვდილით დაისაჯა.

შედარებით უფრო აქტიური გამოყენება გერმანელებმა მოუძებნეს კაზაკთა შენაერთებს. კაზაკებს ისინი სლავებად არ აღიქვამდნენ და უფრო მეტად ენდობოდნენ. კაზაკური შენაერთები 1941 წლიდან მოყოლებული მუდმივად იღებდნენ მონაწილეობას ბრძოლებში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. ერთ-ერთი მთავარი კაზაკური დაჯგუფება „კაზაჩი სტანი“ ჩამოყალიბდა დონის, ყუბანისა და თერგისპირეთის კაზაკების (როგორც ემიგრანტების, ისე საბჭოთა მოქალაქეების) გაერთიანების საფუძველზე. ომის განმავლობაში მას მოუწია ჯერ ბელორუსიაში გადასვლა, შემდეგ კი ის იტალიაში გადაისროლეს. საბოლოოდ, მათ ავსტრიის ქალაქ ლიენცში მოახდინეს კაპიტულაცია ინგლისელების წინაშე, თუმცა ამ უკანასკნელებმა ისინი საბჭოთა კავშირს გადასცეს. შედეგად, ათასობით ადამიანი გადასახლებულ იქნა, ხოლო ლიდერები აქაც დახვრიტეს.

სრულიად სხვაგვარად განვითარდა უკრაინელი ნაციონალისტების ბედი. 1943 წლიდან მოყოლებული ისინი აქტიურად ებრძოდნენ როგორც საბჭოთა მხარეს, ისე გერმანელებს. მათ მიერ ჩამოყალიბებული უკრაინელ მეამბოხეთა არმია (უმა) პარტიზანულ ტაქტიკას იყენებდა. თანაც, უკრაინელები იდეოლოგიურად ბევრად უფრო შემართულები და ერთიანი იყვნენ. სწორედ ამიტომ, მათი ბრძოლა გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც და 1950 წლამდე ისინი ტერიტორიების ნაწილსაც კი აკონტროლებდნენ.

**საკვლევი თემის მიზანი.** საკვლევი თემის მიზანია, არსებული დოკუმენტური წყაროებისა და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, გამოიკვეთოს მეორე მსოფლიო ომის დროს რუსული და უკრაინული სამხედრო-

პატრიოტული ორგანიზაციების როლი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შესაბამისად, ნაშრომის საკვლევი კითხვა შემდეგია:

1. რა მსგავსებები და განსხვავებებია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკრაინელი ნაციონალისტების, რუსეთის განმათავისუფლებელი არმიისა და კაზაკური დაჯგუფებების მიერ განხორციელებულ ქმედებებს შორის?

2. რატომ მოხდა, რომ რუსეთის განმათავისუფლებელმა არმიამ და კაზაკურმა შენაერთებმა ბრძოლა შეწყვიტეს 1945 წელს გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, ხოლო უკრაინელმა ნაციონალისტებმა, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერეს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედება?

**ნაშრომის ჰიპოთეზაა**, რომ უკრაინელი ნაციონალისტები, განსხვავებით რუსეთის განმათავისუფლებელი არმიისა და კაზაკური შენაერთებისაგან, რომლებსაც რუსეთში მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა სურდათ, ცდილობდნენ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას და სწორედ ამიტომ გააგრძელეს ბრძოლა გერმანიის დამარცხების შემდეგ. გარდა ამისა, ისინი ჯერ ომის მსვლელობაში ებრძოდნენ როგორც საბჭოთა კავშირს, ისე – გერმანიას.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები.** ნაშრომის ძირითადი ნაწილისთვის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1941-1945 წლები, თუმცა უკრაინელი ნაციონალისტების შემთხვევაში ერთი ქვეთავი ეთმობა ასევე მათ ქმედებები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1939-1940 წლებშიც, გერმანია-სსრკ-ს ომის დაწყებამდე.

**ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა.** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ისტორიული შემეცნების მეთოდი, წყაროების ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდი, ასევე ივენთ-ანალიზის, კონტენტ-ანალიზისა და ინტენტ-ანალიზის მეთოდები.

**საკვლევი თემის აქტუალობა.** მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული საკითხები მუდამ იპყრობდა ყურადღებას. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ მეზობელ სახელმწიფოში შეჭრის ერთ-ერთ გამამართლებელ მიზნად მოიყვანა უკრაინის „დენაციფიკაციის“ აუცილებლობა, მეტად აქტუალური გახადა უკრაინელი ნაციონალისტების საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ისინი, ბევრი ისტორიკოსის მტკიცებით, წარმოადგენდნენ მესამე რაიხის

დასაყრდენს. გარდა ამისა, საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში გენ. ანდრეი ვლასოვი და რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის პრაქტიკულად ყოველთვის შეფასებული იყვნენ როგორც „მოღალატეები“ და „გერმანელების მარიონეტები“. აქედან გამომდინარე, არსებობს უამრავი კითხვა, რომელთა ნაწილზე ნაშრომის ფარგლებში პასუხი არის გაცემული.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას ისტორიოგრაფიაში, რომ ერთმანეთს შეადაროს რუსული და უკრაინული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის მეთოდები და დაადგინოს მათ შორის არსებული მსგავსებები თუ განსხვავებები. გარდა ამისა, ისტორიულ მიმოქცევაში შემოტანილია რამდენიმე ახალი საარქივო წყარო.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავალისგან, სამი თავისგან (პირველი და მეორე თავები დაყოფილია ოთხ-ოთხ ქვეთავად, მესამე კი წარმოდგენილია ექვსი ქვეთავით) და დასკვნისგან. მას თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა თუ დოკუმენტური მასალების, და სამეცნიერო ლიტერატურის სრული ჩამონათვალი.

**ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს ხელმისაწვდომი საარქივო ფონდები, რომლებიც ინახება უკრაინაში, ქ. კიევში მდებარე არქივებში და გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტების კრებულები, რომლებშიც მოცემულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რუსული და უკრაინული ეროვნული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციების ბრძოლის შესახებ. კერძოდ, ჩემს მიერ მოძიებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უკრაინელი ნაციონალისტების აქტივობების ამსახველი დოკუმენტები უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მთავარ დარგობრივ არქივში (Галузевий Державний архів Служби безпеки України).[1] სამოქალაქო გაერთიანებების ცენტრალური სახელმწიფო არქივში (Центральний державний архів громадських об'єднань України) დაცულია

[1] Всем начальникам УНКГБ западных областей УССР. Галузевий Державний архів Служби безпеки України (შემდგომში ГДА СБУ), ф. 9, спр. 4, т. 9, арк. 54-58; Листовка «Грузины!» ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 9; Листовка «Русские!». ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 7; Листовка «К военнослужащим и мобилизованным в Украине». ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 12; Прихід Совітів у райони північно-західних областей. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 164-165; Опись рейдов и боев произошедших в декабре 1944 г. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк, 105-109 და ა.შ.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უკრაინელ ნაციონალისტთა ბრძოლის (როგორც მეორე მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე, ისე ომის დამთავრების შემდგომ, XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე) ამსახველი დოკუმენტები.[1] გარდა ამისა, უკრაინის ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ცენტრალური არქივში (Центральний державний архів вищих органів влади та управління) მოძიებულ იქნა მეორე მსოფლიო ომამდე უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ გერმანიის ხელისუფლების დამოკიდებულების ამსახველი დოკუმენტები.[2]

საარქივო დოკუმენტების კრებულები ინტენსიურად არის გამოყენებული უკრაინელ მეამბოხეთა არმიის და უნო(ბ) შეიარაღებული ბრძოლის დეტალების გასარკვევად. პირველ რიგში, ეს არის „უმა-ს მატიანე", რომლის პირველ სერიაში გამოქვეყნებულია უკრაინის მთავარი განმათავისუფლებელი რადის საარქივო დოკუმენტები,[3] ხოლო მეორე სერიაში – უკრაინის ეროვნული აკადემიის უკრაინული არქეოლოგიის და წყაროთმცოდნეობის ინსტიტუტის, უკრაინის არქივების სახელმწიფოებრივი კომიტეტის და სამოქალაქო გაერთიანებების ცენტრალური სახელმწიფო საარქივო დოკუმენტები.[4]

1941 წელს უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, მისი აქტივობის, გეგმების, უკრაინელი ნაციონალისტების საქმიანობის საბჭოთა და გერმანული ხელისუფლებების შეფასებების გასარკვევად და გაანალიზებისთვის

---

[1] Докладная записка о ходе борьбы с остатками банд и подполья украинско-немецких националистов по Тернопольской области за окт. 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп, 23, спр. №5046, т. 7, გვ. 66-67; Информация о ликвидации СБ Львовского краевого «провода» ОУН «Мирона» и его референтуры. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5047, т. 1, стр. 9-13; Информация о реагировании населения города Львова в связи с арестом участников ОУН и другого враждебного элемента. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5046, т. 7, გვ. 45-47; О ликвидации Львовского краевого «провода» ОУН. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5046, т. 7, გვ. 75-79; Докладная записка о ходе борьбы с остатками банд и подполья украино-немецких нацоналистов по Тернопольской области за сентябрь 1948 года. Центральний державний архів громадських об'єднань (შემდგომში ЦДАГО), ф. 1, оп. 23, спр. №5045, т. 6, გვ. 40-51; Отчет о ходе борьбы с остатками банд и подполья украинско немецких наионалистов, по Дрогобычской области за июль-август 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5045, т. 6, გვ. 24-29; Отчет о ходе ликвидации бандоуновского подполья на территории Станиславской области за август месяц и 20 дней сентября 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5045, т. 6, გვ. 34-38, და ა.შ.

[2] Протокольная запись 1. Совещание рейхсляйтера Розенберга с адмиралом Канарисом, подполковником Лахузеном, и майором Штольцем в присутствии шабляйтера Шикеданца. Центральний державний архів вищих органів влади та управління (შემდგომში ЦДАВО), ф. 4628, оп. 1, д. 1, გვ. 1-6; Справка-доклад для фюрера. Содеражние: о создании Украинского комитета доверия в Германии. ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, გვ. 28-33 და ა.შ.

[3] Літопису УПА. Т. 1-53. Торонто: видавництво «Літопис УПА», 1989-2017.

[4] Літопис УПА. Нова серія. Т. 1-29. Київ: – Торонто: видавництво «Літопис УПА», 1995-2017.

გამოყენებულია დოკუმენტების კრებული „უნო 1941 წელს“.[1] მასში, უშუალოდ უკრაინელი ნაციონალისტების მოქმედებების ამსახველი დოკუმენტების გარდა, გვხვდება პირველწყაროები როგორც გერმანული, ისე საბჭოთა არქივებიდან. მსგავსი პრინციპითაა აგებული ასევე კრებული „უნო 1942 წელს“,[2] რომელშიც უკვე უკრაინელი ნაციონალისტების 1942 წლის აქტივობებია აღწერილი.

უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ მესამე რაიხის ხელისუფლების და სპეცსამსახურების დამოკიდებულების შესასწავლად და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების გასაანალიზებლად, გამოყენებულია მეორე მსოფლიო ომის დროის გერმანული საარქივო დოკუმენტების კრებული „უკრაინა მეორე მსოფლიო ომში დოკუმენტების მიხედვით (1944-1945)“.[3]

მეორე მსოფლიო ომის წინ, უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ გერმანული ხელისუფლების უმაღლესი რანგის პირების დამოკიდებულების შესწავლის მიზნით დიდ ინტერესს წარმოადგენს ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის მასალები.[4]

უკრაინელ მეამბოხეთა არმიის საქმიანობის შესასწავლად და გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია ასევე თავმოყრილი კრებულში „უმა-ს ბრძოლა უკრაინის დამოუკიდებელი გაერთიანებული სახელმწიფოსათვის 1942-1950 წლებში დოკუმენტების მიხედვით“.[5]

ყურადღებას მოითხოვს ასევე საარქივო დოკუმენტების კრებული „უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის დროს“, რომელშიც გაერთიანებული არის რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთის, გერმანიის საარქივო დოკუმენტები.[6]

უკრაინული მეამბოხეთა არმიის მეთაურის რომან შუხევიჩის საქმიანობის

[1] ОУН в 1941 році. Документи. В 2-х ч. Упоряд.: О. Веселова, О. Лисенко, І. Патриляк, В. Сергійчук. Київ: Ін-т історії України НАН України, 2006.
[2] ОУН в 1942 році. Документи. Упоряд.: О. Веселова, О. Лисенко, І. Патриляк, В. Сергійчук. Київ: Ін-т історії України НАН України, 2006.
[3] Україна в Другій світовій війні у документах. Збірник німецьких архівних матеріалів (1944-1945). В 4 томах. Упоряд. В. М. Косика. Львів: Львівський національний університет імені Івана Франка; Інститут української археографії та джерелознавства ім. М. Грушевського НАНУ, 2000.
[4] International Military Tribunal (The Blue Set). Trial of major war criminals before the International Military Tribunal. Nuremberg 14 November 1945 – 1 October 1946. Vol. XXXIX. Nuremberg, 1949; International Military Tribunal (The Red Set). Nazi Conspiracy and Aggression Office of the United States Chief of Counsel for Prosecution of Axis Criminality Nuremberg, Germany (1945–1946). Vol. 5. Washington: 1946.
[5] УПА в світлі документів з боротьби за Українську Самостійну Соборну Державу 1942—1950 рр. Ч. 1-2. Видання Закордонних Частин Організації Українських Націоналістів, 1957-1960.
[6] Украинские националистические организации в годы Второй мировой войны. Документы: 2 ტ. 1939–1943. Под ред. А. Н. Артизова, Москва: Российская политическая энциклопедия (РОССПЭН), 2012.

შესასწავლად, სხვა წყაროებთან ერთად, გამოყენებულ იქნა სსრ კავშირის სპეცსამსახურების საარქივო დოკუმენტების კრებული.[1]

ნაშრომში გენერალ ანდრეი ვლასოვის საქმიანობის გასარკვევად, კერძოდ, მისი გერმანულ ტყვეობაში აღმოჩენის, რუსული განმათავისუფლებელი არმიის შექმნის, რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელი კომიტეტის შექმნის ისტორიის შესახებ, მისი და მისი თანამებრძოლების და თანამოაზრეების საბჭოთა ძალების მიერ დაკავებისა და მოგვიანებით, ვლასოვის და მისი თანამოაზრეების დაკითხვის ოქმების შესწავლისთვის გამოყენებულია სხვადასხვა რუსული არქივებიდან, მათ შორის ფედერალური საარქივო სააგენტოს, რუსეთის პრეზიდენტის არქივის და სხვა არქივებიდან გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული „გენერალი ვლასოვი: ღალატის ისტორია“.[2]

ვლასოვის მოძრაობის შესახებ რამდენიმე გერმანული დოკუმენტი, რომელიც ასახავს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ გერმანული ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს გენერალ ვლასოვზე და მის მოძრაობაზე 1942-1943 წლებში, მოცემულია 1950 წელს ნიუ იორკში გამოცემულ კრებულში „ვლასოვის მოძრაობა დოკუმენტების ანარეკლში“,[3] რომელიც შედგენილია ბორის დვინოვის მიერ.

უშუალოდ გენ. ვლასოვის მიერ შექმნილი დოკუმენტებიდან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს 1942 წლის 27 დეკემბრის სმოლენსკის დეკლარაცია, რომლითაც გამოცხადდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსული შენაერთების შექმნა.[4] გარდა ამისა, გენ. ვლასოვის შეხედულებების შესახებ საყურადღებო პირველწყაროს წარმოადგენს მის მიერ 1943 წლის 3 მარტს გაზეთ „ზარიაში“ გამოქვეყნებული ღია წერილი.[5] ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პრაღის მანიფესტი, რომლითაც გამოცხადდა რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელი კომიტეტის შექმნა და რომელიც ვლასოვის პირად მდივნის, ვ. ოსოკინის მიერ შექმნილ ანდრეი ვლასოვის მოკლე ბიოგრაფიაშია გამოქვეყნებული.[6] და ბოლოს, გენ.

---

[1] Роман Шухевич в документах радянських органів державноі безпеки (1940-1950). Т. 1-2. Київ: 2007.

[2] Генерал Власов: история предательства: В 2 т. (В 3 кн.). Под ред. А. Н. Артизова. Москва: Политическая энциклопедия, 2015.

[3] Б. Двинов. Власовское движение в свете документов. Нью-Йорк: 1950.

[4] Обращение Русского Комитета к бойцам и командирам Красной Армии, ко всему русскому народу и другим народам. წიგნში: Генерал Власов: история предательства... ტ. 1, გვ. 158-161.

[5] Почему я стал на путь борьбы с большевизмом. Открытое письмо генерал-лейтенанта А.А. Власова. იხ. Заря, 3 марта 1943, ელ.ვერსია: http://www.mochola.org/russiaabroad/vlas_pismo.htm.

[6] В. Осокин. Андрей Андреевич Власов: краткая биография с приложением Пражского манифеста.

ვლასოვის პოლიტიკური პორტრეტის სრულად აღსაქმელად საყურადღებოა მისი დაკითხვის ოქმი, რომელიც მოყვანილია ალექსანდრ კოლესნიკის წიგნში „რგა – ვლასოვის არმია: გენერალ ა. ა. ვლასოვის საქმე“.[1]

**მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა.** ნაშრომში გამოყენებული მემუარული ლიტერატურიდან განსაკუთრებულად საყურადღებოა ვიაჩესლავ ნაუმენკოს „დიდი ღალატი. კაზაკების გადაცემა ლიენცსა და სხვა ადგილებში“, რომელშიც ავტორი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კაზაკთა ჯარების მთავარ სამმართველოში, აღწერს, თუ როგორ გადასცეს მოკავშირეებმა საბჭოთა მხარეს ის კაზაკები, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. წიგნის განსაკუთრებული მნიშვნელობა არის იმაში, რომ ის დაწერილია თვითმხილველის მიერ, რომელმაც თვითონ ნახა, თუ როგორ აღმოჩნდნენ საბჭოთა ტყვეობაში კაზაკები, რომელთა შორის ბევრი არასდროს არ ყოფილა საბჭოთა მოქალაქე.[2]

ინტერესს იწვევს რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ოფიცერ ვიაჩესლავ არტემიევის მემუარული ტიპის ნაშრომი „რგა-ს პირველი დივიზია“. ნაშრომში მოცემულია ცნობები სამხედრო შენაერთის ფორმირებაზე, მისი შემადგენლობასა და სტრუქტურაზე, შეიარაღებაზე, საბრძოლო გზასა და ბედზე ომის ბოლო თვეებში. ეს წიგნი იმით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ვ. არტემიევი იყო პირველი დივიზიის მეორე პოლკის მეთაური, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, შიგნიდან შევხედოთ იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა პირველ დივიზიაში.[3]

ძალზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვერმახტის ყოფილი კაპიტნის, ვილფრიდ შტრიკ-შტრიკფელდის მემუარი „სტალინისა და ჰიტლერის წინააღმდეგ. გენერალი ვლასოვი და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა“. ავტორი აღწერს, თუ როგორ იქმნებოდა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორ მუშაობ-და ის ანდრეი ვლასოვთან. წიგნი წარმოადგენს ფაქტობრივად პირველწყაროს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ არსებობს დოკუმენტური მასალა.[4]

---

Второе издание. Нью-Йорк: Всеславянское издательство, 1966, გვ. 25-31.

[1] А. Колесник. РОА – власовская армия: Судебное дело генерала А. А. Власова. Харьков: Простор, 1990.

[2] В. Науменко. Великое предательство. Выдача казаков в Лиенце и других местах (1945-1947). В 2-х т. Нью-Йорк: Всеславянское издательство, 1962.

[3] Артьемев В.П. Первая дивизия РОА. Лондон–Онтарио: Издательство Союза Борьбы за Освобождение народов России (СБОРН), 1974.

[4] В. Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера. Генерал Власов и Русское Освободительное

ასევე საინტერესოა კონსტანტინ კრომიადის მემუარები „მამულისთვის, თავისუფლებისთვის“. ომის ბოლო ეტაპზე ის გენერალ ანდრეი ვლასოვის პირადი კანცელარიის ხელმძღვანელი გახდა და, შედეგად, მისი ნაშრომი იძლევა შესაძლებლობას, ახლოდან შევხედოთ, თუ როგორ მუშაობდა და მოქმედებდა თავად ა. ვლასოვი და მისი უახლოესი გარემოცვა.[1]

გენერალ ანდრეი ვლასოვის შესახებ, კონკრეტულად, მისი სამხედრო კარიერის იმ მონაკვეთზე, როდესაც ის მსახურობდა წითელ არმიაში ოპერაცია „ბარბაროსას“ საწყის ეტაპზე, საუბრობს საბჭოთა კავშირის ყოფილი პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი თავის მემუარებში „დრო. ხალხი. ძალაუფლება (მოგონებები)“. აღნიშნული წიგნი საინტერესოა იმით, რომ ნ. ხრუშჩოვი აღწერს გენერალ ვლასოვს, როგორც პროფესიონალ სამხედროს, რომელიც აკონტროლებდა სიტუაციას, და არვარდებოდა პანიკაში, რაც 1941 წლის ზაფხულისთვის საბჭოთა ოფიცრებისთვის მნიშვნელოვანი უნარი იყო. ის რამდენჯერმე აღნიშნავს, თუ როგორი მშვიდი და გაწონასწორებული სარდალი იყო ანდრეი ვლასოვი. გარდა ამისა, ხრუშჩოვი წერს, რომ გენერალ ვლასოვი კარგად იბრძოდა მოსკოვის დაცვის დროს და ვლასოვი კარგ და სანდო გენერლად ითვლებოდა, თუმცა, მოგვიანებით, ის აღნიშნავს, რომ ვლასოვი მოღალატე გახდა.[2]

ნ. ხრუშჩოვის მემუარები გამონაკლისს წარმოადგენს, რადგანაც საბჭოურ ლიტერატურაში ა. ვლასოვი მხოლოდ უარყოფითად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და ასე არის კიდეც ის გამოყვანილი კირილ მერეცკოვის,[3] გეორგი ჟუკოვის,[4] ევგენი ფომინიხის[5] და სხვათა მემუარებში.

კაზაკების ბედ-იღბალზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნიკოლაი ბიკოვის მემუარები „კაზაკების ტრაგედია“, რომელიც იძლევა საშუალებას, შევხედოთ, თუ როგორ შეხვდა კაზაკური საზოგადოება ჯერ ბოლშევიკების გაბატონებას რუსეთში, შემდეგ კი – მესამე რაიხის მოსვლას კაზაკთა მიწებზე. ნ. ბიკოვი იყო ქ. როსტოვსა და როსტოვის ოლქში კაზაკთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ნაშრომი საინტერესოა ასევე იმით, რომ გვაჩვენებს, თუ როგორ

Движение. Москва: Посев, 1993.

[1] К. Кромиади. «За землю, за волю!». Воспоминания соратника генерала Власова. Москва: Вече, 1980.

[2] Н. Хрущёв. Время. Люди. Власть. (Воспоминания). Москва, Вече, 2016, გვ. 407-408.

[3] К. Мерецков. На службе народу. Москва: Вече, 1968, გვ. 276-277.

[4] Г. Жуков. Воспоминания и размышления. Москва: Издательство Агентства печати Новости, 1969, გვ. 677.

[5] Е. Фоминых. Как был пойман предатель Власов. // *Известия,* № 239, 7.10.1962, გვ. 2.

სცდილობდნენ კაზაკები შეინარჩუნონ თვითმყოფადობა ომის პირობებში. მაგალითად, ძალზე საინტერესოდ არის ნაჩვენები ის პერიოდი, როდესაც კაზაკები გადავიდნენ ჩრდილოეთ იტალიაში სოფელ ალესოში და კაზაკებმა ის „ნოვოჩერკასკის" სახელით შერაცხეს, არსებულ ქუჩებს რეალური ნოვოჩერკასკის ქუჩების სახელები დაარქვეს და ა.შ.[1]

კაზაკების საბჭოთა მხარისათვის გადაცემაზე ფაქტობრივად პირველწყაროს წარმოადგენს ნიკოლაი კრასნოვის „არდავიწყებადი". ამ მემუარების განსაკუთრებული მნიშვნელობა მდებარეობს იმაში, რომ მასში ასახულია კრასნოვის და კაზაკური სხვა ლიდერების საუბარი ვიქტორ აბაკუმოვთან, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრთან.[2]

ნაშრომში ასევე გამოყენებული არის ტარას ბოროვეცის მემუარები „არმია ქვეყნის გარეშე: უკრაინელ მეამბოხეთა მოძრაობის დიდება და ტრაგედია". მართალია, წიგნი ზედმეტად სუბიექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არის მნიშვნელოვანი იმით, რომ ეს არის იმ ერთადერთი შეიარაღებული ძალის მეთაურის მემუარები, რომელიც იბრძოდა დამოუკიდებელი უკრაინისათვის და არ კონტროლდებოდა უკრაინელი ნაციონალისტების მიერ. ტარას ბოროვეცი აცხადებდა, რომ ის მოქმედებდა უკრაინის სახალხო რესპუბლიკის (სახელმწიფო, რომელიც გაჩნდა უკრაინის ტერიტორიაზე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და რომელიც იარსება თავის გასაბჭოებამდე 1920 წლის ნოემბრამდე – გ.ც.) მთავრობის დავალებით.[3]

საკვლევ საკითხზე უამრავი წიგნი თუ სამეცნიერო სტატია არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან, იდეოლოგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, მკვეთრად განსხვავდება. ამ პრობლემის შესწავლა კიდევ უფრო აქტუალური გახდა 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემა პრაქტიკულად შეუსწავლელია და მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები მეორე მსოფლიო ომის

---

[1] Н. Быков. Казачья трагедия (1940-1945-й гг.). Воспоминания руководителя и организатора в г. Ростове и Ростовском округе казачьего освободительного на Дону движения против большевиков. Нью-Йорк: изд. Н.А. Быкова, 1959.

[2] Н. Краснов. Незабываемое. 1945-1956. Сан-Франциско: Русская жизнь, 1959.

[3] Т. Бульба-Боровець Армія без держави. Слава і трагедія українського повстанського руху. Інститут Дослідів Волині ч. 45, Вінніпег: Накладом Товариства "Волинь", 1981.

ისტორიის მკვლევრების მიერ. ასე, მაგალითად, თეიმურაზ პაპასქირი ეხება მოსკოვში უინსტონ ჩერჩილის მეორე ვიზიტისა და იალტის კონფერენციის დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლის თანახმადაც, მოკავშირეებს საბჭოთა მხარისთვის უნდა გადაეცათ მათ ხელთ აღმოჩენილი საბჭოთა მოქალაქეები.[1] სწორად ამ გადაწყვეტილებამ განაპირობა ათასობით ადამიანის საბჭოთა ბანაკებში დაბრუნებას და უამრავი ადამიანის სიკვდილს, პირველ რიგში, გენერალ ვლასოვის და მისი უახლოესი თანამოაზრეების, ასევე კაზაკთა ლიდერების სიკვდილით დასჯა.

გენ. ანდრეი ვლასოვსა და რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ რუსი ისტორიკოსი კირილ ალექსანდროვი, რომელსაც მრავალი გამოკვლევა აქვს ამ თემაზე. ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ მის რამდენიმე წიგნს. პირველ რიგში, ეს არის „მითები გენერალ ვლასოვზე“, რომელშიც მკვლევარი აღწერს და სისტემურად აანალიზებს ყველა იმ მითს, რომელიც გავრცელებულია გენერალ ანდრეი ვლასოვის ფიგურის ირგვლივ. კ. ალექსანდროვი ამტკიცებს და ადასტურებს, საარქივო მასალების გამოყენებით, რომ გავრცელებული შეხედულებები გენ. ვლასოვის შესახებ – ცუდი სამხედრო მეთაური, დიდ ტერორში მონაწილეობა და ა.შ. – მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდის ნამუშევარია.[2]

წიგნში „ვერმახტის რუსი ჯარისკაცები. გმირები თუ მოღალატეები“ კ. ალექსანდროვმა განიხილა იმ საბჭოთა მოქალაქეებისა და რუსი ემიგრანტების ბედი, რომლებიც მსახურობდნენ ვერმახტში მეორე მსოფლიო ომის დროს. მკვლევარი ყურადღებას უთმობს არა მარტო რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის წევრების საქმიანობას და საბრძოლო უნარებს, ასევე ის იკვლევს კაზაკთა მოძრაობის თავისებურებებს, მათ სტრუქტურას და შედეგიანობას.[3]

კ. ალექსანდროვის კიდევ ერთი ნაშრომი „გენერალ ვლასოვის არმია 1944-1945“ აანალიზებს რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის შექმნას, სტრუქტურას, საბრძოლო გზის ასპექტებს. წიგნში ასახულია რიგითების და ოფიცრების ბედი მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რუსეთის

---

[1] თ. პაპასქირი. „დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. 1944წ. სექტემბერი – 1945წ. მაისი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2006, გვ. 59-63, 214-215.

[2] К. Александров. Мифы о генерале Власове. Москва: Посев, 2010.

[3] К. Александров. Русские солдаты Вермахта. Герои или предатели. Москва: Яуза; Эксмо, 2005.

განმათავისუფლებელი არმიის შემადგენლობაზე, სხვა შენაერთებზე, რომლებიც ორგანიზაციულად შედიოდნენ რგა-ს რიგებში, კაზაკური შენაერთების ორგანიზაციულ დაქვემდებარებაზე, რგა-ს საჰაერო ძალებსა და რგა-ს მონაწილეობაზე პრაღის ამბოხებაში.[1]

და ბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია კ. ალექსანდროვის კიდევ ერთი წიგნი „გენერალ-ლეიტენანტ ა.ა. ვლასოვის არმიის ოფიცერთა კორპუსი", რომელშიც ის ყურადღებას უთმობს იმ ხალხს, რომელიც წარმოადგენდა გენერალ ვლასოვის არმიის ბირთვს, თუ რა წარსული ჰქონდათ მათ, რა მოტივებით შეუერთდნენ ისინი რუსეთის განმათავისუფლებელ არმიას, რა ბედი ეწიათ ომის ბოლოს და ა.შ.[2]

გენ. ვლასოვისა და რგა-ს შესახებ მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს კეტრინ ანდრეევის წიგნი „ვლასოვი და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა: საბჭოთა რეალობა და ემიგრანტული თეორიები". წიგნში გაანალიზებულია გენერალ ვლასოვის კარიერა ომამდე, მისი საქმიანობა გერმანელების ტყვეობაში, მისი მონაწილეობა რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელი კომიტეტის შექმნაში და ა.შ. ავტორისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორი პოლიტიკოსი იყო ანდრეი ვლასოვი, ცდილობდა თუ არა ის არმიის პირადი შემადგენლობისა და თანამოაზრეების გადარჩენას მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე და სხვ.[3]

ინტერესს იწვევს ბორის გავრილოვის „სიკვდილის ველი. მე-2 დამრტყმელი არმიის ტრაგედია და გმირობა", სადაც ის აღწერს მე-2 დამრტყმელი არმიის ტრაგიკულ ისტორიას. სწორად ამ შენაერთის სარდალი იყო ანდრეი ვლასოვი, როდესაც ის მსახურობდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. მკვლევარი ცდილობს, გასცეს პასუხი კითხვას, თუ რატომ განადგურდა გენერალ ვლასოვის შენაერთი და ის აღწერს იმ გეოგრაფიულ თავისებურებებს, რომელშიც აღმოჩნდა არმია.[4]

დიდ ყურადღებას მოითხოვს ასევე ნიკოლაი კონიაევის წიგნი „გენერლის ორი სახე". მასში მკვლევარი არკვევს გენერალ ანდრეი ვლასოვის ნამდვილ პორტრეტს და

---

[1] К. Александров. Армия генерала Власова 1944-1945. Москва: Яуза; Эксмо, 2006.

[2] К. Александров. Офицерский корпус армии генерал-лейтенанта А. А. Власова 1944-1945 гг. Санкт-Петеребург: Издательство «Русско-Балтийский информационный центр "БЛИЦ"», 2001. ელ. ვერსია იხ.: https://coollib.com/b/148403/read#t13.

[3] C. Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement: Soviet Reality and Émigré Theories. Cambridge: Cambridge University Press, 1987.

[4] Б. Гаврилов. «Долина смерти». Трагедия и подвиг 2-й ударной армии. Москва: Институт российской истории РАН, 1999.

ერთმანეთს უპირისპირებს მის გაშუქებას საბჭოთა პროპაგანდაში, სადაც ის გამოყვანილია უპირობო მოღალატედ, და დასავლურ სამყაროში, რომელიც მას აღიქვამდა საბჭოთა ტოტალიტარიზმთან უპირობო მებრძოლად.[1]

დიდ ინტერესს იწვევს ოლეგ სმისლოვის „ვინ გაათავისუფლა პრაღა 1945 წელს. პრაღის ამბოხების გამოცანები“. ავტორი სვამს კითხვას, თუ ვინ მონაწილეობდა პრაღის ამბოხებაში, რომელიც 1945 წელს მოხდა. წიგნში ნაჩვენებია რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მცდელობა, ამბოხებაში მონაწილეობით გადაარჩინოს პირადი შემადგენლობა თუ მეთაურები გენერალ ვლასოვთან ერთად და მიიღოს პოლიტიკური თავშესაფარი, რათა საბჭოთა კავშირში დაბრუნებას გადაურჩეს.[2]

უაღრესად მნიშვნელოვანია იოახიმ ჰოფმანის „ვლასოვის არმიის ისტორია“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ შეიქმნა რუსეთის განმათავისუფლებელი არმია. წიგნში ყურადღება არის გამახვილებული იმაზე, თუ როგორ ხდებოდა არმიაში ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცების გადაბირება, ასევე არმის საჰაერო ძალებზე. ნაშრომის მნიშვნელობა მდებარეობს იმაში, რომ ავტორი განიხილავს რუსეთის განმათავისუფლებელ არმიას, როგორც დამოუკიდებელ მოვლენას და არა როგორც გერმანიის ხელისუფლების ქმედებას, რომელიც ომის ბოლო თვეებში იყო განხორციელებული სამხედრო მარცხის თავიდან ასაცილებლად.[3]

გარდა ამისა, საყურადღებოა იოახიმ ჰოფმანის სხვა ნაშრომიც – „ვლასოვი სტალინის წინააღმდეგ. რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ტრაგედია. 1944-1945“. ის აღწერს რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ქმედებებს მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ თვეებში, როგორ იბრძოდა არმია საბჭოთა ძალების წინააღმდეგ, როგორ მიიღო მან მონაწილეობა პრაღის ამბოხებაში, როგორ აღმოჩნდა არმიის პირადი შემადგენლობა საბჭოთა ტყვეობაში და ა.შ.[4]

საინტერესო საკითხი წამოწია სტანისლავ აუსკიმ თავის წიგნში „მუხანათობა და ღალატი: გენერალ ვლასოვის ჯარები ჩეხეთში“. ავტორი აღწერს, თუ როგორ მონაწილეობდნენ ვლასოველები, კონკრეტულად, რუსეთის განმათავისუფლებელი

---

[1] Н. Коняев Власов. Два лица генерала. Москва: Вече, 2003. ელ. ვერსია იხ.: http://militera.lib.ru/bio/konyaev_nm/01.html.

[2] О. Смыслов. Кто освободил Прагу в 1945 г. Загадки Пражского восстания. Москва: Вече, 2014.

[3] Й. Хоффманн. История власовской армии. Paris: YMCA-PRESS. 1990.

[4] Й. Хоффман. Власов против Сталина. Трагедия русской освободительной армии. 1944-1945. Москва: АСТ; Астрель, 2006.

არმიის 1-ლი დივიზია პრაღის ამბოხებაში, როგორ მოდიოდნენ დივიზიის სარდალ გენერალ-მაიორ სერგეი ბუნიაჩენკოსთან აჯანყებულები და აწვდიდნენ მას ინფორმაციას, თუ სად სჭირდებოდათ დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ ვლასოველები იბრძოდნენ ამბოხებულების მხარეს გერმანელების წინააღმდეგ, აჯანყების ლიდერებმა, რომლებშიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ კომუნისტები, უარი თქვეს 1-ლი დივიზიასთან თანამშრომლობაზე. ასევე, ბუნიაჩენკო იმედოვნებდა მოკავშირის სტატუსის მიღებას, რითაც მისი დივიზიის წევრები გადარჩებოდნენ საბჭოთა ტყვეობასა და სიკვდილს, თუმცა, ეს ასე არ მოხდა.[1]

განსაკუთრებულ ინტერესს იპყრობს სვენ სტეენბერგის წიგნი „ვლასოვი“.ავტორს მოჰყავს საბჭოთა მხარისთვის გადაცემული ვლასოველების რიცხვები 1-ლი დივიზიის მაგალითზე. ის ხაზს უსვამს, რომ თავდაპირველად საბჭოთა კავშირმა მიიღო მხოლოდ ნაწილი იმ ადამიანებისა, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაში, თუმცა მოგვიანებით მიიღო თითქმის ყველა ადამიანი, ვინც ვლასოვთან მსახურობდა. მაგალითად, პირველი დივიზიის თითქმის ნახევარი ამერიკულ საოკუპაციო ზონაში აღმოჩნდა, მაგრამ, ეს ხალხი მაინც გადაეცა საბჭოთა კავშირს.[2]

დიდ ყურადღებას იქცევს ასევე სერგეი დრობიაზკოს წიგნი „მტრის დროშების ქვეშ: ანტისაბჭოთა ფორმირებები გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, 1941-1945“. ავტორი დაწვრილებით აღწერს რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის სტრუქტურას ასეულებისა თუ ბატალიონების დონეზე და მის შეიარაღებას, ასევე კაზაკური შეიარაღებული შენაერთების სტრუქტურას, შეიარაღებას და ნაწილების ბედს ომის ბოლოს.[3] ამავე საკითხს ეთმობა მისი მეორე გამოკვლევაც: „უცხოური ფორმირებები მესამე რაიხში“, რომელიც მან ოლეგ რომანკოსა და კონსტანტინ სემიონოვთან თანაავტორობით შექმნა.[4]

ს. დრობიაზკომ (ანდრეი კარაშჩუკთან თანაავტორობით) ცალკე გამოკვლევა – „აღმოსავლური ლეგიონები და კაზაკური ნაწილები ვერმახტში“ – მიუძღვნა კაზაკთა

---

[1] С. Ауски. Предательство и измена: войска генерала Власова в Чехии. Сан-Франциско: Globus Publishers, 1982.
[2] С. Стеенберг. Власов. Мельбурн: Русский дом в Мельбурне, 1974.
[3] С. Дробязко. Под знаменами врага: Антисоветские формирования в составе германских вооруженных сил, 1941–1945. Москва: Эксмо, 2004.
[4] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха. Москва: АСТ Астрель, 2011.

შეიარაღებულ შენაერთებს. წიგნში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა კაზაკთა შეიარაღებული შენაერთები, რომლებიც ვერმახტის მხარეს იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს, მათი სტრუქტურა, შემადგენლობა და რაოდენობა.[1]

მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ფრანსუა ლანუას წიგნი „ფონ პანვიცის კაზაკები 1942-1945“, რომელშიც მკვლევარი ძირითადად საუბრობს 1-ელ კაზაკურ კავალერისტთა დივიზიაზე, რომლის მეთაური იყო ჰელმუტ ფონ პანვიცი. გამოკვლევაში აღწერილია შენაერთის სტრუქტურა, ვინ შეადგენდა დივიზიის პირად შემადგენლობას, რით იყვნენ შეიარაღებული და ა.შ. წიგნში მოცემულია დივიზიის საბრძოლო გზა და ჯარისკაცებისა თუ ოფიცრების ბედი ომის დასრულების შემდეგ.[2]

დიდ ინტერესს წარმოადგენს ალექსანდრ ლენივოვის წიგნი „კაზაკთა დროშის ქვეშ 1943-1945 წლებში“, რომელიც აღწერს მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე მსხვილი კაზაკური შენაერთის – კაზაჩი სტანის – ისტორიას. საინტერესოა, რომ ამ შენაერთში, საბრძოლო ნაწილების გარდა, ასევე იმყოფებოდნენ კაზაკთა ოჯახები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ კაზაჩი სტანთან ერთად, როდესაც გერმანული ჯარები უკან იხევდნენ.[3]

უაღრესად მნიშვნელოვანი მკვლევარია ნიკოლაი ტოლსტოი, რომელმაც თავის ნაშრომში „იალტის მსხვერპლნი“ დეტალურად აღწერა, თუ რა ვითარებაში მოხდა კაზაკების გადაცემა საბჭოთა კავშირისთვის. ტოლსტოი კარგად აჩვენებს კაზაკების იმედგაცრუებას, როდესაც გაიგეს დეპორტაციის შესახებ და თუ როგორ შეძლეს ინგლისელებმა ოფიცრებისა და ჯარისკაცების ერთმანეთისგან განცალკევება.[4]

ინტერესს იწვევს პიოტრ კრიკუნოვის წიგნი „კაზაკები. სტალინსა და ჰიტლერს შორის. ჯვაროსნული ლაშქრობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ“, რომელშიც ავტორი ცდილობს შეაფასოს კაზაკების მონაწილეობა გერმანელების მიერ ოკუპირებული დონის, ყუბანის, თერგის ტერიტორიების მმართველობის ორგანიზებაში და შეისწავლოს კაზაკთა შეიარაღებული შენაერთების ბრძოლისუნარიანობა თუ

---

[1] Сергей Дробязко, Андрей Каращук. Восточные легионы и казачьи части в Вермахте. Москва: АСТ, 2000.
[2] Ф. Ланнуа. Казаки Паннвица 1942-1945. Москва: АСТ, 2006.
[3] А. Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах. Эпопея Казачьего Стана под водительством Походных Атаманов Казачьих Войск С.В. Павлова и Т.И. Доманова в 1943-1945 гг. Материалы и документы. Мюнхен: Издание автора, 1970.
[4] Н. Толстой. Жертвы Ялты. წიგნში: Н. А. Келин. Казачья исповедь. Н. Д. Толстой. Жертвы Ялты. Москва: Военное издательство, 1996, გვ. 137-479.

საბრძოლო გზა.[1]

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრი, რომ ვლასოვი არის მოღალატე და მხოლოდ ასე უნდა იყოს დახასიათებული, მემკვიდრეობად ერგო რუსულ ისტორიოგრაფიას. ამ მხრივ, როგორც ტიპიური წარმომადგენელი, შეგვიძლია გამოვყოთ ოლეგ სმისლოვი, რომელიც თავის წიგნში – „ჰიტლერის „მეხუთე კოლონა“. კუტეპოვიდან ვლასოვამდე“ – ვლასოვზე მხოლოდ უარყოფითად საუბრობს.[2]

უკრაინელ ნაციონალისტთა ბრძოლაზე უამრავი გამოკვლევა არსებობს და აქაც ძალზე დიდია იდეოლოგიური წნეხი, თუმცა უკანასკნელ ხანებში ამ კუთხით გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. პირველ რიგში, ეს არის თანამედროვე უკრაინელი მკვლევრების დამსახურება. ამ კუთხით განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ივან პატრილიაკი, რომელიც უაღრესად ნაყოფიერად მუშაობს. პირველ რიგში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წიგნი „უნო(ბ) სამხედრო საქმიანობა 1940-1942 წლებში“, რომელშიც ის აღწერს სტეპან ბანდერას მიმდევრების საბრძოლო საქმიანობას, როგორ ამზადებდნენ ბანდერელები სამხედრო კადრებს, როგორ იბრძოდნენ უკრაინელი ნაციონალისტების მიერ შექმნილი რაზმები. მკვლევარი ასევე განიხილავს იმ შენაერთების შექმნას და საბრძოლო გზას, რომლებიც გერმანელებმა შექმნეს, თუმცა უკრაინელებით იყო დაკომპლექტებულები: ბატალიონი „როლანდი“ და „ნახტიგალი“. ნაშრომის განსაკუთრებულობა მდებარეობს იმაში, რომ წიგნში მოყვანილია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც შექმნილია უკრაინელი ნაციონალისტების მიერ.[3]

ძალზე საყურადღებოა ასევე ივან პატრილიაკის წიგნი „აღსდექ და იბრძოლე! გაიგონე და დაიჯერე...“: უკრაინული ნაციონალური იატაკქვეშეთი და მეამბოხეთა მოძრაობა (1939-1960 წწ.)“. მასში ავტორი აღწერს უკრაინელი ნაციონალისტების – ბანდერელების და მელნიკელების საქმიანობას მეორე მსოფლიო ომის დროს. რა გეგმები ჰქონდათ ორივე დაჯგუფებას, როგორ აპირებდნენ ისინი ამ გეგმების სიცოცხლეში მოყვანას, როგორ რეაგირებდა ამაზე გერმანული ხელისუფლება.

[1] П. Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером. Крестовый поход против большевизма. Москва: Эксмо, 2006.

[2] О. Смыслов. «Пятая колонна» Гитлера. От Кутепова до Власова. Москва: Вече, 2004, ელ. ვერსია: http://bibliotekar.ru/general-vlasov/index.htm.

[3] І. Патриляк. Військова діяльність ОУН (Б) у 1940–1942 роках. Київ: Київський національний університет імені Тараса Шевченка, Інститут історії України НАН України: 2004.

ნაშრომის მნიშვნელობა ასევე მდებარეობს იმაში, რომ აქ გაანალიზებულია უკრაინულ-პოლონურ ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის დროს, და ნაჩვენებია, თუ როგორი ურთიერთობები არსებობდა უკრაინელ ნაციონალისტებსა და საბჭოთა პარტიზანებს შორის.[1]

ასევე 2012 წელს გამოსცა ივან პატრილიაკმა კიდევ ერთი წიგნი – „გამარჯვება ან სიკვდილი: უკრაინული განმათავისუფლებელი მოძრაობა 1939-1960 წლებში“, რომელიც საინტერესოა იმით, რომ მკვლევარი აღწერს, თუ როგორ გაჩნდა უკრაინული არმიის იდეა, რომელიც დროთა განმავლობაში ტრანსფორმირდა უკრაინელ მეამბოხეთა არმიაში. ი. პატრილიაკი აღწერს არმიის სტრუქტურას და აანალიზებს იმ შეტაკებებს, რომლებიც ხდებოდა უკრაინელი ნაციონალისტებს, გერმანელებს და საბჭოთა პარტიზანებს შორის ომის დროს თუ უკრაინელი ნაციონალისტებსა და საბჭოთა ჯარებს შორის ომის შემდეგ.[2]

ძალზე საინტერესო არის ამერიკელი ისტორიკოსის ჯონ არმსტრონგის წიგნი „უკრაინული ნაციონალიზმი“. წიგნის თავისებურება მდებარეობს იმაში, რომ გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ უკრაინელი ნაციონალისტების და მათი იდეოლოგიის წარმოშობის, განვითარების გზები, კავშირის დამყარება მესამე რაიხთან და გერმანელების დამოკიდებულება უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ და ერთიანი უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ორ ნაწილად დაშლის მიზეზები.[3]

დიდ ინტერესს წარმოადგენს პოლონელი მკვლევრის გჟეგოჟ მოტიკას ნაშრომი უკრაინელი პარტიზანები 1942-1960, პოლონური პერსპექტივით უყურებს უკრაინელ ნაციონალისტებს, მათ საქმიანობას. გ. მოტიკა საკმაოდ დეტალურად აღწერს უკრაინელი ნაციონალისტების საქმიანობას მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ, ამასთან ერთად, ამ ნაშრომს აქვს ერთი დიდი უპირატესობა დანარჩენ ნაშრომებთან შედარებით. მისი ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ ის აღწერს ანტიპოლონური აქციების მსვლელობას და ვოლინის ხოცვა-ჟლეტასს.[4]

მნიშვნელოვან გამოკვლევებს გვთავაზობს საკითხის გარშემო უკრაინელი

---

[1] І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...»: українське націоналістичне підпілля та повстанський рух (1939–1960 рр.). Київ, 2012.

[2] І. Патриляк Перемога або смерть: український визвольний рух у 1939-1960 році. Центр досліджень визвольного руху, Львів; Часопис, 2012.

[3] John Armstrong. Ukrainian Nationalism. Littleton, CO: Ukrainian Academic Press, 1980.

[4] Grzegorz Motyka. Ukraińska partyzantka 1942-1960. Warszawa: Instytut Studiów Politycznych PAN, 2006.

ისტორიკოსი ანატოლი კენტი. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ორტომეული „უკრაინელი ნაციონალისტების სამხედრო სტრუქტურა 1920-1956. ისტორიული-საარქივო ნარკვევები“. პირველ ტომში მკვლევარი აღწერს, თუ როგორ ვითარდებოდა და მოქმედებდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აღწერს უკრაინული სამხედრო ორგანიზაციის – უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის წინამორბედი გაერთიანება – სტრუქტურას, ხელმძღვანელობას, საქმიანობას, ვის წინააღმდეგ იყო ის მიმართული. ასევე, ა. კენტი აღწერს და აანალიზებს უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ბრძოლის მეთოდებს, ბანდერელების და მელნიკელების დამოკიდებულებას გერმანია-სსრკ-ს ომის მიმართ, როგორ გადავიდნენ ბანდერელები ანტიგერმანულ პოზიციებზე.[1] მეორე ტომში კენტი აღწერს უკრაინული მეამბოხეთა არმიის შექმნას, არმიის სტრუქტურას, ხელძღვანელობით ორგანოებს, საბრძოლო გზას, ბრძოლებს გერმანელების წინააღმდეგ და საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ და ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.[2]

საყურადღებო ნაშრომი შექმნა ანატოლი რუსნაჩენკომ – „აღშფოთებული ხალხი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკრაინაში და ეროვნული მოძრაობები ბელარუსში, ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთში“. ავტორი აღწერს უკრაინელ მეამბოხეთა არმიის ბრძოლებს 1943-1944 წლებში. წიგნი საინტერესოა ასევე იმით, რომ ა. რუსნაჩენკომ გაანალიზა უკრაინელი ნაციონალისტების და პოლონელი პარტიზანების ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომამდე და ომის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღება უკავია წიგნში ანტიგერმანულ ბრძოლებს და ქმედებებს, რომლებიც ახორციელებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები.[3]

ერთ-ერთ ყველაზე კვალიფიციურ და მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს სტანისლავ კულჩიცკის რედაქტორობით გამოცემული წიგნი „უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია და უკრაინული მეამბოხეთა არმია“.[4] მასში

---

[1] А. Кентій. Збройний чин українських націоналістів. 1920-1956. Історико-архівні нариси. Т. 1. Від Української Військової Організації до Організації Українських Націоналістів. 1920-1942. Київ: 2005.

[2] А. Кентій. Збройний чин українських націоналістів. 1920-1956. Історико-архівні нариси. Т. 2. Українська повстанська армія та збройне підпілля Організації українських націоналістів. 1942-1956. Київ: 2008.

[3] А. Русначенко. Народ збурений: нац.-визвол. рух в Україні й нац. рухи опору в Білорусії, Литві, Латвії, Естонії у 1940-50-х роках. Київ: Унів. вид-во "Пльсари", 2002.

[4] Організація українських націоналістів і Українська повстанська армія. Від. Ред: С. В. Кульчицький, Інститут історії НАН України. Київ, Наукова Думка, 2004.

გაერთიანებულია სხვადასხვა ავტორების მოცულობითი სტატიები. ასე, მაგალითად, ივან პატრილიაკმა დაწერა თავი „უკრაინელი ნაციონალისტების ტაქტიკა და სტრატეგია მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე“, რომელშიც აღწერა, თუ როგორ იბრძოდნენ და ბრძოლის რა საშუალებებს პოულობდნენ უკრაინელი ნაციონალისტები მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე.[1] ანატოლი კენტიმ, თავის ერთ ნარკვევში „უნო(ბ)-ს გადასვლა ანტიგერმანულ პოზიციებზე (1941-1942)“, აღწერა, თუ როგორ გადავიდნენ საბოლოოდ უკრაინელი ნაციონალისტები ანტიგერმანულ პოზიციებზე,[2] ხოლო მეორეში – „უმა-ს „ორ ფრონტზე“ ბრძოლა (1943-1944 წწ. პირველი ნახევარი)“ – გააანალიზა უკრაინელი ნაციონალისტების მზადება ბრძოლის ახალ ფორმებზე გადასვლისათვის, უკრაინელ მეამბოხეთა არმიის შექმნა, ბრძოლას როგორც საბჭოთა პარტიზანების, ასევე – გერმანული ნაწილების წინააღმდეგ.[3] ვოლოდიმირ დზიობაკმა თავის ნაწილში – „ბულბელები („პირველი უმა“)“ – აღწერა ტარას ბოროვეცის ბიოგრაფია და გაანალიზა მისი შეიარღებული ფორმირების მცდელობები, დაემყარებინა კავშირი გერმანულ ადმინისტრაციასთან თუ საბჭოთა პარტიზანებთან.[4] იგორ ილიუშინი, თავის ნარკვევში „უნო-ს და უმა-ს საბრძოლო მოქმედებები ანტიპოლონურ ფრონტზე“, აღწერს უკრაინელი ნაციონალისტების ბრძოლას პოლონელების წინააღმდეგ და აანალიზებს მათ ქმედებებს ვოლინის ჟლეტვის დროს.[5] ოლექსანდრ ლისენკომ თავის ნაწილში – „უნო-ს და უმა-ს შეიარაღებული რაზმების ბრძოლა საბჭოთა სადამსჯელო-რეპრესიულ

---

[1] І. Патриляк. Тактика і стратегія украінских націоналістів на початковому етапі Другоі світовоі війни. წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 15-86.

[2] А. Кентіи. Перехід ОУН(Б) на антинімецькі позиції (1941-192). წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 88-112.

[3] А. Кентіи. «Двофронтова» боротьба УПА (1943 — перша половина 1944 рр.). წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 160-217. გარდა ამ თავებისა, ა. კენტის ეკუთვნის კიდევ ერთი თავი, კერძოდ, „უნო-ს და უმა-ს ანტიკომუნისტური მოძრაობა ომის შემდგომ პერიოდში“ (А. Кентіи. Антикомустічний опір ОУН и УПА у післявоенний період. წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 394-386-441), რომელიც ქრონოლოგიურად არ ჯდება ჩვენს გამოკვლევაში – გ.ც.

[4] В. Дзьобак. Бульбівці («Перша УПА»). წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 114-154.

[5] І.І. Ільюшин. Бойові діі ОУН и УПА на антипольскому фронті. წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 222-295.

აპარატთან“, აღწერა, თუ როგორ ებრძოდნენ უკრაინელი ნაციონალისტები საბჭოთა სპეცსამსახურებს მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე, კერძოდ, 1944-1945 წლებში.[1] გეორგი კასიანოვმა, თავის ნარკვევში „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის იდეოლოგია“, გააანალიზა იდეოლოგიური განსხვავებები ბანდერელებისა და მელნიკელების ფრთებს შორის.[2]

ძალიან საინტერესოა 2-ტომეული „რეპრესიული-სადამსჯელო სისტემა უკრაინაში. 1917-1953“, რომლის ავტორი ივან ბილასი აღწერს იმ მეთოდებს, რომლებსაც იყენებდა საბჭოთა ხელისუფლება უკრაინის წინააღმდეგ, უკრაინელი ნაციონალისტებისა და უკრაინის რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ. წიგნის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ მე-2 ტომში მოცემულია მთელი რიგი საბჭოთა დოკუმენტებისა, რომლებიც ფარდას ხსნის რეპრესიების მექანიზმზე.[3]

უაღრესად მნიშვნელოვანია უკრაინული მეამბოხეთა არმიის ყოფილი მთავარსარდლის – ვასილ კუკის წიგნი „სტეპან ბანდერა“, რომელშიც ის აღწერს სტეპან ბანდერას როლს უკრაინელ ნაციონალისტთა მოძრაობაში, მის ღვაწლზე უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის განვითარებაში. წიგნი საინტერესოა იმით, რომ ყურადღებას აკეთებს უნო-ს დაშლის მიზეზებზე და დეტალურად აღწერს იმ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა ორგანიზაციის დაშლის დროს.[4]

დეტალურად არის გაანალიზებული ის პოლიტიკური საქმიანობა, რომლითაც იყვნენ დაკავებული უკრაინელი ნაციონალისტები მეორე მსოფლიო ომის დროს, იური კირიჩუკის მონოგრაფიაში „უკრაინის ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 40-50-იან წლებში: იდეოლოგია და პრაქტიკა“. კონკრეტულად, მასში საუბარია ბანდერელების პოლიტიკაზეც და მელნიკელების პოლიტიკურ პროექტებზეც. წიგნში ასევე უხვად არის გამოყენებული იმ პირების მემუარები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ აღწერილ მოვლენებში.[5]

---

[1] О. Лисенко. Боротьба збройних відділів ОУН І УПА з радянським красально-репрсивним апаратом. წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 303-386.

[2] Г. Касьянов. Ідеологія Організації Українських Націоналістів. წიგნში: Організація українських націоналістів і Українська повстанська армія: Історичні нариси. Відповідальний редактор С. В. Кульчицький. Київ: Наукова думка, 2005, გვ. 394-445-475.

[3] И. Білас. Репресивно-каральна система в Україні 1917–1953. Суспільно-політичний та історико-правовий аналіз (у 2-х кн.). Київ: Либідь-Війско України, 1994.

[4] Василь Кук. Степан Бандера (1920-1959 рр.). Бібліотечка «Нескореної Нації», 1999.

[5] Ю. Киричук. Український національний рух 40—50х рр. XX століття: ідеологія та практика. Львів:

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეშვეობით გამოვლენილი შედეგების გამოყენება შესაძლებელია უსაფრთხოების მკვლევრების, სამხედრო ექპერტებისა და საკითხით დაინტერესებული სხვა მეცნიერების მიერ. ასევე, დამატებითი ლიტერატურის სახით შესაბამის კურსებში საქართველოს უმაღლეს და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**ნაშრომის აპრობაცია.** ნაშრომის სხვადასხვა ნაწილები წარდგენილ იქნა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია ხუთი სტატია სამეცნიერო ჟურნალებსა და კონფერენციების მასალებში. გარდა ამისა, ნაშრომის ცალკეული ქვეთავები წარდგენილ იქნა დოქტორანტის კოლოქვიუმებზე.

---

Добра справа, 2003.

# თავი I. უკრაინელი ნაციონალისტების ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1939-1945 წლებში

## 1.1. უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ტერიტორიაზე გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის იმპერიების დაშლის შემდეგ შეიქმნა რამდენიმე ახალი სახელმწიფო, მათ შორის, პოლონეთი. მასში შევიდა თანამედროვე დასავლეთ უკრაინის ტერიტორია, სადაც ძირითადად უკრაინელები ცხოვრობდნენ. აქ პოლონელები საკმაოდ ხისტად მოქმედებდნენ, რის გამოც 1920 წლის ივლისში შეიქმნა უკრაინული სამხედრო ორგანიზაცია (უსო), რომელიც იბრძოდა პოლონური ხელისუფლების წინააღმდეგ დამოუკიდებელი უკრაინის შესაქმნელად.[1] 1929 წლის 27 იანვრიდან 3 თებერვლამდე ვენაში ჩატარებული უკრაინელი ნაციონალისტების პირველ კრებაზე ის გადაკეთდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციად (უნო).[2]

უკრაინელები პოლონური ხელისუფლების წინააღმდეგ სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, ტერორისტული აქტებით იბრძოდნენ. აღსანიშნავია ანტიუკრაინულად განწყობილი გაზეთების რედაქციაში ბომბის გაგზავნა (მაგალითად, 1928 წლის 6 დეკემბერს მოხდა თავდასხმა პოლონური გაზეთის „სლოვო პოლსკეს“ რედაქტორზე.),[3] დიდი ღონისძიებების დროს აფეთქების მოწყობა (1929 წლის 7 სექტემბერს მოხდა აფეთქება ლვოვში გამართულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრობაზე სახელად „ტარგი ვსხოდნე“, რომელზეც იმყოფებოდნენ მწარმოებლები, ჟურნალისტები, ვაჭრები მთელი მსოფლიოდან.),[4] საბანკო და საფოსტო განყოფილებების ძარცვა. უკრაინული სამხედრო ორგანიზაცია მიმართავდა ასევე ექსპროპრიაციის აქტებს, ანუ ე.წ. „ექსებს“, უბრალო ენით რომ ვთქვათ, ძარცვებს.

---

[1] П. Мірчук. Нарис історії ОУН. 1920-1939 роки. Видання трете, доповнене. Українська видавнича спілка, 2007, გვ. 18.
[2] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 84.
[3] Політичний терор і тероризм в Україні. XIX-XX століття. Історичні нариси. Київ: Наукова думка, 2002, გვ. 560.
[4] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 117.

შექმნილი იყო ე.წ. „მფრინავი ბრიგადა“, რომლის მთავარი მიზანი იყო ფულის და სახსრების მოპოვება თავისი ბრძოლის გაგრძელებისათვის.[1] იყო ანტიუკრაინულად განწყობილი ცნობილი პიროვნებების და მთავრობის წევრების მკვლელობების შემთხვევებიც. ასე, მაგალითად, 1926 წლის 19 ოქტომბერს ლვოვში მოკლეს სკოლის კურატორი ი. სობინსკი, რომელიც განსაკუთრებულად აწიოკებდა უკრაინელ სკოლის მოსწავლეებს,[2] 1933 წლის 15 ივნისს კი ვარშავაში უკრაინელმა ნაციონალისტმა გ. მაცეიკომ მოკლა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბრონისლავ პიერაცკი)[3].

რაც შეეხება აღმოსავლეთ უკრაინას, რომელიც შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უკრაინელმა ნაციონალისტებმა აქ, ცენტრალიზებული ქსელის ნაცვლად, შექმნეს სხვადასხვა სახელით მოქმედი ფარული ორგანიზაციები. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ, სხვადასხვა მიზეზების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ასეთი ქსელის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება. პეტრო მირჩუკი გამოყოფს სამ მიზეზს, კერძოდ: 1. საბჭოთა უშიშროება აკავებდა არა მარტო აღნიშნული ორგანიზაციის წევრებსა, არამედ ეჭვიტანილებსაც, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობდნენ ასეთ ორგანიზაციაში. ასევე, ბოლშევიკური პრესა, პოლონური პრესისგან განსხვავებით, უბრალოდ არ წერდა დაკავების და ლიკვიდაციის ფაქტებზე; 2. კავშირი უნო-სა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მოქმედებდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ უკრაინაში , მთლიანად ფლობდა ევგენ კონოვალეცი – უნო-ს პირველი ხელმძღვანელი – ყველანაირი შუამავლების გარეშე. მისი მკვლელობის[4] შემდეგ კავშირის ეს წყარო შეწყდა; 3. ვინაიდან აღმოსავლეთ და ცენტრალურ უკრაინაში არსებული ორგანიზაციები კონსპირაციულ რეჟიმში იმყოფებოდნენ, პირდაპირ მეამბოხეებისგან ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იყო. შესაბამისად, პ. მირჩუკის თქმით, მათი საქმიანობის შესახებ ცნობილი ხდებოდა ან ბოლშევიკური, ან საზღვარგარეთ არსებული პრესისგან.[5]

უნდა აღინიშნოს, რომ პ. მირჩუკის დასკვნები გარკვეულწილად

---

[1] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 31.
[2] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 32.
[3] Політичний терор і тероризм в Україні. XIX-XX століття, გვ. 565-566.
[4] ე. კონოვალეცი საბჭოთა დაზვერვამ მოკლა როტერდამში 1938 წელს (იხ.: П. Судоплатов. Спецоперации. Лубянка и Кремль 1930–1950 годы. Москва: ОЛМА-ПРЕСС, 1997, გვ. 19).
[5] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 161.

ერთმანეთთანაც კი მოდის წინააღმდეგობაში. თუ ბოლშევიკური პრესა არ ახმაურებდა უკრაინელი ნაციონალისტების ქმედებებს, მაშინ გაუგებარია, როგორ ხდებოდა ცნობილი მათი საქმიანობის შესახებ ამავე პრესიდან. ასევე უცნაურია ის, რომ ე. კონოვალეცის მკვლელობის შემდეგ კავშირი ვერ დამყარდა მის მემკვიდრე ანდრი მელნიკთან. სავარაუდოდ, ორგანიზაციები უბრალოდ არ იყო იმდენად ეფექტური, როგორც პოლონეთში, რადგანაც სტალინისეული რეპრესიებისა და განსაკუთრებით „ჰოლოდომორის" შედეგად, აღმოსავლეთ უკრაინაში პროტესტის გამომხატველი აქტიური საზოგადოება უბრალოდ განადგურებული იყო. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საბჭოთა უშიშროება აკონტროლებდა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, უკრაინელი ნაციონალისტებისთვის ძნელი იყო ფართომასშტაბიანი ბრძოლის გამართვა აღმოსავლეთ უკრაინაში. არადა, XXს. 20-იან წლებში ვითარება სხვაგვარი იყო და დამოუკიდებელი უკრაინის მომხრეები საკმაოდ აქტიურად მოქმედებდნენ საბჭოთა კავშირში. მაგალითად, 1929 წლის მაისში კიევის სასამართლომ 13 უკრაინელ ნაციონალისტს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და 35 ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. საბჭოთა პრესის ცნობით, გასამართლებულებმა 7 წლის განმავლობაში 300 თავდასხმა განახორციელეს ბოლშევიკურ სტანიცებზე. 1929 წლის ივნისში ხარკოვში დახვრიტეს იური ტიუტიუნიკი,[1] ყოფილი უკრაინელი სამხედრო მაღალჩინოსანი, მას ბრალად ედებოდა უკრაინული ნაციონალისტური იატაკქვეშეთის ორგანიზება, მასთან ერთად 8 მეამბოხე იქნა დახვრეტილი.[2]

თავის ბრძოლაში პოლონელების წინააღმდეგ, უკრაინელი ნაციონალისტები გარკვეულ დახმარებას იღებდნენ გერმანიიდან, ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში. ეს თანამშრომლობა დაიწყო 1923 წლიდან და ძირითადად გამოიხატებოდა ორგანიზაციის წევრების დივერსიული საქმიანობისათვის მომზადებაში.[3] ამ დროს უსო-ს ქსელს გერმანიაში ხელმძღვანელობდა რიხარდ იარი, რომელიც ასევე ორგანიზაციის მომარაგებით იყო დაკავებული.[4] 1932 წლის ბოლოს

---

[1] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 163. სინამდვილეში იური ტიუტიუნიკი დახვრიტეს 1930 წლის 20 ოქტომბერს – გ.ც.

[2] П. Мірчук. Нарис історії ОУН, გვ. 163.

[3] О. Мельникович. До історії УВО в Чехо-Словаччині. Євген Коновалець та його доба. Мюнхен, 1974, გვ. 335.

[4] В. Трофимович, А. Усач. Військові відділи націоналістів. – წიგნში: Україна у Другій світовій війні: джерела та інтерпретації (до 65-річчя Великої Перемоги). Матеріали міжнародної наукової конференції /

ევგენ კონოვალეცმა და რიხარდ იარიმ აბვერის ხელმძღვანელ ადმირალ კონრად პატციგთან მიაღწიეს სიტყვიერი შეთანხმება. კ. პატციგის თქმით, ეს იყო „ჯენტლმენური შეთანხმება", რომლის მიხედვითაც უნო ითანამშრომლებდა აბვერთან გერმანულ-პოლონურ კონფლიქტის შემთხვევაში. ამის სანაცვლოდ, აბვერი 1933 წლიდან ყოველთვიურად 7000 მარკას გადაურიცხავდა უნო-ს და ასევე, გადაურიცხავდა ცალკე თანხებს „განსაკუთრებული დავალებების" შესასრულებლად.[1] თანამშრომლობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1938 წელს, კონოვალეცის მკვლელობის შემდგომაც, რაც გამოწვეული იყო გერმანიის გეგმებით პოლონეთის წინააღმდეგ ომის დაწყებასთან დაკავშირებით. უნო-ს მფლობელობაში გადასცეს ციხესიმაგრე სოფელ ზაიბერსდორფთან, ვინერ ნოიშტადტის რაიონში, სადაც ნაციონალისტები თეორიულ ცოდნას იღებდნენ სამხედრო სტრატეგიაში, საერთაშორისო ურთიერთობებში და ნაციონალიზმში.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელებში იყო გარკვეული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რამდენად სასარგებლო იყო ურთიერთობა უნო-სთან. 1938 წლის 21 დეკემბერს შედგა ადმირალ ვილჰელმ კანარისისა და რაიხსლაიტერ ალფრედ როზენბერგის შეხვედრა, სადაც ასევე მონაწილეობდა შტაბსლაიტერი ა. შიკედანცი და მაიორი შტოლცე. შეხვედრაზე განიხილეს უნო-სთან დაკავშირებული საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ ა. როზენბერგი არ თვლიდა მიზანშეწონილად მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მხარდაჭერას, ვინაიდან, მისი აზრით, ეს პოლიტიკურად არასწორი ნაბიჯი იყო. როზენბერგი ასევე ამბობდა, რომ კონოვალეცი-იარის ჯგუფი ძირითადად მოქმედებდა გალიციაში და მას ძალიან გაუჭირდებოდა თავისი საქმიანობის გამართვა დანარჩენ უკრაინაში. მისი თქმით, არსებობდა ასევე სკოროპადსკისა (იგულისხმება პაველ სკოროპადსკი – გ.ც.) და ლევიცკის (იგულისხმება ანდრი ლივიცკი, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის (დევნილობაში) პრემიერ მინისტრი, რომელიც ვარშავაში ცხოვრობდა – გ.ც.) ჯგუფები, რომელიც ვარშავაშია ბაზირებული. როზენბერგი თვლიდა, რომ ორივე ჯგუფი გასათვალისწინებელი იყო და არ უნდა მომხდარიყო მათი იგნორირება სხვა ჯგუფის

---

Відповідальний редактор: Легасова Л. В. Київ, 2011, გვ. 599.

[1] В. Трофимович, А. Усач. Військові відділи націоналістів, გვ. 600.

[2] Україна у Другій світовій війні: джерела та інтерпретації (до 65-річчя Великої Перемоги), გვ. 601. З. Книш. Перед походом на Схід. Спогади й матеріяли до діяння Організації Українських Націоналістів у 1939 -1941 роках. Т. 2. Торонто, გვ. 7-8 (ზ. კნიშის წიგნებს გამოცემის თარიღი არ აწერია – გ.ც.).

ხარჯზე. ადმირალი კანარისი მთლიანად დაეთანხმა ამ მოსაზრებას და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.[1] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმებოდა უკრაინის ნდობის კომიტეტის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა ყველა უკრაინულ ორგანიზაციას და, გერმანელების აზრით, პირველ რიგში, დაკავებული იქნებოდა იმ ტერიტორიებიდან ემიგრაციის საკითხით, რომლებსაც აკონტროლებდნენ ბოლშევიკები. ასევე, აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: ა. ჰიტლერისათვის მომზადებულ მოხსენებაში მითითებული იყო, რომ თუ გერმანია მხარს დაუჭერდა მხოლოდ კონოვალეცის ჯგუფს, პოლონურ-უკრაინული საკითხი გამოვიდოდა პირველ ადგილზე და ბოლშევიკურ-უკრაინული უკანა პლანზე გადავიდოდა.[2]

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, თუ რას ფიქრობდნენ გერმანელები, გვიქმნის არნო შიკედანცის მიერ მომზადებული ჩანაწერები უკრაინული მოძრაობების შესახებ.[3] ა. შიკედანცი ხაზს უსვამდა, რომ ის შეხვდა ევგენ კონოვალეცს და მასზე კონოვალეცმა არ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. მისი თქმით, ევგენ კონოვალეცი არ გამოიყურებოდა, როგორც ერის ბელადი. ის უფრო საშუალო დონის უკრაინელს ჰგავდა, მცირე გლეხური ეშმაკობით.[4] გარდა ამისა, ა. შიკედანცი აღნიშნავდა, რომ უნო-ში ძალიან ძლიერი იყო პოლონური აგენტურა.[5] ასევე, მისი თქმით, უკრაინული ინსტიტუტის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია, რომელსაც პატრონობდა სკოროპადსკი, გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, რადგანაც პოლონურ პრესაში გაჟღერდა ინფორმაცია, თითქოს ინსტიტუტი გადადიოდა იარის ხელში. ა. შიკედანცი აღნიშნავდა, რომ ასეთი ნაბიჯი მხოლოდ იმას გამოიწვევდა, რომ ორივე ორგანიზაცია დაიწყებდა ერთმანეთთან ბრძოლას და არა საქმის ერთობლივად კეთებას.[6]

გერმანული მხარე რომ ნამდვილად განიხილავდა უკრაინის დამოუკიდებლობის საკითხს, ეს ჩანს ორი ფაქტიდან. 1939 წლის 16-22 აპრილს ბერლინში გამართული შეხვედრებისას გერმანელი წარმომადგენლები აცხადებდნენ,

---

[1] Протокольная запись 1. Совещание рейхсляйтера Розенберга с адмиралом Канарисом, подполковником Лахузеном, и майором Штольцем в присутствии шабляйтера Шикеданца. Центральний державний архів вищих органів влади та управління. ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, ფფ. 1-6.
[2] Протокольная запись 1, ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, ფფ. 28-33.
[3] Протокольная запись 1, ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, ფფ. 8-27.
[4] Протокольная запись 1, ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, ფფ. 9.
[5] Протокольная запись 1, ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, ფფ. 11
[6] Протокольная запись 1, ЦДАВО, ф. 4628, оп. 1, д. 11, ფფ. 15-16.

რომ უკრაინელები მზად არიან დამოუკიდებლობისათვის და დაჰპირდნენ მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას.[1] ამ მიმართულებით მსჯელობა გრძელდებოდა მოგვიანებითაც, თუმცა სსრკ-გერმანიის პაქტის გაფორმებისა და მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ვითარება შეიცვალა. მართალია, გერმანელები ჯერ კიდევ განიხილავდნენ უკრაინული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ საბჭოთა კავშირის პოზიციას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამის დასტურს წარმოადგენს 1939 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული ჩანაწერები ვილჰელმ კანარისის დღიურიდან. ამ დღეს ჰიტლერთან გამართული თათბირისას დასახელებულ იქნა პოლონეთის მიწების მომავალთან დაკავშირებული რამდენიმე ვარიანტი: 1. პოლონეთის მეოთხე გაყოფა, რის შედეგადაც გერმანია აღმოსავლეთ პოლონეთზე უარს იტყოდა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ; 2. რაიხში უშუალოდ არშესულ პოლონურ მიწებზე ახალი პოლონური სახელმწიფოს ჩამოყალიბება;[2] 3. პოლონეთის დარჩენილი ნაწილის დაშლა. ვილნო ერგებოდა ლიტვას, უკრაინულ მიწებზე კი შეიქმნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც უნდა მოჰყოლოდა „უკრაინელი ნაციონალისტების ამბოხებას პოლონელებისა და ებრაელების განადგურების მიზნით“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვარიანტზე თანხმობა უნდა მიეღოთ სსრ კავშირის ხელმძღვანელობისაგან და უნდა გამორიცხულიყო უკრაინელების მოქმედებების გავრცობა საბჭოთა უკრაინაზე.[3]

აღნიშნული დოკუმენტი რამდენიმე მიზეზის გამო არის საყურადღებო. პირველ რიგში, ეს აჩვენებს, რომ 12 სექტემბერსაც კი ჰიტლერს არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი პოლონეთის ბედი და, გარკვეულწილად, საბჭოთა რეაქციას ელოდებოდა შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. ამავე დროს, ნათელია, რომ

---

[1] Украинские националистические организации в годы Второй Мировой Войны. Т. 1. 1939-1943. Москва: РОССПЭН, 2012, გვ. 73

[2] კანარისის თქმით, ეს ყველაზე მისაღები ვარიანტი იყო ჰიტლერისთვის, რადგანაც მოხერხდებოდა მშვიდობის მიღწევა აღმოსავლეთში – გ.ც.

[3] IMT (The Red Set). Nazi Conspiracy and Aggression Office of the United States Chief of Counsel for Prosecution of Axis Criminality Nuremberg, Germany (1945-1946), vol. 5, გვ. 768. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად კანარისს შემდგომ მიწერილი აქვს ფანქრით, რომ ჰიპოთეტურმა შესაძლებლობებმა დაკარგეს აზრი. სავარაუდოდ, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პირველი ვარიანტი საბოლოოდ შეთანხმდა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის და გაფორმდა 1939 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულება, რომლითაც დაზუსტდა 23 აგვისტოს პაქტის საიდუმლო პროტოკოლებით დადგენილი საზღვრები (ხელშეკრულების ტექსტი იხ.: Год кризиса. 1938-1939: Док. и материалы в 2 т. Т. 2. 2 июня 1939 г. – 4 сентября 1939 г. Москва: Политиздат, 1990, გვ. 319-321).

იცვლება დამოკიდებულება უკრაინელების მიმართ და, მართალია, ჯერ კიდევ მიდის საუბარი უკრაინის დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, მაგრამ უკვე გარკვეული დათქმებით, თანაც, საბჭოთა კავშირის პოზიციების გათვალისწინებით. მცირე ხანში კი უკვე ნათელი გახდა, რომ გერმანელების გეგმები კიდევ ერთხელ შეიცვალა. მათ, პრაქტიკულად შეწყვიტეს უკრაინელი ნაციონალისტების დახმარება, ვინაიდან დასავლეთ უკრაინა აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და მესამე რაიხს არ სურდა ურთიერთობების გაფუჭება ახალ მოკავშირესთან.

1939წ. შემოდგომიდან უკრაინელ ნაციონალისტებს შორის განხეთქილება გამწვავდა. 1940წ. 10 თებერვალს სტეპან ბანდერამ შექმნა უნო-ს მართვის ახალი ორგანო – „რევოლუციური ხელმძღვანელობა“, რომელიც მას უნდა დაქვემდებარებოდა და ფორმალურად უკვე მელნიკს არ ემორჩილებოდა. გამოყოფის ფორმალური მიზეზი გახდა „არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და უარის თქმა მუშაობის ნაციონალისტურ მეთოდებზე“. ყველა პრეტენზიები აღწერილ იქნა „1940 წ. 10 თებერვლის აქტში“.[1] 5 აპრილს მელნიკი, ბანდერა და სტეცკო (ბანდერას ერთ-ერთი მომხრე) შეხვდნენ ერთმანეთს და ბანდერამ გადასცა მელნიკს „1940 წ. 10 თებერვლის აქტი“. საპასუხოდ, ანდრეი მელნიკმა 6 აპრილს დანიშნა მთავარი რევოლუციური ტრიბუნალის სხდომა ბანდერას და მისი მომხრეების პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად. თავის მხრივ, ბანდერამ ჩამოართვა მელნიკს მისი უფლებამოსილება და უკრაინელ ნაციონალისტთა ხელმძღვანელობა (უნხ) კანონგარეშე გამოაცხადა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანდერას მომხრეები გაერთიანდნენ უნო-ს რევოლუციურ ხელმძღვანელობაში – უნო რხ). მელნიკმა დაადანაშაულა ბანდერა და სტეცკო განხეთქილების პროვოცირებაში.[2]

სანამ ორი ფრთა ერთმანეთს ქაღალდის ბომბებით ანადგურებდა, ბანდერელები ამზადებდნენ ამბოხებას გალიციისა და ვოლინის ტერიტორიებზე. 20 მარტისთვის უნო-ს რამდენიმე ხელმძღვანელი საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე გადავიდა. თუმცა გეგმა ჩაიშალა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საკმაოდ ეფექტური მოქმედებების შემდეგ, რის გამოც ამბოხების დაწყების ვადა გადაიტანეს

---

[1] Зиновій Книш. Розбрат. Спогади й матеріали до розколу в ОУН у 1940-1941 роках. 3. Розділ опозиція скидає маску. http://zustrich.quebec-ukraine.com/lib/knysh/knysh_part03.htm.

[2] А. Гогун. Деятельность вооружённых националистических формирований на территории западных областей УССР (1943-1949). Диссертация на соискание учёной степени кандидата исторических наук. Северо-Западная Академия Государственной Службы. Санкт-Петербург, 2005, თავი 1. ელ. ვერსია იხ.: http://lib.oun-upa.org.ua/gogun/.

1940 წ. სექტემბერ-ოქტომბერზე.[1] 13 აგვისტოს მელნიკმა (განხეთქილების ინიციატორების პასუხისგებაში მიცემის ხანგრძლივი და უშედეგო მცდელობების შემდეგ) გამოაქვეყნა მოწოდება „ბანდერას დივერსიის“ დაგმობის შესახებ. კრაკოვში ჩატარდა უნო-ს რევოლუციური ტრიბუნალის სხდომა, სადაც მხარეებმა ერთმანეთი დაადანაშაულეს ორგანიზაციის მიზნების ღალატში. ტრიბუნალმა ბანდერას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც იქვე უნო-სგან გარიცხვით შეიცვალა, თუმცა მელნიკმა ნება დართო ბანდერას, გამოესყიდა ყველა ბრალდება მონანიებით და ბოლშევიკებთან ბრძოლით. 1940 წ. აგვისტო-სექტემბერი აღიარებულია, როგორც ერთიანი ორგანიზაციის დაყოფის პროცესის დამთავრება. უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია დაიყო ორ ნაწილად: მელნიკელები ანუ უნო(მ) და ბანდერელები ანუ უნო(ბ).[2]

ამის შემდეგ ორი ორგანიზაცია სხვადასხვანაირად მუშაობდა. მელნიკელები ძირითადად აქცენტს აკეთებდნენ ადმინისტრაციული მუშაკების მომზადებაზე, ბანდერელები კი სამხედრო მომზადებას უთმობდნენ ყურადღებას. უკრაინის ის ტერიტორია, რომელიც მოექცა გერმანიის საოკუპაციო ზონაში, გაივსო სამხედრო-საწვრთნელი ბანაკებით. იქ უკრაინელ ნაციონალისტებს ამზადებდნენ დივერსიულ საქმეში. „გამომცდელთა“ შორის იყვნენ რომან შუხევიჩი და იაროსლავ სტეცკო. სამხედრო სწავლებები აბვერის დახმარებით ტარდებოდა. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც თავი კარგად აჩვენეს, კრაკოვში სპეციალური კურსები იყო გახსნილი, სადაც მათ უფრო ღრმად ასწავლიდნენ სამხედრო დისციპლინებს, ნაციონალიზმის იდეოლოგიას, იატაკქვეშეთის ორგანიზებას, პროპაგანდის წარმოებას, დაზვერვას და კონტრდაზვერვას, წითელი არმიის, სახელმწიფო უსაფრთხოების და საბჭოთა კავშირის მართვის სისტემას, დაკითხვების მეთოდიკებს და ასე შემდეგ.[3] საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე ბანდერელები აგროვებდნენ ინფორმაციას წითელ არმიაზე, სამხედრო ნაწილების და საწყობების ადგილმდებარეობაზე, შენაერთების მეთაურების ვინაობაზე და ა.შ. 1940წ. შემოდგომაზე დაგეგმილი იყო აჯანყების მოწყობა, მაგრამ შსსკ-მ მოახერხა

[1] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 20-21.
[2] А. Гогун. Деятельность...
[3] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі, გვ. 26.

ბანდერელების მეკავშირის დაკავება და ამბოხება ჩაიშალა.[1] რა თქმა უნდა, მარტო სწავლებებით და აჯანყების მოწყობით საქმე არ მთავრდებოდა. 1940წ. დეკემბერში გამოქვეყნდა ბანდერელების პირველი საპროგრამო დოკუმენტი – „უნო-ს მანიფესტი“, რომელშიც სტეპან ბანდერა მოუწოდებდა ხალხს, შეერთებოდა უნო-ს სტეპან ბანდერას ხელმძღვანელობით. 1941 წლის აპრილში კი ბანდერელებმა შეკრიბეს მომხრეები თავის II დიდ ყრილობაზე კრაკოვში,[2] სადაც ისევ დაადასტურეს, რომ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მელნიკელებთან. ყრილობაზე უნო-ს ბელადად არჩეულ იქნა სტეპან ბანდერა, მისი მოადგილედ კი – იაროსლავ სტეცკო.[3]

ყრილობამ აჩვენა ბანდერელების, ანტიკომუნისტურთან ერთად, ანტისემიტური ხასიათი, რომელიც გამოხატული იყო სურვილში „გაენადგურებინათ ერის ყველა მტერი“.[4] ძნელია იმის თქმა, თუ რომელ მტერს განიხილავდა ბანდერა ყველაზე საშიშად უკრაინელებისათვის, თუმცა მათი ჩამონათვალი იყო საკმაოდ ვრცელი: ებრაელები, რუსები (მოსკალები), ბოლშევიკები და კომუნისტები[5] და, რა თქმა უნდა, პოლონელები.[6] აქ ჩვენ ცალკე უნდა შევეხოთ ანტისემიტიზმს. ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ „ებრაელები საბჭოთა კავშირში გაბატონებული ბოლშევიკური რეჟიმის უერთგულეს მომხრეებს და უკრაინაში მოსკოვური იმპერიალიზმის ავანგარდს“ წარმოადგენდნენ.[7] ამავე დროს, ყრილობის ლიდერთა აზრით, ვინაიდან მოსკოვურ-ბოლშევიკური მთავრობა სათავისოდ იყენებდა უკრაინული მასების ანტიებრაულ განწყობილებებს, რათა გადაეტანა მასების ყურადღება ძირითადი პრობლემისაგან, საჭირო იყო ბრძოლა ებრაელებთან, როგორც მოსკოვურ-ბოლშევიკური რეჟიმის დასაყრდენთან და, იმავე დროს ხალხისთვის

---

[1] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 23.
[2] II Великий Збір ОУН(б) – ასეთი სახელწოდება ყრილობას მიენიჭა იმის ხაზგასასმელად, რომ ის განსხვავდებოდა 1939 წელს რომში ჩატარებული II დიდი ყრილობისაგან (II Великий Збір ОУН) – გ.ც.
[3] ОУН в 1941 році. Документи. Ч. 1. Упоряд.: О. Веселова, О. Лисенко, І. Патриляк. В. Сергійчук. Київ: Ін-т історії України НАН України, 2006, გვ. 35-50.
[4] გერმანიის მიერ უკრაინის დაკავებამ საშუალება მისცა უკრაინელ ნაციონალისტებს, სააშკარაოდ გამოეტანათ თავისი დიდი ხნის ზრახვები ებრაელების წინააღმდეგ. ასე რომ, ამ შემთხვევაში ნაკლებად შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს ანტისემიტიზმი გერმანელებთან დაახლოებისთვის იქნა წარმოჩენილი წინა პლანზე.
[5] როგორც ტექსტიდან ჩანს, ამ შემთხვევაში ბოლშევიკებად მოსკოვის ხელისუფლება არის მიჩნეული, კომუნისტებად კი – საკუთრივ მათი უკრაინელი თანამოაზრეები – გ.ც.
[6] ОУН в 1941 році. Документи, ч. 1, გვ. 40-43.
[7] ОУН в 1941 році. Документи, ч. 1, გვ. 43.

ახსნა, რომ მთავარი მტერი იყო მოსკოვი,[1] რის დასტურსაც წარმოადგენს უნო-ს საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის დროის გარკვეულ პერიოდში.[2] უნო-ს პოლიტიკის ასახსნელად ჩვენ გვსურს მოვიყვანოთ საკმაოდ ვრცელი ამონარიდი ყრილობაზე მიღებული დადგენილებიდან, სახელად „უნოს ბრძოლა და საქმიანობა ომის დროს“:

*„ტერიტორიის გაწმენდა მტრული ელემენტებისგან – ქაოსის დროს შეიძლება (და საჭიროა) პოლონური, მოსკოვური და ებრაული არასასურველი ელემენტების, და ასევე მოსკოვურ-ბოლშევიკური იმპერიალიზმის მომხრეების განადგურება.*

*პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების მიმართ – ეროვნული უმცირესობები იყოფიან:*

*ა) ჩვენს მიმართ ლოიალური, ანუ დამონებული ხალხების წარმომადგენლები (სარგებლობენ უკრაინელებთან ერთნაირი უფლებებით).*

*ბ) ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი – მოსკალების, პოლონელების და ებრაელების განადგურება, განსაკუთრებით იმ პირებისა, რომლებიც ბოლშევიკურ რეჟიმს იცავენ და ასევე ინტელიგენციის განადგურება, რათა არ მოხდეს მტრების „აღდგენა“. გავანადგუროთ ხელმძღვანელები. ებრაელები იზოლაციაში მოვაქციოთ, მმართველი სტრუქტურებიდან პოლონელების და მოსკალების გაგდება. თუ ებრაელის დანიშვნა რომელიმე საპასუხისმგებლო პოსტზე გარდაუვალია, მის უფროსად დანიშნეთ ჩვენი მილიციელი (ანუ უკრაინელი), რომელიც გააკონტროლებს მის ყველა ნაბიჯს. მცირე დარღვევის შემთხვევაში ებრაელი ლიკვიდირებული უნდა იყოს“.*[3]

მას შემდეგ, რაც დაიწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი, უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციამ ჩათვალა, რომ მისთვის დადგა ხელსაყრელი მომენტი. მაგრამ მანამდე, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შორის ომის დაწყებამდე, უნო ცდილობდა თავისი გზით მოეპოვებინა დამოუკიდებლობა უკრაინისათვის, კერძოდ – ამბოხების გზით. მაგრამ 1940 წლის თებერვალში და მარტის დასაწყისში, საბჭოთა უკრაინაში არსებული უკრაინელი ნაციონალისტების იატაკქვეშეთის ხელმძღვანელებმა – ი. კლიმივი („ლეგენდა“) და ვ. სიდორი („კრავსი“) – რამდენიმე

---

[1]Александр Дюков. Об участии ОУН-УПА в Холокосте – "Москва и жидовство – главные враги Украины". Регнум, 14 октября 2007, https://regnum.ru/article/899133.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: John-Paul Himka. Ukrainian Nationalists and the Holocaust: Ukrainian Nationalists and the Holocaust. Stuttgart: ibidem-Verlag, 2021.

[3] ОУН в 1941 році. Документи. ч. 1, გვ. 94.

თათბირი ჩაატარეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იმ მომენტისათვის შეიარღებული ამბოხების დაწყება შეუძლებელი იყო იარაღის, ტყვია-წამლის და ამუნიციის საჭირო რაოდენობის არარსებობის გამო. იმავე წლის 24 მარტს ლვოვში, საიდუმლო ბინაში არჩეულ იქნა სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლებიც მართავდნენ უნო-ს საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე. ესენი იყვნენ:

1. ო. გრიცაკი (გალაიდა) – აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი.
2. ს. ნოვიცკი (ვიი) – მისი მოადგილე, აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო რეფერენტი.
3. ს. ნიკლევიჩი (ვირჩინი) – აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო რეფერენტი.[1]

გარდა ამისა, სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტში შედიოდნენ ვ. გრინივი, დ. მირონი, ია. გორბოვი, ო. მაკსიმივი და მ. მაცკივი. აღმასრულებელ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, თავისი ყურადღება გადაეტანა შეიარაღებისა და ამუნიციის შეგროვებაზე, დაზვერვაზე, დივერსიებზე და ორგანიზაციის ქსელის განვითარებაზე. როგორც ჩანს, ამავე პერიოდში, შემუშავებულ იქნა უნო(ბ)-ს უსაფრთხოების სამსახურის ინსტრუქცია თავისი აგენტებისათვის, თუ როგორ ემუშავათ საბჭოთა სპეცსამსახურების წინააღმდეგ დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე.[2] ამის დასადასტურებლად მინდა მოვიყვანო შემდეგი ფაქტი. როდესაც 1940 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ჩაატარეს ოპერაცია, რომლის შედეგადაც მათ გაანადგურეს 96 დაბალი დონის ნაციონალისტური ჯგუფი, დაკავებულ იქნა იატაკქვეშეთის 1108 წევრი, ამოღებულ იქნა 2070 შაშხანა, 43 ტყვიამფრქვევი, 600 რევოლვერი, 80 ათასი ტყვია და სხვა სამხედრო ამუნიცია.[3] მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაცია წარმატებული იყო, აღნიშნული სია სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტის კარგ მუშაობაზეც მეტყველებს. როგორც ს. კულჩიცკი მიუთითებს, უნო-ს წევრების რაოდენობა ამ პერიოდში დიდი სისწრაფით იზრდებოდა. მაგალითისთვის, 1939 წლის სექტემბერში სტანისლავის ოლქის უნო-ში გაწევრიანებული იყო მხოლოდ 1200 წევრი, 1940 წლის ივლისში კი მათი რაოდენობა უკვე 9600 წევრამდე გაიზარდა.[4]

---

[1] Василь Кук. Степан Бандера, გვ. 30.

[2] Інструкція для надрайонних референтів Служби безпеки (на виконання). ГДА СБУ, ф. 62, спр. 4, оп. 4, т. 9, арк. 1-6.

[3] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 23.

[4] І. Андрухів, А. Францу. Станіславщина: Двадцять буремних літ (1939-1959), Івано-Франківськ, 2001, გვ.

გარდა საორგანიზაციო ქსელის შექმნისა და ამუნიციის მომზადებისა, უკრაინელი ნაციონალისტები ასევე აგზავნიდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებსაც უნდა დაეწყოთ ამბოხება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ომის დაწყებისთანავე. ეს ჯგუფები (5-20 ადამიანი) იყოფოდა ორ ნაწილად: ერთს უნდა ემუშავა საორგანიზაციო ქსელის შესაქმნელად, მეორე ნაწილი – იცავდა პირველ ჯგუფს საბჭოთა საზღვრის გადალახვის დროს.[1]

პირველმა ასეთმა ჯგუფმა საზღვარი 1940 წლის იანვარში, კრისტინოპილის რაიონში, სოფელ ბენდიუგისთან ახლოს გადალახა. 12-კაციანი რაზმი, რომლის მეთაური იყო პოდპოლკოვნიკი ს. პშენიჩნი, ვოლინში საორგანიზაციო სამსახურის შესასრულებლად მიდიოდა. მათ თან ახლდა 4-კაციანი ჯგუფი მ. ზაპისოჩნის მეთაურობით, რომელსაც ისინი საზღვრის გადალახვისას უნდა დაეცვა და შემდეგ პოლონეთის გენერალ-საგუბერნატოროს ტერიტორიაზე უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა საზღვარზე გადასვლისას ისინი შენიშნეს საბჭოთა მესაზღვრეებმა და გაჩაღდა ბრძოლა. მასში დაიღუპა 30 მესაზღვრე და 8 ნაციონალისტი. კიდევ 8 ნაციონალისტი შეეცადა უკან დახევას, ვინაიდან მათ ტყვია-წამალი დაუმთავრდა, თუმცა ეს ვერ მოახერხდა და ისინი ტყვედ იყვნენ ჩავარდნენ.[2] რამდენიმე დღის შემდეგ საზღვარი გადალახა ი. კლიმოვის (ლეგენდის) ჯგუფმა, რომელიც ჯერ მოქმედებდა გალიციაში, შემდეგ კი გადავიდა ვოლინში, სადაც პშენიჩნის ჯგუფი შეცვალა. მარტის დასაწყისისათვის, საბჭოთა უკრაინაში გადავიდა საკმაოდ სერიოზული ჯგუფი, თავისი შემადგენლობით. მას ხელმძღვანელობდა ვ. ტიმჩი (ლოპატინსკი) , უკრაინის დასავლურ მიწებზე სამხარეო კომიტეტის ხელძღვანელი და საორგანიზაციო რეფერენტი მ. ოპრიშკო, ქალთა რეფერენტი ზ. ლევიცკა, კავშირის რეფერენტი ო. ლუცკი. თუმცა, საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში ჯგუფი საბჭოელების მიერ მომზადებულ ჩასაფრებაში მოხდა და მთლიანად განადგურდა.[3]

1940 წლის მარტის შუა რიცხვებში საზღვარი გადაკვეთა ლ. ზაცნის რაზმმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ფ. ფედეჩენკო, ვ. ზელენი, ლ. ხარკევიჩი, ვ. ჩიჟევსკი, ო ლუცკი. დროგობიჩის ოლქში აღმოჩენის შემდეგ ჯგუფი ორად გაიყო: ლუცკი და ჩიჟევსკი სტანისლავის რაიონში გაემგზავრნენ, ხოლო დანარჩენებმა

---

19.

[1] I. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 19.

[2] I. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 20.

[3] В. Кук. Степан Бандера, გვ. 29.

საორგანიზაციო მუშაობა დაიწყეს დროგობიჩის და ლვივის ოლქებში. ასევე, მარტში საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე შევიდა ორი ჯგუფი: ვ. გრინივის („კრემინსკი“), რომელსაც ევალებოდა სამხარეო მეამბოხეთა შტაბის შექმნა და ჯგუფი რ. კრავჩუკი, ო. ბეზპალკო, ნ, ხომივი და სხვების შემადგენლობით, რომელსაც ევალებოდა ტერნოპილის ოლქში ამბოხის მომზადება.[1] როგორც ვხედავთ, საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე საკმაოდ წარმომადგენლობითი ხელმძღვანელობა იქმნებოდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, როგორც უკვე აღინიშნა, აჯანყების მოწყობაზე უარი ითქვა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა შეეჩერებინა უკრაინელი ნაციონალისტების საქმიანობა. ერთ-ერთი ასეთი საშუალება იყო ჩასაფრება საზღვართან, კერძოდ, მდინარე ბუგზე. გარდა ამისა, ეწყობოდა საზღვრის კვეთისას თუ იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრობისთვის დაკავებული პირების სამაგალითო სასამართლო პროცესები. მაგალითად, 1941 წლის 15-19 იანვარს 59 უკრაინელი ნაციონალისტი იქნა გასამართლებული. თავდაპირველად მათ სასიკვდილო განაჩენი მიესაჯათ, მაგრამ დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების ხელმძღვანელისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კირილ სტუდინსკის შუამდგომლობის შედეგად, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სასიკვდილო განაჩენი ხანგრძლივი პატიმრობით შეუცვალა.[2]

1941 წლის 10 აპრილს სუსკ-ის საბჭოთა უკრაინის დასავლეთ ოლქების სამმართველოს ხელმძღვანელებმა მიიღეს დოკუმენტი, რომლის მიხედვით, უკრაინის დასავლეთ ოლქებში 1941 წლის გაზაფხულზე უნდა ამზადებდა ამბოხებას. ინფორმაციის თანახმად, დროგობიჩის, ტერნოპილის, რივნეს ოლქებში უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული გამოსვლები 1941 წლის 20 აპრილის და 1 მაისის პერიოდში. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ უკრაინელმა ნაციონალისტებმა გაძლიერებულად დაიწყეს ახალი კადრების აყვანა და მათი მომზადება, ასევე ინტენსიურად ახდენდნენ იარაღის, ტყვია-წამლის და მედიკამენტების შეძენას, ამუშავებდნენ სამობილიზაციო გეგმებს, გაზარდეს საბჭოთა და პარტიული მუშაკების წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტების რაოდენობა, ავრცელებდნენ პროპაგანდისტულ ლიტერატურას, რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობას შეიარაღებული ბრძოლისკენ და ა.შ. აქედან გამომდინარე, შესაძლო

[1] В. Кук. Степан Бандера, გვ. 30.
[2] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 24-25.

შეიარაღებული ამბოხების აღსაკვეთად სუსკ-ის დასავლეთ უკრაინის ოლქების განყოფილებების ხელმძღვანელებს დაევალათ უნოს წევრი არალეგალებისა და აგენტების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და შემდგომ მათ წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება 15-დან 20 აპრილის პერიოდში.[1]

ამ გეგმის განხორციელებისას საბჭოთა სპეცსამსახურები გარკვეულ სიძნელეებს წააწყდნენ, რამაც ასახვა ჰპოვა იმავე წლის 4 მაისს დასავლეთ ოლქის, კერძოდ ლვივის, ტერნოპილის, ლუცკის, დროგობიჩის, სტანისლავის, რივნეს და ჩერნივცის სუსკ-ის სამმართველოს ხელძღვანელებისათვის გაგზავნილ კიდევ ერთ დოკუმენტში, რომელიც შეადგინა უკრაინის სსრ-ს სახელწიფო უშიშროების სახალხო კომისარმა, სახელმწიფო უშიშროების უფროსმა მაიორმა პაველ მეშიკმა.[2] დოკუმენტში ჩამოთვლილი იყო ის პრობლემები, რომლებიც არსებობდა დასავლეთ ოლქების სუსკ-ის სამმართველოებში, კერძოდ:

1. „ლვივის ოლქის სუსკ-ის სამმართველომ ვერ მოახერხა უნო-ს სამხარეო აღმასკომის დაკავება. მეტიც, თუ აპრილის დასაწყისში ცნობილი იყო უნო-ს სამხარეო აღმასკომის წევრების ვინაობა, დღეისათვის, მას შემდეგ, რაც აღმასკომი საზღვრის იქეთა მხარეს გადავიდა, უცნობია მისი შემადგენლობა, რაოდენობა, ადგილმდებარეობა და მუშაობის ბოლო მეთოდები.
2. ტერნოპილის და ვოლინის ოლქების სუსკ-ის სამმართველოებმა, მართალია, გაატარეს გარკვეული ზომები უნო-ს დაბალი და საშუალო დონის რგოლების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ არ გააჩნიათ არანაირი ინფორმაცია უნო-ს საოლქო ცენტრების ადგილმდებარეობისა და შემადგენლობის შესახებ.
3. სტანისლავის ოლქის სუსკ-ის სამმართველოს ხელძღვანელმა მიხაილოვმა და სამმართველოს ქვედანაყოფის ხელძღვანელმა ჩერეპენინმა თავისი სამმართველოს ყველა რესურსები და ყურადღება გადაიტანეს აგენტ „ბოიჩუკზე“, რომლის საქმიანობა ეჭვებს ბადებდა, თუმცა მათ დაავიწყდათ აგენტის გადამოწმება, სხვა საქმეებზე შეწყვიტეს მუშაობა, შეაჩერეს გადაბირებითი მუშაობა და ამით, პრაქტიკულად ჩაშალეს სუსკ-ის სამმართველოს მუშაობა უნო-ს წინააღმდეგ.

[1] Всем начальникам УНКГБ западных областей УССР. ГДА СБУ, ф. 9, спр. 4, т. 9, арк. 54-58.
[2] Директива агентурно-оперативной работы в оуновском подполье и руководителях ОУН (М). ГДА СБУ, ф. 9, спр. 43, арк. 85-99.

4. რივნეს ოლქის სუსკ-ის სამმართველოს ხელძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ლოსევმა და იმავე სამმართველოს ქვედანაყოფის მეთაურმა კოვალიოვმა შეასუსტეს მუშაობა უნოს წინააღმდეგ და სამმართველოს რესურსები გამოიყენეს მხოლოდ რივნეს ორგანიზაციის ხელმძღვანელის რაზოტნიცკის მოსაძებნად და დასაკავებლად, რაც დღემდე ვერ მოახერხეს...
5. უნო-ს წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე სწორად სუსკ-ის რაიონულ განყოფილებებს დააწვა“.[1]

აღნიშნული პრობლემებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ სუსკ-ის რაიონული განყოფილებების ნაწილი მოწოდების სიმაღლეზე არ იყო, პ. მეშიკმა ჩათვალა, რომ საჭირო იყო ახალი ზომების მიღება. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გადაბირებას. საბჭოთა აგენტების წინაშე რამდენიმე მიზანი იყო დასახული. კარგად მომზადებულ და კარგად გაწვრთნილ აგენტებს, უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციაში ჩანერგვის შემდეგ, უნდა .გადაებირებინათ უნო-ს წევრები, გარდა ამისა, მათ ევალებოდათ არალეგალებთან ბრძოლა და სოფლის საბჭოთა აქტივისტების წინააღმდეგ თავდასხმების აღკვეთა. ცალკეულ შემთხვევებში სანდო საბჭოთა აგენტებს ჰქონდათ უფლება, გაენადგურებინათ ის უკრაინელი ნაციონალისტები და მათი ხელმძღვანელები, რომლებიც აპირებდნენ თავდასხმების მოწყობას. გადაბირებულ აგენტებს ევალებოდათ თავიანთ რაზმებში დაბრუნება მათი დაშლის და განადგურების მიზნით. არალეგალურ მდგომარეობაზე გადასული პირების ოჯახები სასწრაფოდ უნდა ყოფილიყო გადასახლებული. გარდა ამისა, უნდა ყოფილიყო გაძლიერებული ბრძოლა იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ნაციონალისტებს იარაღს აწვდიდნენ და სხვანაირად ეხმარებოდნენ. უნდა გაგრძელებულიყო 1941 წლის 2 აპრილს დაწყებული ოპერაცია, რომელიც მიმართული იყო უნო-ს ხელძღვანელობის, აქტივისტების და არალეგალების დაკავებაზე და ა.შ.[2]

პ. მეშიკის მიერ დასახული ზომები პრაქტიკულად ქაღალდზე დარჩა. 1941 წლის აპრილიდან 22 ივნისამდე უნო-ს წინააღმდეგ ფაქტობრივად არ განხორციელებულა რაიმე წარმატებული სპეცოპერაცია. ამ პერიოდში არც

---

[1] Директива агентурно-оперативной работы в оуновском подполье и руководителях ОУН (М). ГДА СБУ, ф. 9, спр. 43, арк. 93-94.
[2] Директива агентурно-оперативной работы в оуновском подполье и руководителях ОУН (М). ГДА СБУ, ф. 9, спр. 43, арк. 95-99.

უკრაინელი ნაციონალისტები გამოირჩეოდნენ დიდი აქტიურობით, თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეს განპირობებული იყო მათი მხრიდან ხელსაყრელი დროის ლოდინით.

ამრიგად, ვითარება 1941 წლის ივნისისთვის შემდეგი იყო: უნო გეგმავდა შეიარაღებული ამბოხის მოწყობას საბჭოთა უკრაინაში, რისთვისაც იქ იქმნებოდა იარაღის სამალავები და იგზავნებოდა უნო-ს წევრები. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ საზღვრის გადაკვეთის დროს დაკავებულ ან ლიკვიდირებულ იქნა ამგვარი ჯგუფების ნაწილი, თუმცა დასახული ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც ნაციონალისტების დიდი რაოდენობა უნდა ყოფილიყო დაკავებული, პრაქტიკაში ვერ განხორციელდა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის მომენტისათვის უკრაინელი ნაციონალისტები უკეთეს მზადყოფნაში იყვნენ, ვიდრე საბჭოთა სპეცსამსახურები, რაც ომის დაწყებისთანავე ნათელი გახდა.

## 1.2. გერმანია-სსრკ-ს ომის დასაწყისი და უკრაინელი ნაციონალისტების ქმედებები 1941 წლის ივნისიდან 1942 წლის მაისის ჩათვლით

1941 წლის 22 ივნისს გერმანიამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და შეიჭრა მის ტერიტორიაზე. უკრაინელმა ნაციონალისტებმა ოპერაცია „ბარბაროსას" დაწყებიდან რამდენიმე საათში დაიწყეს მოქმედება. ძირითადად ისინი ებრძოდნენ წითელი არმიის მცირე ზომის რაზმებს, იკავებდნენ სოფლებს და პატარა დასახლებულ პუნქტებს. ასე, მაგალითად, 22 ივნისს 200 უკრაინელმა მეამბოხემ დაიკავა სოფელი ლოპატინი, ლვივის ოლქში, რომელსაც შინაგანი ჯარის 30 ჯარისკაცი და 50 მილიციონერი იცავდა. ამ უკანასკნელთაგან 3 ადამიანი დაიღუპა და დანარჩენებმა უკან დაიხიეს. 16 საათის განმავლობაში დასახლებული პუნქტი მეამბოხეთა ხელში იყო, 23 ივნისს კი მათ მხოლოდ წითელი არმიის ნაწილების შემოტევის შემდეგ დატოვეს სოფელი. მიუხედავად ამისა, ამ რაზმს არ შეუწყვეტია საბრძოლო მოქმედებები. მისი წევრები გადავიდნენ ვოლინის ოლქში და 25 ივნისს დაიკავეს რაიონული ცენტრი ბერესტეჩკო, რომელსაც იცავდნენ გერმანელების მოსვლამდე.[1] 23 ივნისს შეიარაღებული გამოსვლა დაიწყო ლვივის ოლქის

[1] І. Патриляк. Перемога або смерть, 59.

პერემიშლიანის რაიონში. იქ იმყოფებოდა მეამბოხეების 87-კაციანი რაზმი, რომელიც შეეცადა პერემიშლიანის დაკავებას 28 ივნისს ვერმახტის ნაწილებთან ერთად. იმავე დღეს მეამბოხეები (40 ადამიანი), რომლებიც იმყოფებოდნენ დასახლებულ პუნქტ ვინიკისთან ახლოს (დღევანდელი ლვივის გარეუბანი) თავს ესხმოდნენ წითელი არმიის იმ ნაწილებს, რომლებიც უკან იხევდნენ. აღნიშნული ტყიდან თავდასხმები განსაკუთრებით აწუხებდა წითელარმიელებს, ვინაიდან ტყეს გვერდს უვლიდა ორი ტრასა: ლვივი-ზოლოჩივი და ლვივი-სამბირი.[1]

24 ივნისს ერთდროულად დაიწყო შეიარაღებული ამბოხება ლვივში, ლუცკში, პერემიშლში (დღ. პჟემიშლი პოლონეთში), პერემიშლიანში, ვერბში და, ასევე, დროგობიჩის და ლვივის ოლქების სამბირის, მოსტისკის, გოროდოკის, რუდკის, ბიბრკის, ჟოვკვის, იავორივის რაიონებში. იმავე დღის საღამოს მეამბოხეებმა მოახერხეს ქალაქ ვერბის დაკავება რივნეს ოლქში. აქ მეამბოხეებმა 50 მილიციონერი და შსსკ-ის წევრი გაანადგურეს.[2]

რა თქმა უნდა, უკრაინელი ნაციონალისტები ომის პირველ დღეებში არა მარტო ბრძოლებით იყვნენ დაკავებულები. მაგალითად, ლვოვის ოლქის სამბირის რაიონის ტერიტორიაზე 22-24 ივნისის განმავლობაში უკრაინელმა ნაციონალისტებმა სამი სოფლის (ბუსოვისკა, სუშიცია, ლუჟოკი) მაცხოვრებლებიდან შექმნეს 12-კაციანი რაზმი. ის ძირითადად იყო დაკავებული იმით, რომ მოუწოდებდა უკრაინული სოფლების (ვოლია კობლიანსკა, კობლო, ზვირი, სპრინია და ლუჟოკი) მოსახლეობას, არ მიეღოთ მონაწილეობა მობილიზაციაში, თუმცა 24 ივნისს ვოლია კობლიანსკაში ის შეებრძოლა შსსკ შინაგანი ჯარების ქვედანაყოფსაც, რომელსაც ბრძოლებით დაახევინა სამბირისკენ. 27 ივნისს დილით, ნაციონალისტებმა განაიარაღეს წითელარმიელები და მიიღეს ნადავლის სახით სამი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ტყვია-წამალი და სამი ცხენი. იმავე საღამოს, ნაციონალისტებმა სოფელ ბლაჟივთან, ცეცხლი გაუხსნეს უკან დახეული წითელარმიელების დიდ კოლონას და ბრძოლის შედეგად წაართვეს მათ 30 შაშხანა, ტყვია-წამალი, ხელყუმბარები და 4 ავტომობილი. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ, რაზმი 70 ადამიანამდე გაიზარდა, რომლის შეიარაღებაში იყო 40 შაშხანა, ხელყუმბარები და 1 ტყვიამფრქვევი, ხოლო 29 ივნისის დილით, უკრაინელი ნაციონალისტების ამ რაზმმა ქალაქი სტარი სამბირის დაკავება

---

[1] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 33.
[2] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі,გვ. 33-34.

მოახერხა.[1]

ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ უკრაინელი ნაციონალისტები დასავლეთ უკრაინის მიწებზე ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე აქტიურად ემზადებოდნენ შეიარაღებული გამოსვლისათვის და ელოდებოდნენ ხელსაყრელ დროს. მათ მიერ შექმნილმა სამალავების და ბუნკერების ქსელმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა უკრაინელი ნაციონალისტების ბრძოლისუნარიანობა. შედეგად, სამხედრო ქმედებების დაწყებისთანავე, უკრაინელმა ნაციონალისტებმა დაიკავეს სოფლებისა და პატარა ქალაქების ნაწილი. გარდა ამისა, ისინი წარმატებით ებრძოდნენ წითელი არმიისა და შსსკ-ის შინაგანი ჯარების ნაწილებს. მართალია, ეს არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი საბჭოთა ჯარების მარცხში ომის პირველ ეტაპზე, მაგრამ იდეოლოგიური თვალსაზრისით უკრაინელი ნაციონალისტებისთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდა, რადგანაც მათთვის ეს ომი იყო შესაძლებლობა, შეექმნათ დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფო, რაც მოხდა კიდევაც 1941 წლის 30 ივნისს ლვოვში. იმ დღეს, უკრაინელმა ნაციონალისტებმა სტეპან ბანდერას ხელმძღვანელობით გამოაცხადეს უკრაინული სახელმწიფოს აღდგენა. აქტის თანახმად, სახელმწიფოებრიობის აღდგენა ხდებოდა დასავლეთ უკრაინის მიწებზე, თუმცა ამავე დროს ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ უკრაინის სუვერენული სახელმწიფო ყველა უკრაინულ მიწაზე[2] არ დაამყარებდა კონტროლს. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში.[3]

უკრაინული სახელმწიფოს მშენებლობა 30 ივნისის აქტით არ შემოიფარგლებოდა. ასევე გადაწყდა დასახლებულ პუნქტებში უკრაინული თვითმმართველობის ორგანოების შექმნა. თუ დასავლეთ უკრაინაში ეს იოლი გასაკეთებელი იყო, იმავეს თქმა ჭირდა უკრაინის სხვა რაიონებზე, რომლებიც 1919

---

[1] Українське державотворення. Акт 30 червня 1941: Збірник документів і матеріалів. Упорядн. О. Дзюбан; Заг. ред.: Я. Дашкевича, В. Кука. НАН України. Київ: Літературна агенція "Піраміда", 2001, გვ. 112-113.

[2] სავარაუდოდ, აქ იგულისხმებოდა არა მხოლოდ უკრაინის სსრ-ს ტერიტორია, არამედ დღევანდელი რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ნაწილები, რომლებიც ძირითადად უკრაინელებით იყო დასახლებული ჰოლოდომორამდე, კერძოდ: ყუბანისპირეთი, სტავროპოლის ოლქის ნაწილი, როსტოვის ოლქის ნაწილი, ვორონეჟის ოლქის ნაწილი, ბელგოროდის ოლქი პრაქტიკულად მთლიანად და კურსკის ოლქის ნაწილი. აღნიშნულ ტერიტორიებზე უკრაინელები პრეტენზიას ჯერ კიდევ 1918-1920 წლებში, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამოთქვამდნენ (იხ.: Mémoire sur l'indépendance de l'Ukraine présenté à la Conférence de la paix par la délégation de la république ukrainienn. Paris, 1919, გვ. 9-14, 129).

[3] ОУН в 1941 році. Документи, ч. 1, გვ. 250-251.

წლიდანვე იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ. უკრაინის სახელმწიფოს პოპულარიზების უზრუნველყოფა დაევალა სალაშქრო ჯგუფებს. ეს იყო შეიარაღებული ჯგუფები, რომელთაც მოქმედება დაიწყეს ივლისის დასაწყისიდან. მათი უმეტესობა უკრაინაში გერმანიის მიერ ოკუპირებული პოლონური მიწებიდან შევიდა, თუმცა ნაწილი ადგილზევე იქმნებოდა.[1]

მათ უნდა შეევსოთ ვაკუუმი უკრაინის დასახლებულ პუნქტებში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების გასვლის შემდეგ. როდესაც სალაშქრო ჯგუფები დაიწყეს აღნიშნულის შესრულება, მათ გაუთვალისწინებელი პრობლემები შეექმნათ აღმოსავლეთ უკრაინაში. კონკრეტულ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებს უკრაინელი ნაციონალისტები ლოზუნგებისა და ზოგადი პასუხების გარდა ვერაფერს ამბობდნენ.[2] ცალკე პრობლემას წარმოადგენდა ის უკრაინელი ახალგაზრდები, რომლებიც გაზრდილი იყვნენ კომუნისტური იდეოლოგიით. პოლონეთისგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფოს კონტროლი მედიაზე და, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე იმდენად ძლიერი არ იყო, საბჭოთა პროპაგანდა ინტენსიურად მუშაობდა. აქედან გამომდინარე, ის ახალგაზრდა უკრაინელები, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდათ სალაშქრო ჯგუფებს, სკეპტიკურად უყურებდნენ მათ საქმიანობასა და იდეებს. გარდა ამისა, ა. კენტის თქმით, სალაშქრო ჯგუფების წარმომადგენლებს ხშირად აღიქვამდნენ უკრაინული ენის მცოდნე გერმანელებად და არ ენდობოდნენ მათ.[3] ჩემი აზრით, არსებობდა კიდევ ერთი მიზეზი. სალაშქრო ჯგუფები ძირითადად მოქმედებდნენ აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც არსებობდა დიდი სამრეწველო ობიექტები და სადაც, ჰოლოდომორის შემდეგ, მუშების დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან გადმოსახლებული ადამიანები.[4] აქედან გამომდინარე, მათ უბრალოდ არ აინტერესებდათ დამოუკიდებელი უკრაინის იდეა.

---

[1] Енциклопедія історії України: Т. 8. Па – Прик / Редкол.: В. А. Смолій (голова) та ін. НАН України. Інститут історії України. Київ: В-во "Наукова думка", 2011, გვ. 461.
[2] А. Кентій. Збройний чин українських націоналістів, т. 1, გვ. 239.
[3] А. Кентій. Збройний чин українських націоналістів, т. 1, გვ. 239.
[4] ჰოლოდომორის შედეგად უკრაინის დაცარიელებულ პუნქტებში ჩასახლებულ იქნა ათასობით ოჯახი რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ოლქებიდან (დეტალურად იხ.: Геннадій Єфіменко. Переселення та депортації в постголодоморні роки (1933-1936): Порайонний зріз. Проблеми історії України: факти, судження, пошуки: Міжвід. зб. наук. пр. Вип. 22, 2013, გვ. 136-165.

მაგალითისთვის, თუ როგორ მუშაობდნენ სალაშქრო ჯგუფები, შემიძლია მოვიყვანო ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის პატაკი, სადაც აღწერილია მისი საქმიანობა. სალაშქრო ჯგუფი იმყოფებოდა მლინიში (რივნეს ოლქი), სადაც შექმნა მილიციის განყოფილება და დანიშნა სოფლის ხელმძღვანელი. მილიციელებს, დაახლოებით 20 ადამიანს, აძლევდნენ არა მარტო თავისი უშუალო მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო ცოდნას, არამედ უხსნიდნენ, თუ როგორ საქმიანობდა თვითმართველობა, სახელმწიფო ადმინისტრაცია. მილიციელებს ასევე ასწავლიდნენ ნებისმიერი სახის მანქანის სწრაფი რემონტს და პოლიტიკურ ვითარებას: სიტუაციას, უნო-ს მიზნებს, ნაციონალისტების რევოლუციური ბრძოლის ისტორიას, ურთიერთობებს მოკავშირე გერმანიის არმიასთან და ა.შ.[1] სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ლვივის ოლქში, დასავლეთ უკრაინაში, სადაც უკრაინელ ნაციონალისტებს ყოველთვის ჰქონდათ მძლავრი პოზიციები. შესაბამისად, მილიციის შექმნის შანსები დასავლეთ უკრაინაში ბევრად მეტი იყო.

ერთი შეხედვით, მესამე რაიხისათვის ეს იყო მშვენიერი შესაძლებლობა, სსრ კავშირში შემავალი ერთ-ერთი უმსხვილესი ერის სახით, მიეღო მაღალი მოტივაციის მქონე მოკავშირე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ გერმანელების რეაქცია სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა. მათ დააკავეს უკრაინელთა ლიდერები – სტეპან ბანდერა და იაროსლავ სტეცკო (ბანდერას მოადგილე უნო(ბ)-ს რიგებში და უკრაინის ეროვნული მთავრობის დროებითი ხელმძღვანელი). თავდაპირველად, ბანდერა და სტეცკო გადაყვანილიყვნენ გესტაპოს ციხეში, ბერლინში, ხოლო 1942 წელს კი, აღმოჩნდნენ საკონცენტრაციო ბანაკ ზაქსენხაუზენის სპეციალურ პოლიტიკურ ბარაკში, სადაც იმყოფებოდნენ 1944 წლის შემოდგომამდე.[2]

ბერლინში ყოფნის პერიოდში ბანდერაც და სტეცკოც ძალზე აქტიურები იყვნენ. ისინი სხვადასხვა სახის მემორანდუმებს უგზავნიდნენ გერმანიის ხელმძღვანელებს, სადაც აღწერდნენ შექმნილ სიტუაციას და, სხვა საკითხებთან ერთად, პროტესტს გამოთქვამდნენ უკრაინის დამოუკიდებლობის არცნობის გამო. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში სტეცკო აღნიშნავდა, რომ ის დააკავეს 9 ივლისს (ლვივში – გ.ც.) და გადაიყვანეს ბერლინში, სადაც 12 ივლისს დაიწყო გამოძიება უკრაინული

---

[1] ОУН в 1941 році. Документи. ч. 1, გვ. 241.
[2] А. Кентій. Перехід ОУН(б) на антиніцькі позиції (1941-1942), გვ. 91.

სახელმწიფოს გამოცხადების გამო. სტეცკო აცხადებდა, რომ ისინი არ აპირებდნენ შეგუებას უკრაინის ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ გერმანელი ჩინოვნიკების ნეგატიურ ქმედებებთან, რის შედეგადაც მათ არ შეეძლოთ მშობლიურ მიწაზე თავისი ფუნქციების შესრულება, ხოლო უკრაინელებს ხელი ეშლებოდათ ხელმძღვანელობის დავალებების შესრულებაში. სტეცკო არ ცნობდა არც გალიჩინის შეერთებას გენერალ-საგუბერნატოროსთან და არც ბუკოვინისა და ბესარაბიის ოკუპაციას რუმინეთის მიერ. აქედან გამომდინარე, სტეცკო ხაზს უსვამდა, რომ ამ კონკრეტულ მომენტში უკრაინის ეროვნულ მთავრობას არ ჰქონდა პრაქტიკული შესაძლებლობა, რომ სიცოცხლეში გაეტარებინა ყველა მისი გეგმა და დაეცვა უკრაინელი ხალხის ინტერესები გერმანიის წინაშე, მაგრამ ის რჩებოდა უკრაინელი ხალხის მორალური, პოლიტიკური და სამართლებრივი წარმომადგენლად და მისი ინტერესებისა თუ უფლებების დამცველად უკრაინის სახელმწიფოს რეალურ შექმნამდე.[1]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, უკრაინული სახელმწიფოს შექმნის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. უკრაინელმა ნაციონალისტებმა ვერ შეასრულეს თავისი ჩანაფიქრი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი მთავარი მოკავშირე ამის წინააღმდეგი იყო. 1941 წელს გერმანელების გეგმებში დამოუკიდებელი უკრაინის არსებობა არ შედიოდა.

გასაგებია, რომ ასეთი დამოკიდებულების შემდეგ, უკრაინელი ნაციონალისტები ანტიგერმანულად განეწყვნენ. ყოველ შემთხვევაში, სრული თანამშრომლობა ეჭვის ქვეშ დადგა. ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელებმა რამდენიმე წინაპირობა დააყენეს უნო-ს წინაშე, რის შესრულების შემდეგ კონფლიქტი მათ შორის ამოწურული იქნებოდა: 1. უნო-ს წევრებს ეკრძალებოდათ პარტიული აგიტაციის ჩატარება და ამის ნაცვლად უნდა დაკავებულიყვნენ მხოლოდ ზოგადუკრაინული პროპაგანდით; 2. უნო-ს ეკრძალებოდა ცოცხალი პიროვნებების პროპაგანდა; 3. უნო ვალდებული იყო, გაეუქმებინა უკრაინული მთავრობა, რომელიც ლვივში იმყოფებოდა.[2]

უკრაინელი ნაციონალისტებისათვის ასეთი წინაპირობების შესრულება მათი ქმედებების და საქმიანობის პარალიზებას ნიშნავდა. უკრაინული სახელმწიფოს

[1] ОУН в 1941 році. Документи, ч. 2, გვ. 419-422.
[2] А. Кентій. Перехід ОУН(б) на антинiцькі позції (1941-1942), გვ. 89.

გამოცხადება უკრაინელი ნაციონალისტების ნანატრი ოცნების შესრულება იყო. მართალია, ეს იყო მხოლოდ გამოცხადების აქტი, რასაც, ბუნებრივია, უფრო სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ გერმანული მხარის უარი მის ცნობაზე გამოიწვევდა უნო-ს დისკრედიტაციასა და მისი პოზიციების შესუსტებას პატრიოტულად განწყობილ უკრაინელებში. დამოუკიდებელი უკრაინის შექმნა იყო უნო-ს არსებობის უმთავრესი მიზანი. ისინი სწორედ ამ იდეისთვის იბრძოდნენ 1941 წელს და ამ შეგნებით მოქმედებდნენ (კლავდნენ, აფეთქებდნენ, პროპაგანდას ატარებდნენ) პოლონეთში XX საუკუნის 20-30-იან წლებში. აქედან გამომდინარე, მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო გერმანელების მოთხოვნა ლვივში გამოცხადებული უკრაინული ხელისუფლების გაუქმების შესახებ.

14 სექტემბერს უკრაინელმა ნაციონალისტებმა გამოაქვეყნეს გერმანიის ხელისუფლებისადმი მიმართული საპასუხო მემორანდუმი,[1] რომელშიც ხაზგასმული იყო 1941 წლის 30 ივნისის აქტის მნიშვნელობა როგორც ზოგადად, ისე უკრაინულ-გერმანული ურთიერთობებისათვის. ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებაში ნაციონალისტებმა 8 მიზეზი დაასახელეს:

1. უკრაინელები წლების განმავლობაში იბრძოდნენ მოსკოვის წინააღმდეგ, მანამ, სანამ ეს ომი (საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი) დაიწყებოდა.
2. უკრაინელებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად და გერმანიასთან ურთიერთობების მოსაგვარებლად, რასაც ფაქტები ადასტურებდნენ.
3. გერმანია და უკრაინა იბრძოდნენ ვერსალის სისტემის გაუქმებისათვის, რომლის ლოგიკური გაგრძელება იყო რიგის ხელშეკრულება, რომლითაც უკრაინა გაყოფილ იქნა პოლონეთს და რუსეთს შორის.
4. გერმანია და უკრაინა ცდილობენ ახალი და სამართლიანი წყობილების შექმნას, სადაც ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხალხები აბსოლუტურ თავისუფლებაში განვითარდებიან.
5. უკრაინული სახელმწიფოს გამოცხადება ნიშნავს უკრაინის ინიციატივისა და შემოქმედებითი უნარების გამოყენებას ახალი ევროპის მშენებლობისათვის.
6. უკრაინული სახელმწიფოს ხელისუფლების დეკლარაციაში, რომელიც

[1] ОУН в 1941 році. Документи, ч. 2, გვ. 436-443.

გამოქვეყნდა 1941 წლის 3 ივლისს, აღნიშნულია, რომ უკრაინის უმთავრესი მიზანია ბრძოლის გაგრძელება ომში გამარჯვებამდე და თანამშრომლობა გერმანიასთან ყველა სფეროში.

7. უკრაინელების ინიციატივა თავისი სახელწიფოს გამოცხადების შესახებ ნიშნავს ასევე იმას, რომ გერმანული პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში თავისი იდეალების სიცოცხლეში მიყვანა თავისუფლად შეიძლება.
8. უნო-ს ყველა მცდელობა, დაემყარებინა თანამშრომლობა გერმანიის ხელმძღვანელობასთან და გამოემუშავა პოლიტიკური საფუძვლები ერთობლივი ტაქტიკისათვის, უშედეგოდ დასრულდა. გერმანული მხარის წარმომადგენლებს ხან არ გააჩნდათ შესაბამისი უფლებამოსილებები ამ საკითხის მოსაგვარებლად, ხან კიდევ ნაადრევად მიიჩნევდნენ მის განხილვას.[1]

მემორანდუმის დასკვნით ნაწილში მისი ავტორები აცხადებდნენ, რომ სანამ არ არსებობს სხვა უკრაინული ხელისუფლება და სანამ გერმანია ოფიციალურად არ გამოქვეყნებს თავის მოსაზრებას უკრაინული სახელწიფოს საკითხთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენი გადაწყვეტილებები უკრაინასთან მიმართებაში მხოლოდ იმწამიერ აუცილებლობას წარმოადგენენ და წინააღმდეგობაში მოდიან უკრაინული მიწების ერთობასთან, 1941 წლის 30 ივნისს ლვივში გამოცხადებული უკრაინული სახელმწიფოს ხელისუფლების ლიკვიდაცია დიდ ზიანს მოუტანს არა მარტო უკრაინას, არამედ გერმანიასაც.[2]

როგორც ვხედავთ, უკრაინელმა ნაციონალისტებმა ამ მემორანდუმში ყურადღება გაამახვილეს 1941 წლის 30 ივნისის აქტზე, უკრაინული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე და სიტყვა არ დაუძრავთ გერმანული მხარის სხვა მოთხოვნებზე. გასაგებია, რომ არც ცოცხალი პირების სახელით პროპაგანდის წარმოება და არც პარტიული აგიტაციის წარმოება არ იყო მნიშვნელოვანი საკითხი უკრაინელი ნაციონალისტებისათვის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ისინი მზად იყვნენ ამ საკითხებთან დაკავშირებით კომპრომისზე წასულიყვნენ. გარდა ამისა, ეს საკითხები ისედაც უმნიშვნელო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის სახელმწიფოს აღიარება მოხდებოდა. სწორედ ამიტომ

[1] ОУН в 1941 році. Документи, ч. 2, გვ. 439-440.
[2] ОУН в 1941 році. Документи, ч. 2, გვ. 442.

გახდა უკრაინის სახელმწიფოს აღდგენის აქტი დავის საგანი მესამე რაიხის ხელმძღვანელებსა და უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციას შორის. გერმანელები არ აპირებდნენ, ყურადღება მიექციათ რაიმე სახის მემორანდუმისთვის. იმ პერიოდში გერმანელები საბჭოთა კავშირთან ომს პრაქტიკულად მოგებულად თვლიდნენ, ამიტომ უკრაინის დამოუკიდებლობა მათ გეგმებში არ შედიოდა. შესაბამისად, მათ მკაცრი ზომების მიღება გადაწყვიტეს. 1941 წლის 15 სექტემბერს გესტაპომ დააკავა უნო-ს წევრები, საერთო ჯამში 1500 ადამიანი. ყველაზე მნიშნელოვანი ამ ოპერაციაში იყო ის, რომ დაკავებულებს შორის აღმოჩნდნენ სტეპან ბანდერა, იაროსლავ სტეცკო და უნო-ს სხვა ლიდერები. ბანდერა და სტეცკო ჯერ ბერლინში, შპანდაუს ციხეში იყვნენ დაპატიმრებული, 1942 წლიდან კი – გადაყვანილ იქნენ საკონცენტრაციო ბანაკ ზაქსენჰაუზენში. ისინი მხოლოდ 1944 წლის შემოდგომაზე გაათავისუფლეს.[1] ეს, სხვათა შორის, მთლიანად სპობს არგუმენტს, რომ სტეპან ბანდერა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში თანამშრომლობდა გერმანელებთან, რაც ასე გავრცელებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში და რასაც დღემდე ამტკიცებს რუსული ისტორიოგრაფია.[2]

თავის მხრივ, უკრაინელი ნაციონალისტები გერმანელების ასეთი ნაბიჯების უპასუხოდ დატოვებას არ აპირებდნენ. 1941 წლის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ლვოვთან ახლოს გაიმართა უნო-ს პირველი კონფერენცია, სადაც გამოცხადდა, რომ ორგანიზაცია იატაკქვეშეთში გადადიოდა. აღნიშნული კონფერენციის მსვლელობის მასალები არსად არ იძებნება. დიდი ვარაუდით, ისინი ან დაიკარგა, ან, კონსპირაციის გამო, სხდომების ოქმების შედგენა არც მომხდარა. არსებობს ერთადერთი დოკუმენტი – „უნო-ს საქმიანობის განხორციელების ინსტრუქცია“, რომელიც ნამდვილად იქნა მიღებული აღნიშნულ კონფერენციაზე და რომელიც იძლევა ცნობას იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები.[3]

---

[1] А. Кентій. Перехід ОУН(б) на антиніцькі позції (1941-1942), გვ. 91.

[2] მაგალითისთვის იხ.: Ю. Фёдоровский, Р. Борьба с деятельностью ОУН накануне Великой Отечественной войны, Украинский национализм и Донбасс. Историческая ретроспектива, 2010; А. Дюков. Второстепенный враг. ОУН, УПА и решение «еврейского вопроса». Москва: Regnum, 2008; Великая Отечественная война. 1941-1945. Документы и материалы, Том VII. Освобождение Украины. Москва: «Ретроспектива», 2015; А. Козлов. Адвокаты дьявола. История вооружённого националистического подполья на Западной Украине в 40–50-х гг. XX в.: основные способы и направления фальсификации. Москва: «На боевом посту», 2012 და ა.შ.

[3] С. Бутко, А. Кентій. На шляху до збройного чину. Інструкція до переведення в життя цілости

ინსტრუქციაში იყო რამდენიმე საინტერესო მომენტი, მაგალითად, მიუხედავად უნო-ს ლიდერების მიმართ გატარებული რეპრესიებისა, გერმანია არ იყო მოხსენებული როგორც მტერი. მეტიც, ინსტრუქციაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა თავის არიდება კონფლიქტებისგან ახლო მომავალში. ჩემი აზრით, ასეთი გადაწყვეტილება ასი პროცენტით ლოგიკური იყო, ვინაიდან იმ მომენტისათვის უკრაინელი ნაციონალისტები არ იყვნენ მზად, ბრძოლა გამოეცხადებინათ გერმანიის წინააღმდეგ. მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ გერმანია უკრაინის დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერდა და ასეთი ბრძოლა საჭირო არც გახდებოდა. თანაც, გერმანიის მტრად გამოცხადება და ღიად დაპირისპირება გერმანიასთან იმ პერიოდში მათ განადგურებას გამოიწვევდა და მეტს არაფერს. გარდა ამისა, იმ პერიოდში, უნო-ს წინაშე დადგა სხვა, არანაკლებად მნიშნელოვანი საკითხები, რომლის გადაწყვეტა აუცილებელი იყო. პირველ რიგში, იგულისხმება ორგანიზაციული საკითხები – ქსელის შექმნა, რომელიც იარსებებდა იატაკქვეშეთის პირობებში, მისი გავრცელება უკრაინის მთელ ტერიტორიაზე, თავისი ხალხის ჩანერგვა გერმანულ საოკუპაციო სტრუქტურებში და ადმინისტრაციებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზა „სხვა იმპერიალიზმების წინააღმდეგ" ადასტურებს უკრაინელი ნაციონალისტების მზადყოფნას გერმანიასთან ბრძოლისათვის, როგორც მინიმუმ, განცხადებების დონეზე მაინც. ასევე, ეს ფრაზა, გარკვეულწილად არასწორს ხდის მოსაზრებას, რომ უნო-ელები, ბანდერას დაჯგუფება მაინც, ნაციზმის მხარეს იბრძოდნენ. აბსურდია, იბრძოლო იმათ მხარეს, ვინც შენი ხელმძღვანელები დააკავა. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ „სხვა იმპერიალიზმებში" ბანდერელები, პირველ რიგში, სწორედ გერმანიას გულისხმობდნენ, ირკვევა ინსტრუქციის ბოლო ნაწილიდან, სადაც ნახსენებია მელნიკის ჯგუფი, როგორც „სხვა იმპერიალიზმების მსახურები", რომელთა „საქმიანობა აზიანებდა ბრძოლას დამოუკიდებელი უკრაინისთვის". ეს ინსტრუქცია და, საერთოდ, აღნიშნული კონფერენცია კიდევ ერთხელ მიუთითებს უკრაინელი ნაციონალისტების მაღალ თვითორგანიზებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ხელძღვანელები ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდნენ, მაგრამ წევრებმა მაინც მოახერხეს ორგანიზაციის შენარჩუნება.[1]

---

діяльности ОУН. Український історичний журнал (УІЖ), 1998, № 4, გვ. 110.

[1] ОУН в 1941 році. Документи, ч. 2, გვ. 528-531. უნო(ბ)-ს ანტიგერმანულ პოზიციებზე გადასვლასთან დაკავშირებით ასევე იხ.: А. Кентій. Збройний чин українських націоналістів, т. 1, გვ. 268-277.

ინსტრუქციიდან გამომდინარე, დაისმის კითხვა: რატომ თვლიდნენ ბანდერელები ანდრეი მელნიკის დაჯგუფებას „სხვა იმპერიალიზმის მსახურად“? ერთი შეხედვით, გერმანია-სსრკ-ს ომის დაწყების შემდეგ მელნიკელების ქმედებები დიდად არ განსხვავდებოდა ბანდერელების მიერ გადადგმული ნაბიჯებისაგან. ამ პერიოდში მელნიკელებმა დაიწყეს სალაშქრო ჯგუფების შეგზავნა უკრაინაში. მათ შექმნეს ორი სალაშქრო ჯგუფი. პირველს მეთაურობდნენ მელნიკის ფრთის გამორჩეული ლიდერები – მიკოლა სციბორსკი, ომელიან სენიკი, რომან სუშკო. მათი მარშრუტი იყო ლვივი-რივნე-ჟიტომირი-კიევი. მეორე ჯგუფის (სამხრეთი) ბირთვს წარმოადგენდა ე.წ. ბუკოვინის კურენი და მას ხელმძღვანელობდა პეტრო ვოინოვსკი. მისი მარშრუტი იყო ბუკოვინა-კამიანეც-პოდოლსკი (კამენეც-პოდოლსკი)-ვინიცა-ბილა ცერკვა-კიევი. პირველი ჯგუფი, რომელიც 850 კაცისგან შედგებოდა, კიევში ჩასვლის შემდეგ უნდა გაყოფილიყო და მისი ნაწილი წასულიყო ხარკივის მიმართულებით. მეორე ჯგუფში შედიოდა 1000 კაცამდე (აქედან 300-მდე იყო მელნიკელი) და მისი ბირთვი, 700-800 კაცის შემადგენლობით, კიევში ჩავიდა, დანარჩენებმა კი ვინიციდან გზა გააგრძელეს, ერთის მხრივ, დნიპროპეტროვსკის (დღ. ქ. დნიპრო) და დონბასის მიმართულებით, მეორეს მხრივ კი – ოდესისა და შავი ზღვის სანაპიროსკენ.[1]

მელნიკელებსა და ბანდერელებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაფუჭდა 1941 წლის 30 აგვისტოს შემდეგ, როდესაც ჟიტომირში მოკლულ იქნენ მიკოლა სციბორსკი და ომელიან სენიკი. უნო(მ)-ის წევრებმა ამ მკვლელობაში ბანდერელები დაადანაშაულა და გერმანიის ხელისუფლებას ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ზომების მიღება სთხოვა.[2] სტეპან ბანდერას ფრთამ 7 სექტემბერს გამოაქვეყნა განცხადება, სადაც უარყო თავისი მონაწილეობა ამ მკვლელობაში და მას პროვოკაცია უწოდა.[3] მართლაც, არსებობს მოსაზრება, რომ ეს მკვლელობა ჩაიდინეს მელნიკელთა ხელმძღვანელობაში ჩანერგილმა საბჭოთა აგენტებმა.[4] ძნელი სათქმელია, რით

---

[1] ОУН у війні 1939-1945, გვ. 52-54 (აღნიშნულ წიგნს არ აწერია არც გამოცემის ადგილი და არც გამოცემის თარიღი – გ.ც.); А. Русначенко. Народ збурений, გვ. 27; І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 119; А. Дуда, В. Старик. Буковинський курінь у боях за українську державність. Чернівці, 1995, გვ. 74-84.

[2] Украинские националистические организации в годы Второй мировой войны: Док. в 2 т. Т. 1. 1939-1943. Москва: РОССПЭН, 2012, გვ. 427.

[3] В. Косик. Україна в другій світовій війні у документах. Збірник німецьких архівних матеріалів. В 4-х т. Зібрав і впорядкував Володимир Косик. Т. 2 (1941-1942). Львів, 2000, გვ. 16.

[4] В. Косик. Україна в другій світовій війні у документах, т. 1, გვ. 264.

გაგრძელდებოდა ურთიერთბრალდებების პროცესი, მაგრამ ამასობაში გერმანელებმა კიევი აიღეს და მელნიკელები ამ მიმართულებით გააქტიურდნენ. მათ კიევში დაიკავეს საქალაქო სამმართველო, მეცნიერების აკადემია და ა.შ., დააარსეს გაზეთი „უკრაინსკე სლოვო“ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, დაიწყეს საპოლიციო სტრუქტურების შექმნა. ამ პროცესს ხელმძღვანელობდნენ მელნიკელი აქტივისტები – ვ. იახნო, რომან გორდონი და რ. ზახვალინსკი.[1] ცენტრალური საპოლიციო აპარატის შექმნა გრძელდებოდა გვიან შემოდგომამდე, თუმცა, გერმანელებს ეს არ მოეწონათ და 1941 წლის ნოემბერში ის გააუქმეს.[2] კიევის გარდა, მელნიკელებმა მოახერხეს და შემოდგომის განმავლობაში შექმნეს საქალაქო სამმართველოები ჟიტომირში, პროსკუროვში, ხარკივში, ჩერნიგივში, ნიჟინში, კონოტოპში, ბილა ცირკვაში, ჩერკასიში, უმანში, პოლტავაში, მიკოლაევში და სხვა ქალაქებში, კონტროლი აიღეს ადგილობრივ გაზეთებზე და დაიწყეს საგანმანათლებლო მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.[3]

საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნაში მელნიკელების მწვერვალი იყო უკრაინის ეროვნული რადის დაარსება 1941 წლის 5 ოქტომბერს. ჩანაფიქრის მიხედვით, რადას უნდა შეასრულებინა გერმანულ ხელისუფლებასთან უკრაინელი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს როლი, ომის შემდეგ კი ის უნდა გამხდარიყო ოფიციალური საკანონმდებლო ორგანო. ფორმალურად მას ხელმძღვანელობდა მიკოლა ველიჩკივსკი, რეალურად კი – ოლეგ კანდიბა (ფსევდონიმით ოლჟიჩი). უნდა ითქვას, რომ კიევის ფარგლებს გარეთ რადამ თავისი გავლენის გავრცელება ვერ მოახერხა.[4]

მელნიკელებისგან განსხვავებით, ბანდერელების მდგომარეობა ამ პერიოდში ბევრად უფრო მძიმე იყო. გერმანელები არ შემოიფარგლნენ მხოლოდ უნო(ბ)-ს ხელძღვანელების დაკავებით. 17 ივლისს ბერლინიდან უკრაინის ოკუპირებულ ოლქებში მივიდა ბრძანება, რომლის მიხედვით დაპატიმრებას ექვემდებარებოდნენ სალაშქრო ჯგუფების ის წევრები, რომლებიც გააგრძელებდნენ დამოუკიდებლობის

---

[1] Я. Шумелда. Похід ОУН на схід, Організація Українських Націоналістів 1929-1954, Париж: Видання Першої Української Друкарні у Франції, 1955, გვ. 263.

[2] І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 144-145.

[3] І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 145.

[4] Ю. Киричук. Український національний рух 40-50х рр. XX століття: ідеологія та практика. Львів: Добра справа, 2003, გვ. 84.

აქტის პროპაგანდას.[1] იმავე დღეს ლვოვში და დასავლეთ უკრაინის სხვა ქალაქებში უნო(ბ)-ს ოფიციალური განყოფილებები გერმანელებმა დახურეს. 5 აგვისტოს ვერმახტის მე-17 არმიის სარდლობის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლის მიხედვით დაკავებული უნდა ყოფილიყო ყველა უკრაინელი პოლიტიკური აგიტატორი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც „ბანდერას ჯგუფს“ ეკუთვნოდნენ.[2] ეს ეხებოდა ყველა იმ სალაშქრო ჯგუფს, რომელიც მდინარე ზბურჩის აღმოსავლეთით იმყოფებოდა. გერმანელები იმ ხალხის დაკავებასაც ცდილობდნენ, რომლებმაც კონსპირაციაში და იატაკქვეშეთში თავისი სიცოცხლის მნიშნელოვანი ნაწილი გაატარეს. 1941 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში ჩატარებულ იქნა მასობრივი დაკავებები ჩერკასიში, მიკოლაივში და ხერსონში. ამავე პერიოდში, მხოლოდ ლვოვში დაკავებულ იქნა 700 უკრაინელი ნაციონალისტი.[3]

ნოემბრიდან მოყოლებული გერმანელები განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამენ უკრაინელი ნაციონალისტების მოქმედებებით. ასე, მაგალითად, 1941 წლის 14 ნოემბრით დათარიღებულ სდ-ს ერთ-ერთი ოფიცრის პატაკში აღნიშნული იყო, რომ უკრაინელი ნაციონალისტები რივნეს რაიონში არსებულ მილიციაში ღრმად იყვნენ ჩანერგილი და ისინი იგნორირებას უკეთებდნენ იმ ბრძანებებს, რომლებიც არ ემთხვეოდა უკრაინელი ნაციონალისტების ინტერესებს.[4] უნო(ბ) მხოლოდ დასავლეთ უკრაინით არ იყო შემოფარგლული. მათ ძლიერი პოზიციები გააჩნდათ დნიპროპეტროვსკშიც. სდ-ს ნოემბრის პატაკების თანახმად, უკრაინელი ნაციონალისტები აქ იმდენად გავლენიანი იყვნენ, რომ საოლქო სამმართველოზე კონტროლის დამყარება შეძლეს და გერმანელებს სამმართველოს ხელმძღვანელის შეცვლა მოუწიათ.[5] 1941 წლის 25 ნოემბერს კი სდ-ს სპეციალურმა ძალებმა კიევში, დნიპროპეტროვსკში, მიკოლაევში, რივნეში, ჟიტომირსა და ვინიცაში მიიღეს ბრძანება სს-ისგან, რომ უნო(ბ)-ს წევრები დაეკავებინათ და, დაკითხვის შემდეგ, მათი, როგორც მაროდიორების ლიკვიდაცია მოეხდინათ, ვინაიდან ისინი „აპირებდნენ შეიარაღებულ ამბოხებას რაიხსკომისარიატში“.[6] ბრძანების შესრულება გერმანელებმა უმალვე დაიწყეს ამ პერიოდში მოხდა დამოკიდებულების შეცვლა

[1] И. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 131.
[2] ОУН в 1941 році. Документи, ч. 2, გვ. 423.
[3] И. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 141.
[4] Україна в Другій світовій війні у документах, т. 2, გვ. 56-57.
[5] Україна в Другій світовій війні у документах, т. 2, გვ. 61.
[6] International Military Tribunal (The Blue Set), vol. XXXIX, გვ. 269-270.

მელნიკელების მიმართაც. როგორც ჩანს, მესამე რაიხის ხელმძღვანელობას არ მოსწონდა არც მათი აქტიურობა. ბოლო წვეთი გამოდგა 1941 წლის 21 ნოემბერს კიევში გამართული ბოლშევიკების მიერ 1921 წელს დახვრეტილი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ჯარისკაცების პანაშვიდი, რომელშიც 40 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მართალია, ამ ღონისძიების დროს რაიმე სახის ანტიგერმანული შეძახილი არ გაჟღერებულა,[1] მაგრამ ასეთმა ხალხმრავალმა აქციამ საოკუპაციო ადმინისტრაცია აშკარად შეაშფოთა და დაიწყო რეპრესიები უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. 1941 წლის 27 ნოემბერს გერმანელებმა დაშალეს უკრაინის ეროვნული რადა, გაწმინდეს კიევის საქალაქო სამმართველო მათთვის არასასურველი ელემენტებისგან და დაუქვემდებარეს ის მესამე რაიხის ხელისუფლებას.[2] რამდენიმე დღეში კი უკვე დაიწყო რეპრესიები მელნიკელთა მიმართ. 30 ნოემბერს ჟიტომირის ოლქში, მალოვანკასთან, დახვრეტილ იქნა 120 უკრაინელი, რომელთა შორის იყო 72 მელნიკელი.[3] დეკემბრის დასაწყისში კი ჟიტომირში დაკავებულ იქნა უნო(ბ)-ს დაჯგუფება, რომელსაც კონტროლი უნდა დაემყარებინა საოკუპაციო ადმინისტრაციასა და შექმნილ პოლიციაზე. დაკითხვისას ასევე გაირკვა, რომ ბანდერელები აპირებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას მას შემდეგ, რაც ის გაიმარჯვებდა საბჭოთა კავშირზე.[4]

რეპრესიების დაწყების შემდეგ, დეკემბრის დასაწყისში, ჩატარდა უნო(მ)-ის ცენტრალური ხელმძღვანელობის თათბირი, რომელზეც, ოლეგ კანდიბას ინიციატივით, მიღებულ იქნა ინსტრუქცია მოძრაობის წევრების იატაკქვეშეთში გადასვლის შესახებ. მელნიკელების საორგანიზაციო აქტივი სხვა ქალაქებში უნდა გადასულიყო, ემუშავა კონსპირაციის რეჟიმში და ჩაეტარებინა კონტრდაზვერვითი ღონისძიებები როგორც საბჭოთა, ისე გერმანიის სპეცსამსახურების წინააღმდეგ. გარდა ამისა, მელნიკელებს უნდა დაეტოვებინათ საქალაქო სტრუქტურები კიევში, მოეგროვებინათ იარაღი და ყურადღება მიექციათ სამხედრო საკითხებისადმი.[5] ეს, გარკვეულწილად, ბანდერელების მოქმედებას ემსგავსებოდა, თუმცა ამ ინსტრუქციის შესრულება, განსაკუთრებით კი აქტივის გადაყვანა საზოგადოებრივი-

---

[1] Я. Шумелда. Похід ОУН на схід, Організація Українських Націоналістів 1929-1954., გვ. 269.
[2] І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 146.
[3] Ю. Киричук. Український національний рух 40-50х рр. ХХ століття, გვ. 86.
[4] Україна в Другій світовій війні у документах, т. 2, გვ. 70-71.
[5] Я, Шумелда. Похід ОУН на схід, გვ. 270-271.

სამოქალაქო სექტორიდან იატაკქვეშეთში, არც ისე იოლი აღმოჩნდა. ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალი და უკრაინელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ოლენა ტელიგა კატეგორიულად შეეწინააღმდეგა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასა და თავისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სხვა პირზე გადაბარებას. ის არ აპირებდა კიევის დატოვებას და ამბობდა: „რას იფიქრებენ ადგილობრივი უკრაინელები ჩვენზე? ჩვენ ჩამოვედით, ისინი გასაჭირში შევიყვანეთ და თვითონ გავიქეცით...“.[1]

როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, ო. კანდიბა სწორად აფასებდა ვითარებას. 1941 წლის ბოლოს გერმანელებმა, „არასანდოობის მომიზეზებით“, დაშალეს ბუკოვინის კურენი და მისი წევრების მხოლოდ ნაწილი გააწევრიანეს მოგვიანებით დამხმარე პოლიციურ ბატალიონებში.[2] 1942 წლის თებერვალში დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა, რომლის დროს ასობით მელნიკელი იქნა სიკვდილით დასჯილი. მათი ნაწილი ბაბინ იარში დახვრიტეს,[3] ნაწილი კი – გესტაპოს შენობაში, საიდანაც მათი გვამები ლუკიანოვის სასაფლაოზე გადაჰქონდათ.[4] ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ უკრაინელებმა, იმის მიუხედავად, რომ ისინი მესამე რაიხის მოკავშირეობას ცდილობდნენ, დაიწყეს ანტიგერმანული პროპაგანდა. თავის მხრივ, გერმანელები ყველანაირად უზღუდავდნენ მათ აგიტაციის შესაძლებლობას.[5] ასე, მაგალითად, 1942 წლის 30 მარტის პატაკის თანახმად, გერმანელებმა კიევში ამოიღეს 12-გვერდიანი ბროშურა დაშლილი უკრაინისეროვნული რადის პრეზიდენტის მიკოლა ველიჩკოვსკის მემორანდუმით, რომელშიც ის აკრიტიკებდა გერმანული ადმინისტრაციის ქმედებებს. რივნეში კი ამოიღეს გაზეთ „ვოლინის“ 1942 წლის 22 მარტის მთელი ტირაჟი (21 ათასი ცალი),[6] ვინაიდან მისმა რედაქტორმა, ულას სამჩუკმა (მელნიკის მომხრე და ცნობილი უკრაინელი მწერალი) თავის სტატიაში

---

[1] Я, Шумелда. Похід ОУН на схід, გვ. 271-272.

[2] А. Боляновський, Українські військові формування в збройних силах Німеччини (1939-1945). Львів, 2003, გვ. 136-138; С. Дробязко. Украинские формирования. – წიგნში: С. Дробязко, О. Романько, К. Семенов. Иностранные формирования Третьего Рейха, გვ. 549.

[3] სხვებთან ერთად, ბაბინ იარში იმ დროს დახვრეტილ იქნა „უკრაინსკე სლოვოს“ რედაქტორი ივან როგაჩი (იხ.: Л. Форостівський. Київ під ворожими окупаціями. Буенос-Айрес, 1952, გვ. 76).

[4] სავარაუდოდ, ამ უკანასკნელთა შორის იყო ოლენა ტელიგა (იხ.: Телига не была расстреляна в Бабьем Яру, იხ. ელ.ვერსია: https://web.archive.org/web/20131109195907/http://thekievtimes.ua/society/271625-teliga-ne-byla-rasstrelyana-v-babem-yaru.html), თუმცა ლ. ფოროსტივსკის მტკიცებით, დახვრეტაზე გაყვანის წინ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (იხ.: Л. Форостівський. Київ під ворожими окупаціями. გვ. 76).

[5] В. Косик. Україна і Німеччина у Другій світовій війні. Париж-Нью-Йорк-Львів, 1993, გვ. 565.

[6] Украинские националистические организации в годы Второй Мировой Войны, т. 1, გვ. 476

შეფარვით გააკრიტიკა მესამე რაიხის ხელმძღვანელობა უკრაინის დამოუკიდებლობის არაღიარების გამო.[1] უ. სამჩუკი მცირე ხნით დააპატიმრეს კიდეც, თუმცა შემდეგ გაათავისუფლეს, რადგანაც ჩვეულებრივ ის აქებდა გერმანელებს.[2]

ასეთი იყო ვითარება, როდესაც 1942 წლის მარტში, ლვივთან ახლოს შედგა უნო-ს მეორე კონფერენცია. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, კონფერენცია იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მისი არც ზუსტი თარიღი და არც ადგილმდებარეობა არ გამჟღავნებულა.[3] შემორჩენილია მხოლოდ მისი დადგენილებები, რომელსაც თან აწერია, რომ ტექსტი არასრულია.[4] ეს დოკუმენტი, რომელიც 47 პუნქტისაგან შედგება, წარმოადგენს უნო(ზ)-ს სამოქმედო პროგრამას. გარდა ამისა, კონფერენციაზე იყო ასევე გამოცხადებული, რომ ერის მთელი ძალა უნდა მიმართულიყო არა პარტიზანულ ბრძოლაზე, არამედ საყოველთაო, სრულიად უკრაინული მოძრაობის ჩამოყალიბებაზე უკრაინის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი, ჩვენი აზრით, იყო მესამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, უნდა ჩამოყალიბებულიყო ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთში დაპყრობილი ხალხების გაერთიანება. უნო(ზ)-ს ლიდერების აზრით, სწორედ თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოები უნდა ყოფილიყო ევროპის მომავალი და არა კომუნისტური ინტერნაციონალი ან ნაცისტური „ახალი ევროპა“.[5] ამავე დროს, ბრძოლის მთავარი ფრონტად, არსებულ ვითარებაში, „მოსკოვური იმპერიალიზმის“[6] წინააღმდეგ ბრძოლა ცხადდებოდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ გერმანიის კოლონიალისტური პოლიტიკა მოსაწონი იყო. უნო(ზ)-ს თქმით, გერმანული პოლიტიკური-სამფლობელო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დაწყებულიყო მასებში პროპაგანდის ჩატარებით, გარდა ამისა, ყველა

---

[1] У. Самчук. «Так було – так буде!». *«Волинь»*, №32/51, 22 березня 1942 р.

[2] В. Ольхович. «Позитивний» стереотип німця в публіцистиці Уласа Самчука. *კრებულში:* інформаційна дійсність: проблеми правди і неправди. Збірник наукових праць. Школа Відкритого Розуму, том 4. Тернопіль: Studia Methodologica, 2012, გვ. 212-213.

[3] ოფიციალურ დოკუმენტებს ჩატარების თარიღად აწერია „1942 წლის აპრილი“, თუმცა, როგორც ივან პატრილიაკი მიუთითებს, კონფერენცია სინამდვილეში მარტში ჩატარდა და აპრილი კონსპირაციის მიზნით იყო გამოყენებული (იხ.: І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 95).

[4] ОУН в 1942 році, გვ. 77-84.

[5] ОУН в 1942 році, გვ. 78.

[6] მოსკოვური იმპერიალიზმის ქვეშ, დოკუმენტის ავტორები გულისხმობდნენ თეთრგვარდიელებსაც, კერენსკის მომხრეებსაც, ბოლშევიკებსაც, სლავოფილებსაც და ყველა სხვას (იხ.: ОУН в 1942 році, გვ. 77-78). როგორც ჩანს, ავტორებმა ყველა ძალა ჩაწერეს, რომელიც მათ 1917 წლიდან მოყოლებული დროის სხვადასხვა მონაკვეთში ებრძოდა – გ.ც.

ოპორტუნისტთან და გერმანელების მსახურთან და ასევე, ცხოვრების ყველა სფეროში ნაციონალური სოლიდარობის სტიმულირება. ნაციონალისტები ვალდებული იყვნენ, უკრაინული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის ყოველ მონაკვეთზე მოეხდინათ თავისი ძალების ორგანიზება და მობილიზაცია. მოძრაობას სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებული მიზნები ჰქონდა დასახული: დასავლეთ უკრაინაში – რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ძალების განვითარება და პოლიტიკური კადრების აღზრდა, აღმოსავლეთ და ცენტრალურ უკრაინაში – შიდა აგენტურული ქსელების გამოყენებით, მასების პოლიტიკური აქტივობის ამაღლება უკრაინული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის გაძლიერებისათვის, იმიერკარპატეთში კი – დაპირისპირება როგორც რუსოფილებთან, ისე უნგროფილებსა და გერმანოფილ-ებთან.[1]

კონფერენციაზე მიღებულ იქნა ასევე მიმართვები უკრაინაში მცხოვრები რუსებისა და პოლონელებისადმი. პირველებს უკრაინელები განუმარტავდნენ, რომ ისინი ებრძვიან „კულტურულ და პოლიტიკურ მოსკოვოფილობას“, როგორც რუსული იმპერიალიზმის იარაღს. რაც შეეხება პოლონელებს, უკრაინელები მზად იყვნენ, ერთდროულად ებრძოლათ პოლონელთა გაზრდილი მოთხოვნების წინააღმდეგ და მშვიდობიანად მოეგვარებინათ დასავლეთ უკრაინის ტერიტორიების საკითხი (რასაკვირველია, უკრაინის სახელმწიფოს შემადგენლობაში – გ.ც.)[2] და ბოლოს, უკრაინის ნაციონალისტური მოძრაობის შიგნით არსებული განხეთქილების დასტური იყო მათი დამოკიდებულება მელნიკელებისადმი. ბანდერელები მზად იყვნენ, უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთოთ მელნიკელები, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამარცხებული იქნებოდა მათი ხელმძღვანელობა, რომელიც წარმოადგენდა „ოპორტუნისტულ მცირემეშჩანურ პოლიტიკურ აგენტურას“. მთლიანობაში კი ყველანაირი პარტიულობა დაგმობილი იყო როგორც მოვლენა, რომელიც ზიანს აყენებდა უკრაინული სახელმწიფოსათვის ბრძოლას.[3] დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი კი ეთმობოდა საორგანიზაციო და პროპაგანდისტულ საკითხებს.[4]

როგორც ვხედავთ, ბანდერელების დამოკიდებულება მელნიკელებისადმი

---

[1] ОУН в 1942 році, გვ. 79.
[2] ОУН в 1942 році, გვ. 82.
[3] ОУН в 1942 році, გვ. 82.
[4] ОУН в 1942 році, გვ. 82-85.

გარკვეულწილად შეიცვალა. რიგითი წევრების მიმართ ისინი უფრო შემწყნარებელი გახდნენ. როგორც ჩანს, ეს იყო უნო(მ)-ის ხელმძღვანელობაში დაწყებული განხეთქილების გამოძახილი. მართალია, ანდრი მელნიკი თავის პროგერმანულ პოზიციას არ ცვლიდა, მაგრამ ამას უკვე გარკვეული პროტესტი მოჰყვა. 1942 წლის 24-25 მაისს, პოჩაევში (ტერნოპილის ოლქი) შედგა უნო(მ)-ის კონფერენცია, სადაც მელნიკის მოადგილედ არჩეულ იქნა ოლეგ კანდიბა, რომელიც ასევე გახდა უკრაინელ ნაციონალისტთა ხელმძღვანელობის თავმჯდომარე უკრაინის ტერიტორიაზე.[1] გარდა ამისა, კონფერენციაზე გაცხადებულ იქნა, რომ გერმანიასთან ღია დაპირისპირება გარდაუვალი იყო, უბრალოდ, იმ დროისთვის ეს არ იყო მიზანშეწონილი, თუმცა გერმანელების ქმედებებს პასუხი რაიმე სახით მაინც უნდა გასცემოდა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ განცხადებისა, მელნიკელებს მაინცდამაინც არ უაქტიურიათ გერმანელების წინააღმდეგ. პ. ფიროვის თქმით, „პრაქტიკული შედეგები... ნაკლებად შესამჩნევი იყო“.[2]

ამრიგად, რომ შევაჯამოთ გერმანია-სსრკ-ს ომის დაწყებიდან 1942 წლის გაზაფხულის ჩათვლით განვითარებული მოვლენები, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. 1941 წლის 30 ივნისის აქტი უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ თავიდანვე შეუსრულებადი აღმოჩნდა, რადგანაც ნაცისტური გერმანიის გეგმებში არ შედიოდა უკრაინის ტერიტორიაზე სუვერენული სახელწიფოს არსებობა. განსხვავებით პირველი მსოფლიო ომისაგან, როდესაც გერმანიის მიერ უკრაინის სახელმწიფო მეთაურად დანიშნულ იქნა გეტმან სკოროპადსკი და უკრაინა, მართალია, მარიონეტული, მაგრამ მაინც ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით არსებობდა, მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინა რაიხსკომისარიატად გადააქციეს. მესამე რაიხის გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია რაიხსკომისარიატებად უნდა ყოფილიყო დაყოფილი, რომელთაც ბერლინიდან დანიშნული რაიხსკომისარი უხელმძღვანელებდა, ბერლინს პოლიტიკურ ქულებს

[1] А. Баканов. «Ни кацапа, ни жида, ни ляха». Национальный вопрос в идеологии Организации украинских националистов, 1929-1945 гг. Москва: Фонд «Историческая память»; Алгоритм, 2014, გვ. 371.
[2] П. Фиров. История ОУН-УПА: События, факты, документы, комментарии. Курс лекций. Севастополь: Изд-во СевНТУ, 2002, ლექცია 4. ელ. ვერსია იხ.: https://coollib.com/b/118433-petr-timofeevich-firov-istoriya-oun-upa-sobyitiya-faktyi-dokumentyi-kommentarii.

ნამდვილად არ ჰმატებდა. ამავე დროს, უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ გატარებული რეპრესიები ცხადყოფდა, რომ არ გამართლდა ამ უკანასკნელთა ჩანაფიქრი, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ მესამე რაიხის ხელმძღვანელობა უბრალოდ ფაქტის წინაშე დადგებოდა და თანამშრომლობისა და აღიარების გარდა სხვა გზა არ ექნებოდა.

2. სალაშქრო ჯგუფებმა, ჩემი აზრით, ნაწილობრივ შეასრულა თავისი დანიშნულება. მათ მართლაც შექმნეს ადგილობრივი მართვის ორგანოები, რომლებიც პროუკრაინულად იყვნენ განწყობილი, მაგრამ ამ პროცესის გავრცობა მთელი უკრაინის მასშტაბით და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება არ გამოვიდა.

3. მიუხედავად რეპრესიებისა და ლიდერების დაკავებებისა, უკრაინელი ნაციონალისტები თავისი საქმიანობის გაგრძელებას ახერხებდნენ. მათი ორივე ფრთა იატაკქვეშეთში გადავიდა. მიუხედავად ამისა, არც ბანდერელებმა და არც მელნიკელებმა მესამე რაიხი მტრად არ გამოაცხადეს და არ დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა მის წინააღმდეგ. ბანდერელები ბევრად ორ ფრონტზე ბრძოლა უნო-სთვის ძნელი იყო და, შესაბამისად, მთავარ მტრად საბჭოთა კავშირი იქნა მიჩნეული. ამავე დროს, პრაქტიკულად გაირკვა, რომ 1942 წლიდან მთავარ ფრთად უკრაინაში იქცა უნო(ბ). სწორედ ის აღმოჩნდა უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფლაგმანი. მიმდინარეობდა საორგანიზაციო ქსელის გაფართოება და იარაღის მომარაგება. აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდებში პროპაგანდისტული მუშაობის გატარებაზე, სამხედრო კადრების რეესტრის შექმნაზე და ა.შ. უკრაინელი ნაციონალისტები აცნობიერებდნენ, რომ გერმანელებთან ღია დაპირისპირებისათვის მათ საკმარისი რესურსები უბრალოდ არ გააჩნდათ. ამიტომ მომზადება და იარაღის მომარაგება სწორი და გააზრებული ნაბიჯი იყო. ამ ტაქტიკამ განაპირობა ორგანიზაციის გადარჩენა, ვინაიდან გერმანელების წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხების შემთხვევაში, იმ დროს უკრაინელი ნაციონალისტების გამარჯვების შანსი უბრალოდ არ არსებობდა. შესაბამისად, ეს უნდა განხორციელებულიყო მომავალში, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ. ამაზე მეტყველებს მიღებულ დოკუმენტებში ჩაწერილი ფრაზა „ნებისმიერი სახის ოკუპაციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის“ შესახებ.

ამ კონტექსტში უკრაინელი ნაციონალისტების მიერ რესურსებისა თუ პოტენციალის გაზრდაზე ზრუნვა და თავისი ხალხის მაქსიმალურად ჩანერგვა გერმანულ საოკუპაციო სტრუქტურებში, თამამად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მზადება გერმანიის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისათვის.

4. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელი ნაციონალისტები ამ პერიოდში არ იბრძოდნენ გერმანელების წინააღმდეგ, მათი დადანაშაულება კოლაბორაციონიზმში (განსაკუთრებით ეს ეხება ბანდერას ფრთას), არასწორად მიგვაჩნია. უფრო მეტიც, იმ მცირე ხნის განმავლობაში, როდესაც კიევში მოქმედებდა მელნიკელების ორგანოები, ისინი პირდაპირ დავალებას გერმანელებისგან არ იღებდნენ და, შესაბამისად, არც ემსახურებოდნენ მათ. რასაკვირველია, არსებობს ებრაელთა წინააღმდეგ აქციებში უნო-ს წევრების მონაწილეობის ფაქტები, მაგრამ ეს გამოწვეული იყო ორგანიზაციის ანტისემიტიზმით (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით) და არა გერმანელების მორჩილებით.

## 1.3. უკრაინელი ნაციონალისტების ქმედებები 1942 წლის ზაფხულიდან 1943 წლის ნოემბრამდე

1942 წლის ზაფხულიდან უკრაინელი ნაციონალისტები იწყებენ მზადებას აქტიური ქმედებებისთვის. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მათ წინაშე იდგა, იყო დაქსაქსულობა. ამ დროისთვის, უნო(ბ)-ს და უნო(მ)-ის გარდა გააქტიურდა ტარას ბულბა-ბოროვეცის დაჯგუფებაც (ე.წ. „ბულბელები“), რომელიც 1941 წლის დეკემბრიდან არსებობდა, თუმცა შედარებით ცნობადობა 1942 წლის გაზაფხულიდან მიიღო.[1] უნო(ბ)-ს, უნო(მ)-ს და „ბულბელებს“ შორის არ არსებობდა კოორდინაცია. უფრო მეტიც, ხშირად ისინი ერთმანეთსაც კი ებრძოდნენ. არ არსებობდა არც ერთიანი სტრატეგია. ამ პერიოდში უკრაინის მთელი ტერიტორია გერმანიის მიერ იყო ოკუპირებული და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირთან ბრძოლა ნაკლებად იყო შესაძლებელი. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, თავად გერმანელები უკრაინელებს ნაკლებად ენდობოდნენ, არ აღიარებდნენ მათ მესამე რაიხის

[1] აღსანიშნავია, რომ ტარას ბულბა-ბოროვეცის დაჯგუფებას მცირე ხნის განმავლობაში უკრაინის მეამბოხეთა არმია ეწოდებოდა, თუმცა ეს სახელწოდება ნაკლებად გამოიყენებოდა – გ.ც.

მოკავშირეებად და ხშირად უნო-ს ხელმძღვანელ პირებსაც აკავებდნენ. უფრო მეტიც, 1942 წლის 24 ივლისს გერმანელების მიერ ლიკვიდირებულ იქნა დმიტრო მირონი, უნო(ბ)-ს ერთ-ერთი მაღალი დონის ხელმძღვანელი.[1] უკვე 1942 წლის ივნისიდან გერმანული სპეცსამსახურები სულ უფრო მეტს წერენ, რომ უკრაინელი ნაციონალისტები, განსაკუთრებით კი ბანდერელები, აქტიურად ეწევიან უკრაინის დამოუკიდებლობის აგიტაციას და ანტიგერმანულ პროპაგანდას.[2]

კიდევ უფრო გაურკვეველ მდგომარეობაში იყო ტარას ბულბა-ბოროვეცის დაჯგუფება. ბოროვეცი ჯიუტად ცდილობდა, გამხდარიყო გერმანელების მოკავშირე. ამის გამო ის უარყოფითად შეხვდა უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ პერიოდში მან შექმნა თავისი დაჯგუფება „პოლესიეს სიჩი“. მისი №1 ბრძანება იყო რაზმების შექმნა და დივერსიული აქტების მოწყობა წითელი არმიის ზურგში. ასევე, პირველ ბრძანებაში იყო მითითებული, რომ გერმანელების მიმართ სიჩის მებრძოლები ლოიალურები უნდა ყოფილიყვნენ.[3] 1941 წლის ნოემბერში, გერმანელების მოთხოვნით, მან ეს დაჯგუფება დაშალა, თუმცა დეკემბერში, 300 თანამოაზრესთან ერთად, ჩამოაყალიბა ახალი შენაერთი, რომელსაც „უკრაინელ მეამბოხეთა არმია“ უწოდა, თუმცა მოსახლეობა მის მებრძოლებს „ბულბელებს“ უწოდებდა.[4] 1942 წლის მარტიდან ის იძლევა ბრძანებას გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლო ქმედებებზე გადასვლის შესახებ.[5] ამის შემდეგ დაიწყო თავდასხმები, თუმცა ბოროვეცის დაჯგუფება ძირითადად ცდილობდა, გერმანელებისთვის დიდი ზიანი არ მიეყენებინა და საკუთარი თავის მომარაგებით იფარგლებოდა. ამავე დროს, 1942 წლის შემოდგომაზე ის ხაზს უსვამდა, რომ გერმანელი ჯარისკაცებისა და პოლიციელების სისხლი არ დაუღვრია და ამას არც დაუშვებდა, რადგან „თვითონაც ბოლშევიკებს ებრძოდა“. მისი თქმით, „მტერი იყო პოლიცია (ადგილობრივებით დაკომპლექტებული – გ.ც.) და სამოქალაქო ადმინისტრაცია“.[6] მიუხედავად ამისა, იყო რამდენიმე სერიოზული თავდასხმა, რომელთა შორის განსაკუთრებული

[1] Косик, В, Україна і Німеччина у Другій світовій війні, გვ. 574

[2] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 100.

[3] В. Дзьобак, Бульбівці («Перша УПА»), გვ. 119.

[4] Т. Бульба-Боровець, Армія без держави, გვ. 99-100.

[5] В. Дзьобак. Тарас Бульба-Боровець і його військові підрозділи в українському русі Опору (1941-1944 рр.). Київ: Інститут історії України НАН України, 2002, გვ. 84.

[6] В. Дзьобак. Бульбівці («Перша УПА»), გვ. 128-129.

აღნიშვნის ღირსია რეიდი შეპეტოვკის რკინიგზის კვანძზე. ნადავლის სახით „ბულბელებმა“ ხელთ იგდეს სხვადასხვა სახის მასალებით დატვირთული ოთხი ეშელონი და გაათავისუფლეს ორ ეშელონში მოთავსებული უკრაინელები, რომლებიც იძულებით მიჰყავდათ სასოფლო სამუშაოებზე გერმანიაში.[1]

1942 წლის ოქტომბერში ჩატარდა კონსპირაციული სამხედრო კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უკრაინელმა ნაციონალისტებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ გერმანია ვერ დაამარცხებდა ვერც ინგლის-ამერიკას და ვერც საბჭოთა კავშირს, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაბრუნდებოდა უკრაინაში. ამიტომ ნაციონალისტები მასთან საბრძოლველად მზად უნდა ყოფილიყვნენ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბრძოლაში უნდა ჩართულიყვნენ არა მხოლოდ ორგანიზაციის წევრები, არამედ მთლიანად უკრაინელი ერი. ივან კლიმივმა (იმ დროს მთავარი ხელმძღვანელობის სამხედრო რეფერენტურის განსაკუთრებული დავალებების ოფიცერი – გ.ც.) აღნიშნა, რომ უნო-მ გადასცა ბრძოლის ინიციატივა წითელ პარტიზანებს, რომლებიც საბრძოლველად საუკეთესო ტერიტორიები დაიკავეს, მათ შორის ჩრდილოეთ ვოლინი და პოლესიე. მან ასევე თქვა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში ნაციონალისტებს დასცინოდნენ, უწოდებდნენ მათ მოციქულებს, წამებულებს, ვინაიდან ისინი მხოლოდ დადიოდნენ და ქადაგებდნენ, რის შემდეგაც გერმანელები მათ ხვრეტდნენ. წითელი პარტიზანები კი, განსაკუთრებით ვოლინზე და პოლისიეზე, სადაც უკვე სტიქიურად ატამანური ჯგუფები ჩნდებოდა, მოწინააღმდეგეებს იარაღით ხელში ებრძოდნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად, გადაწყდა სპეციალური კომისიის შექმნა ივან კლიმივის, ლუკა პავლიშინის (დასავლეთ უკრაინის მიწების სამხედრო რეფერენტი) და ვასილ ივახივის (უკრაინის სამხრეთ-დასავლეთის მიწებზე სამხედრო რეფერენტი) შემადგენლობით, რომელსაც უნდა შეემუშავებინა არმიის შექმნის გეგმა.[2]

1942 წლის 1-2 დეკემბერს ლვივში ჩატარდა სამხედრო რეფერენტების მეორე კონფერენცია, რომელზეც წარდგენილ იქნა კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი. უნდა ითქვას, რომ ეს იყო აბსოლუტურად არარეალური გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა ძალზე უცნაურ პროგნოზებს. ასე, მაგალითად, გეგმის ავტორები ვარაუდობდნენ, რომ როგორც გერმანია, ისე საბჭოთა კავშირი

[1] В. Дзьобак. Бульбівці («Перша УПА»), გვ. 127-128.

[2] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 108-109.

დაიშლებოდნენ მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ფრონტის ხაზი იქნებოდა მოზირი-ვორონეჟი-დონის როსტოვი. ამასთან, სსრ კავშირის დაშლის მიზეზი გახდებოდა შიგნით დაწყებული რევოლუცია, რომელსაც მოჰყვებოდა იაპონიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ინტერვენცია.[1] მოვლენების ამ ფანტასტიკური სცენარით განვითარების შემდეგ, რუსეთში ახალი ხელისუფლება დამყარდებოდა, რომელიც 2-3 თვეში დაიწყებდა ექსპანსიას უკრაინის მიმართულებით. სწორედ ამ დროისთვის უნდა შექმნილიყო უკრაინის არმია, რომელშიც, გეგმის მიხედვით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ მიწებში მობილიზებული უნდა ყოფილიყო 300 ათასი ადამიანი, ვოლინსა და გალიჩინაში კი – 500 ათასი ადამიანი.[2]

ბუნებრივია, რომ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ეს გეგმის ავტორებს წარმოედგინათ, თუმცა არმიის შექმნის იდეამ მალე შეისხა ხორცი. 1943 წლის 17-21 თებერვალს ჩატარდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის (სტეპან ბანდერას ფრთის) მესამე კონფერენცია სოფელ ტერებიჟში (ლვივის ოლქი). მასში მონაწილეობდნენ მიკოლა ლებედი, რომან შუხევიჩი, ვასილ ოხრიმოვიჩი და სხვები. კონფერენციის ფარგლებში რამდენიმე საინტერესო მომენტი მოხდა. შეცვლილ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მიკოლა ლებედის ნაცვლად აირჩიეს ტრიუმვირატი რომან შუხევიჩის, ზინოვი მატლის და დმიტრო მაივსკის შემადგენლობით. ასევე, მიიღეს გადაწყვეტილება უნო-ს მე-3 დიდი კრების ჩატარების შესახებ. ასევე, კონფერენციაზე აღინიშნა, რომ უკრაინა აღმოჩნდა „უროსა და გრდემლს შორის მოსკოვისა და ბერლინის იმპერიალიზმების სახით“ და რომ უნდა გააგრძელოს ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის. მთავარ მტრად ამჯერად, საბჭოთა კავშირთან ერთად, გერმანიაც იქნა გამოცხადებული.[3] მიუხედავად ამისა, კონფერენციაზე დადგენილ იქნა, რომ ბრძოლა უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული ძირითადად საბჭოთა პარტიზანებსა და პოლონელებზე, და არა გერმანელებზე. ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმართულიყო უნო-ს ინტერესებიდან გამომდინარე და ხალხის დაცვის ხასიათი უნდა ჰქონოდა.[4] აქვე აღინიშნა, რომ 1942 წელს უკრაინელ ხალხში გაიზარდა დამოუკიდებლობის

---

[1] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 109.

[2] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 109-112.

[3] Літопис УПА. Т. 24. Ідея і чин. Орган Проводу ОУН 1942-1946. Торонто: Видавництво Літопис УПА, 1995, გვ. 134-135.

[4] А. Кентіі. «Двофронтова» боротьба УПА (1943 - перша половина 1944 рр.), გვ. 164.

სურვილი და მოხდა ყველა ფენის წარმომადგენლების ჩართვა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. გარდა ამისა, აღინიშნა იმ ოპორტუნისტული და პარტიული ჯგუფების ლიკვიდაციის მნიშვნელობა, რომლებიც სხვადასხვა სახით ავრცელებდნენ ოკუპანტებთან თანამშრომლობის იდეებს, რითაც ასუსტებდნენ უკრაინელებს და ეხმარებოდნენ უკრაინაში კოლონიური ტიპის სისტემის დამკვიდრებას.[1] და მაინც, ამ კონფერენციის მთავარი გადაწყვეტილება იყო უკრაინის მეამბოხეთა არმიის (უმა) დაარსება. სწორედ ეს იყო სამხედრო ძალა, რომელიც შემდგომში წლების განმავლობაში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა მისი ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას დრო დასჭირდა და 1943 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა.

პოლონელ მოსახლეობაზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ ყოფილა. ვოლინის ტერიტორიაზე უკრაინელი ნაციონალისტები პოლონელებს აღიქვამდნენ თავის მოწინააღმდეგეებად და გერმანელების მთავარ დასაყრდენად. სწორედ ვოლინში მცხოვრები პოლონელები იქცნენ მათ მთავარ სამიზნედ 1943 წელს, რაც გადაიზარდა ე.წ. „ვოლინის ხოცვა-ჟლეტაში“. პოლონელების რბევის პირველ ფაქტს კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე, 1943 წლის 9 თებერვალს ჰქონდა ადგილი სოფელ პაროსლიაში (რივნეს ოლქი). აქ უკრაინელმა ნაციონალისტებმა თავი საბჭოთა პარტიზანებად წარადგინეს და დახმარება მოითხოვეს, ამის შემდეგ კი 155 ადამიანი დახოცეს.[2] ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომ ეს აქცია სინამდვილეში ჩაატარეს ბულბელებმა.[3]

1943 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ანტიპოლონურმა ქმედებებმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ პრაქტიკულად მთელი ვოლინი მოიცვა და დასავლეთ უკრაინის სხვა ოლქებსაც გადაედო, თუმცა იქ მასშტაბი უფრო მცირე იყო. უკრაინელი ნაციონალისტები წვავდნენ პოლონურ სოფლებს, ხოცავდნენ მოსახლეობას როგორც ცეცხლსასროლი, ისე ცივი იარაღით, ისაკუთრებდნენ მოკლული პოლონელების სახლებს და ა.შ.[4] უნდა ითქვას, რომ გერმანელები მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ უკრაინელებსა და პოლონელებს შორის ჯერ კიდეც

[1] Літопис УПА, т. 24, გვ. 134-141.

[2] Grzegorz Motyka. Ukraińska partyzantka 1942-1960, გვ. 190.

[3] Władysław Siemaszko, Ewa Siemaszko: Ludobójstwo dokonane przez nacjonalistów ukraińskich na ludności polskiej Wołynia: 1939-1945. T. 1. Warsaw: Wydawnictwo Von Borowiecky, 2008, გვ. 739.

[4] Grzegorz Motyka. Ukraińska partyzantka 1942-1960, გვ. 331.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან არსებული კონფლიქტის გაღვივებას. რამდენიმეჯერ პოლონელებმა ასევე სცადეს პასუხის გაცემა და უკრაინულ სოფლებზე თავდასხმა, თუმცა ეს მაინც ერთეული შემთხვევების დონეზე დარჩა.

ომის პერიოდში უკრაინელების დამოკიდებულება პოლონელებისადმი შეიცვალა მხოლოდ 1944 წლის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც დასავლეთ უკრაინის ტერიტორია უკვე საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს. 1 სექტემბერს უმა-ს დასავლეთის სარდალმა ვასილი სიდორმა გამოსცა ბრძანება, რომ შეჩერებულიყო ანტიპოლონური საქმიანობა და გაგრძელებულიყო მხოლოდ შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ (საგამანადგურებლო ბატალიონების და სექსოტების[1] წინააღმდეგ).[2] გარდა ამისა, უმა-ს წევრებისთვის გამოიცა დროებითი ინსტრუქცია, სადაც მითითებული იყო, რომ საჭირო იყო პოლონელებთან ერთად ოკუპანტების წინააღმდეგ ერთობლივი ქმედებების მოწყობა.[3] მიუხედავად ამისა, თავდასხმები პოლონურ დასახლებულ პუნქტებზე, რის შედეგად იღუპებოდა მშვიდობიანი პოლონელი მოსახლეობა, მაინც გრძელდებოდა 1944-1945 წლების გარიჟრაჟზეც, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ადგილობრივი პოლონელებით დაკომპლექტებული გამანადგურებელი ბატალიონების საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან სოფლების ნაწილში, რომლებიც აღმოჩნდნენ დარტყმის ქვეშ, სწორედ ასეთი ბატალიონები იყო განთავსებული.[4]

შედეგად, უკრაინელების ქმედებებს ათიათასობით პოლონელი შეეწირა და მათი რაოდენობა დასავლეთ უკრაინაში, რომელიც ისედაც შემცირებული იყო 1939 წელს საბჭოთა ანექსიის შემდეგ, მინიმუმამდე დავიდა.[5] მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფაქტი – სოფ. გუტა პენიაცკას განადგურება 1944 წლის 28 თებერვალს, რომელსაც შეეწირა 500-მდე პოლონელი – სინამდვილეში ჩაიდინა „სს“-ის დივიზია „გალიჩინის“ მე-4 პოლკის მე-2 ბატალიონმა[6] და უკრაინელ

---

[1] სექსოტი – сексот, секретный сотрудник, ანუ საიდუმლო თამაშრომელი, სპეცსამსახურის თანამშრომელი – გ.ც.

[2] Grzegorz Motyka. Ukraińska partyzantka 1942-1960, გვ. 401.

[3] Тимчасова інструкція організаційної референтури Крайового проводу ОУН на західноукраїнських землях про польське питання. 7 вересня 1944 р. ЦДАВО, ф. 3833, оп. 1, спр. 46, арк. 6.

[4] Grzegorz Motyka. Ukraińska partyzantka 1942-1960, გვ. 402-403.

[5] Timothy Snyder. The Reconstruction of Nations: Poland, Ukraine, Lithuania, Belarus, 1569-1999. New Haven, CT – London: Yale University Press, 2003, გვ. 169.

[6] І. Ільюшин, Бойові дії ОУН и УПА на антипольскому фронті, გვ. 283.

მეამბოხეთა არმიას ამასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პოლონელების ხოცვა-ჟლეტა წარმოადგენს უკრაინელი ნაციონალისტების მთავარ დანაშაულს ომის განმავლობაში, რაც ათწლეულების მანძილზე გაპირობებდა რთულ ურთიერთობებს ორ ხალხს შორის.[1]

ვინაიდან საუბარი სამხედრო დანაშაულებზე ჩამოვარდა, აქ უნდა შევეხოთ უკრაინელი ნაციონალისტების ჰოლოკოსტში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული, საბჭოთა და შემდეგ უკვე რუსი ისტორიკოსები უკრაინელ ნაციონალისტებს მუდმივად უყენებდნენ ბრალდებას, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ ჰოლოკოსტში. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა „SS“-ის დაქვემდებარებაში მყოფი დივიზია „გალიჩინა“, რომელიც სინამდვილეში არ შედიოდა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციულ სტრუქტურაში და არ ემორჩილებოდა უნო-ს ხელმძღვანელების დირექტივებს. ის ასრულებდა გერმანელების დავალებებს და, შესაბამისად, თუ მას რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, ამას კავშირი უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციასთან არ ჰქონდა. ამავე დროს, უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის წევრებისა და ლიდერების დიდ ნაწილს ნამდვილად გააჩნდა ანტისემიტური შეხედულებები, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ომამდელი ევროპის ქვეყნებში (ვთქვათ, პოლონეთში ან საფრანგეთში) ანტისემიტიზმით დიდად ვერავის გააკვირვებდი. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ევოლუცია, რომელიც განიცადა უკრაინელი ნაციონალისტების დამოკიდებულებამ ებრაელების მიმართ საკუთრივ ომის პერიოდში, რასაც ქვევით შევეხებით.

1941 წლის მაისში მიღებულ საპროგრამო დოკუმენტში „უნო-ს ბრძოლა და საქმიანობა ომის დროს“ აღნიშნული, რომ შესაძლებელია არეულობის პერიოდში შესაძლებელია ბოლშევიკურ-მოსკოვური იმპერიალიზმის მომხრეების, კონკრეტუ-ლად, მოსკოვური, პოლონური და ებრაული წარმოშობის წარმომადგენლების

[1] მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მოხდა პოლონელებსა და უკრაინელებს შორის ამ საკითხთან მიმართებაში გარკვეული შერიგება, რისი გამოვლინებაც იყო 2023 წლის 9 ივლისს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და პოლონეთის პრეზიდენტ ანჯეი დუდას მიერ ლუცკში ვოლინის ტრაგედიის მსხვერპლთათვის პატივის მიგება. გარდა ამისა, დამოუკიდებელი უკრაინის პრეზიდენტებს რამდენიმეჯერ აქვთ ბოდიში მოხდილი ვოლინის ხოცვა-ჟლეტის გამო პოლონელებისთვის (იხ.: Милана Головань. Зеленский и Дуда встретились в Луцке. Почтили память жертв Волынской трагедии. Ліга.net, 09.07.2023. https://news.liga.net/politics/news/zelenskiy-i-duda-vstretilis-v-lutske-foto).

ლიკვიდაცია. კონკრეტულად ეროვნული უმცირესობები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად: 1. უკრაინელების მიმართ მეგობრულად განწყობილი, ანუ დამონებული ხალხები; და 2. მტრულად განწყობილი უკრაინელების მიმართ – პოლონელები, ებრაელები, რუსები. პირველებს უნდა ჰქონოდათ ყველა უფლებები, მეორენი კი, კერძოდ ის ხალხი, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს იცავენ, უნდა გაენადგურებინათ. გეგმაში არსებობდა გეტოების ჩამოყალიბებაც.[1] მართლაც, 1941 წლის 30 ივნისს ლვივში დაიწყო საბჭოთა რეჟიმის მომხრეთა დარბევა და 2 ივლისის ჩათვლით მოკლულ იქნა ათასობით ადამიანი, მათ შორის, ებრაელები.[2] მკვლევართა ნაწილი ამ დარბევას უკრაინელ ნაციონალისტებს მიაწერს, მაგრამ ცალსახაა, რომ ის გერმანელების მოწყობილი იყო. ბუნებრივია, დარბევაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინელმა ნაციონალისტებმაც, თუმცა წყაროებიდან ნაკლებად ჩანს, რომ ისინი დახვრეტებში მონაწილეობდნენ.[3] არსებობდა ასევე ვარაუდი, რომ ხოცვა-ჟლეტაში აქტიურად მონაწილეობდა ბატალიონი „ნახტიგალიც“, რომლის ერთ-ერთი მეთაური იყო რომან შუხევიჩი, მაგრამ ყოველივე ეს საბჭოთა ფაბრიკაცია გამოდგა, რაც უკვე დოკუმენტურადაც არის დამტკიცებული.[4]

შედეგად, უკრაინელ ნაციონალისტებს ჰოლოკოსტში მონაწილეობა პრაქტიკულად არ მიუღიათ (ყოველ შემთხვევაში, მასობრივ დახვრეტებში, რადგანაც ებრაული საკითხის გადაწყვეტას უშუალოდ SS კურირებდა და ამ დახვრეტებს სპეციალური აინზაცჯგუფები („Einsatzgruppen“) ახორციელებდნენ). უფრო მეტიც, მალე ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ებრაელების წინააღმდეგ აქციების ჩატარება კონტრპროდუქტიული იყო. 1942 წლის მარტის უნო(ბ)-ს სამხედრო კონფერენციის შემაჯამებელ დოკუმენტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ ებრაელების, როგორც მოსკოვურ-ბოლშევიკური იმპერიალიზმის აგენტების მიმართ, არსებობდა უარყოფითი დამოკიდებულება, მაგრამ უმჯობესი იყო ანტიებრაულ აქციებში მონაწილეობიდან თავის არიდება, ვინაიდან არსებობდა საფრთხე, რომ უკრაინელი ნაციონალისტები სხვის ხელებში ბრმა იარაღის როლს შეასრულებენ. ასევე, ასეთი

---

[1] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі, გვ. 63.

[2] І. Патриляк. Тактика і стратегія українских націоналістів на початковому етапі, გვ. 63.

[3] დარბევის შესახებ დაწვრილებით იხ.: John-Paul Himka. The Lviv Pogrom of 1941: The Germans, Ukrainian Nationalists, and the Carnival Crowd. Canadian Slavonic Papers / Revue Canadienne des Slavistes, vol. 53, issue 2-4, 2011, გვ. 209-243.

[4] John-Paul Himka. The Lviv Pogrom of 1941, გვ. 225.

აქციების ჩატარებას შეეძლო მასების ყურადღების გადატანა მთავარი მტრებისგან.[1]

გარდა ამისა, 1942 წლის ოქტომბრის უნო(ბ)-ს სამხედრო კონფერენციაზე, როდესაც საუბარი ჩამოვარდა ეთნიკურ უმცირესობებზე და, კერძოდ, ებრაელებზე, ითქვა: „ებრაელების განადგურება არ არის საჭირო, საჭიროა ებრაელების გადასახლება, გარკვეული ნივთებით და ქონებით. საჭიროა ებრაელების მიმართ სიფრთხილე, ვინაიდან ისინი დიდ გავლენას ფლობენ ამერიკაში და ინგლისში", თუმცა, ეს წესი არ ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზე, როდესაც ებრაელი ეროვნების ადამიანი იყო პოლიტრუკი.[2] მთლიანობაში კი უკრაინელი ნაციონალისტები არ მონაწილეობდნენ არც საკონცენტრაციო ბანაკების დაცვასა და არც აინზაცჯგუფების საქმიანობაში. ასე რომ მათი დადანაშაულება ჰოლოკოსტში შეუძლებელია, რაც, პრინციპში, ომის შემდგომაც არ მომხდარა ნიურნბერგის ტრიბუნალის დროს.

1942 წლის მიწურულიდან უკრაინელი ნაციონალისტები კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დადგნენ: უკრაინის ტერიტორიაზე მკვეთრად გააქტიურდნენ საბჭოთა პარტიზანები. მართალია, პირველ ეტაპზე მათი მთავარი სამიზნე გერმანელი ოფიცრები იყვნენ, მაგრამ მათ რამდენიმეჯერ მოუხდათ დაპირისპირება უკრაინელ ნაციონალისტებთან. პირველი ასეთი შეტაკება მოხდა 1942 წლის ნოემბრის დასაწყისში რივნეს ოლქში, როკიტნესთან გაიმართა, სადაც ჭაობებში რამდენიმე საბჭოთა პარაშუტისტი იქნა გადმოსხმული. ისინი ადგილობრივ ნაციონალისტებს გადაეყარნენ. შეტაკების შედეგად პარაშუტისტების ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი – დაიჭრა. მათი შეიარაღება ნაციონალისტებმა ნადავლის სახით წაიღეს.[3]

ამის შემდეგ, შეტაკებებმა პარტიზანებსა და ნაციონალისტებს შორის სისტემატური ხასიათი მიიღო და ისინი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე მხარე დარწმუნებული იყო საკუთარ ძალებში. როგორც პარტიზანების, ისე ნაციონალისტების რაზმები ძირითადად შედგებოდა ისეთი ადამიანებისგან, რომლებმაც კარგად იცოდნენ ტერიტორია. ორივე მხარე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ მათი მიზნები – დამოუკიდებელი უკრაინა ან

---

[1] Літопись УПА, т. 24, გვ. 52.

[2] Військова конференція ОУН(Б) 1942 р. і розробка планів зі створення українських збройних сил, І. Патриляк. О. Пагіря. З архівів ВУЧК-ГПУ-НКВД-КГБ, 2008 წ, № 1/2 (30/31), გვ. 507.

[3] И. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 439.

საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა – იყო სწორი და მოწინააღმდეგეს მხოლოდ უკრაინის და უკრაინელი ხალხის დაჩაგვრა და დამონება სურდა.

1943 წლის 6-7 მარტს, სოფელ ბოგუშთან უკრაინელი ნაციონალისტები თავს დაესხნენ ფროლოვის საბჭოთა პარტიზანულ დაჯგუფებას, რომელიც შედიოდა რივნეს ოლქში მოქმედ დიმიტრი მედვედევის დიდ პარტიზანულ რაზმში. ნაციონალისტების[1] მოულოდნელმა შეტევამ მძიმე დანაკარგები გამოიწვია პარტიზანებში: 16 ადამიანი დაიღუპა და 8 დაიჭრა[2]. შურისძიების მიზნით, პარტიზანებმა, უფროსი ლეიტენანტის ბაზანოვის მეთაურობით, სცადეს სოფლის დაკავება. რამდენიმესაათიანი ბრძოლის შედეგად, მეამბოხეებმა დაკარგეს 18 ადამიანი[3]. ბოგუში ნაწილობრივად დაიწვა (ცეცხლში 70 ადგილობრივი მაცხოვრებელი დაიღუპა), პარტიზანები კი მდინარე სლუჩის მეორე მხარეს, ტყეში გადავიდნენ.[4]

31 მარტს და 1 აპრილს რივნეს ოლქის სოფლებთან – მაიდანი და ბერესტოვეცი გაიმართა ბრძოლა, რომლის შედეგად ნაციონალისტებმა, საბჭოთა ცნობებით, დაკარგეს 47 ადამიანი, კიდევ 12 კი ტყვედ ჩავარდა და მოგვიანებით დახვრიტეს.[5]

1943 წლის 10 აპრილს საბჭოთა პარტიზანები, პოლონელებთან ერთად თავს დაეხსნენ სოფელ ბუტეიკიში გამაგრებულ ნაციონალისტების რაზმს. ნაციონალისტების თქმით, მათ დაეღუპათ 8 კაცი, დაიჭრა კი – 3, პარტიზანების მხრიდან კი დაიღუპა 50 ადამიანი.[6] პარტიზანები კი აცხადებდნენ, რომ ნაციონალისტებმა 100 კაცი დაკარგეს.[7]

აპრილის დანარჩენ დღეებში პარტიზანებსა და ნაციონალისტებს შორის დაპირისპირება გრძელდებოდა გვერდით მდებარე ხმელნიცკის ოლქის ჩრდილოეთში. სლავუტის სატყეო მასივთან ნაციონალისტები თავს დაესხნენ

---

[1] სხვადასხვა ცნობის მიხედვით, 65-250 ადამიანი (იხ.: І.Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 440).

[2] საბჭოთა ცნობებით კი დაიღუპა 4 და დაიჭრა 1 პარტიზანი (იხ.: І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 440).

[3] სხვა ცნობების მიხედვით – 30 კაცი (იხ.: І. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 440).

[4] А. Кентій, В. Лозицький. Війна без пощади і милосердя. Партизанський фронт у тилу вермахту в Україні 1941-1944 рр. Київ, 2005, გვ. 370-371.

[5] А. Кентій, В. Лозицький. Війна без пощади і милосердя. Партизанський фронт у тилу вермахту в Україні 1941-1944 рр, გვ. 371.

[6] УПА в світлі документів з боротьби за Українську Самостійну Соборну Державу 1942-1950 рр. т. 2, გვ. 9.

[7] І. Білас. Репресивно-каральна система в Україні, кн. 1, გვ. 390.

პარაშუტისტების ჯგუფს, რომლებიც დ. მედვედევის პარტიზანული რაზმის დასახმარებლად იქნა გაგზავნილი. ნაციონალისტებმა რაზმის 18 წევრი მოკლეს და ნადავლის სახით აიღეს დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეიარაღება, ტყვია-წამალი, რუკები, მედიკამენტები.[1]

ამის შემდეგ მხოლოდ დროის საკითხი იყო, თუ როდის დაიწყებდნენ საბჭოთა პარტიზანები რეიდებს უშუალოდ უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ.

13 მაისს უკრაინაში მოქმედი საბჭოთა პარტიზანული რაზმების მეთაურებმა – ვასილ ბეგმამ, ივან შიტოვმა, სტეპან მალიკოვმა, ალექსანდრ საბუროვმა, ალექსეი ფიოდოროვმა, იაკოვ მელნიკმა – მიიღეს ბრძანებები უკრაინელ ნაციონალისტებთან ბრძოლის შესახებ. მათ უნდა გაენადგურებინათ ის რაზმები, რომლებიც პარტიზანებს ებრძოდნენ, ასევე, მოეხდინათ სხვა რაზმების მეთაურების ლიკვიდაცია და გამოეწვიათ მათი პირადი შემადგენლობის დემორალიზაცია. ნაციონალისტთა დაჯგუფებების წევრები ან უნდა გადასულიყვნენ პარტიზანების მხარეს, ან ამ უკანასკნელებს ისინი უნდა განეიარაღებინათ.[2]

20 მაისიდან 1 აგვისტომდე ი. ფიოდოროვის შენაერთმა (1744 მებრძოლი) ჩაატარა ორი რეიდი რივნეს ოლქის იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც აკონტროლებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები. ამ პერიოდის განმავლობაში პარტიზანებმა მოკლეს 163 ნაციონალისტი რივნეს ოლქის სოფლებში.[3]

28-29 მაისს ბელორუსიაში, ლელჩიცის რაიონში (თანამედროვე გომელის ოლქი[4]), სოფელ კარტინიჩიში ჩატარდა უკრაინის მარჯვენა ნაპირის პარტიზანული რაზმების მეთაურების შეხვედრა, სადაც დადგა საკითხი უკრაინელ ნაციონალისტებთან ბრძოლის შესახებ. შეხვედრის შემდეგ, ივნისის დასაწყისში, აღმოსავლეთ უკრაინიდან და ბელორუსიიდან პოლესიესა და ვოლინში დაიწყო პარტიზანული რაზმების გადასროლა. შეიცვალა მათი ტაქტიკაც – საბჭოთა პარტიზანები ცდილობდნენ კონტროლის დამყარებას სატყეო მასივებზე, საკუთარი საწყობებისა თუ ბაზების შექმნას და საველე აეროდრომებისათვის ადგილის

---

[1] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 391.

[2] І. Патриляк «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 442; А. Кентій «Двофронтова» боротьба УПА (1943 - перша половина 1944 рр.), გვ. 201.

[3] G. Motyka. Ukraińska partyzantka. 1942-1960, გვ. 249.

[4] ომის დროს გერმანელებმა ეს ტერიტორია უკრაინის რაიხსკომისარიატის შემადგენლობაში შეიყვანეს და ის რივნოს ექვემდებარებოდა – გ.ც.

მოძებნას. ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზიდად ისინი აცხადებდნენ, რომ იბრძოდნენ „დემოკრატიული წყობილების მქონე დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფოსათვის“. ამის საპასუხოდ, უკრაინელმა ნაციონალისტებმა გადაისროლეს დიდი შენაერთები პოლესიეში, კერძოდ, მდინარე პრიპიატის, სტირის, სლუჩის, გორინის, სტვიგის, სტოხიდის რაიონში. ამით ნაციონალისტები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ კონტროლი სატყეო მასივებზე და არ დაეშვათ პარტიზანული შენაერთების გადაადგილება პოდოლიედან და სამხრეთ ვოლინიდან პოლესიეში და ბელორუსიიდან ვოლინში.

14-16 ივნისს უკრაინელი ნაციონალისტების ერთ-ერთმა დაჯგუფებამ (შემდგომში გაფორმდა, როგორც რაზმი „ზაგრავა“) ჩაატარა რამდენიმე წარმატებული ბრძოლა პარტიზანებთან, რომელთა შედეგადაც, ნაციონალისტების ცნობებით, დაიღუპა 110 პარტიზანი და დაიჭრა 25.[1]

15-18 ივნისს გაიმართა მძიმე ბრძოლა უკრაინელი ნაციონალისტების რაზმ „ბოგუნსა“ და ს. ოლექსეენკოსა და ი. შიტოვის ხელმძღვანელობით მოქმედ პარტიზანულ შენაერთს შორის. პარტიზანები ცდილობდნენ, გასულიყვნენ სლავუტის და შეპეტივკის ტყეებიდან უკრაინა-ბელორუსიის საზღვარზე, სადაც ა. საბუროვის მებრძოლებმა ბაზები და აეროდრომები შექმნეს. 3-დღიანი ბრძოლის შედეგად, ნაციონალისტებმა აიძულეს მოწინააღმდეგე, სამხრეთით წასულიყო[2].

1943 წლის ივნისში დაიწყო ალბათ, ერთი-ერთი ყველაზე ცნობილი ოპერაცია, რომელიც ჩაატარეს საბჭოთა პარტიზანებმა მეორე მსოფლიო ომის დროს. რეიდში მონაწილეობდა სუმის პარტიზანული რაზმი სიდორ კოვპაკის მეთაურობით. რეიდისათვის საკმაოდ დიდი შენაერთი იყო შეკრებილი: 1928 გამოცდილი მებრძოლი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ 1443 შაშხანით, 384 ავტომატით, 140 ტყვიამფრქვევით, 8 ქვემეხით, 33 ნაღმმტყორცნითა და 32 ტანკსაწინააღმდეგო შაშხანით. პარტიზანებს ასევე ჰყავდა 611 ცხენი და აღალი, რომელიც 255 საზიდავისგან შედგებოდა. რაზმი კარგად იყო აღჭურვილი რეიდისათვის.[3]

პარტიზანების ცნობებით, ამ რეიდის დროს მათ რამდენიმეჯერ მოუწიათ

---

[1] И. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 442; А. Кентій «Двофронтова» боротьба УПА (1943 - перша половина 1944 рр.), გვ. 201.

[2] И. Патриляк. «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 441-442.

[3] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 393.

შეტაკება უკრაინელ ნაციონალისტებთან,[1] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეიდის ხელმძღვანელები მაქსიმალურად ერიდებოდნენ მსგავს დაპირისპირებას. მაგალითად, მდ. გორინის გადალახვისას ივანოვის (იანოვოის) ველთან ახლოს, ისინი გადააწყდნენ პოლონური შუცმანშაფტი (ბატალიონი) და გერმანული ჟანდარმერიის ნაწილებს. ამიტომ, კოვპაკმა გადაწყვიტა სოფლებს კორჩინსა და ზდვიჟს შორის პონტონის ხიდის აგება. აღმოჩნდა, რომ სოფელ ზდვიჟში ნაციონალისტების 500-კაციანი რაზმი იყო განლაგებული. დაპირისპირება არც ერთი მხარის ინტერესში არ შედიოდა: პარტიზანების თითქმის 2000-კაციანი რაზმისთვის ზდვიჟის დაკავება დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ ბრძოლის გამართვა გერმანელებს საშუალებას მისცემდა, გაერკვიათ კოვპაკის დაჯგუფების ადგილსამყოფელი, რაც რეიდის ჩაშლას გამოიწვევდა. თავად ს. კოვპაკი მაინც ბრძოლის გამართვისკენ იხრებოდა, თუმცა ის წააწყდა რაზმის კომისარ სემიონ რუდნევის წინააღმდეგობას და იძულებული გახდა, მოლაპარაკებების გზას დადგომოდა. როგორც რუდნევმა თავის დღიურში ჩაწერა, ორივე მხარე დიდი დანაკარგებს მიიღებდა, ასევე ბრძოლის შედეგად მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი იქნებოდა და დაიღუპებოდნენ ქალები და ბავშვები. გარდა ამისა, ის ხაზს უსვამდა, რომ გერმანელებისათვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა პარტიზანების ხელით ნაციონალისტების განადგურება, რაც, ამავე დროს, ამ უკანასკნელებს დაარწმუნებდა, რომ პარტიზანები მათი მტრები იყვნენ. რუდნევის თქმით, არსებობდა პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გადაჭრის გზა.[2]

ს. რუდნევის ჩარევის შედეგად, შემუშავებულ იქნა წერილი, რომელიც გაუგზავნეს ნაციონალისტებს. წერილის ტონი იყო მშვიდობიანი, მასში აღნიშნული იყო, რომ პარტიზანებისთვის მტერი იყო მხოლოდ გერმანელები და მათ არ სურდათ უკრაინელებთან ბრძოლა. ამიტომ, პარტიზანები სთხოვდნენ ნაციონალისტებს, ხელი არ შეეშალათ ხიდის აგებაში. აქვე ნათქვამი იყო, რომ თუ ნაციონალისტები პარტიზანებს ხიდის აგების უფლებას არ მისცემდნენ, მაშინ ეს უკანასკნელები იძულებული იქნებოდნენ, ცეცხლი გაეხსნათ და ბრძოლით გადაელახათ მდინარე გორინი. საპასუხო წერილში ნათქვამი იყო, რომ პარტიზანებს მდინარის მეორე ნაპირზე არ მისცემდნენ გადასვლის შესაძლებლობას. კოვპაკი ამ პასუხზე

[1] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 394.

[2] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 395

გაღიზიანდა და არტილერიის გამოყენებას აპირებდა სოფლის გასანადგურებლად, თუმცა, რუდნევის რჩევით, მოლაპარაკებები გაგრძელდა და ნაციონალისტებთან გაგზავნეს პარტიზანების ერთ-ერთი ოფიცერი, უკრაინული ენის კარგად მცოდნე შუმეიკო. პარალელურად, რუდნევისვე რჩევით, დაიწყო პონტონური ხიდის აგება. ამჯერად მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. პარტიზანებმა გაათავისუფლეს რეიდის მსვლელობისას აყვანილი ტყვეები და დაჭრილები, ნაციონალისტებმა კი მათ მდინარის გადალახვის უფლება მისცეს. კომისარ რუდნევის მტკიცებით, მისთვის ეს იყო დიდი პირადი და პოლიტიკური გამარჯვება. პირადი, რადგანაც, სიდორ კოვპაკის წინააღმდეგობის მიუხედავად,[1] საკითხი მშვიდობიანად გადაწყდა და პოლიტიკური იმ გაგებით, რომ საბჭოთა პარტიზანებსა და უკრაინელ ნაციონალისტებს შორის არსებობდა ერთობა და ერთი ოცნება – ფაშიზმის განადგურება.[2]

მართალია, რეიდის დროს პარტიზანები მაქსიმალურად ცდილობდნენ, თავიდან აერიდებინათ დაპირისპირება უკრაინელ ნაციონალისტებთან, ცალსახაა, რომ საბჭოთა მხარე მათ მომავალ მოწინააღმდეგეებად აღიქვამდა. სიდორ კოვპაკმა ლაშქრობის შემაჯამებელ დოკუმენტში აღნიშნა, რომ უკრაინელი ნაციონალისტები განსაკუთრებულად ძლიერი იყვნენ რივნეს ოლქში, სადაც მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს აჭარბებდა. საბჭოთა პარტიზანთა მეთაური წერდა, რომ ე.წ. უკრაინელ მეამბოხეთა არმია, მიუხედავად იმისა, რომ იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ, ძალებს ზოგავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც. კოვპაკმა აღნიშნა ასევე, რომ განსაკუთრებით სახიფათო ჯგუფი არსებობს ვოლინში, სადაც უკრაინელ ნაციონალისტებს უკვე ჩატარებული ჰქონდათ მოსამზადებელი სამუშაოები საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად. ის ასევე გამოთქვამდა აზრს, რომ უკრაინელი ნაციონალისტები აქტიურად მოაწყობდნენ

[1] რეიდის მსვლელობისას, მოგვიანებით, კოვპაკი, სხვა მეთაურების მოთხოვნით, ფაქტობრივად ჩამოაცილეს ხელმძღვანელობას და რეალური ძალაუფლება სიკვდილამდე სწორედ ს. რუდნევს ჰქონდა (იხ.: Від Полісся до Карпат: Карпатський рейд Сумського партизанського з'єднання під командуванням С. А. Ковпака (червень-вересень 1943 р.) очима учасників, мовою документів. Упор. А. В. Кентій, В. С. Лозицький. Київ: Парламентское вид-во, 2005, გვ. 226).

[2] Дневник С. В. Руднева (7 мая – 25 июля 1943 г.). – წიგნში: Партизанская война на Украине. Дневники командиров партизанских отряд ов и соединений. 1941-1944. Москва: ЗАО Издательство Центрполиграф, 2010, გვ. 106.

დივერსიებს რკინიგზაზე.[1]

რაც უფრო უახლოვდებოდა ფრონტის ხაზი დასავლეთ უკრაინას, მით უფრო იზრდებოდა საბჭოთა პარტიზანების რაოდენობა ტყეებში. ამ დროიდან მოყოლებული, მათ სისტემატურად უწევდათ ბრძოლა როგორც გერმანულ ჯარებთან, ისე უკრაინელ ნაციონალისტებთან. საბჭოთა ხელისუფლება შეშინებული იყო უნო(ბ)-სა და უკრაინელ მეამბოხეთა არმიის აქტივობით. თავის მხრივ, უკრაინელი ნაციონალისტებიც აგრძელებდნენ პარტიზანების სატყეო მასივებიდან განდევნის მცდელობებს. გარდა ამისა, ნაციონალისტები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ საბჭოთა პარტიზანების სურსათის მომარაგებისთვის ათვის და მკაცრად სჯიდნენ იმ გლეხებს, რომლებიც თავისი ნებით აძლევდნენ საკვებს საბჭოთა პარტიზანებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ, როგორც პარტიზანთა ერთ-ერთი ლიდერი ვ. ბეგმა იხსენებდა, სასურსათო ოპერაციებზე პარტიზანები ათეულობით და ასეულობით, ავტომატებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული გადიოდნენ.[2]

პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელები არ მალავდნენ თავის შეშფოთებას იმის გამო, რომ დასავლეთ უკრაინაში ვითარება ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე სხვაგან. აქ უკრაინელი ნაციონალისტები აფერხებდნენ პარტიზანული მოძრაობის განვითარებას, ანადგურებდნენ მცირერიცხოვან პარტიზანულ რაზმებს, უქმნიდნენ მათ არსებობის უმძიმეს პირობებს, მუდმივად აწყობდნენ ჩასაფრებებს და ახორციელებდნენ თავდასხმებს.[3] ისინი ასევე აღნიშნავდნენ, რომ ნაციონალისტები „კარგად იბრძოდნენ“.[4] თავის მხრივ, უკრაინელი ნაციონალისტები პარტიზანებს გერმანელებზე უკვე სახიფათო მტრად თვლიდნენ, რადგან ეს უკანასკნელები მსხვერპლს არ ერიდებოდნენ.[5] აქვე უნდა ითქვას, რომ უკრაინელ ნაციონალისტებსა და საბჭოთა პარტიზანებს შორის ბრძოლის მეთოდებში ბევრი რამ იყო საერთო. ამავე დროს, ადგილი ჰქონდა სერიოზულ განსხვავებებსაც. ასე, მაგალითად, საბჭოთა

---

[1] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 396-397. ამ მოვლენებიდან მცირე ხანში, აგვისტოს დასაწყისში, რეიდის მსვლელობისას ს. რუდნევი დაიღუპა დელიატინთან (დღ. ივანო-ფრანკოვსკის ოლქი) და მოგვიანებით გამოთქმულ იქნა ვარაუდი, რომ ამის მიზეზი სწორედ მისი ნაციონალისტებთან კარგი დამოკიდებულება იყო (იხ.: Правда, 13 апреля 1990 г., №103, გვ. 8), თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და ის მართლაც გერმანელებთან შეტაკებაში მოკლეს.

[2] І. Патриляк. 1943 рік в історії ОУН і УПА. *Український визвольний рух,* №13, გვ. 188.

[3] И. Білас. Репресивно-каральна система в Україні 1917-1953, т. 2, გვ. 398.

[4] А. Кентій. «Двофронтова» боротьба УПА (1943 – перша половина 1944 рр.), გვ. 206.

[5] Л. Шанковський. Українська Повстанча Армія, Історія українського війська. 1917-1995. Львів: "Світ", 1996, გვ. 530.

პარტიზანების ძლიერი მხარე იყო კარგი შეიარაღება, კვალიფიციური ოფიცრები, მათ შორის, წითელი არმიის სერჟანტები და რიგითები, რომლებსაც ჰქონდათ საბრძოლო გამოცდილება. უკრაინელი ნაციონალისტების პლიუსი იყო დახმარება ადგილობრივი მოსახლეობისგან. სწორედ ეს ფაქტორი ძალზე ეხმარებოდა მათ – ადვილი იყო მტრის ნაწილების გადაადგილების შესახებ ცნობების მიღება, იოლად გვარდებოდა მომარაგების საკითხი და, საჭიროების შემთხვევაში, არსებობდა ადგილი, სადაც დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების მოთავსება შეიძლებოდა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა საბჭოთა მხარისთვის 1944 წლის იანვარ-თებერვალში, როდესაც წითელმა არმიამ დაიკავა ვოლინის და პოლესიეს ტერიტორიების დიდი ნაწილი. ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ უკრაინაში პარტიზანული მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე ი. სტარინოვი პირდაპირ ამბობდა: პარტიზანები ტერნოპილის რაიონის ტერიტორიაზე თავს ისე გრძნობდენ, თითქოს გერმანიაში იყვნენო.[1]

1943 წლის ზაფხულის დასაწყისში გერმანელებმა დაიწყეს ბრძოლა „ბანდიტიზმის" წინააღმდეგ დასავლეთ უკრაინაში. ზაფხულის განმავლობაში უკრაინელ ნაციონალისტებსა და გერმანელებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლები ვოლინში. მასში გერმანელების მხრიდან 10 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობდა. გამოიყენებოდა ტანკები, მძიმე არტილერია და ავიაცია.[2] გერმანელებმა ამ ბრძოლების განმავლობაში დაკარგეს 3 ათასი დაღუპულების და დაჭრილების სახით, უკრაინელმა ნაციონალისტებმა კი – დაკარგეს 1237 ადამიანი დაღუპულებით და დაჭრილების სახით, გერმანელების ქმედებების შედეგად დაშავდა 5 ათასზე მეტი ადამიანი ადგილობრივი მოსახლეობისგან. იქედან გამომდინარე, რომ ზაფხულში გერმანელებს არ გამოუვიდათ უკრაინელი ნაციონალისტების მოსპობა, ამის მცდელობები მათ შემოდგომაზე გააგრძელეს, თუმცა, ვერ მოახერხეს ახლად შექმნილი უკრაინული მეამბოხეთა არმიის განადგურება. 1943 წლის ნოემბრისთვის კი წითელი არმია უკვე იმყოფებოდა უკრაინის ტერიტორიაზე, და შესაბამისად, მესამე რაიხისთვის პრიორიტეტები შეიცვალა. თვითონ უკრაინელებმაც ამ შემთხვევაში შეწყვიტეს ფართომასშტაბიანი

---

[1] А. Кентій. «Двофронтова» боротьба УПА (1943 – перша половина 1944 рр.), გვ. 209.

[2] А. Кентій, Перехід ОУН (Б) на антинімецкіе позциі (1941-1942), Кульчицький С. Організація українських націоналістів… გვ. 184

ანტიგერმანული აქციები, თუმცა ეს განპირობებული იყო ზამთრის მოახლოებით და არა რაიმე სხვა მიზეზით.[1]

1943 წლის 21-25 აგვისტოს, ტერნოპილის ოლქში, სოფელ ზოლოტა სლობოდაში ჩატარდა უნო(ბ)-ს მე-3 საგანგებო დიდი კრება. კონფერენციაზე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, პირველ რიგში, მიზნად იქნა დასახული უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება, რომელიც პოლიტიკურად თუ სოციალურად სამართლიანი იქნებოდა. აქვე ითქვა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ბრძოლით, რისთვისაც საჭირო იყო მთელი უკრაინელი ხალხის გაერთიანება, რაც დამოუკიდებელი უკრაინისთვის ბრძოლაში გასამარჯვებლად მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა.[2] ამის მისაღწევად კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არის შემდეგი პუნქტები:

1. „უნო იბრძვის იმპერიალისტების და იმპერიების – საბჭოთა კავშირის და გერმანული „ახალი ევროპის" წინააღმდეგ.
2. უნო ეწინააღმდეგება და დაუნდობლად ებრძვის ინტერნაციონალისტურ და ფაშისტურ-ნაციონალურ-სოციალისტურ პროგრამებს და პოლიტიკურ კონცეფციებს, ვინაიდან ისინი იმპერიალისტების დაპყრობითი პოლიტიკის ინსტრუმენტებია.
3. უნო წინააღმდეგი არის, რომ ერთმა ერმა, თავისი იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად „გაათავისუფლოს", „დაცვის ქვეშ" აიყვანოს ნებისმიერი სხვა ერი, ვინაიდან ამის უკან ძარცვის, გაბატონების და დამონების სურვილი დგას. სწორად ამიტომ უნო იბრძვის რუსი და გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, სანამ უკრაინა არ იქნება გაწმენდილი ყველა „დამცველისა" და „განმათავისუფლებლისგან", სანამ დამოუკიდებელ უკრაინაში ყოველი სოფლელი, მუშა და ინტელიგენტი ვერ შეძლებს თავისუფლად იშრომოს და სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი კულტურული და შეძლებული ცხოვრების უფლებით.
4. მიმდინარე ომი (იგულისხმება სსრკ-გერმანიის ომი და არა მთლიანად მეორე

[1] А. Кентій, Перехід ОУН (Б) на антинімецкіе позциі (1941-1942), Кульчицький С. Організація українських націоналістів… გვ. 186
[2] Літопис УПА, т. 24, გვ. 230.

მსოფლიო ომი – გ.ც.) არის ომი კონკურენტ იმპერიალიზმებს შორის მატერიალური სიმდიდრეების გადანაწილებისა და ნედლეულის ახალ წყაროებზე კონტროლის დამყარებისათვის. ასეთ ომს არ შეუძლია პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება და ახალი, პროგრესული იდეების გაჩენა. აღნიშნულ პერიოდში ომი მივიდა ისეთ სტადიამდე, რომელიც გამოირჩევა იმპერიალიზმების ძალების შესუსტებით, შეუსაბამობების ზრდით მათ შორის და დამონებული ხალხების ბრძოლის გაძლიერებით. უკრაინა აღმოჩნდა ასეთი ომის ცენტრში და მხოლოდ საერთო ბრძოლაში (უკრაინელი ხალხის და სხვა დამონებული ხალხების) შესაძლებელია ბოლშევიზმის დამარცხება.

5. თეთრი რუსული იმპერიალიზმის ნარჩენები (იგულისხმება ვლასოვის დაჯგუფება და რუსი ოფიცრების კავშირი) არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას. ისინი ემსახურებიან სხვა იმპერიალიზმებს და თავადურ-კაპიტალისტური წყობის მომხრე არიან. უკრაინაში მათ არ ჰყავთ მომხრეები და რუსეთში კი მათი მომხრეები ბოლშევიზმის მხარეს გადადიან. პოლონური იმპერიალისტური ხელმძღვანელობა ემსახურება სხვა იმპერიალიზმებს და ხალხების დამოუკიდებლობის მტერია. ის აპირებს გამოიყენოს პოლონელი ხალხი უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით დაეხმარება გერმანულ და მოსკოვურ იმპერიალიზმებს უკრაინელი ხალხის განადგურებაში“.[1]

უნო(ბ)-ს მე-3 საგანგებო დიდი კრებით პრაქტიკულად გაფორმდა, რომ ბანდერას ფრთა უკვე არანაირ სხვაობას არ ხედავდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. ამ პერიოდისთვის ახლად დაარსებულმა უმა-მ უკვე დაიწყო ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ. თუმცა პირველი შეტაკებები მძიმედ წარიმართა, ძირითადად, დაბალი სამხედრო მომზადების გამო.[2] გარდა ამისა, ამ მომენტისათვის აშკარა გახდა, რომ უნო(მ) თავის პოზიციებს საბოლოოდ კარგავდა. მართალია, მელნიკელები 1943 გაზაფხულზე კიდევ ცდილობდნენ გარკვეულ აქტიურობას, შექმნეს რამდენიმე რაზმიც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა კურენი

---

[1] Літопис УПА, т. 24, გვ. 230-237.

[2] სხვათა შორის, უმა-ს ამ ნაკლს იმ პერიოდში საბჭოთა პარტიზანებიც ადასტურებენ (იხ.: А. Кентій, Перехід ОУН (Б) на антинімецкіе позиції (1941-1942), გვ. 181).

„ხრონი“. მათი ურთიერთობა ბანდერელებთან არც ისე კარგი იყო, განსაკუთრებით გალიჩინაში, სადაც 1943 წლის 11 მაისს მოკლულ იქნა უნო(მ)-ის ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი მიროსლავ ბარანოვსკი. მკვლელობაში ეგრევე დადანაშაულებულ იქნენ ბანდერელები, რომლებმაც პასუხად გაავრცელეს განცხადება, რომ უნო(ზ)-სა და, განსაკუთრებით, ბანდერას ზიზღი ბარანოვსკის მიმართ უკვე საკმარისი საბაბი იყო მისი მკვლელობისთვის.[1] მიუხედავად ამისა, მსგავსი დამოკიდებულება მხარეებს შორის ყველგან არ იყო. ასე, მაგალითად, ვოლინში, 13 მაისს მელნიკელები და ბანდერელები შეთანხმდნენ ერთობლივ ქმედებებზე. კონკრეტულად, ისინი ჩასაფრებებს ამზადებდნენ მცირერიცხოვან გერმანულ რაზმებზე და პოლონურ დასახლებულ პუნქტებზე. გარდა ამისა, ერთ-ერთი ჩასაფრების დროს მოკლულ იქნა მართლმადიდებელი მიტროპოლიტი ოლექსი (გრომადსკი). საინტერესოა, რომ 1943 წლის 13 მაისს სდ-ს მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მიმართვაში დადასტურებულია ვოლინსა და ჟიტომირისგან ჩრდილოეთით მდებარე მდებარე ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ნაციონალისტების კონტროლის ქვეშ გადასვლა.[2] თუმცა, იდილია ბანდერელებსა და მელნიკელებს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. 1943 წლის 7 ივლისს ბანდერელებმა განაიარაღეს კურენი „ხრონი“ და მისი წევრების ნაწილი შეუერთეს უმა-ს.[3]

## 1.4. უკრაინელი ნაციონალისტების ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის 1943 წლის ნოემბრიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე. უკრაინელი ნაციონალისტების საქმიანობის შეფასება

1943 წლის ნოემბერში შეიქმნა უკრაინელ მეამბოხეთა არმიის მთავარი სარდლობა, რომელიც ხელმძღვანელი გახდა რომან შუხევიჩი და მთავარი სამხედრო შტაბი.[4] ამით პრაქტიკულად დასრულდა უმა-ს ჩამოყალიბება. ამავე დროს, უმა-ს

---

[1] Г. Мотика. Від волинської різанини до операції "Вісла", გვ. 191.

[2] А. Кентій, Перехід ОУН (Б) на антинімецкіе позиці (1941-1942), გვ. 182.

[3] Г. Мотика. Від волинської різанини до операції "Вісла". Польсько-український конфлікт 1943–1947 рр. Авториз. пер. з пол. А. Павлишина, післям. д.і.н. І. Ільюшина. – Київ: Дух і літера, 2013, გვ. 191.

[4] І. Патриляк. Перемога або смерть, გვ. 129.

სტრუქტურა არ იყო მყარი. ის ყოველთვის გამომდინარეობდა იმ ვითარებიდან, რომელშიც იმყოფებოდნენ უკრაინელი ნაციონალისტები და იცვლებოდა დროთა განმავლობაში, რათა უკეთესად ემოქმედა მტრის წინააღმდეგ. 1943-1944 წლებში სტრუქტურულად უმა იყოფოდა 4 სამხარეოდ, ანუ გენერალურ სამხედრო ოლქად:

1. უმა-ჩრდილოეთი (ვოლინი, დასავლეთ პოლესე, ჟიტომირის ოლქის ტერიტორია, კიევის ოლქის ჩრდილოეთ-დასავლეთი ტერიტორიები).
2. უმა-დასავლეთი (გალიჩინა, კარპატები, ბუკოვინა, იმიერკარპატები, ხოლმშინა, გრუბეშივშინა, ტომაშივშინა, ლუბაჩივშინა).
3. უმა-სამხრეთი (ხმელნიცკის, ვინიცის ოლქების ტერიტორია და ჩერკასის და კიროვოგრადსკის ოლქების ტერიტორიების ნაწილი).
4. უმა-აღმოსავლეთი (უნდა ყოფილიყო ჩერნიგოვის და სუმის ტერიტორიაზე, თუმცა რეალურად ამ ტერიტორიებზე მეამბოხეები მხოლოდ რეიდებს ატარებდნენ, რომლებშიც რამდენიმე მცირერიცხოვანი რაზმი მონაწილეობდა).[1]

თავად სამხარეოები დაყოფილი იყო სამხედრო ოლქებად. მის შემადგენლობაში შედიოდა უმა-ს ჯგუფი, რომელიც, ჩანაფიქრის მიხედვით, მებრძოლების რაოდენობით დივიზიას უნდა გატოლებოდა.[2]

უმა-ს უკვე მალევე მოუწია საბჭოთა ჯარებთან დაპირისპირება. რაც უფრო უახლოვდებოდა წითელი არმია დასავლეთ უკრაინის ტერიტორიას, იცვლებოდა ვითარება. 1944 წლის იანვარში წითელმა არმიამ მიაღწია სსრკ-პოლონეთის 1939 წლის საზღვარს. ჯგუფი „ზაგრავას“ (რომელიც უმა-ის სამხრეთის სარდლობას ეკუთვნებოდა) მიერ შედგენილ დოკუმენტში აღნიშნული იყო საბჭოთა ძალების სვლა უკრაინის ჩრდილოეთ-დასავლურ მიწებზე. კონკრეტულად აღნიშნული იყო, რომ ბოლშევიკები გადაადგილდებოდნენ კიევის-სარნის სარკინიგზოს ხაზის მეშვეობით. კოროსტენიდან სარნამდე საბჭოთა ძალებს არ შეხვდა არც ერთი მსხვილი გერმანული ნაწილი, მხოლოდ მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები, რომლებიც უკან იხევდნენ. 10 იანვარს საბჭოთა ნაწილებმა აიღეს ქალაქი სარნი. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ წითელი არმია არ შედიოდა ღრმად ტყეებში, სადაც იმყოფებოდნენ უკრაინელი ნაციონალისტები, არც ფართომასშტაბიან

[1] Патриляк І., «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 218.
[2] Патриляк І., «Встань і борись! Слухай і вір...», გვ. 219.

ბრძოლებს არ იწყებდნენ უკრაინული მეამბოხეთა არმიის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში თუ ნაციონალისტების რაზმი უკან იხევდა, წითელი არმია არ იწყებდა მის დევნას. თავისთავად, მას შემდეგ, რაც საბრძოლო ქმედებები გასცდნენ სარნის და აღნიშნულ ტერიტორიას, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო სამოქალაქო ადმინისტრაციის შემქნა. საკვანძო პოსტებზე ბოლშევიკები სცდილობდნენ იმ პირების დაყენებას, რომლებიც იკავებდნენ ამ პოსტებს 1941 წლამდე. უპირველესი პრობლემა, რომელიც დადგა ახლად შექმნილ ადმინისტრაციის წინაშე, ეს იყო ხორბლის მიწოდება სახელმწიფოს. ნორმა იყო 120-180 კილოგრამი ხორბალი 1 ჰექტარიდან. სოფლის მაცხოვრებლები, რომლებისათვის ეს რიცხვები მძიმე ტვირთი იყო, თავისი ნებით არ აბარებდნენ მიღებულ ნორმას. ხშირად, შსსკ მონაწილეობდა ნორმის აკრეფაში. ასევე, გარდა აღნიშნული ზომებისა, საბჭოთა ადმინისტრაციამ დაიწყო კოოპერატივების, რძის ქარხნის, პროფკავშირების შექმნა. გარკვეული წინააღმდეგობა იყო ასევე სოფლის გამგებლების მხრიდან. თავისთავად, 3-წლიანი ომის პირობებში ძნელი იყო ასეთი ნორმების შესრულება, რაც გარკვეულ გაღიზიანებას იწვევდა სოფლის მაცხოვრებლებში. ამასთან ერთად, გააქტიურდნენ საბჭოთა პარტიზანებიც, რომელთა გამოყენებას საბჭოთა ხელისუფლება უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ გეგმავდა. თუმცა, ამ ნაბიჯმა არ გაამართლა. როგორც დოკუმენტში აღნიშნული იყო, საბჭოთა პარტიზანები იყვნენ ცნობილი თავისი მაროდიორობით, ძარცვებით და ცუდი საქციელებით ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ამის შედეგად მოსახლეობა საბჭოთა პარტიზანების მიმართ არ გამოირჩეოდა დიდი სიყვარულით.[1]

დოკუმენტში ასევე მოცემული იყო საბჭოთა ჯარისკაცების დამოკიდებულება უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ და ზოგადად ის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდნენ საბჭოთა პროპაგანდისტები წითელ არმიაში. წითელარმიელებს ასწავლიდნენ, რომ როდესაც ისინი შევიდოდნენ დასავლეთ უკრაინაში, იქ დახვდებიან „ბანდერელი ბანდიტები“, რომლებიც კლავდნენ და ხოცავდნენ ყველას, მიუხედავად ასაკისა თუ სქესისა. აფრთხილებდნენ, რომ ტყეში არ უნდა ევლოთ ცალ-ცალკე.[2] აქედან გამომდინარე, წითელარმიელებს ძალიან უკვირდათ, როდესაც სრულიად საპირისპირო სურათი ნახეს. მათ არ კლავდნენ, არ აწამებდნენ, პირიქით,

---

[1] Прихід Совітів у райони північно-західних областей. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 164.
[2] Прихід Совітів у райони північно-західних областей. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 164.

წითელარმიელებმა უკრაინელ ნაციონალისტებში „სასტიკი ბანდიტების“ ნაცვლად დაინახეს ახლო მეგობრები, რომლებმაც ასვეს და აჭამეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრი ტყვედ აყვანილი წითელარმიელი უკრაინულ მეამბოხეთა არმიაში გაწევრიანების სურვილს გამოთქვამდა. უმრავლესობა იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ დასავლეთ უკრაინის გერმანიის ჯარებისგან განთავისუფლებაში, სწორედ უკრაინელებს წარმოადგენდნენ. მათ ეშინოდათ უმა-ს შემადგენლობაში შესვლა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, მათ ოჯახებს შეექმნებოდათ საფრთხე. როგორც ისინი პირად საუბრებში ამბოდნენ, „სულ ერთია, მაინც მოვკვდები, ან ფრონტის ხაზზე, ან გადამღობი რაზმის მიერ, ან შსსკ-ი მომკლავს, თუ გავიქცევი“.[1] ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ჯარისკაცების დამოკიდებულება არ იყო მტრული. როდესაც სოფლებში შედიოდნენ, წითელარმიელები საჭმელს ითხოვდნენ და თავის გასაჭირს ეუბნებოდნენ.[2]

1944 წლის იანვარში, უმა-ჩრდილოეთის სარდლობამ გაავრცელა ბრძანება თავის ჯგუფებისთვის. ბრძანებაში იყო აღწერილი, თუ როგორ უნდა ემოქმედათ უკრაინელ მეამბოხეებს ახალ ვითარებაში. აკრძალული იყო აგიტაციის ჩატარება უკრაინელი ნაციონალისტებისთვის მტრულ გარემოცვაში. ასევე აიკრძალა კავშირის დამყარება იმ სამოქალაქო პირებთან, რომლებიც წითელი არმიასთან ბრუნდებოდნენ, ვინაიდან ისინი იყვნენ გამოცდილი ბოლშევიკური აქტივი. უმა-ს ყველა წევრს ეკრძალებოდა მუშაობა სახელმწიფო-პოლიტიკურ, სამეურნეო, ბოლშევიკურ უწყებებში, ვინაიდან არსებობდა იმის საფრთხე, რომ ეს ხალხი უმა-ს წინააღმდეგ აგენტურულ მუშაობაში ჩაერთოთ, როგორც გადაბირებული აგენტები. თითოეულ საბჭოთა უწყებაში არსებობდა სპეცგანყოფილება, რომელიც დაკავებული იყო უწყების თანამშრომლების შემოწმებით თუ მტრების ძებნით. სკოლებში ასეთ ფუნქციებს დირექტორები და კომკავშირის მდივნები ასრულებდნენ. აღნიშნული იყო ასევე, რომ საბჭოთა უსაფრთხოება ათავისუფლებდა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ადამიანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დათანხმდებოდნენ საბჭოთა უშიშროებაზე მუშაობას. ის პირები, რომლებიც დატოვებდნენ უმა-ს და მუშაობდნენ ბოლშევიკურ უწყებებში, უმა-ის რიგებში დაბრუნებას ვერ შეძლებდნენ, თუნდაც ასეთი სურვილი გასჩენოდათ. უმა-ის წევრები ჯგუფებად უნდა

---

[1] Прихід Совітів у райони північно-західних областей. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 164-165.

[2] Прихід Совітів у райони північно-західних областей. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 165.

ყოფილიყვნენ გაერთიანებული. სიკვდილით დასჯას ექვემდებარებოდნენ პირები, რომლებმაც თანხმობა გასცეს ბოლშევიკების ან გერმანელების მხარეზე მუშაობაზე.[1]

ამ პერიოდში უკრაინელი ნაციონალისტები სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად ებრძოდნენ საბჭოთა ჯარებს და გერმანელებს. 1943 წლის 24 დეკემბერს უმა მთავარმა სამხედრო შტაბმა გასცა „ტაქტიკური ინსტრუქცია“, სადაც კარგად იყო რეგლამენტირებული, თუ როგორ უნდა ებრძოლათ მეამბოხეებს გერმანელების და „ბოლშევიკი პარტიზანების“ წინააღმდეგ, „ფრონტის პირასა“ და „საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ“. გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლის გამართვა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავდაცვის შემთხვევაში. მთავარი იყო ფიზიკური, მატერიალური და სულიერი ძალების შენარჩუნება გადამწყვეტი მომენტისათვის. აქვე აღინიშნებოდა, რომ ყოველი ზამთრის დღე, რომელიც დანაკარგების გარეშე გაივლიდა, იყო უკრაინელების გამარჯვება.[2] მიუხედავად ამისა, გერმანელებთან შეტაკებებმა იმატა. ასე, მაგალითად, 9 იანვარს ვინიცის ოლქში სოფელ ლისოგორსკში იყო შეტაკება უკრაინელ ნაციონალისტებსა და გერმანელების შორის. მეამბოხეების დაზვერვისთვის ცნობილი გახდა, რომ სოფელს უახლოვდებოდა გერმანული ავტოკოლონა 7 მანქანისა და 150 ადამიანის რაოდენობით. როდესაც გერმანელები სოფელს მიუახლოვდნენ, იქ დახვდათ უკრაინელების საგუშაგო. კოლონა გაჩერდა და სიტუაციის გასარკვევად ერთ-ერთი გერმანელი ოფიცერი. როდესაც გერმანელი შეეკითხა უკრაინელ მეამბოხეს, თუ ვინ იყვნენ ისინი, პასუხად მიიღო შემდეგი რამ: „ჩვენ დონელი კაზაკები ვართ და სოფელში აღარ შეგიშვებთ“. მაგრამ აქ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ერთ-ერთმა მეამბოხემ, რომელიც საგუშაგოსთან იდგა დაიყვირა: „ჩვენ უკრაინელი მეამბოხეები ვართ!“. ამ სიტყვების შემდეგ გერმანელი ოფიცერი ავტოკოლონის მიმართულებით გაიქცა და როდესაც ის მიუახლოვდა თავის კოლონას, დაიწყო ბრძოლა. საერთო ჯამში შეტაკება მიმდინარეობდა 11.30-დან 19.30-მდე. ბრძოლის შედეგად დაღუპული გერმანელების რაოდენობა უცნობია, რადგანაც ბრძოლის ველზე დაღუპული გერმანელების ცხედრები არ დარჩენილა. უკრაინელებმა დაკარგეს მსუბუქად დაჭრილის სახით ერთი ადამიანი. გარდა ამისა, მიიღეს ნადავლის სახით: 4 ავტომანქანა, 8

---

[1] Инструкция №1 командирам отдельных участников при главном штабе УПА «Северная группа». ГДА СБУ, ф. 13. спр. 372, т. 3, арк. 118-119.

[2] А. Кентій, «Двофронтова» боротьба УПА (1943 – перша половина 1944 рр.), გვ. 191-192.

ტყვიამფრქვევი, 3 საპოლკო ნაღმსატყორცნი, 1000 ხელყუმბარაზე მეტი, რამდენიმე ნაღმი და ამუნიცია.[1]

იმავე წლის 20 იანვარს, კამიანეც-პოდილსკის ოლქში, ვინკოვეცის რაიონში, სოფელ პეტრაშივში გაიმართა ბრძოლა გერმანელების და მეამბოხეების შორის. ვერმახტის 180-კაციანი რაზმი დაიძრა პროსკუროვიდან პარტიზანების ლიკვიდაციისათვის. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, უკრაინელთა რაზმი თვითონ დაიძრა გერმანელების „შესახვედრად" და მათ სამხრეთიდან და დასავლეთიდან შეუტია. ბრძოლის შედეგად ვერმახტის შენაერთი დამარცხდა. გერმანელებმა დაკარგეს დაახლოებით 30 ჯარისკაცი დაღუპულების სახით. უკრაინელი მეამბოხეების მსხვერპლმა კი შეადგინა 2 დაღუპული და 1 მსუბუქად დაჭრილი. როგორც უმა-ს წევრები წერდნენ, მათ „მტრების გვამებით უკრაინული ველი გაავსეს".[2]

24 იანვარს კამიანეც-პოდილსკის ოლქში სოფელ კანივკაში გაიმართა შეიარაღებული შეტაკება ვერმახტსა და უკრაინელი ნაციონალისტების შორის. ამჯერად უკრაინელი ნაციონალისტების რაზმმა ვერ შესძლო ვოლინისკენ გადასვლა, რადგან გერმანელების რაოდენობა დიდი იყო. ამის გამო რაზმი სოფელ კანივკაში გაჩერდა. როდესაც ვერმახტისთვის ეს ცნობილი გახდა, სოფლისკენ გერმანული ავტოკოლონა დაიძრა. პირველი შეტევა მოგერიებულ იქნა, მაგრამ შემდეგ გერმანელებმა, დაახლოებით 800 ჯარისკაცის, 3 მსუბუქი ტანკისა და არტილერიის გამოყენებით, ალყა შემოარტყეს სოფელს და შეტევაზე გადავიდნენ. ნაციონალისტები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ და დაეტოვებინათ სოფელი. უმა-ს წევრების ცნობით, გერმანელების დანაკარგი 102 დაღუპული და უცნობი რაოდენობის დაჭრილი იყო, უკრაინელი ნაციონალისტების კი – 4 დაღუპული და 1 დაჭრილი, თუმცა გაცილებით დიდი იყო მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაში – 170 ადამიანი.[3]

იანვრის ბოლოსთვის შეტაკებების რიცხვმა იკლო. ამ პერიოდში გერმანელებმა სცადეს მოლაპარაკებების დაწყება უმა-სთან, რათა ისინი გადაერთოთ წითელი

---

[1] Короткий опис боїв. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 170.

[2] Короткий опис боїв. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 170.

[3] Короткий опис боїв. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 170. დაღუპული გერმანელების რიცხვი არც ისე სანდოა უკრაინელების მსხვერპლის გათვალისწინებით – გ.ც.

არმიის, ასევე საბჭოთა და პოლონელი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად.[1] უკრაინელები ამის წინააღმდეგ წავიდნენ. 1944 წლის 7 თებერვალს უმა-ჩრდილოეთის ერთ-ერთი მეთაური პ. ანტონიუკი (სოსენკო) დახვრიტეს იმის გამო, რომ მან დაიწყო მოლაპარაკებები გერმანელებთან. უკრაინელ ნაციონალისტთა ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ასეთი მოლაპარაკებები უკრაინის განმანთავისუფლებელ მოძრაობას.[2] მიუხედავად ამისა, გარკვეულ მოლაპარაკებებს ადგილი მაინც ჰქონდა, თუმცა ასეთ შემთხვევებში, რეალურად, უკრაინელები აღწევდნენ მიზანს და გერმანელები მიდიოდნენ დათმობაზე. მაგალითად, 1944 წლის მარტში სოფელ ჩერნიცაში (ბროდის რაიონი) მივიდა უმა-ს კურინის მეთაური, რომელმაც პიდკამენში განლაგებულ გერმანელებთან დაიწყო მოლაპარაკებები. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გერმანელები ტოვებდნენ ქალაქს, რომელშიც შედიოდა უმა. ასევე, გერმანელებმა მეამბოხეებს გადასცეს 1 ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი, 2 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 200 შაშხანა და 32 ათასი საბრძოლო ვაზნა. მსგავსი მიზნით კავშირის დამყარებას უმა და უნო-ს მეთაურებთან გერმანელები სხვა ქალაქებშიც ცდილობდნენ.[3]

მიუხედავად ამისა, გერმანელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ბოლომდე გარკვეული თავისი დამოკიდებულება უკრაინელებისადმი. 1944 წლის 28 თებერვალს გერმანელებმა ბერლინში დააკავეს ანდრეი მელნიკი, რომელმაც დაწერა რამდენიმე ანტიგერმანული სტატია. მასთან ერთად იქნა დაკავებული მისი ორგანიზაციის – უნო(მ) – ხელმძღვანელობის წევრების უმრავლესობა, რომლებიც ცხოვრობდნენ გერმანიაში და ასევე ის წევრები, რომლებიც გალიციასა და ემიგრაციაში ცხოვრობდნენ. ისინი მოათავსეს ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც უკვე იმყოფებოდნენ სტეპან ბანდერა, იაროსლავ სტეცკო, ტარას ბულბა-ბოროვეცი[4] და სხვები.[5]

1944 წლის იანვარ-თებერვალში წითელმა არმიამ დაიკავა ვოლინის და პოლისიეს ტერიტორიების დიდი ნაწილი. გერმანელები აკონტროლებდნენ მხოლოდ

---

[1] А. Кентій. Збройний чин українських націоналістів, т. 2, გვ. 212.

[2] В. Косик. Україна і Німеччина у Другій світовій війні, გვ. 420.

[3] А. Кентій. Збройний чин українських націоналістів, т. 2, გვ. 210.

[4] ეს უკანასკნელი 1943 წლის 1 დეკემბრიდან იყო დაკავებული (იხ.: В. Дзьобак. Бульбівці («Перша УПА»), გვ. 135).

[5] В. Косик. Україна і Німеччина у Другій світовій війні, გვ. 421.

ვოლინის ოლქის დასავლეთს. ამის შემდეგ აქ ბრძოლების სიმძაფრე უკრაინელ ნაციონალისტებსა და საბჭოთა პარტიზანებს შორის მხოლოდ იზრდებოდა. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო უკრაინული პარტიზანული მოძრაობის შტაბის ხელძღვანელის მოადგილეს, ი. სტარინოვის სიტყვები, რომელმაც აღიარა, რომ „პარტიზანები ტერნოპილშინის ტერიტორიაზე თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს გერმანიაში იყვნენ".[1]

რაც შეეხება შეიარაღებულ შეტაკებებს წითელი არმიის შენაერთებთან, ძირითადად მიმდინარებდნენ ბრძოლები უკრაინელი ნაციონალისტების მცირერიცხოვანი რაზმებისა და საბჭოთა ძალების ასევე პატარა შენაერთებს შორის. ასეთი შეტაკებების დროს უკრაინელი ნაციონალისტები ცდილობდნენ არა მარტო წითელარმიელების განადგურებას ან მათ ტყვედ აყვანას, არამედ მათი იარაღის და ტყვია-წამლის მოპოვებას, ვინაიდან პარტიზანული ომის დროს (და ეს უკვე სწორედ რომ პარტიზანული ომი იყო – გ.ც.) ტყვია-წამლის შევსებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. 1944 წლის 9 იანვარს, რივნეს ოლქში, სოფელ ბალაშივკაში უკრაინელი ნაციონალისტები თავს დაესხნენ წითელარმიელების ოცეულს და 15 ჯარისკაცი მოკლეს. იმავე დღეს სოფელ მოკვინთან, რივნედან 55 კილომეტრში მოწამლეს 181 მსროლელთა დივიზიის 30 ჯარისკაცი.[2] 15-21 იანვარს მოხდა რამდენიმე წარმატებული თავდასხმა წითელარმიელებზე.[3] საერთოდ, 1944 წლის იანვარ-თებერვალში მრავალი თავდასხმა იყო საბჭოთა არმიის სხვადასხვა მცირერიცხოვან შენაერთებზე,[4] თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი მათ განახორციელეს 1944 წლის 29 თებერვალს, როდესაც სოფ. მილიატინის სიახლოვეს მათ ცეცხლი გაუხსნეს და გაანადგურეს ავტოკოლონა – ერთი სატვირთო მანქანა, სადაც ჯარისკაცები იმყოფებოდნენ, და სამი მსუბუქი ავტომანქანა. მსუბუქი ავტომანქანები მძიმედ დაზიანდა და გადარჩენილებმა სატვირთო მანქანით დატოვეს ბრძოლის ადგილი. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა 1-ლი უკრაინული ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი ნიკოლაი ვატუტინი. ეს იყო უკრაინელი

---

[1] А. Кентій, «Двофронтова» боротьба УПА (1943 – перша половина 1944 рр.), გვ. 209.

[2] Літопис УПА. Нова серія. Т. 4. 1943-1959. Боротьба проти УПА і націоналістичного підпілля: інформаційні документи ЦК КП(б)У, обкомів партії, НКВС-МВС, МДБ-КДБ 1943-1959. Книга перша: 1943-1945. Упоряд. А. Кентій, В. Лозицький, І. Павленко. Київ–Торонто, 2020, გვ. 126.

[3] Літопис УПА, Нова серія, т. 4, кн. Перша, გვ. 157.

[4] Літопис УПА, Нова серія, т. 4, кн. Перша, გვ. 174, 181, 185, 189-190.

ნაციონალისტების მიერ მოკლული ყველაზე მაღალი წოდების მქონე საბჭოთა ოფიცერი.[1]

1944 წლის 7 იანვრიდან 2 მარტის ჩათვლით მე-13 არმიის ზურგში დაფიქსირებული უმა-სამხრეთის 200-დე თავდასხმა წითელი არმიის მცირერიცხოვან ნაწილებზე.[2] მიხაილ კატუკოვი, საბჭოთა 1-ლი გვარდიის სატანკო არმიის სარდალი, თავის მემუარებში აღნიშნავდა, რომ ბანდერელები მშვიდობიან მოსახლეობაში იმალებოდნენ, მუდმივად თავს ესხმოდნენ ცალკეულ სამხედროებს, კლავდნენ მათ და იარაღს, დოკუმენტებს, ფორმის ტანსაცმელს ნადავლის სახით იღებდნენ,[3] თუმცა ეს უფრო საბჭოთა პროპაგანდა უნდა იყოს. დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ უკრაინელი ნაციონალისტებისა და წითელარმიელების გადაკვეთა ყოველთვის არ სრულდებოდა შეიარაღებული შეტაკებით. მაგალითად, 1944 წლის 11 თებერვალს მოხდა შემდეგი ფაქტი. 1-ლი უკრაინული ფრონტის 24-ე მსროლელთა კორპუსის 362-ე ცალკეული ბატალიონის სამი მებრძოლი გაემგზავრა სოფელ სტადნიკიდან სოფელ უზდიცამდე. გზაში მათ შეხვდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული 7-კაციანი ჯგუფი, რომელმაც ისინი ტყვედ აიყვანა. წითელარმიელები წაიყვანეს ერთ-ერთ ხუტორში, სადაც უკვე იმყოფებოდა კიდევ 4 საბჭოთა ჯარისკაცი. მეამბოხეებმა წითელარმიელებს აუხსნეს, თუ რისთვის იბრძოდა უკრაინელ მეამბოხეთა არმია, რის შემდეგაც საბჭოთა კარისკაცებს დაუბრუნეს დოკუმენტები და გაუშვეს. იარაღი და ტყვია-წამალი არ უმა-ს წევრებმა დაიტოვეს.[4]

უკრაინელი ნაციონალისტები ცდილობდნენ მობილიზაციის პროცესის ჩაშლას. 1944 წლის 18 მარტს საბჭოთა უკრაინის შსსკ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს წერდა, რომ უმა-ს სარდლობას ჩატარებული აქვს დიდი სამუშაო წითელ არმიაში ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციის ჩაშლისათვის. რივნეს ოლქის დასახლებული პუნქტების ნაწილში მობილიზაცია ჩაშლილი იყო. უკრაინელი ნაციონალისტები თავს ესხმოდნენ სამხედრო კომისარიატებს, ანადგურებდნენ წვევამდელების სიებს, კლავდნენ პასუხისმგებელ პირებს.[5] იმავე წლის ივნისში ტერნოპილის

---

[1] В. Косик. Україна під час другої світової війни 1938-1945. Париж – Нью-Йорк – Торонто – Київ, 1992, გვ. 480.

[2] А. Кентій. «Двофронтова» боротьба УПА (1943 – перша половина 1944 рр.), გვ. 211.

[3] М. Е. Катуков. На острие главного удара, Москва: Воениздат, 1974, გვ. 312.

[4] Літопис УПА, Нова серія, т. 4, кн. Перша, გვ. 182.

[5] Літопис УПА, Нова серія, т. 4, кн. Перша, გვ. 215.

ოლქის კომპარტიის საოლქო კომიტეტმა აღნიშნავდა, რომ მობილიზაცია დიდ პრობლემების ფონზე მიმდინარეობდა და წვევამდელები არ მიდიოდნენ სამხედრო კომისარიატებში. მაგალითად, სტანისლავის ოლქში 21 აგვისტოსათვის სამხედრო კომისარიატებში უნდა მისულიყო 30268 ადამიანი, მაგრამ რეალურად მივიდა დაახლოებით 15 ათასი ადამიანი. საინტერესო სიტუაცია იყო დროგობიჩის ოლქის ხოდორივსკის რაიონის სოფელ ჩერნიში, სადაც 42 წვევამდელი, სოფლის საბჭოს ხელმძღვანელთან ერთად, ტყეში გავიდა. სიტუაცია განმეორდა სოფელ ლიაშკა დოლიშნაში და მოლოდნიჩინაში (შესაბამისად 83 და 73 წვევამდელი).[1]

უკრაინელი მეამბოხეების პროპაგანდის მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს სამი სააგიტაციო ფურცელი, რომლის გავრცელებაც წითელარმიელებისა და ვერმახტის რიგებში ჯერ კიდევ 1943 წლის ივნისიდან დაიწყო. ეს დოკუმენტები სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებისთვის იყო შექმნილი, კერძოდ, რუსებისთვის, ქართველებისთვის და უკრაინელებისთვის და მათი შინაარსი გარკვეულწილად განსხვავებული იყო, თუმცა სამივე სრულდებოდა უმა-ში გაწევრიანების მოწოდებით. სააგიტაციო ფურცელში, რომელიც რუსებისთვის იყო მიმართული, აღნიშნული იყო შემდეგი რამ: ორმა იმპერიალისტურმა ომმა ძლიერი დარტყმა მიაყენა რუს ხალხს. პირველმა მსოფლიო ომმა და სამოქალაქო ომმა ამოძირკვეს სამეფო რუსეთის იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებული იყო რუსი ხალხის იმპერიალისტურ ბატონობაზე სხვა ხალხებზე. მეორემ, 1941 წლიდან დაწყებულმა ომმა, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა კომუნიზმს. სააგიტაციო ფურცელში იყო მოწოდება რუსებისადმი, რომ მათ, ევროპის და აზიის ხალხებთან ერთად დაეწყოთ ბრძოლა იმპერიალიზმების წინააღმდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის, მათ შორის – რუსული დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის რუსულ ეთნოგრაფიულ ტერიტორიაზე. ბოლოს კი იყო მიმართვა იმ რუსებისადმი, რომლებიც უკრაინაში იმყოფებოდნენ, რომ გადასულიყვნენ უმა-ს რიგებში, შეექმნათ რუსული ეროვნული რაზმები და იარაღით ხელში ებრძოლათ იმპერიალისტური ჰიტლერიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ.[2]

სააგიტაციო ფურცელში, რომელიც ქართველი წითელარმიელებისთვის იყო შექმნილი, აღნიშნული იყო, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველები

---

[1] А. Кентій, «Двофронтова» боротьба УПА (1943 – перша половина 1944 рр.), გვ. 214.

[2] Листовка «Русские!». ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 7.

იბრძოდნენ თურქი და რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ, საბოლოოდ, ქართული სახელმწიფო დაეცა რუსეთის მიერ ჩრდილოეთიდან და თურქეთის მიერ სამხრეთიდან განხორციელებული დარტყმების შედეგად. შედეგად, „საქართველოს სიმდიდრეები გაძარცვეს, ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელები იმპერიალისტური რუსეთის მიერ იქნენ განადგურებული, ხალხი კი – კოლონიალურ მონებად აქციეს. როდესაც დადგა 1918 წელი თქვენი ხალხი ისევ აღდგა დამოკიდებელი სახელმწიფოს ბრძოლისათვის და ისევ რუსეთმა – წითელმა, ბოლშევიკურმა, მოღალატეობრივი ძალით მოახერხა თქვენი დამონება და თქვენი სახელმწიფოს განადგურება. დღეს რუსეთის ნაცვლად, მოვიდა ახალი მტერი – იმპერიალისტური გერმანია. მას იგივე მიზნები ამოძრავებს, რაც დანარჩენ იმპერიალისტებს – ევროპის და აზიის ხალხების დამონება, მათ შორის, ქართველი ხალხის. ის ამისკენ მიესწრაფის, როდესაც თავის პოლკებს კავკასიაში აგზავნის, რომლებიც ცეცხლით და მახვილით ყველაფერს ანადგურებენ“.[1]

იქვე, ფურცელში დასმული იყო კითხვა, თუ რა რა გამოსავალი არსებობდა ამ მდგომარეობიდან? და გაცემული იყო პასუხიც: ყველა დამონებულ ხალხს უნდა ებრძოლა იმპერიალისტი მჩაგვრელების წინააღმდეგ ლოზუნგებით: „თავისუფლება ხალხებისთვის, თავისუფლება ადამიანისთვის!“, „ევროპისა და აზიის დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებისათვის!“. თითოეულ ხალხს უნდა შეექმნა თავისი ეროვნულ-რევოლუციური ორგანიზაცია და, დანარჩენ ასეთ ორგანიზაციებთან ერთად, ემუშავა ერთობლივი გეგმის მიხედვით. შემდეგ სააგიტაციო ფურცელში ნათქვამი იყო, რომ უკრაინელი ხალხი წარმოადგენდა ქართველების ერთგული მოკავშირეს იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. უკრაინელები სთავაზობდნენ ქართველებს, მიეღოთ მონაწილეობა საერთო მტრების წინააღმდეგ გამოსვლაში და გაწევრიანებულიყვნენ უკრაინელ მეამბოხეთა არმიაში, რომელიც იბრძოდა დამოუკიდებელი უკრაინისათვის და ბერლინისა თუ მოსკოვის იმპერიალისტური უღლისგან ყველა დამონებული ხალხის განთავისუფლებისათვის.[2]

სააგიტაციო ფურცელში, რომელიც უკრაინელებს მიმართავდა, აქცენტები სხვა რამეზე იყო გაკეთებული. უკრაინელებს, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე გერმანიაში ანადგურებდნენ, კლავდნენ, მონებივით ამუშავებდნენ შრომით

---

[1] Листовка «Грузины!». ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 9.

[2] Листовка «Грузины!». ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 9.

ბანაკებში. აღნიშნული იყო, რომ იმპერიალისტური გერმანია არაფრით არ განსხვავდებოდა იმპერიალისტური მოსკოვისგან, მასაც სურდა ბატონობა დაკავებულ ტერიტორიაზე, მიწის და სიმდიდრეების უკონტროლო ძარცვა, ადამიანური ძალების თავისი ნებით გამოყენება, ხალხების სრული დამონება. ორივე მტრის მოგერიება შესაძლებელი იყო ევროპისა და აზიის ხალხების გაერთიანებით დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის გზით. გარდა ამისა, ცალკე მიმართვა იყო იმ უკრაინელების მიმართ, რომლებიც გერმანელების მხარეს იბრძოდნენ. უკრაინელებს უხსნიდნენ, რომ გერმანელები იყენებდნენ მათ, როგორც ძალას იმ ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე დაიწყეს ბრძოლა გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ბოლოში იყო ტრადიციული მოწოდება უპა-ში გაწევრიანების შესახებ და სიტყვები: „ნუ იქნებით სხვისი იმპერიალიზმის დაქირავებული მეომრები, ნუ გაიტეხავთ სახელს დაქირავებული მეომრის დაღით!“.[1]

რომ გავაანალიზოთ ეს სააგიტაციო მასალა, შემდეგ დასკვნამდე მივალთ. თითოეული დოკუმენტი შექმნილი იყო ადრესატის გათვალისწინებით. ეს არ იყო შაბლონით დაბეჭდილი მასალა. მაგალითად, სააგიტაციო ფურცელში, რომელიც ქართველებისთვის იყო განკუთვნილი, აღნიშნული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა. დოკუმენტში, რომელიც მიმართული იყო უკრაინელებისათვის, იყო მოწოდება უკრაინელებისადმი, რომლებიც მსახურობენ გერმანულ სამხედრო ნაწილებში, იარაღით ხელში უპა-ს მხარეს გადასვლაზე. სააგიტაციო ფურცელში კი, რომელიც რუსებისთვის იყო შექმნილი, რუსული ეროვნული საკითხის გამოსავლად დასახელებული იყო დამოუკიდებელი რუსული სახელმწიფოს შექმნა რუსულ ეთნოგრაფიულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკრაინელ ნაციონალისტებს მოწოდების სიმაღლეზე ჰქონდათ არა მარტო საბრძოლო უნარ-ჩვევები, არამედ პროპაგანდისტული მუშაობაც.

საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ უკრაინელი ნაციონალისტების რაზმების რაოდენობით და ამ რაზმებში გაწევრიანებული ადამიანებით „პირველ ადგილს“ იკავებდა სტანისლავის (დღ. ივანო-ფრანკივსკი) ოლქის ტერიტორია. აქ მოქმედებდა დაახლოებით 70 რაზმი, რომელთა რიგებში იყო 22 ათასი ადამიანი. უმსხვილესი რაზმები იყვნენ გრომის, ბლაკიტნის და რიზუნის რაზმები, სადაც 400-450 მებრძოლი

[1] Листовка «К военнослужащим и мобилизованным в Украине». ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 64, арк. 12.

იყო, რომლებიც ტყვიამფრქვევებით, ნაღმტყორცნებით და ტანკსაწინააღმდეგო შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულები. 1944 წლის აგვისტოდან-სექტემბრის განმავლობაში, უკრაინელი ნაციონალისტები სტანისლავის ოლქის რაიონულ ცენტრებს და პატარა ქალაქებს, სისტემატურად ანადგურებდნენ ხიდებს მდინარე პრუტზე, რაც აძნელებდა კავშირს რაიონის სხვა დასახლებულ პუნქტებთან.[1]

1944 წლის აპრილ-მაისიდან გააქტიურდა უმა-დასავლეთის დაჯგუფება, რაც რეგიონში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლით აიხსნებოდა. მიმდინარეობდა თავდასხმები სოფლებზე, წითელი არმიის მომარაგების ცენტრებზე, აღალზე და ა.შ.[2] ზაფხულში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. 27 ივლისიდან – 15 აგვისტოს ჩათვლით, 1-ლი უკრაინული ფრონტის ზურგში (დროგობიჩის, ლვივის, რივნეს, სტანისლავის, ტერნოპილის ოლქებში) უმა-ს წევრებმა განახორციელეს 75 თავდასხმა წითელარმიელებზე და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებზე. მოკლული იქნა 11 ოფიცერი, 36 სერჟანტი და რიგითი და ა.შ. ლვივის კომპარტიის საოლქო კომიტეტის ცნობის მიხედვით, 10-11 აგვისტოს კამიანკო-სტრუმილოვის რაიონის ტერიტორიაზე უკრაინელმა ნაციონალისტებმა ააფეთქეს ორი სამხედრო ეშელონი ტყვია-წამლით. ასევე დაფიქსირდა რამდენიმე თავდასხმა სამხედრო ნაწილებზე, მობილიზებულთა კოლონებზე და სასაზღვრო კომენდატურებზე. 19 აგვისტოს ტერნოპილის ოლქში ბოჟიკივ პიდგაეცის რაიონში უკრაინელი ნაციონალისტები თავს დაესხნენ წითელი არმიის ბატალიონს, რომელიც ალყაში აღმოჩნდა. ალყიდან გამოღწევა მხოლოდ 11 ჯარისკაცმა შეძლო. გარდა ამისა, ბატალიონმა დაკარგა 4 ნაღმტყორცნი და ტყვიამფრქვევი.[3]

რაც უფრო წარმატებულად მიმდინარეობდა წითელი არმიის შეტევა, მით უფრო მეტ ტერიტორიას კარგავდნენ გერმანელები. 1944 წლის მარტიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომლის დროსაც უნო(ბ)-ს წარმომადგენელი ივან გრინიოხი ითხოვდა სტეპან ბანდერას და სხვა დაპატიმრებული წევრების განთავისუფლებას. გერმანელები დროს აჯანჯლებდნენ. პარალელურად, მიმდინარეობდა გარკვეული რეპრესიებიც. 1944 წლის მაისში დაპატიმრებულ იქნა ოლეგ კანდიბა, რომელიც ივნისში ზაქსენჰაუზენში მოკლეს, თუმცა, ამის შემდეგ, გერმანელები უკვე გარკვეულ

[1] О. Лисенко. Боротьба збройних відділів ОУН І УПА, გვ. 329.
[2] Літопис УПА, Нова серія, т. 4, кн. Перша, გვ. 246.
3 Літопис УПА, Нова серія, т. 4, кн. Перша, გვ. 261-266.

დათმობებზე წავიდნენ და გრინიოხს ბანდერასთან შეხვედრის უფლება მისცეს.[1] საბოლოოდ, საბჭოთა არმიის შეტევების შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა, რომ გერმანელებს უკრაინა დასატოვებელი ექნებოდათ, ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა. ბოლო შეტაკება გერმანელებსა და უკრაინელებს შორის მოხდა 1944 წლის 1 სექტემბერს კოლომიის სამხრეთის, მთებში. გერმანელებმა დაკარგეს 2 ჯარისკაცი დაღუპულებით, 2 – დაჭრილებით, 1 ჯარისკაცი და 1 კაპიტანი კი ტყვედ ჩავარდა. უკრაინელებს ზუსტად ასეთივე დანაკარგები ჰქონდათ.[2] სექტემბრის ბოლოს კი გერმანიის ხელმძღვანელობამ უკრაინელ ნაციონალისტთა ყველა ლიდერი – სტეპან ბანდერა, ანდრი მელნიკი, იაროსლავ სტეცკო, ტარას ბულბა-ბოროვეცი და სხვ. – გაათავისუფლა.[3] ამ დროიდან მოყოლებული უკრაინელ ნაციონალისტებს მხოლოდ საბჭოთა ჯარების ან პარტიზანების წინააღმდეგ უწევდათ ბრძოლა.

1944 წლის ნოემბერში მეამბოხეებმა ჩაატარეს რეიდი ბუკოვინის ტერიტორიაზე. რეიდი დაიწყო 8 ნოემბერს, სოფელ ტროსტიანეციდან. რეიდის მიზანი იყო ბუკოვინის ტერიტორიაზე უკრაინის დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვის გაზრდა. ომის დროს ეს ტერიტორია რუმინეთმა დაიბრუნა და იქ ანტიუკრაინული პოლიტიკა ტარდებოდა. საბჭოთა ჯარების მიერ ტერიტორიის დაკავების შემდეგ ვითარება დიდად არ შეცვლილა. მეამბოხეებს რამდენიმე შეტაკება მოუხდათ საბჭოთა შენაერთებთან. ერთ-ერთ შემთხვევაში, სოფ. დობრინოვკასთან უმა-ს წევრებმა სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგე, თან თვითონ დანაკარგები საერთოდ არ ჰქონიათ. საბოლოოდ, მათ გადალახეს მდ. დნესტრი და გამაგრდნენ რამდენიმე ადგილას, სოფლებში კი შეკრებებს მართავდნენ. როგორც რეიდის წევრები აღნიშნავდნენ, თავდაპირველად, ბუკოვინის მოსახლეობა მათ უნდობლობით გვიყურებდა, მაგრამ, ბოლშევიკების წინააღმდეგ გამართული ბრძოლებისა და პროპაგანდისტული შეკრებების შემდეგ, ვითარება შეიცვალა. ბუკოვინელებმა უკრაინელ მეამბოხეებში თავის დამცველები დაინახეს. მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც გაჩნდა ეროვნული თვითშეგნებაც.[4]

1945 წელი უკრაინელი ნაციონალისტებისათვის ასევე ბრძოლებით დაიწყო.

[1] Grzegorz Motyka. Ukraińska partyzantka 1942-1960, გვ. 232-234.

[2] В. Косик. Україна і Німеччина у Другій світовій війні, გვ. 437.

[3] John Alexander Armstrong. Ukrainian Nationalism, გვ. 180.

[4] Опись рейдов и боев произошедших в декабре 1944 г. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 105-109.

თებერვლის, მარტის და აპრილის განმავლობაში მეამბოხეებმა რამდენიმე ბრძოლა გამართეს საბჭოთა ძალების წინააღმდეგ. ასევე, როგორც წინა წელს, ეს იყო მცირერიცხოვანი რაზმების შეტაკება დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე. მოულოდნელობის ეფექტის წყალობით, ისინი მუდმივად აღწევდნენ წარმატებებს და პრაქტიკულად მსხვერპლის გარეშე ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს.[1] მიუხედავად ამისა, უმა-ს მთავარი ამოცანა იყო, შეენარჩუნებინა საბრძოლო სტრუქტურა და მოემზადებინა ხალხი დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ამიტომ შეტაკებათა რაოდენობა არც ისე დიდი იყო.

1945 წლის 8 მაისს ევროპაში ომი დასრულდა, 2 სექტემბერს კი, ამერიკულ ხომალდ „მისურიზე" ხელი მოეწერა იაპონიის კაპიტულაციას. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს გარკვეულ წერტილებში საბრძოლო ოპერაციები და შეტაკებები შეიარაღებული ფორმირებებს შორის მაინც გრძელდებოდა. ასეთი სახის დაპირისპირება იყო საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ბელარუსისა და უკრაინის ტერიტორიებზე. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების და უკრაინელ ნაციონალისტებს შორის ბევრად უფრო მძაფრი იყო, ვიდრე უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დროს, თუმცა ეს უკვე ქრონოლოგიურად ამ გამოკვლევაში არ ჯდება. მიუხედავად ამისა, იყო რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, კერძოდ:

1. შენარჩუნებული ორგანიზაცია. უკრაინელ მეამბოხეთა არმია იყო ერთდროულად დეცენტრალიზებული და ერთიანი ორგანიზმი, რომელიც ერთ იდეას ემსახურებოდა. ამიტომ, მიუხედავად იმ ღონისძიებებისა, რომლებიც არაერთხელ გაატარა საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ, უკრაინელი ნაციონალისტები წლების განმავლობაში სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ.
2. მოსახლეობის მხარდაჭერა. უკრაინელი ნაციონალისტები იღებდნენ ყველა-ნაირ დახმარებას ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან. სწორედ მათ სახლებში ისვენებდნენ დაჭრილი მებრძოლები და სწორედ სოფლების მოსახლეობისაგან შედგებოდა რაზმების პირადი შემადგენლობა. უკრაინელი ნაციონალისტების რაზმები სურსათით სწორედ სოფლებიდან მარაგდებოდნენ.

[1] Список боїв за лютий-березень-квітень 1945 р. ГДА СБУ, ф. 13, спр. 376, т. 66, арк. 172-173.

3. ტერიტორიის კარგი ცოდნა. იქედან გამომდინარე, რომ რაზმები, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან შედგებოდა, უმა-ს წევრებმა კარგად იცოდნენ ის ტერიტორია, სადაც მოქმედებდნენ.
4. პროპაგანდა. სოფლის მაცხოვრებლებს შორის უკრაინელი ნაციონალისტები ახორციელებდნენ პროპაგანდისტულ მუშაობებს, სადაც ხსნიდნენ იმას, თუ რისთვის იბრძოდნენ და რატომ იყო საბჭოთა ხელისუფლება უკრაინის და უკრაინელი ხალხის მტერი.
5. ბრძოლისუნარიანობა. მაშინაც კი, როდესაც უკვე ნათელი ხდებოდა, რომ მიზნის მიღწევა – უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ ოცნებად რჩებოდა, უკრაინელი ნაციონალისტების რაზმები მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას და, მიუხედავად თავისი შემცირებული რაოდენობისა, წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ ძალას.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები კარგად ხსნის იმ გარემოებას, თუ როგორ მოხდა, რომ უკრაინელმა ნაციონალისტებმა ეგზომ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა ხელისუფლებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. საკმარისია ითქვას, რომ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი წინააღმდეგობა გაგრძელდა წლების განმავლობაში და მხოლოდ ვასილ კუკის დაპატიმრების შემდეგ (1954 წელი) შეწყდა.[1] ამ პერიოდში, როგორც საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს, საბჭოთა ხელისუფლებას უზარმაზარი ძალისხმევა მოუწია უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ და საკმაოდ დიდი მსხვერპლის ფასად შეძლო მათი დამარცხება.[2]

---

[1] არაორგანიზებული, ცალკეული ადამიანების ან ჯგუფების მიერ გაწეული წინააღმდეგობა კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდა – გ.ც.

[2] Докладная записка о ходе борьбы с остатками банд и подполья украинско-немецких националистов по Тернопольской области за окт. 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп, 23, спр. №5046, т. 7, გვ. 66-67; Информация о ликвидации СБ Львовского краевого «провода» ОУН «Мирона» и его референтуры. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5047, т. 1, стр. 9-13; Информация о реагировании населения города Львова в связи с арестом участников ОУН и другого враждебного элемента. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5046, т. 7, გვ. 45-47; О ликвидации Львовского краевого «провода» ОУН. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5046, т. 7, გვ. 75-79; Докладная записка о ходе борьбы с остатками банд и подполья украино-немецких нацоналистов по Тернопольской области за сентябрь 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5045, т. 6, გვ. 40-51; Отчет о ходе борьбы с остатками банд и подполья украинско немецких наионалистов, по Дрогобычской области за июль-август 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5045, т. 6, გვ. 24-29; Отчет о ходе ликвидации бандоуновского подполья на территории Станиславской области за август месяц и 20 дней сентября 1948 года. ЦДАГО, ф. 1, оп. 23, спр. №5045, т. 6, გვ. 34-38, და ა.შ.

# თავი II. კაზაკები და მათი შენაერთების ბრძოლა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ

## 2.1. ნაცისტური გერმანიის დამოკიდებულება კაზაკების მიმართ და კაზაკური შეიარაღებული შენაერთების შექმნა

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ-პატრიოტულ ჯგუფებზე საუბრისას აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ კაზაკები. საინტერესოა, რომ მათ მიმართ მესამე რაიხის მესვეურებს გარკვეულწილად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. როგორც ცნობილია, ნაცისტური თეორიის მიხედვით, სლავები „ქვეადამიანებს“ („Untermenschen“) წარმოადგენდნენ, თუმცა მათ რასობრივ პოლიტიკაში გარკვეული გამონაკლისებიც არსებობდა, მაგალითად, კაზაკები. მართალია, თავდაპირველად კაზაკები ასევე „ქვეადამიანების“ რანგში გადიოდნენ, როგორც ამას ადასტურებს კაზაკთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (კეგმ) უცხოეთის განყოფილების უფროსის პიოტრ ხარლამოვის 1942 წლის 10 აპრილის წერილი კეგმ-ის ხელმძღვანელის ვასილი გლაზკოვისადმი. მასში აღნიშნული იყო, რომ „გერმანული ხელისუფლებისათვის კაზაკური ხალხი არ არსებობს და ვერც იარსებებს... კაზაკების მიმართ ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც რუსული ემიგრაციის დანარჩენი ნაწილის მიმართ...“.[1] მიუხედავად ამისა, მალე ვითარება შეიცვალა, რაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. კაზაკებისადმი, როგორც განკაზაკების[2] გამო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალისადმი, ვერმახტის მხრიდან ნდობა მეტი იყო. პ. ხარლამოვის აქტიურობამ (ის შეხვდა ჰიმლერის შტაბის უფროსს, SS-ის გენერალ კარლ ვოლფს და ნაცისტური პარტიის კანცელარიის უფროს მარტინ ბორმანს) თავისი შედეგი გამოიღო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან მოამზადა სხვადასხვა დოკუმენტები ალფრედ როზენბერგისათვის, რომელთა შორის იყო რამდენიმე მოსაზრება კაზაკების კავშირზე „არიელებ-

---

[1] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 197-198.

[2] განკაზაკება – სისტემური რეპრესიები კაზაკების წინააღმდეგ რუსეთში სამოქალაქო ომის დროს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ. ისინი მიზნად ისახავდა კაზაკების სამხედრო და პოლიტიკური თვითმმართველობის გაუქმებას და მათი, როგორც სოციალური თუ კულტურული ფენის ლიკვიდაციას (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: В. Генис. Расказачивание в советской России.// *«Вопросы истории»,* № 1, 1994, გვ. 42–55).

თან“.[1] შედეგად, როზენბერგმა გასცა ბრძანება, რომ ინსტიტუტს, რომელიც დაკავებული იყო ევროპის ხალხების ისტორიის შესწავლით, შეექმნა შესაბამისი თეორია.[2] შედეგად, შეიქმნა თეორია, რომლის მიხედვითაც კაზაკები ჩაითვალნენ გუთების შთამომავლებად, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი ფესვები.[3] ასე და ამგვარად, პოლიტიკური მიზეზების გამო, რადგანაც გერმანელებს სჭირდებოდათ კაზაკური შენაერთების შექმნის აუცილებლობის იდეოლოგიური დასაბუთება, კაზაკები, რომელთა წარმომადგენლები ყოველთვის სლავები იყვნენ, იქცნენ ძველი გერმანული ტომის „შთამომავლებად“.

კაზაკების გუთების „შთამომავლებად“ ჩათვლამდე უკვე დაწყებული იყო მათგან შენაერთების შექმნა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნაცისტური გერმანიის მიერ შექმნილი ანტისაბჭოთა შეიარაღებული ძალები თითქმის ყოველთვის დაკავებული იყვნენ ან საკონცენტრაციო ბანაკების დაცვით, ან ანტიპარტიზანულ ოპერაციებში მონაწილეობით. ძირითადად, ასეთ შენაერთებში მსახურობდნენ ტყვედ აყვანილი ჯარისკაცები და ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც პროგერმანულად ან ანტისაბჭოურად იყო განწყობილი. კაზაკების შემთხვევაში, სიტუაცია შემდეგი იყო: უმრავლესობა არ იყო პროგერმანულად განწყობილი, მაგრამ უფრო დიდი ანტაგონიზმი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ჰქონდა. კაზაკების უმრავლესობას ჰქონდა სამოქალაქო ომის პერიოდის საბრძოლო გამოცდილება. მართალია, მეორე მსოფლიო ომისთვის ეს გამოცდილება მოძველებული იყო, მაგრამ გერმანელებისათვის, ისევ და ისევ იდეოლოგიური მიზეზების გამო, მისაღები აღმოჩნდა. შესაბამისად, კაზაკებისგან შემდგარი რაზმების შექმნა მხოლოდ დროის საკითხი იყო.

საერთოდ, კაზაკური შენაერთები, რომლებიც შექმნილი იყვნენ ომის განმავლობაში, შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: 1. შენაერთები, რომლებიც შეიქმნა 1941-1942 წლებში – პირველი კაზაკური შეიარაღებული ფორმირებები ვერმახტის შემადგენლობაში. ეს შენაერთები, ძირითადად, ვერმახტის ზურგის ქვედანაყოფებში მსახურობდნენ და მოგვიანებით პარტიზანების წინააღმდეგაც გამოიყენებოდნენ; 2. შენაერთები, რომლებიც შეიქმნა 1942-1943 წლებში უკრაინაში, კაზაკური ჯარების ფორმირების მთავარი შტაბის მიერ. აღნიშნული შენაერთები ძირითადად პარტიზა-

---

[1] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 204.
[2] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 205.
[3] Семен Дробязко, Олег Романько, Консантин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 624.

ნების წინააღმდეგ იბრძოდნენ და არ გამოირჩეოდნენ სერიოზული ბრძოლისუნარიანობით; 3. შენაერთები, რომლებიც შეიქმნა დონის, ყუბანისა და თერგისპირეთის კაზაკებიდან. ეს იყო საბრძოლო ნაწილები, რომელთა უმრავლესობა მოგვიანებით „კაზაჩი სტანში" გაწევრიანდა. 1943 წელს კიდევ შეიქმნა 1-ელი კაზაკური დივიზია, რომელის მოგვიანებით გადაიქცა SS-ის მე-15 კაზაკურ კავალერიულ კორპუსად, მაგრამ ის ძირითადად მოქმედებდა იუგოსლავიაში ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდეგ.

პირველი შეიარაღებული რაზმი, რომელიც კაზაკებისგან შედგებოდა, იყო ესკადრონი წითელი არმიის ყოფილი მაიორის ივან კონონოვის მეთაურობით. ის შეიქმნა 1941 წელს 28 ოქტომბერს, არმიების ჯგუფ „ცენტრის" ზურგის რაიონის სარდლის გენერალ ფონ შენკენდორფის მიერ. 1942 წლის სექტემბრისათვის 4 ასეთი ესკადრონი იყო შექმნილი და იმ დროისთვის კონონოვი იყო 102-ე (ოქტომბრიდან – მე-600) კაზაკური დივიზიონის სარდალი, რომელშიც შედიოდა სამი ესკადრონი, პლასტუნების[1] სამი ასეული, სატყვიამფრქვევო ასეული, ნაღმტყორცნებისა და საარტილერიო ბატარეა. დივიზიონის საერთო რაოდენობა იყო 1799 ადამიანი, მათ შორის – 77 ოფიცერი. შეიარაღება ძირითადად საბჭოთა წარმოების იყო, რაც ლოგიკური და გასაგებია. 1942-1943 წლის განმავლობაში დივიზიონი ბობრუისკის, მოგილიოვის, სმოლენსკის, ნეველის და პოლოცკის რაიონში პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა.[2]

კაზაკებისგან შექმნილი ნაწილები ძირითად შემთხვევებში არ აღემატებოდა ბატალიონის ზომებს, რადგან რაოდენობით კაზაკები არ იყვნენ იმდენი, რომ მათგან შექმნილი ყოფილიყო რამდენიმე მსხვილი (დივიზიის დონის მაინც) შენაერთი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ბრძოლებში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ყველა კაზაკური რაზმი, რომელიც შექმნილი იყო ომის დროს, ემორჩილებოდა გერმანელებს, ან ვერმახტს, ან კიდევ „SS"-ს. არ იყო შექმნილი, არ არსებობდა ცალკე კაზაკების სარდლობა ან კაზაკთა შენაერთების მთავარსარდალი, როგორიც იყო, მაგალითად, რგა-ს შემთხვევაში ანდრეი ვლასოვი. თუმცა იყო ორი შენაერთი, რომელიც გამოირჩეოდა ამ წესისგან: კაზაკთა 1-ლი დივიზია (დივიზიის ბაზა-

[1] პლასტუნები იყვნენ სპეციალურად გაწვრთნილი მებრძოლები, რომლებიც სადაზვერვო და სპეციალური დანიშნულების საქმიანობით იყვნენ დაკავებულები – გ.ც.
[2] Сергей Дробязко, Андрей Каращук. Восточные легионы и казачьи части в Вермахте, გვ. 35.

ზე დაარსდა მე-15 კაზაკთა კავალერიული კორპუსი) და „კაზაჩი სტანი“. მათ ბედზე უფრო დეტალურად შევჩერდები, ვინაიდან დასახელებული ორი შენაერთის ისტორია ასახავს მთლიანად კაზაკების ბედს მეორე მსოფლიო ომში.

კაზაკთა 1-ლი დივიზია შეიქმნა 1943 წლის 21 აპრილს და მისი უცვლელი მეთაური იყო ჰელმუტ ფონ პანვიცი. დივიზიის კაზაკები გადამზადებას გადიოდნენ ქ. მლავაში, ვარშავის ჩრდილოეთით.[1] დივიზია დაყოფილი იყო 2 ბრიგადად, რომლებიც, თავის მხრივ, პოლკებად იყოფოდა.[2] დივიზიის პოლკების მეთაურები იყვნენ გერმანელები. გერმანული კადრებით დაკომპლექტებული იყო ყველა შტაბი და, გარდა ამისა, ყოველ ესკადრონში მსახურობდა 12-14 გერმანელი ჯარისკაცი, ძირითადად, სამეურნეო პოზიციებზე.[3] ამასთან ერთად, ესკადრონების და ათეულების მეთაურები მხოლოდ კაზაკები იყვნენ. საბოლოო ჯამში, დივიზიაში, 1943 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, მსახურობდა 18555 ადამიანი, მათ შორის: 14315 კაზაკი, 3827 გერმანელი და რუსი უნტერ-ოფიცერი, 222 გერმანელი და 19 რუსი ოფიცერი. 1943 წლის შემოდგომაზე დივიზია გაგზავნილ იქნა იუგოსლავიაში ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად,[4] რასაც საკმაო წარმატებით გაართვა თავი. თუმცა, ამავე დროს, იყო შემთხვევები, როდესაც კორპუსის წევრები სასტიკად ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.[5] ფონ პანვიცის თანახმად, 1-ლი კაზაკური დივიზია ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ხელმძღვანელობდა „SS“-ის ობერგრუპენფიურერ ერიხ ფონ დემ ბახის[6] 1942 წლის 18 ნოემბრის ცირკულარით, რომლითაც რაზმების მეთაურებს უფლება ეძლეოდათ, თვითონ გადაეწყვიტათ, საჭირო იყო თუ არა ადგილობრივი სოფლების განადგურება ან მათი მოსახლეობის დახვრეტა.[7] მოგვიანებით, დაკითხვების დროს ფონ პანვიცმა რამდენიმე ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

„1943-44 წლების ზამთარში სუნია-ზაგრების რაიონში ჩემი ბრძანებით ჩამოახრ-

[1] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица 1942-1945, გვ. 21.

[2] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 467.

[3] Сергей Дробязко, Андрей Каращук. Восточные легионы и казачьи части в Вермахте, გვ. 41.

[4] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 443.

[5] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 55.

[6] საინტერესოა, რომ ერიხ ფონ დემ ბახი წარმოშობით გერმანელიც კი არ გახლდათ. ის იყო კაშუბი (პოლონელებთან ახლოს მდგომი ეთნიკური ჯგუფი) და დაიბადა როგორც ერიხ იულიუს ებერჰარდ ფონ ზელევსკი, თუმცა თავს გერმანელად მიიჩნევდა. პირველ მსოფლიო ომში ის პრუსიულ შენაერთში გაწევრიანდა. მოგვიანებით მან ჯერ დაიმატა გვარი ბახი, ხოლო 1940 წელს კი ჩამოიცილა პოლონური ჟღერადობის მქონე ზელევსკი (იხ.: M. Miller. Knight's Cross Holders of the SS and German Police 1940-45. Warwick: Helion & Company, 2015, გვ. 36)

[7] Преступные цели – преступные средства. Документы об оккупационной политике фашистской Германии на территории СССР. (1941 – 1944 гг.). Г. Заставенко, Т. Иллерицкая и др. (сост.). Москва: Экономика, 1985, გვ. 109.

ჩვეს 15 ადგილობრივი მოსახლე. იმავე რაიონში 1944 წელს, გერმანელი ლეიტენანტის ბრძანებით 3 ადგილობრივი მაცხოვრებელი დახვრიტეს ჯაშუშობის ბრალდებით, თუმცა არ არსებობდა დამადასტურებელი მტკიცებულებები. 1943 წლის ფრუშკა-გორის რაიონში 1-ლი კავალერიული პოლკის კაზაკებმა 5 ან 6 გლეხი ჩამოახრჩვეს. მე-3, მე-5 და მე-6 კავალერიული პოლკების კაზაკებმა იმავე რაიონში ქალებზე მასობრივი ძალადობა ჩაიდინეს. 1943 წლის დეკემბერში ასეთივე ძალადობას ჰქონდა ადგილი ქ. ბროდში. 1944 წლის მაისში ხორვატიაში ზაგრების სამხრეთით, 1-ლი პოლკის კაზაკებმა ერთი სოფელი გადაწვეს. იმავე პოლკის კაზაკებმა ქ. მეტლიკის ქალებზე მასობრივად იძალადეს 1944 წლის ივნისში. სოფელი ჩაზმა ნაწილობრივად იყო გადამწვარი, რომელიც ქ. ბელოვარის დასავლეთით იმყოფება. პოჟეგოსა და რუვარის რაიონებში მე-3 კავალერიული პოლკის კაზაკებმა დაწვეს რამდენიმე სახლი“.[1] კაზაკების მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებზე საუბრობს ბრიტანელი ბეზილ დევიდსონიც, რომელიც ომის დროს სპეციალური ოპერაციების ოფიცერი იყო და ტიტოს არმიაში იმყოფებოდა. ის ფონ პანვიცს „სისხლიანი მაროდიორების შეუბრალებელი მეთაურად“ მოიხსენიებს და იხსენებს, რომ მისმა კაზაკებმა ფრუშკა-გორას რაიონში რამდენიმე სოფელი გადაწვეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ვერც პარტიზანები იპოვეს და არც შეიარაღებულ წინააღმდეგობას ჰქონია ადგილი.[2]

ვითარება შეიცვალა 1944 წლის აგვისტოში, როდესაც კაზაკთა შეიარაღებული ნაწილები „SS“-ის დაქვემდებარებაში გადავიდნენ. იმ მომენტისათვის „SS“-ს უკვე ჰყავდა თავისი შეიარაღებული ნაწილები, რომლებიც ვერმახტთან ერთად ფრონტზე იბრძოდნენ მოკავშირეების წინააღმდეგ.[3] „სს“-ის დაქვემდებარებაში კაზაკების გადასვლის შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება 1-ლი კაზაკური დივიზიის ბაზაზე „SS“-ის მე-15 კაზაკთა კავალერიული კორპუსის შექმნის შესახებ, რაც მოხდა კიდეც 1945 წლის 25 თებერვალს.[4] ახლად შექმნილი კორპუსი შედგებოდა ორი დივიზიისგან: 1-ლი დივიზია (მეთაური პოლკოვნიკი ვაგნერი) და მე-2 დივიზია (მეთაუ-

[1] Петр Крикунов. Казаки. Между Гитлером и Сталиным, გვ. 486.
[2] Basil Davidson. Bad Habits. The Repatriation from Austria: The Report of the Inquiry by Anthony Cowgill, Lord Brimelow and Christopher Booker; Cossacks in the German Army by Samuel Newland; Eyewitnesses in Nuremberg by Hilary Gaskin. London Review of Books, vol. 13, No. 12, 27 June 1991. ელ. ვერსია: http://www.lrb.co.uk/v13/n12/basil-davidson/bad-habits.
[3] Константин Залесский. СС. Охранные отряды НСДАП. Москва: Эксом, 2004, გვ. 261.
[4] Константин Залесский, Пауль Хауссер. Черная гвардия Гитлера. Ваффен-СС в бою. Москва: Издатель Быстров, 2007, გვ. 160.

რი პოლკოვნიკი ფონ შულცი).[1] გარდა ამისა, შექმნილი იყო ცალკე კაზაკთა ბრიგადა, რომლის მეთაური იყო პოლკოვნიკი ი. კონონოვი.[2] კორპუსის საერთო რაოდენობა იყო 25000 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 3000-5000 გერმანელი.[3]

არის ერთი საკითხი, რომელიც, ჩემი აზრით, ყურადღებას მოითხოვს. ვგულისხმობ იმას, რომ „SS"-ის დაქვემდებარებაში კაზაკთა შენაერთების გადასვლა და „Waffen-SS"-ის წევრობა სულაც არ ნიშნავდა ნაცისტური იდეოლოგიის აღიარებას ან „SS"-ის წევრობას. კორპუსის შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა. ის ემორჩილებოდა „SS"-ის ოპერატიულ შტაბს, მაგრამ „SS"-ის წევრებად კაზაკები არ ითვლებოდნენ. მეტიც, კორპუსში არ იყო გავრცელებული და არ იყო მიღებული „SS"-ის ჩინები და წოდებები. თვითონ პანვიცმა კი მიიღო „SS"-ის გრუპენფიურერის წოდება, თუმცა შესაბამის ფორმას არასდროს არ იცვამდა.[4]

როგორც აღვნიშნეთ, კაზაკთა შენაერთების უმრავლესობა შექმნილი იყო ან ანტიპარტიზანული ოპერაციების ჩასატარებლად, ან კომუნიკაციების დასაცავად. მათგან მკვეთრად განსხვავდებოდა მხოლოდ ერთი გაერთიანება, კერძოდ, „კაზაჩი სტანი". მისი შექმნა დაკავშირებულია სერგეი პავლოვის სახელთან. ეს უკანასკნელი იყო დონის ჯარის სალაშქრო ატამანი და ცდილობდა საბჭოთა ტერიტორიიდან დევნილი კაზაკების ორგანიზაციას. სწორად ამით დაკავდა „კაზაჩი სტანი", რომლის შექმნა დაიწყო 1943 წლის 10 ნოემბერს გერმანიის მთავრობის დეკლარაციის[5] გამოქვეყნების შემდეგ. ამ დოკუმენტით გერმანიის მთავრობა კაზაკებს სრულ მხარდაჭერას უცხადებდა და ანიჭებდა გარკვეულ უფლებებს, კერძოდ: ყველა სამსახურებრივ უფლებას, რომლებსაც ფლობდნენ კაზაკების წინაპრები წინა წლებში; მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებას; მიწის ნაკვეთების ხელშეუხებლობას. სწორედ ამ დეკლარაციის შემდეგ დაიწყო „კაზაჩი სტანის" შექმნა, როგორც ორგანოსი, რომელიც დაკავებული იქნებოდა იძულებით გადასახლებულების გადაადგილებით ბელორუსიაში.[6] მანამდე

[1] Вячеслав Науменко. Великое предательство. Выдача казаков в Лиенце и других местах (1945-1947). В 2-х т. т. 1, გვ. 53.
[2] Константин Черкассов. Генерал Кононов. Ответ перед историей за одну попытку. В 2-х тт. Мельбурн: Единение, 1963, 1965, т. 2, გვ. 97.
[3] David Littlejohn. Foreign Legions of the Third Reich. Vol. 4: Poland, the Ukraine, Bulgaria, Romania, Free India, Estonia, Latvia, Lithuania, Finland and Russia. San Jose: R. James Bender Publishing, 1987, გვ. 277.
[4] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 59.
[5] Декларация Германского правительства 10 декабря 1943 г. Историческая энциклопедия. ელ. ვერსია: https://interpretive.ru/termin/deklaracija-germanskogo-pravitelstva-10-dekabrja-1943-g.html.
[6] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 84.

ამ საქმით დაკავებული იყო დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა კომიტეტი.[1] გერმანელების მიერ მდ. დონის აუზისა და კავკასიის დატოვების შემდეგ, მათ მხარეზე მებრძოლი კაზაკებისთვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ჯარების კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენა მათი ოჯახებისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. ამიტომ მათ მასობრივად დაიწყეს საცხოვრებელი ადგილების დატოვება და გაყვნენ გერმანულ ჯარებს. მხოლოდ 1943 წლის 10 ივლისიდან 10 ოქტომბრის პერიოდში დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა კომიტეტში დაფიქსირდა 71 368 კაზაკი, 4 432 ქალი და 1 674 ბავშვი.[2] 18-35 წლის ასაკის ყველა ბრძოლისუნარიანი კაზაკი იგზავნებოდა ბერლინში, აღმოსავლური სამინისტროს კაზაკთა განყოფილებაში, საიდანაც მათ ამწესებდნენ კაზაკთა 1-ლი დივიზიის სათადარიგო პოლკში და იქიდან უკვე დანიშნულების ადგილისკენ მიჰყავდათ.[3] გარდა ამისა, რეორგანიზაცია ჩაუტარდა კაზაკთა სამწყობრო ნაწილებს. შედეგად შეიქმნა 10 პოლკი, რომლებიც, თავის მხრივ, 3 ბრიგადაში იყვნენ გაერთიანებული.[4] 1944 წლის 31 ოქტომბერს კი გერმანულმა მხარემ შექმნა და უშუალოდ დაიქვემდებარა კაზაკთა ჯარების მთავარი სამმართველო, რომელსაც სათავეში ემიგრანტი გენერალი, პიოტრ კრასნოვი ედგა.[5]

რომ შევაჯამოთ, კაზაკური შენაერთის შექმნა ნაცისტური გერმანიის მხრიდან იყო საკმაოდ ჭკვიანური ნაბიჯი, რომლის განხორციელებაც თავდაპირველად არ იგეგმებოდა. როგორც ვიცით, სსრკ-გერმანიის ომის პირველი ეტაპი მიმდინარეობდა ვერმახტის წარმატებების ფონზე და, შესაბამისად, დამატებითი შეიარაღებული ფორმირებების შექმნას გერმანელები საჭიროდ არ თვლიდნენ. ამას ასევე ემატებოდა ნაცისტური იდეოლოგია. თუმცა, 1942 წლის მიწურულიდან, მას შემდეგ, რაც ფრონტზე ვითარება შეიცვალა და საბჭოთა პარტიზანებიც ვერმახტის კომუნიკაციებზე მუდმივად ახორციელებდნენ თავდასხმებს, მკვეთრად ანტისაბჭოურად განწყობილი კაზაკები გერმანული ხელმძღვანელობისათვის უკვე გამოსადეგი გახდნენ. მათგან შეიარაღებული შენაერთის შექმნა მხოლოდ დროის საკითხი იყო.

---

[1] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 430.
[2] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 25.
[3] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования, გვ. 647.
[4] Сергей Дробязко, Андрей Каращук. Восточные легионы и казачьи части в Вермахте, გვ. 44.
[5] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 93.

## 2.2. კაზაკური შეიარაღებული შენაერთების საბრძოლო გამოყენება საბჭოთა ძალების წინააღმდეგ

როგორც აღინიშნა, კაზაკები ძირითადად პარტიზანების წინააღმდეგ გამოიყენებოდნენ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ კაზაკურ შენაერთს, პირველ რიგში, საუბარია 1-ელ კაზაკურ დივიზიაზე, 1944-1945 წლებში საბჭოთა ჯარებთანაც მოუწია ბრძოლა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც წითელი არმიის ნაწილები, კერძოდ, მე-3 უკრაინული ფრონტი მარშალ ტოლბუხინის სარდლობით, გადავიდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე დღევანდელი უნგრეთ-ხორვატიის საზღვრის მიდამოებში.[1] 12 დეკემბერს საბჭოთა ჯარებმა თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს დასახლებულ პუნქტებთან პიტომაჩა, ვიროვიტიცა და სუხოპოლიე (დღ. ხორვატია). უფრო დეტალურად საბჭოთა თავდაცვა, გამოიყურებოდა შემდეგნაირად: სოფელ პიტომაჩას დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში თავდაცვით პოზიციებს სამი ბატალიონი და საარტილერიო დივიზიონი იცავდა. ერთი ბატალიონი და ასეული იმყოფებოდა ვიროვიტიცის დასავლეთ ნაწილში. აქვე იყო განლაგებული დივიზიის შტაბი, რეზერვი (ერთი ბატალიონი) და ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი, რომელიც გზატკეცილს იცავდა ქ. ბარჩისკენ (აღნიშნულ ქალაქამდე მისვლა შესაძლებელი იყო მდინარე დრავას გადაკვეთის შემთხვევაში). გარდა ამისა, სამი ბატალიონი და საზენიტო-სატყვიამფრქვევო ასეული იკავებდა პოზიციებს ბუდაკოვაც-ორაშაც-პილიჩ-სუხოპოლიესთან. დივიზიის ზურგი აღმოჩნდა ბარჩაში და, საბოლოო ჯამში, ისე გამოვიდა, რომ დივიზიის ნაწილები სამ ნაწილად იყვნენ გაყოფილი და რეზერვს, საჭიროების შემთხვევაში, 20-25 კილომეტრის გავლა მოუწევდა.[2] თვითონ ბრძოლა კი მიმდინარეობდა შემდეგნაირად.

26 დეკემბერს, 7.30 საათზე, კაზაკთა სამი პოლკი გადავიდა შეტევაზე პიტომაჩას მიმართულებით, უფრო ზუსტად ყუბანის მე-3 პოლკი გადავიდა შეტევაზე სოფელ ჯურჯევაცის მიმართულებით (პიტომაჩას ჩრდილოეთით), დონის მე-5 პოლკმა პირდაპირ შეუტია პიტომაჩას, თერგის მე-6 პოლკმა – ჩრდილოეთით შემოუარა პიტომაჩას და მას სტარი გრადის გავლით შეუტია. დილის 9 საათისთვის, კაზაკებმა მოახერ-

---

[1] Кирилл Александров. Русское казачество во Второй мировой войне: трагедия на Драве.// *Новый часовой*, № 11-12, 2001, გვ. 121.

[2] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 120.

ხეს კლადარის, ოტროვანეცის და სედლარიცას დაკავება, თუმცა, საბჭოთა მსროლელთა პოლკი ინარჩუნებდა პოზიციებს პიტომაჩას სამხრეთითა და ჩრდილო-დასავლეთით. 15.00 საათზე კაზაკებმა, სამივე კაზაკური პოლკის ერთობლივი შეტევის შედეგად, მოახერხეს საბჭოთა მსროლელთა პოლკის პოზიციების გარღვევას და 17.00 საათზე შეაღწიეს პიტომაჩაში. 27 დეკემბრისათვის კაზაკებმა მთლიანად აიღეს პიტომაჩა და ნადავლის სახით დაისაკუთრეს 29 ქვემეხი, 6 ნაღმმტყორცნი, 42 ტყვიამფრქვევი, 149 ცეცხლმფრქვევი, 12 ტანკსაწინააღმდეგო შაშხანა, 72 ავტომატი, რამდენიმე ასეული შაშხანა, ასევე ბევრი ავტომანქანა და ტყვია-წამალი.[1] რაც შეეხება დანაკარგებს, კაზაკებმა აღნიშნულ ბრძოლაში დაკარგეს 500-600 ადამიანი,[2] საბჭოთა ძალებმა კი – დაღუპულების სახით 459 ადამიანი და შეიარაღების და ტყვია-წამლის საერთო რაოდენობის 2/3.[3]

აღნიშნული ბრძოლის შეფასებისას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. კაზაკებმა იბრძოლეს საბჭოთა შეიარაღებული ნაწილების წინააღმდეგ და არა საბჭოთა ან იუგოსლავი პარტიზანების წინააღმდეგ, თანაც, აღნიშნული ბრძოლა მათი გამარჯვებით დასრულდა, რაც ნამდვილად დადებითად იმოქმედებდა კაზაკების საბრძოლო სულისკვეთებაზე. ეს იყო კაზაკების პირველი მასშტაბური გამარჯვება საბჭოთა ძალებზე (ბოლშევიკებზე) სამოქალაქო ომის შემდეგ. ამასთან, პარალელი რომ გავავლოთ ვლასოვის რგა-სთან, კაზაკებმა ბევრად უფრო წარმატებით იმოქმედეს, ვიდრე რგა-ს პირველმა დივიზიამ „ერლენგოფის“ პლაცდარმის აღებისას, თუმცა ამ შემთხვევაში შედარებისას გასათვალისწინებელია გარკვეული ნიუანსები. რგა-ს პირველმა დივიზიამ პლაცდარმის აღება ვერ მოახერხა არა მარტო საბჭოთა ძალების ძლიერი წინააღმდეგობის, არამედ თვითონ პლაცდარმის მცირე ზომების გამოც. პიტომაჩას შემთხვევაში კი საბჭოთა ნაწილები, საბჭოთა დივიზია სამ ნაწილად იყო გაყოფილი და რეზერვი 20-25 კილომეტრით იყო დაშორებული ბრძოლის ველს. შესაბამისად, კაზაკებისათვის ამოცანის შესრულება ვლასოველებისგან განსხვავებით, ბევრად უფრო მარტივი იყო.

პიტომაჩას ბრძოლის გარდა, კაზაკთა დივიზიამ მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთ ბრძოლაში, უფრო სწორად, ვერმახტის უკანასკნელ შეტევაში ბალატონის ტბას-

---

[1] Петр Крикунов. Казаки. Между Гитлером и Сталиным, გვ. 502.
[2] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 128.
[3] Кирилл Александров. Русское казачество во Второй мировой войне: трагедия на Драве, გვ. 133.

თან. ეს იყო გერმანიის მცდელობა, შეენარჩუნებინა ავსტრია და, განსაკუთრებით, უნგრეთის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მდებარეობდა გერმანიის კონტროლის ქვეშ არსებული უკანასკნელი ნავთობსაბადოები,[1] თუმცა ეს არ იყო უშუალოდ საბჭოთა ნაწილებთან დაპირისპირება, რადგანაც კაზაკებს მოუწიათ ბრძოლა 1-ელ ბულგარულ არმიასთან. ფონ პანვიცის კაზაკებმა, კერძოდ, ყუბანის მე-4 კაზაკთა პოლკმა, 81-ე საარმიო კორპუსთან ერთად, მოახერხა პლაცდარმის შექმნა დრავის მარცხენა სანაპიროზე, ვოლპოვოს რაიონში (ქ. ოსიეკის /ხორვატია/ ჩრდილო-დასავლეთით). 1945 წლის 23 მარტის ღამეს კაზაკებმა შეუტიეს ბულგარულ არტილერიას. ეს ბრძოლა დასრულდა კაზაკების მხრიდან მცირე დანაკარგებით და 450 ბულგარელი სამხედროს ტყვედ აყვანით.[2]

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ კაზაკების გამოყენება გერმანელების მხრიდან უფრო ინტენსიურად ხდებოდა, ვიდრე რგა-ს ძალების. ამასთან, კაზაკების მოქმედებას ეფექტიც უკეთესი ჰქონდა. მოძრავ, მობილურ საბრძოლო ქმედებებს მიჩვეული პარტიზანები, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იცნობდნენ ადგილობრივ რელიეფს, იუგოსლავი პარტიზანების წინააღმდეგ უფრო მეტად წარმატებით იბრძოდნენ, ვიდრე წარუმატებლად. რაც შეეხება უშუალოდ ფრონტის ხაზზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას, აქაც კაზაკებს უკეთესი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე რგა-ს. მართალია, ეს მოხდა ომის ბოლო თვეებში და არსებითად ვითარებას ვერ შეცვლიდა, მაგრამ, ამავე დროს, ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ სწორად გამოყენების შემთხვევაში კაზაკებს გერმანელებისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ.

## 2.3. კაზაკების გადაცემა საბჭოთა კავშირისთვის და მათი ბედი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, 1944 წლის ოქტომბრის ჩერჩილისა და სტალინის შეხვედრაზე და 1945 წლის თებერვალში გამართულ იალტის კონფერენციაზე მი-

[1] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941-1945. Победоносное окончание войны с фашисткой Германией. Поражение империалистической Японии. Т. 5. Москва: Военное издательство Министерства обороны Союза ССР, 1963, გვ. 193.
[2] Петр Крикунов. Казаки. Между Гитлером и Сталиным, გვ. 505.

ღებული გადაწყვეტილებებით, მოკავშირეებს საბჭოთა მხარისთვის უნდა გადაეცათ მათ ხელთ აღმოჩენილი საბჭოთა მოქალაქეები. ოფიციალურად, იალტაში გაფორმებულ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ მოკავშირეები საკუთარ თავზე იღებდნენ მოვალეობას მოიმარაგონ საკვებით, ტანსაცმლით, სამედიცინო მომსახურებით ტყვედ აყვანილი საბჭოთა მოქალაქეები (იგივე პრინციპი მუშაობდა საბჭოთა ძალების მიერ მოკავშირეების მოქალაქეების მიმართ).[1] ერთი შეხედვით, ამ შეთანხმებაში არაფერი დასაძრახი არ იყო, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ის შეეხო არა მარტო საბჭოთა მოქალაქეებს, არამედ იმ პირებსაც, ვინც ემიგრაციაში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს ან მის შემდეგ წავიდა. განსაკუთრებით მრავლად იყო ასეთი პირების რიცხვი კაზაკთა შორის, როგორც 1-ელ კაზაკთა დივიზიაში, ისე „კაზაჩი სტანში“.

ვიდრე უშუალოდ კაზაკთა საბჭოთა მხარისათვის გადაცემას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კაზაკებმა 1945 წელს სცადეს გარკვეული ცვლილებების შეტანა თავის სტატუსში. 1945 წლის 24 მარტს, ქ. ვიროვიტიცაში (დღ. ხორვატია) გაიმართა კაზაკთა კრება, რომელზეც მიღებული იყო რამდენიმე გადაწყვეტილება:

1. კაზაკთა ნაწილებიდან ყველა გერმანელი ოფიცრის გაძევება, რომლებსაც კაზაკების მიზნების არ ესმოდათ;
2. კაზაკთა ჯარების მთავარი სამმართველოს გაუქმება;
3. დრაგოლუბ („დრაჟა“) მიჰაილოვიჩთან კავშირის დამყარება (იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოქმედი ჩეტნიკების დაჯგუფების მეთაური);
4. ყველა კაზაკური ნაწილის შეკრება კლაგენფურტ-ზალცბურგის რაიონში, დამრტყმელი არმიის შესაქმნელად;
5. ყველა კაზაკური ნაწილის გადაყვანა გენერალ ვლასოვის დაქვემდებარებაში;
6. კაზაკების სამხედრო მიზნების დეკლარაციის ყველა ენაზე გამოქვეყნება;
7. სალაშქრო ატამანად ფონ პანვიცის არჩევა.[2]

აღნიშნული კრების აუცილებლობა გამოწვეული იყო დაპირისპირებით, რომელიც არსებობდა კაზაკთა დაჯგუფებებს შორის. 1945 წელს კაზაკთა ჯარების მთავარი

---

[1] Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941–1945 гг.: Сборник документов. Том IV. Крымская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (4–11 февраля 1945 г.). Глав.ред.: Анатолий Громыко. Москва: Политзидат, 1979, გვ. 283-287.

[2] С. Чуев. Проклятые солдаты. Предатели на стороне III рейха. Москва: Эксмо, 2004, გვ. 189.

სამმართველოს მსგავსი განყოფილება შეიქმნა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტშიც და მას სათავეში გრიგორი ტატარკინი ჩაუდგა. ცალსახაა, რომ ყოველივე ეს მიზნად ისახავდა კაზაკური ნაწილების გაერთიანებას ანდრეი ვლასოვის სარდლობის ქვეშ. ამავე დროს, ამ ნაბიჯმა გამოიწვია იმ კაზაკთა უკმაყოფილება, რომლებსაც სურდათ ეცხოვრათ ისე, როგორც ცხოვრობდნენ კაზაკები ბოლშევიკურ რევოლუციამდე. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა გერმანელთა დაქვემდებარებაში მყოფი კაზაკთა ჯარების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, გენერალი პიოტრ კრასნოვი. თავის წერილში ანდრე ვლასოვისადმი, კრასნოვმა რამდენიმე კითხვა დასვა: „1) არის თუ არა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტის შეიარაღებული ძალები გერმანიისგან და გერმანული ჯარებისგან დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალები? 2) აღიარებენ თუ არა კაზაკების იმ უფლებებს, რომლებიც უკვე აღიარა გერმანიამ? 3) შეუძლია თუ არა ვლასოვს, გერმანიის დახმარების გარეშე, კაზაკების დახმარება მათ მშობლიურ მიწაზე დასაბრუნებლად? 4) ხომ არ თვლის ვლასოვი შეცდომად ცალკე კაზაკთა სამმართველოს შექმნას, რომელიც კაზაკთა მთავარი სამმართველოსგან იქნება დამოუკიდებელი?“.[1] აღნიშული კომიტეტის კაზაკთა სამმართველომ ასევე წერილით უპასუხა გენერალ კრასნოვს და პასუხი გასცა ამ კითხვებს: „დიახ, კომიტეტი თანამშრომლობს გერმანიასთან, თუმცა ეს თანამშრომლობა არის დამყარებული ერთობლივ პატივისცემაზე. რუსეთი ომის შემდეგ იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც გერმანიის მოკავშირე იქნება... კაზაკებს სურთ თავისი ადათწესების მიხედვით, თავისი კანონების მიხედვით ცხოვრება რუსეთის შემადგენლობაში... კაზაკები არ წარმოადგენენ ცალკე ერს, ისინი რუსი ან უკრაინელი ხალხების განუყოფელი წარმომადგენლები არიან... რუსეთი უკვე არ არის ისეთი, როგორიც ადრე იყო, არც კაზაკები არ არიან ისეთები, როგორიც ადრე იყვნენ“.[2]

აღნიშნული ორი წერილი საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ კაზაკებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა საკუთარი მომავლის მიმართ. ასევე, შეიძლება იმის თქმაც, რომ ეს დაპირისპირება უფრო თაობათა დაპირისპირებას ჰგავდა. გენერალი კრასნოვი მონარქისტი იყო და, რა თქმა უნდა, კაზაკებს რუსეთის შემადგენლობაში ხედავდა. შესაბამისად, ეს განსხვავდებოდა იმ კაზაკების აზრისგან, რომლებიც გერმანელების მხარეს როგორც საბჭოთა მოქალაქეები გადავიდნენ. თუმცა, აქვე უნდა

[1] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 183-185.
[2] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 181-182.

ითქვას, რომ კაზაკურ ორგანიზაციებში არ იყო ფართოდ გავრცელებული მოსაზრებები იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კაზაკების ბედი ომის შემდეგ. აქ, როგორც ჩანს, მეორე მსოფლიო ომის კაზაკებმა მიბაძეს თეთრგვარდიელების ლიდერებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ უპირველესი მიზანი ბოლშევიზმის დამარცხება იყო. ფაქტია, რომ ვიროვიტიცაში გამართულ კრებაზე კრასნოვის მომხრეები დამარცხდნენ და კაზაკთა ნაწილები უკვე მთლიანად ვლასოვის და რხგკ-ს დაქვემდებარებაში გადავიდნენ. 1945 წლის აპრილში ეს ოფიციალურადაც გაფორმდა. ამის შემდეგ პანვიცის დაჯგუფებას უბრალოდ მე-15 კაზაკთა კავალერიული კორპუსი ეწოდა, ხოლო „კაზაჩი სტანი" კი კაზაკთა ცალკეულ კორპუსად იქცა.[1] ამავე პერიოდში დაიწყო მათი გასვლა იუგოსლავიის სამეფოს ტერიტორიიდან, რათა ტყვედ ჩაბარებოდნენ არა საბჭოთა ჯარებს, არამედ ბრიტანელებს. 1-ლი დივიზია ჯერ შეუერთდა მე-2 დივიზიას, რომელიც იცავდა სოკოლოვაცი-კოპრივნიცა-დრავის ხაზს, შემდეგ კი შეეცადა ჩრდილოეთ იტალიაში გადასვლას,[2] თუმცა ეს ვერ მოახერხა, რადგანაც იტალიაში 28 აპრილს გერმანულმა ჯარებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს.[3] ამის გამო, 1-ლი დივიზია გაჰყვა მდ. დრავის ხეობას და გადალახა ავსტრიის საზღვარი ლავამიუნდთან. მე-2 დივიზიამ კი უკან დახევა მოახერხა მხოლოდ 6 მაისს და 8 მარტს ის შეუერთდა 1 დივიზიას ავსტრიაში.[4] სწორედ აქ, კლაგენფურტის მახლობლად, გადააწყდნენ ისინი მე-8 ბრიტანულ არმიას გენ. რიჩარდ მაკკრირის მეთაურობით.

პირველი შეხვედრა შედგა 9 მაისს, როდესაც ფონ პანვიცს ესაუბრა გენ. მაკკრირის მიერ გამოგზავნილ სპეციალური ოპერაციების სამმართველოს მაიორ ჩარლზ უილერსს. შეხვედრისას ფონ პანვიცი სცდილობდა წინაპირობების დაყენებას (მათ შორის უმთავრესი იყო კაზაკების არგადაცემა საბჭოთა მხარისთვის), მაიორი კი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ კორპუსი უპირობოდ უნდა ჩაბარდეს მე-8 არმიას.[5] შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა და ამან ფონ პანვიცზე საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ მან ბრიტანელებთან გააგზავნა თავისი შტაბის უფროსი ოფიცერი, პოლკოვნიკი ფონ რენტელნი, რომელიც პირადად იცნობდა ფელდმარშალ ჰაროლდ

---

[1] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 189.
[2] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 64.
[3] იტალიაში გერმანული ჯარების კაპიტულაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დაწვრილებით იხ.: პაპასქირი თეიმურაზ. „დიდი სამეულის" დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. 1944წ. სექტემბერი – 1945წ. მაისი. თბილისი, 2006, გვ. 246-274.
[4] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 64.
[5] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 310.

ალექსანდერს.[1] ფონ პანვიცი თვლიდა, რომ პოლკოვნიკი აუხსნიდა ალექსანდერს კაზაკების ირგვლივ შექმნილ სიტუაციას, თუმცა, ის ვერ დაელოდა ამ შეხვედრის შედეგებს. 10 მაისს ბრიტანელებმა მოითხოვეს მე-15 კორპუსის სრული შემადგენლობით ტყვედ ჩაბარება.[2] ფონ პანვიცს ამ მოთხოვნაზე დათანხმება მოუწია. 11 მაისს, ფიოლკერმარკტთან მე-15 კორპუსი განიარაღდა. ამის შემდეგ, კორპუსი დასავლეთისკენ დაიძრა. ზანკტ ვაიტთან კორპუსი ორად გაიყო, კერძოდ: თვითონ ფონ პანვიცი შტაბთან, ყუბანის მე-3 და მე-4 პოლკებთან, დონის მე-5 პოლკთან, თერგის მე-6 პოლკსა და მე-8 პლასტუნთა პოლკთან ერთად დაიძრა ჩრდილოეთისკენ, ალტჰოფენის მიმართულებით. დანარჩენი ნაწილები, პოლკოვნიკ ვაგნერის მეთაურობით, დასავლეთისკენ დაიძრა და ბანაკი გაშალა ფელდკირხენთან.[3] 13 მაისისთვის მე-15 კაზაკთა კავალერიული კორპუსი ტყვედ პრაქტიკულად სრული შემადგენლობით ჩაბარდა.[4] ფონ პანვიცი ცდილობდა კორპუსის გადარჩენას, თუმცა უშედეგოდ.[5] ჩემი აზრით, მას კორპუსის ჯარისკაცების გადასარჩენად არცერთი შანსი აღარ ჰქონდა, ვინაიდან ბრიტანელები არ აპირებდნენ მოსკოვსა და იალტაში მიღებული შეთანხმებების დარღვევას.

ტყვეები ბანაკებში ცხოვრობდნენ და არ უქმნიდნენ პრობლემებს ინგლისელებს. ისინი არ ცდილობდნენ აჯანყების მოწყობას თუ გაქცევას და უბრალოდ ელოდებოდნენ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ამიტომ მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის, რომ ბრიტანელებმა მათი საბჭოთა მხარისთვის გადაცემა დაიწყეს (იმ მომენტისათვის მოსკოვისა და იალტის შეთანხმებები ჯერ კიდევ გასაიდუმლოებული იყო). გადაცემა დაიწყო 25 მაისს, როდესაც მე-2 დივიზიის ბანაკში, რომელიც ალტჰოფენთან იყო განლაგებული, შევიდა სატვირთო მანქანების კოლონა. კაზაკებს გაკვირვება არ გამოუხატავთ, რადგანაც წინა დღით მათ უთხრეს, რომ გადაიყვანდნენ იტალიაში. ავტოკოლონა დაიძრა სამხრეთით, იტალიის მიმართულებით, თუმცა მალე კოლონამ შეცვალა მიმართულება და იუდენბურგში აღმოჩნდა, სადაც ისინი საბჭოთა მხარისთვის უნდა გადაეცათ. ეს მანევრი მოულოდნელი აღმოჩნდა კაზაკებისათვის,

[1] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 2, გვ. 320-321.
[2] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 179.
[3] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 312.
[4] Кирилл Александров. Последнее предательство Второй Мировой. // *Церковный вестник,* 2005, № 13-14, გვ. 314-315. საერთო ჯამში, მე-8 ბრიტანული არმიის წარმომადგენლებს ტყვედ ჩაბარდა 18 792 ოფიცერი და ჯარისკაცი, მათ შორის – 1142 გერმანელი (იხ.: К. Залесский. Командиры национальных формирований СС. Москва: АСТ; Астрель, 2007, ელ. ვერსია: http://coollib.com/b/82031/read).
[5] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 181.

რომლებმაც დაიწყეს მანქანებიდან პირადი ნივთების გადაყრა. რამდენიმე ადამიანმა თვითმკვლელობაც სცადა, ოღონდ არ აღმოჩენილიყო საბჭოთა წარმომადგენლების ხელში. მიუხედავად ამისა, პროცესი არ შეჩერებულა და მე-2 დივიზიის კაზაკები საბჭოთა მხარეს გადასცეს.[1]

კიდევ უფრო დრამატული იყო 1-ლი დივიზიის გადაცემის პროცესი. ამ პროცესისთვის მზადება მე-8 ბრიტანული არმიის მე-6 სატანკო დივიზიამ 27 მაისს დაიწყო, როდესაც 1-ლი დივიზიის კაზაკები გადაიყვანეს ვაიტენსფელდის ბანაკში, სადაც რიგითები ოფიცრებისგან გამოყვეს.[2] თვითონ გადაცემის პროცესი დაიწყო 29 მაისს დილის 6 საათზე, როდესაც ბანაკში გამოჩნდა სატვირთო მანქანები. კაზაკებმა, მაიორ ოსტროვსკის მეთაურობით (იმ მომენტისათვის სწორედ ის იყო ყველაზე მაღალი რანგის მქონე ოფიცერი კაზაკებს შორის), უარი განაცხადეს სატვირთო მანქანებში ჩასხდომაზე.[3] კაზაკებისათვის ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირში დაბრუნება გარანტირებულ სიკვდილს ნიშნავდა. მაშინ მაიორმა პრაისმა, რომელსაც ევალებოდა კაზაკების გადაცემა საბჭოთა მხარისთვის, გადაწყვიტა, ფსიქოლოგიურად შეეშინებინა კაზაკები და გასცა ბრძანება “Wasp”-ის ტიპის ცეცხლმფრქვეველი ჯავშნოსანი მანქანების გამოყენების შესახებ.[4] მიუხედავად ამისა, კაზაკები მაინც არ ჩასხდნენ მანქანებში. განრისხებულმა პრაისმა განაცხადა, რომ იძულებული იქნებოდა, ძალა გამოეყენებინა.[5] საბოლოოდ, კაზაკებს არჩევანი არ დარჩათ და ჩასხდნენ მანქანებში. კოლონა დაიძრა, თუმცა მსვლელობის დროს მოხდა ერთი საინტერესო მომენტი. ის გააჩერა ერთმა ბრიტანელმა ოფიცერმა, რომელიც მოტოციკლით გაასწრო სატვირთო მანქანებს და მაიორ ოსტროვსკის დაელაპარაკა. ოფიცერმა ოსტროვსკის მიაწოდა ანკეტა, რომლითაც შემვსები პირი ადასტურებდა, რომ არ იყო საბჭოთა მოქალაქე. შედეგად, ოსტროვსკი და დაახლოებით 50 ადამიანი, რომლებმაც შეავსეს ეს ანკეტა, ვაიტენსფელდში დააბრუნეს.[6] რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი აღმოჩნდნენ გრაცში და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირში. მთლიანობაში, ბრიტანელებმა საბჭოთა კავშირს გადასცეს 17 702 კაზაკი, რომლებიც მსახურობდნენ მე-15 კაზაკთა კავალერიულ კორპუსში,

1 Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 181.
2 Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 182.
3 Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 182.
4 Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 321-322.
5 Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 2, გვ. 167.
6 Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 183.

47 ქალი, 5 ბავშვი და 7 მღვდელი.[1]

რაც შეეხება თავად ფონ პანვიცს, ის 28 მაისს გადაიყვანეს იუდენბურგში და გადასცეს საბჭოთა ძალებს.[2] ეს ცალსახად იყო საერთაშორისო ნორმების დარღვევა, რადგანაც ფონ პანვიცი (ისევე, როგორც პიოტრ კრასნოვი და კაზაკთა კიდევ რამდენიმე ლიდერი) არ იყო საბჭოთა კავშირის მოქალაქე. ის გერმანიის მოქალაქე იყო და არც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებში ედებოდა ოფიციალურად ბრალი. საერთოდ, ფონ პანვიცს ჰქონდა ყველანაირი უფლება, დაეტოვებინა კორპუსი, მაგრამ მან თავის კაზაკებთან დარჩენა გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მხარემ არ თქვა უარი მის მიღებაზე, რადგანაც მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იყო ფონ პანვიცი საბჭოთა მოქალაქე თუ არა. საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ნაკლებად საინტერესო იყო, თუ რომელ მოქალაქეობას ფლობდნენ ფონ პანვიცი და კრასნოვი. მათთვის აღნიშნული პიროვნებები მხოლოდ მტრებს წარმოადგენდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კაზაკების გარდა, ბრიტანელებმა საბჭოთა მხარეს გადასცეს კორპუსის წევრი გერმანელებიც, თუმცა არასრული რაოდენობით. სულ ტყვედ იქნა აყვანილი 1142 გერმანელი, რომელიც კორპუსში მსახურობდა, მაგრამ საბჭოთა მხარეს გადაეცა 600-დან 700-მდე ჯარისკაცი. დანარჩენებმა ბანაკი დატოვეს და ადგილობრივ სოფლებს შეაფარეს თავი.[3] როგორც ჩანს, ბრიტანელებს საბჭოელებისთვის მათი გადაცემა არ უნდოდათ და განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ.

მსგავსი და, გარკვეულწილად, უფრო ტრაგიკულიც კი (მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამო) იყო „კაზაჩი სტანის“ ბედი. როგორც უკვე აღინიშნა, „კაზაჩი სტანი“ ძირითადად აერთიანებდა იმ კაზაკებს, ვინც დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილები გერმანული ჯარების უკანდახევასთან ერთად. 1944 წლისთვის ამ კაზაკებმა ბინა ძირითადად ბელორუსიაში, კერძოდ, ქალაქების: ბარანოვიჩი, სლონიმი, ელნია, სტოლიცი და ნოვოგრუდოკი, – რაიონებში დაიდეს.[4] 1944 წლის ივნისში დაწყებული საბჭოთა შეტევის შემდეგ (ოპერაცია „ბაგრატიონი“), მათ ისევ მოუწიათ გადაადგილება. ამ პერიოდში „კაზაჩი სტანის“ შეიარაღებულმა ნაწილებმა გამართეს ბრძოლები მდინარე ნემანთან საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, კერძოდ, 1944 წლის 2

---

[1] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 317.
[2] Константин Залесский. Кто был кто в Третьем рейхе. Москва: Астрель, 2002, გვ. 252.
[3] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 181.
[4] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 277.

ივლისს.[1] საბჭოთა ძალები ცდილობდნენ პლაცდარმის შექმნას ნემანის მარცხენა სანაპიროზე, დასახლებულ პუნქტ ლუბჩასთან ახლოს. კაზაკებმა, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, მოახერხეს ჯერ ლუბჩის განთავისუფლება წითელი არმიისგან, მოგვიანებით კი საერთოდ აიძულეს საბჭოელები, ნემანის იქით გადასულიყვნენ. გასაგებია, რომ მუდმივი საბჭოთა შეტევების გამო, „კაზაჩი სტანი“ ვერ დარჩებოდა ბელორუსიაში და 1944 წლის ივლისის დასაწყისში ბრძოლებით გადავიდნენ პოლონეთში, კერძოდ, ქალაქ ზდუნსკა ვოლიაში, რომელიც ცენტრალურ პოლონეთში მდებარეობდა,[2] თუმცა ეს არ იყო მათი საბოლოო დანიშნულების ადგილი. ამ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო კაზაკების გადაყვანა ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში – ტოლმეცოს, ჯემონა დელ ფრიულის და ოზოპოს რაიონებში.[3]

„კაზაჩი სტანის“ შეიარაღებულმა ფორმირებებმა რამდენიმე რეორგანიზაცია გაიარეს. ბელორუსიაში ყოფნის პერიოდში არსებობდა სამი ბრიგადა (ჯამში ათი პოლკი), თუმცა, კაზაკების რიცხვის ზრდის შედეგად, იტალიაში ყოფნისას უკვე ჩამოყალიბდა ცალკე კორპუსი, რომელიც შედგებოდა 2 დივიზიისგან, ორი ცხენოსანი პოლკისგან და მთელი რიგი სამხედრო სპეციალური სამხედრო დანიშნულების ნაწილებისგან. დივიზიები ასაკობრივი ნიშნით იყო გაყოფილი. პირველ დივიზიაში ირიცხებოდნენ 19-40 წლის კაზაკები, მეორეში კი – 40-52 წლის კაზაკები. კაზაკთა 1-ელ დივიზიაში ირიცხებოდა ოთხი პოლკი, საშტაბო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ასეულები, ცხენოსანთა და ჟანდარმერიის ესკადრონები და ჯავშანრაზმი. მეორე დივიზიაში შედიოდა სამი პოლკი, სტანიცების თავდაცვის სამი ბატალიონი და პოლკოვნიკ გრეკოვის განსაკუთრებული რაზმი. გარდა ამისა, ჯგუფის ნაწილებს ასევე გადაეცა ცალკეული კაზაკური ჯგუფი „სავოია“, რომელიც იტალიაში აღმოსავლური ფრონტიდან გადაიყვანეს ჯერ კიდევ 1943 წელს, მე-8 იტალიური არმიის ნაწილებთან ერთად.[4] ასევე, „კაზაჩი სტანის“ იტალიაში გადასვლის შემდეგ, ოფიცერთა მოსამზადებლად, შეიქმნა იუნკერთა სასწავლებელი.[5]

მთლიანობაში, მას შემდეგ, რაც „კაზაჩი სტანი“ აღმოჩნდა იტალიაში, კაზაკები შეეცადნენ მშვიდობიანი ცხოვრების ატრიბუტების შემოღებას. ამ საქმეში ისინი ეყრ-

[1] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 69.
[2] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования, გვ. 648.
[3] Михаил Шкаровский. Казачий стан в Северной Италии. // *Новый журнал*, №242, 2006, ელ. ვერსია: http://magazines.russ.ru/nj/2006/242/sh16.html.
[4] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 101-103.
[5] Петр Крикунов. Казаки. Между Сталиным и Гитлером, გვ. 285, 448-449.

დნობოდნენ სასულიერო პირებს მამა ვასილი გრიგორიევის ხელმძღვანელობით.[1] გარდა ამისა, კაზაკებმა ქალაქ ჯემონა დელ ფრიულის ახლოს თავისი „დედაქალაქიც“ დააარსეს ერთ-ერთ იტალიურ სოფელ ალესოში, საიდანაც გამოსახლებულ იქნა ყველა ადგილობრივი მკვიდრი და მათ სანაცვლოდ დასახლდნენ კაზაკები. სალაშქრო ატამანმა ტიმოფეი დომანოვმა აღნიშნულ დასახლებულ პუნქტს სახელიც გადაარქვა და მას „ნოვოჩერკასკი“ უწოდა. სახელები გადაარქვეს ასევე ქალაქში არსებულ ქუჩებს და მათ ნამდვილ ნოვოჩერკასკში არსებული ქუჩების სახელი მიანიჭეს: მოსკოვის ქუჩა, პლატოვის გამზირი, ერმაკის გამზირი და ასე შემდეგ.[2] რა თქმა უნდა, იტალიელებს ყოველივე ეს სულაც არ მოსწონდათ და გახშირდა ადგილობრივი პარტიზანების თავდასხმები კაზაკებზე. კაზაკების იტალიაში გადაყვანის მთავარი მიზანი ისედაც პარტიზანებთან ბრძოლა იყო,[3] მაგრამ ამ ქმედებებმა პარტიზანების კაზაკებთან დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა. 1944 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში პარტიზანებმა ალესოზე მიიტანეს იერიში, თუმცა უშედეგოდ.[4]

1945 წლის აპრილის ბოლოსთვის, როდესაც იტალიური ფრონტი მოიშალა და პარტიზანებმა ჩრდილოეთ იტალიის დიდ ნაწილზე თავისი კონტროლი დაამყარეს, კაზაკების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 1945 წლის 28 აპრილს სალაშქრო ატამანის დომანოვის შტაბში მივიდა სამი იტალიელი ოფიცერი, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ კარნია-ფრიულის ოლქის პარტიზანული ძალების ცენტრალური შტაბის მიერ. ოფიცრებმა კაზაკებს გადასცეს პარტიზანების ულტიმატუმი, რომლის თანახმად კაზაკები ვალდებული იყვნენ, სრულად განიარაღებულიყვნენ და დაეტოვებინათ ჩრდილოეთ იტალიის ტერიტორია.[5]

ულტიმატუმზე პასუხის გასაცემად 29 აპრილს დომანოვმა შეკრიბა კაზაკთა სამხედრო საბჭო, რომლის თავჯდომარე იყო გენერალ პეტრე კრასნოვი. საბჭომ უარყო ულტიმატუმი, რადგანაც ის არ შეესაბამებოდა კაზაკთა ღირსებას და დიდებას. კერძოდ, კაზაკებისთვის მიუღებელი იყო იარაღის ჩაბარება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის სანაცვლოდ კაზაკები მიიღებდნენ ავსტრიაში უსაფრთხო გადასვლის შესაძლებ-

---

[1] Кирилл Александров. Последнее предательство Второй Мировой, გვ. 314-315.

[2] Николай Быков. Казачья трагедия (1940-1945 гг.), გვ. 120.

[3] კაზაკებს ოდილო გლობოჩნიკის (SS-ის ობერგურპენფიურერი, ადრიატიკის სანაპიროს ოპერატიული ზონის SS-ის და პოლიციის უმაღლესი ხელმძღვანელი) შესაბამისი ბრძანებაც გააჩნდათ ადრიატიკის ზღვის სანაპიროს პარტიზანებისაგან დაცვის შესახებ (Смирнов А. А. Казачьи атаманы. Москва: Олма-Пресс, 2002, გვ. 507.).

[4] Вячеслав Науменко. Великое предательство. т. 1, გვ. 96.

[5] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 202.

ლობას. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, თუ ამის საჭიროება იქნებოდა, იტალიაში გერმანულ სარდლობასთან შეთანხმების შემდეგ, ბრძოლით გაერღვია პარტიზანთა ალყა და გადაელახა ალპები.[1] ამ გზით „კაზაჩი სტანი“ ავსტრიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ ტიროლში აპირებდა გადასვლას.[2] 30 აპრილს „კაზაჩი სტანის“ ცალკეული შენაერთები ავსტრიის მიმართულებით დაიძრნენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა დღეში იყვნენ კაზაკები, როდესაც ტოვებდნენ იტალიას. როგორც უკვე აღინიშნა, „კაზაჩი სტანი“ არ იყო მხოლოდ შეიარაღებული შენაერთი და მასში გაწევრიანებული კაზაკები ოჯახებით უნდა გადასულიყვნენ ალპებზე. გზა საკმაოდ რთული იყო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მაისი იდგა, უღელტეხილებზე დაბალი ტემპერატურა ფიქსირდებოდა, განუწყვეტლივ წვიმდა ან თოვდა და ცივი ქარი ქროდა. ამას ემატებოდა საკვები პროდუქტების სიმცირე (როგორც ადამიანებისათვის, ასევე ცხენებისათვის) და იტალიელი პარტიზანების თავდასხმები. კაზაკთა მოწინავე ნაწილები ლიენცს 3 მაისს მიადგნენ (ამ დროისთვის გერმანულმა ნაწილებმა ხელი მოაწერეს კაპიტულაციას იტალიაში), თუმცა სრული სახით „კაზაჩი სტანი“ აღმოსავლეთ ტიროლში 7 მაისისთვის აღმოჩნდა. მათ ბინა ქალაქებს ლიენცსა და ობერდრაუბურგს შორის დაიდეს.[3]

„კაზაჩი სტანის“ ხელმძღვანელების წინაშე იდგა ასეთი დილემა: ვის უნდა ჩაბარებოდნენ ტყვედ, ინგლისელებს თუ ამერიკელებს? გადამწყვეტი სიტყვა ამ საუბარში შეიტანა გენერალ პიოტრ კრასნოვმა, რომელმაც თქვა, რომ აღნიშნულ ორ მხარეს შორის ინგლისელების არჩევა ჯობდა, ვინაიდან მათ რუსეთის სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელებს აქტიური დახმარება გაუწიეს. მეტიც, უინსტონ ჩერჩილი ცნობილი იყო თავისი ანტიბოლშევიზმით და, შესაბამისად, კაზაკები ფიქრობდნენ, რომ ინ-

---

[1] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 202. ნ. ტოლსტოის მიხედვით, კაზაკები მოელაპარაკნენ იტალიელებს, რომ დატოვებდნენ მათ ტერიტორიას, მაგრამ არ ჩააბარებდნენ იარაღს (Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 254-255), თუმცა, როგორც ჩანს, ნ. ტოლსტოის მონაცემები არასწორია, რაზეც მეტყველებს კაზაკებსა და პარტიზანებს შორის გამართული ბრძოლები (იხ.: Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 205-208).

[2] Петр Крикунов. Казаки. Между Гитлером и Сталиным, გვ. 451. 1919 წლის სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით იტალიისთვის სამხრეთ ტიროლის გადაცემის შემდეგ, ტიროლის ავსტრიაში დარჩენილი ნაწილი ორად აღმოჩნდა გაყოფილი. შედეგად, აღმოსავლეთ ტიროლს საერთო საზღვარიც კი არ გააჩნია ჩრდილოეთ ტიროლთან (უშუალოდ ავსტრიის შემადგენლობაში მათ შორის ზალცბურგის ლანდი არის მოქცეული), თუმცა ადმინისტრაციულად ისინი ერთ ერთეულს წარმოადგენს – გ.ც.

[3] Юрий Цурганов. Белоэмигранты и Вторая мировая война. Попытка реванша. 1939-1945. Москва: Центрполиграф, 2010, გვ. 217-218.

გლისელები არ გადასცემდნენ კაზაკებს საბჭოთა მხარეს.[1] „კაზაჩი სტანის“ ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, რომ საბჭოთა მოქალაქეების შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეული, ამიტომ მათში ჯერ კიდევ ცოცხლობდა  გადარჩენის იმედი.

გენერალი ვასილიევის პირველმა შეხვედრამ 78-ე ქვეითი დივიზიის მეთაურ გენერალ-მაიორ რობერტ კით არბუთნოტთან[2] კაზაკებს კიდევ უფრო გაუმყარა იმედები. ამ შეხვედრის კიდევ ერთი მონაწილე ნიკოლაი კრასნოვი იხსენებდა, რომ გენერალმა არბუთნოტმა თბილად მიიღო დელეგაცია და მოისმინა თხოვნა ლტოლვილების (საუბარია კაზაკთა ოჯახებზე – გ.ც.) ინგლისის მფარველობის ქვეშ გადასვლის შესახებ. რაც შეეხება კაზაკთა შეიარაღებულ ნაწილებს, გენერალი ვასილიევი ითხოვდა მათთვის ტყვეების სტატუსის მინიჭებას. პასუხად გენერალმა არბუთნოტმა შენიშნა, რომ ტყვეებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ და რომ ინგლისელები ყოველთვის სცემდნენ პატივს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს.[3]

ოდნავ სხვანაირად მოლაპარაკებები ახსოვს დელეგაციის თარჯიმანს – ოლგა როტოვას. ის იხსენებდა, რომ როდესაც გენერალი ვასილიევმა იკითხა, არიან თუ არა კაზაკები სამხედრო ტყვეები, გენერალ არბუთნოტმა უპასუხა, რომ მისთვის კაზაკები არიან „თავისი ნებით ჩაბარებულები“ («добровольно передавшиеся»).[4] ჩემი აზრით, კაზაკები სწორად ამ ტერმინმა შეიყვანა შეცდომაში. მათი აზრით, ეს ნიშნავდა, რომ მათ ჩვეულებრივი ტყვეებისგან განსხვავებით უფრო მეტი უფლებები ექნებოდათ.[5] აღნიშნული ტერმინი ძალზე ბუნდოვანი იყო და ნამდვილად შეიძლებოდა ჩათვლა, რომ კაზაკებს მეტი უფლება ექნებოდათ რიგით ტყვეებთან შედარებით. ის კი არა, მათ ისიც კი შეეძლოთ ეფიქრათ, რომ საერთოდ არ იყვნენ ტყვეები. ჩემი აზრით, მთავარი შეცდომა, რაც კაზაკებმა დაუშვეს, ის იყო, რომ მათ არ მოსთხოვეს ბრიტანელ გენერალს აღნიშნული ტერმინის განმარტება. სავარაუდოდ, ამის მიზეზი იყო საერთო დაღლილობა და კაზაკების ღრმა რწმენა, რომ ინგლისელები არ გადასცემენ მათ საბჭოთა მხარეს, რადგანაც ბრიტანეთი ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა სამოქალაქო ომის დროს და უინსტონ ჩერჩილი ცნობილი იყო თავისი ანტიბოლშევიზმით.

18 მაისს არბუთნოტი უკვე თავად ესტუმრა ლიენცში განთავსებულ კაზაკებს.

---

[1] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 256.
[2] ეს შეხვედრა გაიმართა ტოლმეცოში, სადაც კაზაკთა წარმომადგენლები სპეციალურად დაბრუნდნენ ინგლისელთა შესვლის შემდეგ – გ.ც.
[3] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 30.
[4] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 2, გვ. 25.
[5] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 257.

მან მოინახულა ბანაკი და გაიგო, თუ როგორ ცხოვრობდნენ კაზაკების ოჯახები. არბუთნოტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კადეტებს, რომლებსაც უთხრა, რომ ისინი „რუსეთის იმედი იყვნენ“. გარდა ამისა, მან გასცა ბრძანება რაციონის გაზრდის შესახებ და აღტაცება გამოხატა ბანაკში არსებული დისციპლინის გამო. ამავე დროს, აქვე მოხდა ერთი ფაქტი, რომელმაც კაზაკები დააფიქრა. მაისის შუა რიცხვებში ინგლისელმა ჯარისკაცებმა კაზაკთა ცხენების ნაწილი წაიყვანეს. გენერალმა დომანოვმა, როგორც კაზაჩი სტანის მეთაურმა, გენერალ არბუთნოტს სთხოვა ცხენების დაბრუნება, რაზეც ამ უკანასკნელმა განაცხადა: „აქ არ არსებობს კაზაკთა ცხენები. ცხენების ბედს, როგორც ტყვეების ბედს, მხოლოდ ინგლისის მეფე წყვეტს“.[1]

როგორც ვხედავთ, სიტყვა „ტყვე“ პირველად იყო გამოყენებული კაზაკების მიმართ. პრინციპში, ამ ტერმინში არაფერი საშიში არ იყო, რადგანაც 1929 წლის 27 ივლისის ჟენევის კონვენციით ტყვეების უფლებები დაცული იყო.[2] მიუხედავად ამისა, კაზაკთა მეთაურებს (რიგითი კაზაკებისთვის დომანოვს არბუთნოტის სიტყვები არ უთქვამს – გ.ც.) სიტყვა „ტყვის“ ხსენება ცუდად ენიშნათ. ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი აქ ის იყო, რომ თავდაპირველად ტერმინი „თავისი ნებით ჩაბარებულები“ სწორედ გენერალ-მაიორ არბუთნოტმა იხმარა და, შესაბამისად, მისგანვე ტერმინი „ტყვე“-ს გამოყენება კაზაკებისათვის შეშფოთების საფუძველი იყო. გარდა ამისა, 10 მაისს გამართული მოლაპარაკებების დროს 36-ე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა გენერალმა ჯოფრი მასონმა თქვა, რომ კაზაკებს არ განაიარაღებდნენ და მათ დასაცავად მისცემენ გერმანულ საწყობებს ობერდრაუბურგიდან ლიენცამდე.[3] შესაბამისად, არბუთნოტის სიტყვებს კაზაკებში ნამდვილად უნდა გამოეწვია შეშფოთება. მაისის ბოლოს კი კაზაკებმა საბოლოოდ იგრძნეს, რომ ვითარება შეიცვალა. 27 მაისს ინგლისელთა მხრიდან დანიშნულმა მეკავშირე ოფიცერმა მაიორმა დევისმა უთხრა კაზაკებს, რომ „კაზაჩი სტანი“ უნდა განიარაღებულიყო. კაზაკები იძულებული გახდნენ, ჩაებარებინათ იარაღი. მართალია, შეიარაღების ნაწილი მათ გადამალეს, მაგრამ ამან

[1] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 265.

[2] ჟენევის კონვენციის ტექსტი იხ.: Convention relative au traitement des prisonniers de guerre du 27 Juillet 1929. ელ. ვერსია იხ.: https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/7/7e/Geneva_Convention_of_1929-07-27_%28prisoner_of_war%29_-_CH-BAR_-_29357032.pdf (ფრანგულ ენაზე); Convention relative to the Treatment of Prisoners of War. Geneva, 27 July 1929. ელ. ვერსია იხ.: https://ihl-databases.icrc.org/assets/treaties/305-IHL-GC-1929-2-EN.pdf (ინგლისურ ენაზე).

[3] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 2, გვ. 29.

„კაზაჩი სტანს“ არ უშველა.[1]

არანაკლებ შემაშფოთებელი იყო მაიორ დევისის მეორე განცხადებაც, რომ 28 მაისს „კაზაჩი სტანის“ ოფიცრები უნდა გამგზავრებულიყვნენ კონფერენციაზე ობერდრაუბურგის რაიონში, სადაც ისინი შეხვდებოდნენ მე-8 არმიის სარდალ გენ. რიჩარდ მაკკრირის და, დიდი ალბათობით, ფელდმარშალ ჰაროლდ ალექსანდერს.[2] ნიკოლაი კრასნოვის ცნობით, გენერალი დომანოვი გაოცდა, რომ აღნიშნულ კონფერენციას „კაზაჩი სტანის“ ყველა ოფიცერი (2000 ადამიანზე მეტი) უნდა დასწრებოდა, მაგრამ დევისმა კატეგორიულად გაიმეორა თავისი მოთხოვნა და დაამატა, რომ ტრანსპორტს ბრიტანული მხარე უზრუნველყოფდა.[3] დომანოვმა ვერ გაბედა, გაერკვია, თუ რა საჭირო იყო ყველა ოფიცრის გაგზავნა უცნაურ კონფერენციაზე და თუ რატომ სურდა ფელდმარშალ ალექსანდერს შეხვედრა „კაზაჩი სტანის“ ყველა ოფიცერთან. ამიტომ ის ამ მოთხოვნასაც დაემორჩილა და 28 მაისს დილით „ობერდრაუბურგის კონფერენციაზე“ გაემგზავრა 14 გენერალი, 2359 ყველა რანგის ოფიცერი, 65 სამხედრო ჩინოვნიკი, 14 ექიმი, 7 ფელდშერი და 2 სასულიერო პირი. „კაზაჩი სტანის“ ბანაკებში დარჩა მხოლოდ 426 ოფიცერი, რომლებიც იმ მომენტში მკურნალობდნენ.[4] თვითონ დომანოვი, მაიორ დევისთან ერთად, დანარჩენ კოლონასთან შედარებით, ლიენციდან ნახევარი საათით ადრე გამოვიდა. მათი მანქანა 36-ე ქვეითი ბრიგადის შტაბთან გაჩერდა, სადაც ბრიგადის მეთაურმა ჯოფრი მასონმა დომანოვს უთხრა, რომ მიიღო ბრძანება კაზაკთა ყველა შენაერთის საბჭოთა მხარისათვის გადაცემის შესახებ.[5]

ნიკოლაი კრასნოვი-უმცროსი იხსენებს, რომ როდესაც კაზაკებისათვის ნათელი გახდა, თუ რა ბედი ელოდათ მათ (გარანტირებული სიკვდილი), მისმა ნათესავმა, გენერალმა პიოტრ კრასნოვმა ფრანგულ ენაზე შეადგინა ორი პეტიცია. პირველი განკუთვნილი იყო ინგლისის მეფე ჯორჯ VI-ისთვის, მეორე კი – საერთაშორისო წითელი ჯვრისთვის. ის წერდა, რომ „კაზაჩი სტანის“ უმაღლესი ოფიცრები მზად იყვნენ, თავის თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა, თუ დამტკიცებული იქნებოდა მათი მონაწილეობა სამხედრო დანაშაულებებში. გენერალი კრასნოვი ითხოვდა შეწყალებას უამ-

[1] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 266.
[2] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 34.
[3] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 34.
[4] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 237.
[5] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 270.

რავი რიგითი კაზაკისა და მათი ოჯახების მიმართ. ბუნებრივია, არც ერთ პეტიციას შედეგი არ მოჰყოლია.[1]

კაზაკი ოფიცრების საბჭოთა მხარისთვის გადაცემის პროცესი 29 მაისს დაიწყო და საკმაოდ რთულად წარიმართა. დროებით ბანაკში, სადაც იყვნენ განლაგებული კაზაჩი სტანის ოფიცრები, ისმოდა შეძახილები: „სირცხვილი ინგლისელებს!“, „სსრკ-ში წასვლას სიკვდილი გვირჩევნია!“, „აქვე დაგვხვრიტეთ!“.[2] იყო თვითმკვლელობის შემთხვევებიც.[3] ბრიტანელებმა მხოლოდ ძალის გამოყენებით შეძლეს ოფიცრების მანქანებში ჩასმა. კოლონა დაიძრა იუდენბურგის მიმართულებით. რამდენიმე ოფიც-ერმა მოძრავი კოლონიდან გაქცევა სცადა, თუმცა ისინი დააბრუნეს.[4] თითქმის ყველა ოფიცერი კოლონიდან ჰყრიდა მედლებს, ორდენებს, საათებს, სხვა პირად ნივთებს.[5] ასე მიაღწია კოლონამ იუდენბურგამდე, სადაც კაზაკები გადასცეს საბჭოთა მხარეს.[6] აქ სასწრაფოდ გამოყვეს უმაღლესი რანგის ოფიცრები და ისინი ცალკე შენობაში გა-დაიყვანეს.[7]

უმაღლესი რანგის ოფიცრების შემდგომი ბედ-იღბალი აღწერა ნიკოლაი კრას-ნოვ-უმცროსმა, რომელიც მათთან ერთად აღმოჩნდა. ის იხსენებს, რომ 4 ივნისს, ბა-დენიდან, სადაც კრასნოვი და სხვა გენერლები საბჭოთა წარმომადგენლებმა პირვე-ლად დაკითხეს, თვითმფრინავით გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც ისინი შეხვდნენ ვსე-ვოლოდ მერკულოვს, რომელიც იმ მომენტისათვის იყო სსრკ-ს სახელმწიფო უსაფრ-თხოების მინისტრი იყო. ამ შეხვედრისას მერკულოვი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ეწე-ოდა ტყვე ოფიცრებზე. ერთი შეხედვით, თითქოს ამშვიდებდა მათ იმით, რომ საბჭო-თა ხელისუფლებას უფასო მუშა ხელი სჭირდებოდა (ანუ სიკვდილით არ დასჯიდ-ნენ), მეორე მხრივ, აშინებდა ციმბირის ბანაკებში არსებული აუტანელი ყოფით. რო-დესაც კაზაკების ლიდერებმა ითხოვეს „ჯარისკაცის სიკვდილით“ დასჯა, მერკუ-ლოვმა უთხრა, რომ ისინი დახვრეტას ვერ ეღირსებოდნენ.[8] ყველაზე საინტერესო კი იყო ის, რომ მერკულოვმა იცოდა გენერალ პიოტრ კრასნოვის მიერ შპიტალში დაწე-რილი და ინგლისის მეფისათვის გაგზავნილი პეტიციის შესახებ და დამცინავად

---

[1] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 37.

[2] Александр Ленивов. Под казачьим знаменем в 1943-1945 годах, გვ. 244.

[3] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 1, გვ. 270.

[4] თავის დაღწევა შეძლო მხოლოდ ალექსანდრ შპარენგომ, რომელმაც მოასწრო მანქანიდან გადახტომა და გაქცევა (იხ.: Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 1, გვ. 164).

[5] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 1, გვ. 167.

[6] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 278.

[7] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 2, გვ. 301.

[8] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 62.

ჰკითხა კიდეც ოფიცრებს: დაგეხმარათ ეს პეტიციაო?[1] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პეტიცია ან პირდაპირ იქნა გადაგზავნილი საბჭოთა წარმომადგენლებისთვის ინგლისელების მიერ, ან საბჭოთა დაზვერვამ მოახერხა აღნიშნული პეტიციის ხელში ჩაგდება. ნებისმიერ შემთხვევაში, საუბარი მალე დასრულდა და შემდეგი 10 წელი ნიკოლაი კრასნოვ-უმცროსმა გაატარა საბჭოთა ბანაკებში. ის გაათავისუფლეს მხოლოდ 1955 წელს, 10 აგვისტოს, როგორც იუგოსლავიის ქვეშევრდომი და ის მაშინვე გაემგზავრა შვედეთში, ნათესავთან.[2]

რაც შეეხება „კაზაჩი სტანის“ და კაზაკური შეიარაღებული ფორმირებების მეთაურებს, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მაინც მათი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. 1947 წლის 15 იანვარს გაიმართა პიოტრ კრასნოვის, ანდრეი შკუროს, ტიმოფეი დომანოვის, სემიონ კრასნოვის, სულტან-გირეი კლიჩისა და ჰელმუტ ფონ პანვიცის სასამართლო პროცესი. მოსამართლე იყო ვასილი ულრიხი, სსრკ-ს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავჯდომარე. სასამართლო იყო დახურული, ადვოკატების და პროკურორის გარეშე.[3] 17 იანვარს კი გაზ. „პრავდაში“ მოკლედ იყო აღნიშნული, რომ სსრკ-ს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა დაკავებული გერმანული დაზვერვის აგენტების და თეთრგვარდიელების შეიარაღებული ფორმირებების მეთაურების საქმე. აქვე მითითებული იყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა გენერლებმა შექმნეს თეთრგვარდიელთა შეიარაღებული ნაწილები და მათი საშუალებით ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ტერორისტული აქტების და სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის გზით. ყველა დამნაშავემ თავისი დანაშაული აღიარა. სასამართლომ მათ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – ჩამოხრჩობა.[4] იმავე დღეს სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა მოყვანილი.[5]

რაც შეეხება კაზაჩი სტანის რიგითი კაზაკების ბედს, ბრიტანელები ფიქრობდნენ, რომ „კაზაჩი სტანის“ ყველა დონის მეთაურის გარეშე დატოვება მათ საქმეს გაუადვილებდა. როგორც ოლგა როტოვა იხსენებს, 29 მაისს მათთან მივიდა ბრიტანელი ოფიცერი, რომელმაც წაიკითხა შემდეგი ბრძანება:

„1. კაზაკებო! თქვენმა ოფიცრებმა თქვენ მოგატყუეს და მცდარ გზაზე წაგიყვა-

---

[1] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 63.
[2] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 175. მალევე ნიკოლაი კრასნოვი გარდაიცვალა – გ.ც.
[3] Франсуа де Ланнуа. Казаки Паннвица, გვ. 185.
[4] როგორც ვხედავთ, მერკულოვის მიერ კაზაკთა ლიდერებთან საუბარში ნახსენები ფრაზა, რომ ისინი დახვრეტას ვერ ეღირსებოდნენ, მართლაც სიმართლე აღმოჩნდა – გ.ც.
[5] Сообщение Военной Коллегии Верховного Суда Союза ССР. // Газ. *«Правда»,* 17 января 1947 г., №15, გვ. 4.

ნეს. ისინი დაკავებულები არიან და აღარასდროს აღარ დაბრუნდებიან. თქვენ ახლა შეგიძლიათ მათი ზეწოლის განთავისუფლების შემდეგ, შიშის გარეშე მოჰყვეთ მათ ტყუილზე და თავისუფლად გამოთქვათ საკუთარი მოსაზრებები და სურვილები.

2. გადაწყვეტილია, რომ ყველა კაზაკი ვალდებულია დაბრუნდეს სამშობლოში".[1]

კაზაკებს მისცეს დრო მოსამზადებლად და 1 ივნისს მაიორი დევისი ავტოკოლონასთან ერთად მივიდა კაზაჩი სტანში. რა თქმა უნდა, კაზაკები არსად აპირებდნენ წასვლას. დაახლოებით 4 ათასი კაზაკი იდგა მოედანზე ბარაკების წინ, და არსად აპირებდნენ წასვლას. როდესაც ბრიტანელი ჯარისკაცები მათ მიუახლოვდნენ, კაზაკმა მუხლებზე დაიჩოქეს, ერთმანეთს ჩაკიდეს ხელი და ამით შეუძლებელი გახადეს ხალხის მასისგან ცალკეული ადამიანების გამოყვანა. ამიტომ ჯარისკაცები კონდახებითა და მესანგრეთა ნიჩბებით შეიარაღებული შეიჭრნენ კაზაკებში. როდესაც ჯარისკაცებმა დაიწყეს მათი გახლეჩა, ხალხის მასა უფრო მტკიცედ დადგა. ისინი, ვისი დაჭერა მოახერხეს ჯარისკაცებმა, მთელი ძალით უწევდნენ წინააღმდეგობას. ნაწილი წაიქცა და დაიწყო ჭყლეტა. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი იყო ჯარისკაცებთან შეტაკებები. ბევრმა კაზაკმა ჭრილობები მიიღო კონდახებისგან და ხიშტებისგან. ძალიან ბევრი კაზაკი თავის მოკვლას ცდილობდა. იყო შემთხვევა, როდესაც მამაკაცმა ჯერ დახოცა მთელი თავისი ოჯახი (ცოლი და სამი შვილი), შემდეგ კი თავი მოიკლა, ოღონდ აღარ დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში.[2] საერთო ჯამში, ინგლისელებმა საბჭოთა მხარეს გადასცეს 22 502 კაზაკი, რომლებიც პირდაპირ ბანაკებში გადაიყვანეს.[3]

გადაცემას, სხვადასხვა მიზეზების გამო, კაზაკების მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა. ზოგმა უბრალოდ გაქცევა მოახერხა ინგლისელების დახმარების წყალობით, ზოგი – ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა შეიფარეს,[4] ზოგმა კი უბრალოდ დამალვა მოახერხა.[5]

როგორც უკვე აღვნიშნე, კაზაკთა ნაწილების გადაცემა არ იყო სპონტანური ნაბიჯი და ნაუცბათევად მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. ეს იყო იალტის კონფე-

---

[1] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 1, გვ. 182-183.
[2] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 294-298.
[3] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 303.
[4] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 1, გვ. 243.
[5] Вячеслав Науменко. Великое предательство, т. 1, გვ. 156.

რენციის დროს მიღებული შეთანხმების შესრულება. დაისმის კითხვა, რამდენად მართებული იყო ემიგრანტების გადაცემა, რომლებიც არ იყვნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები? სამართლებრივი თვალსაზრისით, რასაკვირველია, ეს არასწორი იყო. მაშ, რატომ გადაწყვიტეს ინგლისელებმა, რომ, საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად, გადაეცათ ემიგრანტებიც? ჩემი აზრით, პირველ რიგში, ეს იყო რევერანსი საბჭოთა კავშირის მიმართ. გარდა ამისა, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ მომენტისათვის დასავლეთში ნაცისტების მიმართ ზიზღი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ბოლშევიკებისადმი. შესაბამისად, კაზაკების გადაცემა, რომლებიც მსახურობდნენ ნაცისტური გერმანიის მხარეზე, შესაძლოა, ამითაც იყო განპირობებული.

## 2.4. კაზაკთა შეიარაღებული შენაერთების მოქმედებების შეფასება

კაზაკთა შეიარაღებული შენაერთების ერთგვაროვნად შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთის მხრივ, არსებობდა ფონ პანვიცის შენაერთი, რომელსაც ცალსახად აქვს ჩადენილი სამხედრო დანაშაულები, მეორე მხრივ კი, კაზაკების უმრავლესობას ამასთან კავშირი არ ჰქონდა და ისინი გულწრფელად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სამხედრო ნაწილების შეფასება შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ: 1. კაზაკების ქმედებები პარტიზანების წინააღმდეგ; და 2. საბჭოთა ნაწილების წინააღმდეგ. ვინაიდან ბრძოლა საბჭოთა ნაწილებთან მოხდა მხოლოდ ომის ბოლო თვეებში და არსებითად არაფერი არ შეცვალა, ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა კაზაკური ნაწილების გამოყენება ფრონტის ხაზზე გამართლებული. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ არ შევაფასებთ კაზაკური ნაწილების გავლენას მთლიანად ომის მსვლელობაზე და შევაფასებთ კაზაკური ნაწილების გავლენას ცალკეული ოპერაციების შედეგებზე, მაშინ სულ სხვანაირ სიტუაციას მივიღებთ. მართალია, ბრძოლა პიტომაჩასთვის ერთადერთი შემთხვევა იყო, სადაც კაზაკური და საბჭოთა შეიარაღებული ნაწილები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაგრამ მისი შედეგი აჩვენებს, რომ მაღალი საბრძოლო სულისკვეთების წყალობით კაზაკებს წითელი არმიის რეგულარული ნაწილების დამარცხებაც შეეძლოთ. ანტიპარტიზანული ოპერაციებთან დაკავშირებით დასკვნა ასეთია: მართალია, კაზაკები ყოველთვის ვერ აღწევდნენ წარმატებებს პარტიზანებთან

ბრძოლაში, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამგვარ ბრძოლებში გარკვეულწილად გერმანულ ნაწილებზე მაღლა იდგნენ.

საინტერესო იყო დამოკიდებულება კაზაკური მეთაურების მიმართ საბჭოთა ოფიცრებისგან, როდესაც, კრასნოვი, შკურო და დანარჩენები უკვე დაკავებულები იყვნენ. ნიკოლაი კრასნოვი-უმცროსი იხსენებს,[1] რომ რიგითი ჯარისკაცები და ოფიცრები დამოკიდებულება მათ მიმართ დიდ პატივიცემას გამოხატავდნენ მათ მიმართ. კრასნოვ-უმცროსს ძალიან უკვირდა, რომ მათ მიმართ ოფიცრები იყენებდნენ ასეთი სიტყვებს: „ბატონებო“, „ხომ არ შეგაწუხეთ“, „ბატონო გენერალო“ და ა.შ. ასევე, კრასნოვი-უმცროსი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მათ სანახავად მოვიდნენ საბჭოთა ოფიცრები – ერთი გენერალი და რამდენიმე პოლკოვნიკი, რომლებსაც სამოქალაქო ომი ჰქონდათ გავლილი და, შესაბამისად, კრასნოვების და შკუროს მოწინააღმდეგები იყვნენ. საუბარი არ ეხებოდა პოლიტიკურ მხარეს. ოფიცრები იხსენებდნენ ბრძოლებს, ვინ რომელ მხარეს იბრძოდა, როგორ იბრძოდა. როდესაც შეხვედრა დამთავრდა, საბჭოთა გენერალმა თქვა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ არის ისეთი, როგორც ადრე, რომ ომმა ბევრი რამ შეცვალა, რომ მათ წინააღმდეგ არანაირი რეპრესიები არ იქნება ჩატარებული, რომ მათ უბრალოდ დაკითხავენ, გაიგებენ რა სურთ და ამის შემდეგ ისინი შეძლებენ მშვიდობიანი ცხოვრების გაგრძელებას.[2] ასეთი მოსაზრება, სხვათა შორის, საკმაოდ გავრცელებული იყო.

ასევე, ცალკე მინდა ვახსენო ჯარისკაცების და ოფიცრების დამოკიდებულება ანდრეი შკუროს მიმართ. ანდრეი შკურო იყო კაზაკი, მეფის რუსეთის ოფიცერი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელების მხარეს იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ოფიცრებში და ჯარისკაცებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი საუბრები სამოქალაქო ომის დროს დატრიალებული ბრძოლების შესახებ. ის დეტალურად აღწერდა, თუ როგორ უტევდა წითელ კავალერიას, ან პირიქით – როგორ უტევდნენ მას ბოლშევიკები.[3]

როგორც ვხედავთ, დამოკიდებულება რიგითი ჯარისკაცების მხრიდან და საშუალო ფენის ოფიცრების მხრიდან საკმაოდ ნორმალური იყო. ისინი პატივისცემასაც კი გამოხატავდნენ კაზაკური მეთაურების მიმართ. სამაგიეროდ, სულ სხვა დამოკიდე-

[1] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 43.
[2] Николай Краснов. Незабываемое, გვ. 43-44.
[3] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 279.

ბულება იყო ტიმოფეი დომანოვის მიმართ, ვინაიდან ის საბჭოთა მოქალაქე გახლდათ. შესაბამისად, საბჭოთა სამხედროების აზრით, ის უბრალოდ მოღალატე იყო.[1]

და ბოლოს, კაზაკების ისტორია დასრულდა ლიენცში, სადაც საბოლოოდ დაიმსხვრა მათი იმედები მშვიდობიან ცხოვრებაზე ომის და შიშის გარეშე. ლიდერები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ნაცისტური გერმანიის დახმარებით შესძლებდნენ ძველი დროის დაბრუნებას ან ბოლშევიზმისგან თავისუფალი რუსეთის შექმნას, უკეთეს შემთხვევაში, საბჭოთა ბანაკებში აღმოჩნდნენ. მათი ნაწილი საერთოდ სიკვდილით დასაჯეს, თუმცა, აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ კაზაკების ლიდერების უმრავლესობის არათუ  სიკვდილით დასჯა, არამედ საბჭოთა მხარისთვის გადაცემაც კი უკანონო იყო, ვინაიდან ისინი არ იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები. კაზაკური მასის უმრავლესობა ასევე აღმოჩნდა საბჭოთა ბანაკებში, გაიარა გულაგი და, საბოლოო ჯამში, დაემსგავსა ჩვეულებრივ საბჭოთა მოქალაქეებს. კაზაკური შენაერთების შესახებ ახსოვდათ მხოლოდ ემიგრანტებს, რომლებმაც გაუძლეს საბჭოთა ბანაკებს და განთავისუფლების შემდეგ დატოვეს ქვეყანა, ან გადარჩენილებს, რომლებმაც მოახერხეს ლიენციდან გაქცევა. შენაერთების ისტორია და კაზაკების ტრაგედიის შესახებ მოგონებების და ნაშრომების შექმნა სწორედ ასეთი ხალხის დამსახურებაა. მათი წყალობით ვიცით ჩვენ, რომ კაზაკები განსხვავდებოდა ყველა სხვა სამხედრო ორგანიზაციისაგან, რომელიც იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1941-1945 წლებში.

[1] Н. Д. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 280.

# თავი III. რუსული ანტისაბჭოთა ორგანიზაციები და მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ

## 3.1. პირველი რუსული ანტისაბჭოთა სამხედრო ფორმირებები

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ რუსული შენაერთები. ამავე დროს, მათი წვლილი საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში შედარებით მცირე გამოდგა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიუხედავად, მათ განსხვავებული მიზნები ჰქონდათ, ვიდრე, ვთქვათ, ბალტიისპირელ „ტყის ძმებს“ ან უკრაინელი ნაციონალისტებს. ეს უკანასკნელები იბრძოდნენ თავისი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის, რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი და მისი შეიარაღებული ძალები – რუსეთის განმათავისუფლებელი არმია კი – რუსეთისთვის, ოღონდ ბოლშევიკების გარეშე. გარდა ამისა, ყველა რუსული ანტისაბჭოთა შენაერთი (აქ მხედველობაში არ გვაქვს ემიგრანტული მონარქისტული ორგანიზაციები და გაერთიანებები) შეიქმნა უშუალოდ გერმანია-სსრ კავშირის ომის დროს და თავისი არსებობა 1945 წელს შეწყვიტა კიდეც, მაშინ როდესაც ტყის ძმებისა და უკრაინელი ნაციონალისტების პარტიზანული ბრძოლა სწორედ 1945 წლის შემდეგ მძაფრდება. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ რუსულ შენაერთებში ძალიან ბევრი ადამიანი იყო გაწევრიანებული, ნათლად გვიჩვენებს იმ ფაქტს, თუ რამდენად დიდი იყო ანტისაბჭოური განწყობები საკუთრივ რუს ხალხში.

რუსული ანტისაბჭოთა შენაერთების შექმნის ინიციატივა გერმანელ სამხედროებში გაჩნდა. ამავე დროს, ცალსახად დადებითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არ არსებობდა. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. რუსული კორპუსი, რომელიც 1941 წლის 12 სექტემბერს შეიქმნა იუგოსლავიაში გენერალ მიხაილ სკოროდუმოვის ინიციატივით.[1] კორპუსი ბალკანეთში, კერძოდ, სერბეთში შეიქმნა ადგილობრივი ემიგრანტებისგან და ის უნდა გამხდარიყო დივიზიის ბირთვი,

[1] Сегей Волков, Павел Стрелянов (Калабухов). Чины Русского Корпуса: Биографический справочник в фотографиях, Москва: Рейтар, «Форма-Т», 2009, გვ. 401.

რომელიც უნდა გაგზავნილიყო აღმოსავლეთის ფრონტზე, თუმცა მალე, იმის გამო, რომ სკოროდუმოვის პოლიტიკური შეხედულებები მიუღებელი აღმოჩნდა გერმანელებისთვის, ის დააპატიმრეს და კორპუსის ფორმირება გააგრძელა შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბ. შტეიფონმა. სტრუქტურულად ის ექვემდებარებოდა არმიათა ჯგუფ „სერბეთის" სარდალ გენერალ ჰანს-გუსტავ ფელბერს. რუსული კორპუსი პრაქტიკულად მთელი ომის განმავლობაში იუგოსლავიაში იყო ბაზირებული და ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდეგ იბრძოდა. მის რიგებში ძირითადად იყვნენ იუგოსლავიასა და ბულგარეთში მცხოვრები რუსი ემიგრანტები. კორპუსის არსებობის მანძილზე საბჭოთა ტყვეები დაახლოებით მესამედს შეადგენდნენ.[1]

ასევე ემიგრანტულმა წრეებმა იაქტიურეს კიდევ ერთი შეიარაღებული დაჯგუფების შექმნაში. 1941-1942 წლის ზამთარში სერგეი ივანოვი და პოლკოვნიკი კონსტანტინ კრომიადი გამოვიდნენ რუსული ეროვნული შეიარაღებული ფორმირებების შექმნის იდეით და ჩამოაყალიბეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც, მათ გარდა, შედიოდნენ იგორ სახაროვი, იგორ ინგი, ვიქტორ რესლერი, მამაო გერმოგენი (კოვალჩუკი), გრაფი გრიგორი ლამსდროფი, გრაფი სერგეი პალენი, გრაფი ალექსანდრ ვორონცოვი-დაშკოვი, ვლადიმირ სობოლევსკი და მეკავშირე ოფიცერი ობერლეიტენანტი ბურხარდტი.[2] შეიქმნა საგანგებო ჯგუფი, რომელიც გაემგზავრა სმოლენსკში. გერმანელებმა მათ მისცეს საშუალება სმოლენსკში, ბორისოვში, როსლავლში და ვიაზმაში განლაგებულ ტყვეთა ბანაკებში რუსული ეროვნული რაზმისათვის ჯარისკაცების და ოფიცრების მოძიება. თავდაპირველად, უმთავრესი კრიტერიუმი იყო ტყვეების ანტიბოლშევიკურობა, მაგრამ, იქედან გამომდინარე, რომ ტყვეების დიდი ნაწილისათვის ასეთ რაზმში ჩაწერა სასიკვდილო განაჩენისგან თავის დაღწევას ნიშნავდა, საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ შესძლო სკურპულოზური გარჩევის ჩატარებას და მალევე ყველა მსურველის რეგისტრაცია დაიწყო. დაჯგუფებას ეწოდა რუსული ეროვნული სახალხო არმია (რესა).[3] მისი

---

[1] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 521-528. უფრო დეტალურად ამ საკითხს ქვევით შევეხებით – გ.ც.

[2] Константин Кромиади. «За землю, за волю!», გვ. 65.

[3] აღსანიშნავია, რომ დაჯგუფების რუსული და გერმანული სახელწოდებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. რუსულად მას ეწოდებოდა «Русская Национальная Народная Армия» (РННА), გერმანულად კი – „Der Sonderverband Graukopf" (განსაკუთრებული დაჯგუფება „ჭაღარა თავი") მისი მეთაურის, ს. ივანოვის ფსევდონიმის მიხედვით. იხ.: Сергей Дробязко, Олег Романько, Константин

მეთაური იყო ს. ივანოვი, ხოლო შტაბის კომენდანტი – კ. კრომიადი. 1942 წლის მარტში გაწევრიანებულთა რიცხვი მერყეობდა 100-დან 150 ჯარისკაცამდე, თუმცა უკვე აგვისტოში რესა-ში იმყოფებოდა 1500 ადამიანი. ისინი დაყოფილ იქნა სამ 200-კაციან ბატალიონად, სადაზვერვო, მეტყვიამფრქვევეთა, სამეურნეო, საავტომობილო, მესანგრეთა, კავშირგაბმულობისა თუ კომენდანტის ასეულებად და ასევე სასწავლო-საწრთვნელი ავიარგოლად (თვითმფრინავების გარეშე). რესა შეიარაღებული იყო საბჭოთა იარაღით.[1]

საორგანიზაციო კომიტეტის აზრით, რესა გერმანელების მხარეს მეომარი რუსული არმიის ბაზისი უნდა გამხდარიყო, თუმცა ამ მიმართულებით თავიდანვე პრობლემები შეიქმნა. რესა-ს საბრძოლო ნათლობა 1942 წლის მაისში შედგა და ნათელი გახდა, რომ მისი წევრების დიდი ნაწილი სულაც არ წარმოადგენდა სსრ კავშირის იდეოლოგიურ მტერს. პირველივე ბრძოლაში 300-დან 100 ჯარისკაცი საბჭოთა მხარეს გადავიდა. მართალია, პირუკუ პროცესსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ბევრად უფრო მცირე მასშტაბებში. შედეგად, ამ ბრძოლის შემდეგ რესა-ს შემადგენლობაში მხოლოდ 120 კაცი დარჩა.[2] მართალია, ზაფხულის განმავლობაში რესა-ს 30-მდე პირი იქნა გამორჩეული სხვადასხვა სახის ჯილდოთი, მაგრამ აგვისტოში მორიგი კატასტროფა მოხდა. 6-დან 15 აგვისტომდე რესა-ს 200-მდე ჯარისკაცი გადავიდა საბჭოთა მხარეს. შედეგად, გერმანელებმა ყველა ემიგრანტი ოფიცერი გაათავისუფლეს პოსტიდან და დაიწყეს რესა-ს რეორგანიზაცია.[3] 1942 წლის 1 სექტემბრიდან რესა-ს სათავეში ჩაუდგა ვლადიმირ ბოიარსკი,[4] რომელიც უკვე აქტიურად იყო ჩართული გერმანელებთან კონტაქტებში, რის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

რესა-ს ისტორია დასრულდა 1942-1943 წლის ზამთარში, როდესაც 3 ბატალიონი გადაისროლეს ველიკიე ლუკის რაიონში დებლოკირებული გერმანული ნაწილების

---

Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 443.

[1] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 443.

[2] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 444.

[3] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 444-445.

[4] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 170. ვლადიმირ ბოიარსკის ნამდვილი გვარი იყო ბაერსკი. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მან შეიცვალა გვარი და მამის სახელი (გელიარის ძის ნაცვლად გახდა ილიას ძე). ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: Кирилл Александров. Офицерский корпус...

დასახმარებლად. აქ ისინი თითქმის მთლიანად განადგურდნენ ბრძოლებში, რის შემდეგაც გერმანელებმა უარი თქვეს რესა-ს საბრძოლო მოქმედებებში გამოყენებაზე. გადარჩენილი მეომრები ანტიპარტიზანულ ბრძოლებში ჩართეს, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოო ჯამში, გერმანელებმა რესა ფაქტობრივად დაშალეს და მას მომავალი რუსული არმიის შექმნაში არანაირი როლი არ დაკისრებია.[1]

რესა-ს თავს განვითარებული მოვლენების პარალელურად, რუსული შენაერთების შექმნის პროცესი სხვა მიმართულებით გრძელდებოდა. ამით განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ გერმანიის არმიის მთავარსარდალი ფელდმარშალი ვალთერ ფონ ბრაუხიჩი, არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ მთავარსარდალი ფელდმარშალი ფედორ ფონ ბოკი და ვერმახტის უმაღლესი სარდლობის „უცხოეთის არმიები – აღმოსავლეთის“ („Fremde Heere Ost“) სამხედრო დაზვერვის განყოფილების ვიცე-პოლკოვნიკი რაინჰარდ გელენი. პროცესში აქტიურად იყო ჩართული კაპიტანი ვილფრიდ შტრიკ-შტრიკფელდტი.[2] პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1941 წელს გადაიდგა. შტრიკ-შტრიკფელდტმა შეარჩია კიდეც შესაფერისი კანდიდატურა, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა რუსულ ანტისაბჭოთა შენაერთებს. ეს იყო მე-19 საბჭოთა არმიის ყოფილი სარდალი გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ ლუკინი, რომელმაც პირად საუბრებში ცალსახად გამოხატა სიძულვილი სტალინისადმი და მზადყოფნა, მიუხედავად ინვალიდობისა (ლუკინი მძიმედ დაჭრილი ჩავარდა ტყვედ და მისი სიცოცხლის გადასარჩენად გერმანელ სამხედრო ექიმებს ფეხის ამპუტაცია დასჭირდათ), სათავეში ჩასდგომოდა თავისუფლებისთვის ბრძოლას. ოღონდ ის ამას თანხმდებოდა ერთადერთი მოთხოვნით: თუ მიიღებდა ბრძანებას რუსეთის ეროვნული მთავრობისაგან, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ

---

[1] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 446.

[2] კაპიტანი ვილფრიდ შტრიკ-შტრიკფელდი წარმოშობით ბალტიისპირელი გერმანელი იყო, რომელიც დაიბადა რიგაში, იზრდებოდა სანკტ-პეტერბურგში და პირველი მსოფლიო ომის დროს რუსულ არმიაში მსახურობდა. ომის შემდეგ ის რიგაში დაბრუნდა, სადაც ბიზნესს ეწეოდა. 1939 წლის მიწურულს, სსრკ-გერმანიის პაქტის პირობების თანახმად, ის, როგორც „ფოლქსდოიჩე“, გადაყვანილ იქნა პოზენში (პოზნანი). 1941 წელს ის გახდა ფელდმარშალ ფონ ბოკის შტაბის წევრი, სადაც მუშაობდა რაინჰარდ გელენთან ერთად. 1942 წელს ის გადაიყვანეს ვერმახტის უმაღლესი სარდლობის „უცხოეთის არმიები – აღმოსავლეთის“ სამხედრო ნადავლის ცენტრში, სადაც ეწეოდა ანალიტიკურ საქმიანობას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში.

უნდა ყოფილიყო გერმანელებზე დამოკიდებული მარიონეტული მთავრობა.[1] ბუნებრივია, ეს მიუღებელი აღმოჩნდა გერმანელებისთვის, მით უმეტეს, რომ ჰიტლერი საერთოდ სხვანაირად ფიქრობდა და საერთოდ არ იყო დაინტერესებული ტყვე საბჭოთა ჯარისკაცების გამოყენებით. უფრო მეტიც, ის იხრებოდა ჰაინრიხ ჰიმლერის იდეებისკენ, რომელიც აპირებდა ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განადგურებას.[2] 1941 წლის მიწურულს ფონ ბრაუხიჩი პოსტზე თავად ჰიტლერმა ჩაანაცვლა, ხოლო ფონ ბოკი შეცვალა ფელდმარშალმა გიუნთერ ფონ კლიუგემ. მიუხედავად ამისა, მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდა და 1942 წლის ივლისში შტრიკ-შტრიკფელდტმა იპოვა შესაფერისი კანდიდატი. ეს იყო გენერალ-ლეიტენანტი ანდრეი ვლასოვი,[3] რომელიც შემდგომში მოგვევლინა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარედ და რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდლად.

ანდრეი ვლასოვის პიროვნება დღემდე წარმოადგენს განხეთქილების ვაშლს ისტორიკოსებში და ეს გასაკვირიც არ არის. ის იყო ყველაზე მაღალი რანგის მქონე საბჭოთა გენერალი, რომელიც თანამშრომლობდა ნაცისტებთან. ასეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, მუდამ იქნება ყურადღების ცენტრში. აქედან გამომდინარე, ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდე მის ბიოგრაფიაზე, რათა დადგენილ იქნას, თუ როდიდან გაუჩნდა საბჭოთა გენერალს ანტისაბჭოთა შეხედულებები.

## 3.2. ანდრეი ვლასოვი – წითელი არმიის სარდლიდან რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის მეთაურობამდე

ანდრეი ვლასოვი დაიბადა 1900 წლის 1 სექტემბერს ნიჟეგოროდის გუბერნიაში, სოფელ ლომაკინოში, გლეხის ოჯახში.[4] როდესაც მოხდა თებერვლის რევოლუცია და ოქტომბრის გადატრიალება, ვლასოვი იყო სასულიერო სემინარიის მეოთხე კურსის

---

[1] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 33-34. როგორც ჩანს, ინფორმაცია ამ შეხვედრების შესახებ საიდუმლოდ დარჩა, რადგანაც ომის შემდგომ მ. ლუკინმა წარმატებით გაიარა შემოწმების პროცესი და 1945 წლის მიწურულს აღდგენილ იქნა საბჭოთა არმიაში – გ.ც.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. „გენერალური გეგმა – აღმოსავლეთი“ (Konrad Meyer. Generalplan Ost: Rechtliche, wirtschaftliche und räumliche Grundlagen des Ostaufbaues. Berlin-Dahlem, Juni 1942. ელ.ვერსია: https://ia800602.us.archive.org/19/items/GeneralplanOst/Generalplan%20Ost.pdf).

[3] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 101, 103-105.

[4] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 19.

სტუდენტი. უნდა აღვნიშნო, რომ ვლასოვი თავის წერილში წერს, რომ ის შეუერთდა წითელი არმიის რიგებს იმისათვის, რომ დაუბრუნოს მიწა გლეხებს, მუშას უკეთესი ცხოვრების შანსი ჰქონდეს, რუს ხალხს ნათელი მომავალი ჰქონდეს.[1]

1918 წელს ვლასოვმა ნიჟეგოროდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩააბარა, აგრონომის სპეციალობაზე.[2] გაიწვიეს ჯარში 1919 წელს, გაზაფხულზე, კერძოდ – ვოლგისპირეთის 27-ე მსროლელთა პოლკში.[3] აქედან იწყება ანდრეი ვლასოვის სამხედრო კარიერა. 1922 წლამდე ვლასოვი ოცეულის მეთაური იყო, შემდეგ კი – ასეულის მეთაური დონის მე-2 მსროლელთა დივიზიის სმოლენსკის მე-14 პოლკში. 1923 წელს, წითელი არმია შექმნის 5 წლის იუბილეზე, ვლასოვი ვერცხლის საათით დააჯილდოეს.[4] აქვე უნდა აღვნიშნო ერთი საინტერესო ფაქტი – ვლასოვის, როგორც მეთაურის საქმიანობამ იმ დროის წითელი არმიის შტაბის უფროსის პაველ ლებედევის მოწონება დაიმსახურა.[5] ეს საკმაოდ საინტერესო მომენტია, რადგანაც სწორედ ამ დროიდან ანდრეი ვლასოვი ცნობილი ხდება, როგორც ოფიცერი, რომელსაც შეეძლო ჩამორჩენილი სამხედრო ნაწილის გაწვრთნა და მისი (სამხედრო ნაწილის) საჭირო დონემდე აყვანა. 1923 წლის 27 სექტემბერს ვლასოვმა, რომელიც იმ დროს იყო მე-9 მსროლელთა დივიზიის პეტროგრადის მე-5 მსროლელთა პოლკის ასეულის მეთაური, პოლკის მეთაურის ალექსანდრ ივლიევისაგან ღრმა მადლობა დაიმსახურა „საქმის მიმართ გულიანი დამოკიდებულებისათვის, ყველა შრომისათვის, რაც იყო გაწეული პოლკის აღორძინებისათვის“.[6] 1925 წლის 1 თებერვალს ვლასოვმა, რომელიც იმ მომენტისათვის მე-5 ასეულის მეთაური იყო, მოწონება დაიმსახურა პოლკის ახალი მეთაურის ვასილი ივანოვისაგან („განსაკუთრებული შრომისათვის და ენერგიისათვის, რომელიც მან გამოიჩინა პოლკის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში“).[7]

ვლასოვის სამხედრო კარიერა გრძელდება. 1930 წლისათვის, ვლასოვს უკვე

---

[1] Генерал Власов: история предательства. В 2 т.: В 3 кн., т. 1. Нацисткий проект «Aktion Walssow», Под ред. Андрея Артизова, Москва: Политическая энциклопедия, 2015, გვ. 179-183.
[2] В. Осокин. Андрей Андреевич Власов, გვ. 13.
[3] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 20.
[4] В. Осокин. Андрей Андреевич Власов, გვ. 15.
[5] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 20.
[6] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 63.
[7] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 63.

ჰქონდა გავლილი სამეთაურო შემადგენლობის ამაღლების ტაქტიკური კურსები და მას, მართალია დროებით, დონის მე-9 მსროლელთა დივიზიის ლენინგრადის 26-ე მსროლელთა პოლკის შტაბის მეთაურის თანამდებობა ეკავა. აღნიშნული საქმიანობის შედეგად ვლასოვმა მიიღო ასეთი დახასიათება: „შესაძლებელია მისი რიგგარეშე დაწინაურება პოლკის შტაბის ხელძღვანელის თანამდებობაზე ან პოლკის მეთაურის თანაშემწის (სამწყობრო ნაწილში) თანამდებობაზე“.[1] ამ დახასიათებაში, საინტერესო არის სიტყვა „რიგგარეშე“. იმ მომენტისათვის, ანდრეი ვლასოვი იყო წითელი არმიის ახალგაზრდა ოფიცერი, ერთ-ერთი მრავალთაგან. და ის, რომ ვლასოვმა მიიღო აღნიშნული დახასიათება, ადასტურებს მის შესაძლებლობებს. ეს დამტკიცდა, როდესაც ვლასოვი გაგზავნეს ჩინეთში, სამხედრო მრჩეველის სტატუსით.[2] 1938 წლის თებერვალში ის ჩინეთში მთავარი საბჭოთა სამხედრო მრჩევლის, დივიზიის მეთაურის ჩერეპანოვის შტაბის ხელმძღვანელი იყო.[3]

ჩინეთში ვლასოვი თავდაპირველად ჩინელი სამხედროებისათვის კითხულობდა ოპერატიული ხელოვნების საფუძვლებს. მერე, ის დაინიშნა ერთ-ერთი ჩინელი გენერლის, იან სიშანის სამხედრო მრჩევლად.[4] ოთხი თვის განმავლობაში ვლასოვი ჩინელი გენერლის მრჩევლად მუშაობდა. მან გამოიჩინა თავისი დიპლომატიური შესაძლებობები და პრაქტიკულად აიძულა იან სიშანი, მონაწილეობა მიეღო იაპონელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა ჩან კაიში.[5] 1939 წლის დეკემბერში ანდრეი ვლასოვი დაბრუნდა საბჭოთა კავშირში. დაბრუნების შემდეგ ის წარდგენილ იქნა წითელი დროშის ორდენზე და ახალი სამხედრო წოდების რიგგარეშე მიღებაზე,[6] რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ვლასოვს ჩინეთში საქმიანობა დაუფასა.

ჩინური ეპიზოდი მეტყველებს იმაზე, რომ ვლასოვი იყო არა მარტო კარგი სამხედრო თეორეტიკოსი და კარგი ლექტორი, არამედ კარგი დიპლომატიც. მეტიც, ის აღჭურვილი იყო საბჭოთა ხელისუფლების სრული ნდობით, რადგანაც, გასაგები მიზეზების გამო, საზღვარგარეთ სამხედრო მრჩევლად გაგზავნილი იქნებოდა მხოლოდ იდეოლოგიურად მყარი და გამოცდილი სამხედრო ოფიცერი. ის უნდა

---

[1] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 64.
[2] Александр Казанцев. Третья сила. Франкфурт на Майне, 1974, გვ.131.
[3] В. Осокин. Андрей Андреевич Власов, გვ.17.
[4] Николай Коняев Власов. Два лица генерала, გვ. 17.
[5] В. Осокин. Андрей Андреевич Власов, გვ.18.
[6] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 70.

ყოფილიყო ბოლშევიკური პარტიის წევრი და ვლასოვი 1930 წელს შევიდა პარტიაში.[1] მეტიც, რომ გავაგრძელოთ ვლასოვის ომამდელი სამხედრო კარიერის მიმოხილვა, ვნახავთ, რომ მის კარიერაში არის ერთი საინტერესო მომენტი – 1940 წელს 10 იანვარს ანდრეი ვლასოვი დაინიშნა 99-ე მსროლელთა დივიზიის სარდლად,[2] რომელიც სსრკ-სა და გერმანიის საზღვარზე, პერემიშლში (მეორე მსოფლიო ომამდე ეს ქალაქი შედიოდა პოლონეთის შემადგენლობაში, პოლონეთის დაპყრობის შემდეგ კი – საბჭოთა უკრაინის შემადგენლობაში) იყო განთავსებული. საბჭოთა კავშირის მომავალი მარშალმა ივან ბაგრამიანმა მოინახულა 99-ე მსროლელთა დივიზია, რომელიც შედგებოდა 1-ლი, 197-ე და 206-ე მსროლელთა პოლკებისგან და თავის მემუარებში აღწერა ეს ეპიზოდი. მისი თქმით, დივიზიის მზადყოფნისათვის მომზადებული გეგმები მაღალ დონეზე იყო მომზადებული და მათ შტაბის გამოცდილი მუშაკის ხელი ეტყობოდა. ბაგრამიანმა 1-ლი პოლკის მაგალითზე აღნიშნა, რომ კაზარმებში სისუფთავე და წესრიგი იყო, ხოლო ჯარისკაცები სუფთად იყვნენ ჩაცმული. ასევე ბაგრამიანმა შეაფასა წვიმაში ჩატარებული ერთ-ერთი ასეულის ტაქტიკურ სწავლებებზე. მისი თქმით, ჯარისკაცები სწორად მოქმედებდნენ სწავლებების დროს. ბოლოს კი, მან რიტორიკული კითხვა დასვა, სწორედ აქ ხომ არ იჭედებოდა 99-ე მსროლელთა დივიზიის ჯარისკაცების მომავალ დიდება, დივიზიისა, რომლის ურყეობაზე 1941 წელს ლეგენდები დადიოდა?[3] 99-ე მსროლელთა დივიზიაზე საუბრის შეჯამებისას დავამატებ, რომ ვლასოვის ქმედებები იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ დივიზიამ მიიღო გარდამავალი წითელი დროშა და ოფიციალურად იქნა აღიარებული კიევის სამხედრო ოლქის საუკეთესო დივიზიად.[4] თვითონ ვლასოვზე, მისი სახელის ხსენების გარეშე, ბაგრამიანმა დაწერა, რომ როდესაც ის შტაბში მივიდა, დივიზიის მეთაური მას ადგილზე არ დახვდა,[5] რაც ცოტა ძნელი წარმოსადგენია, თუმცა, სავარაუდოდ, ბაგრამიანს ეს იმისთვის დასჭირდა, რომ ვლასოვი არ ეხსენებინა.

---

[1] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ 21.

[2] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 84. აღნიშნული დივიზია, როგორც ამას ეკატერინე ანდრეევა მიუთითებს, ცნობილი იყო მომზადების ცუდი დონით, რადგანაც სხვადასხვა ეროვნების მოსამსახურეთაგან შედგებოდა (იხ.: Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 21-22).

[3] Иван Баграмян. Так начиналась война. Киев: Политиздат Украины, 1988, გვ. 29-30.

[4] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ 21.

[5] Иван Баграмян. Так начиналась война, გვ. 28.

ვლასოვის ცხოვრების ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ ის მართლაც იყო კარგი ოფიცერი, რომელსაც შეეძლო მსხვილი სამხედრო შენაერთის ბრძოლისუნარიანობის გაზრდა და პირადი შემადგენლობის მომზადების საჭირო დონემდე აყვანა. რასაკვირველია, ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ ვლასოვმა გაწვრთნა და კარგად მოამზადა მხოლოდ ერთი პოლკი, რომლისგანაც შექმნა ე.წ. „პოტიომკინის სოფელი“, მაგრამ გარდამავალი წითელი დროშის მიღების ფაქტი ამას უარყოფს და საუკეთესო დივიზიის ადგილის დაკავება მხოლოდ ადასტურებს იმას, რომ ანდრეი ვლასოვი პროფესიონალი სამხედრო იყო, რომელსაც შეეძლო ჩამორჩენილი დივიზიის მზადყოფნის ამაღლება. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო ერთი საინტერესო ფაქტი – როგორ დიპლომატიურად გამოვიდა სიტუაციიდან ივან ბაგრამიანი და თავის მემუარებში ანდრეი ვლასოვის სახელი საერთოდ არ ახსენა. ეს კონტრასტში მოდის სხვა საბჭოთა სამხედროების მემუარებთან, რომლებიც ვლასოვის მიმართ მეტად ანტაგონისტურად არიან განწყობილი.[1]

ვლასოვის ბიოგრაფიაში, არის ერთი პერიოდი, რომელზეც მე რამდენიმე სიტყვით მინდა გავჩერდე. რეპრესიები საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, შეიარაღებულ ძალებში. სსრკ-ს შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოფიცრების ჩამონათვალი, რომლებიც დახვრიტეს აღნიშნული რეპრესიების დროს:

1. საბჭოთა კავშირის მარშალი – დახვრიტეს 2 (ტუხაჩევსკი და ეგოროვი), პატიმრობაში გარდაიცვალა – 1 (ბლიუხერი);
2. 1 და მე-2 რანგის არმიის მეთაურები – დახვრიტეს 19 (მათ შორის, ი. უბორევიჩი);
3. 1 და მე-2 რანგის ფლოტის ფლაგმანები – დახვრიტეს 5;
4. კორპუსის მეთაური – დახვრიტეს 58;
5. 1 რანგის ფლაგმანი – დახრიტეს 5;
6. დივიზიის მეთაური – დახვრიტეს 122;
7. ბრიგადის მეთაური – დახვრიტეს 201.[2]

როგორც ვხედავთ, სსრკ-ს შეიარაღებულმა ძალებმა საკმაოდ დიდი

---

[1] Александр Василевский. Дело всей жизни. Москва: Политиздат, 1978; Кирилл Мерецков. На службе народу. Москва: Вече, 1968; Андрей Стученко. Завидная наша судьба. Москва: Воениздат, 1968 და ა.შ.
[2] Олег Сувениров. Трагедия РККА 1937—1938, Москва: ТЕРРА, 1998, გვ. 315.

დანაკარგები განიცადა რეპრესიების დროს.[1] არსებობენ ისტორიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ვლასოვის კარიერული წინსვლა დიდწილად სწორედ რეპრესიებმა, უფრო მეტიც, მათში ვლასოვის უშუალო მონაწილეობამ განაპირობა.[2] ამ დროს ვლასოვი მსახურობდა ლენინგრადის სამხედრო ოლქებში (1937 წლის ნოემბრამდე) და მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქში (1937 წლის ნოემბრიდან – 1938 წლის სექტემბრამდე)[3]. ვლასოვი, თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ „არჩეული იყო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის წევრად“.[4] საკმაოდ უცნაური და საინტერესო ფრაზაა. საქმე იმაშია, რომ სამხედრო ტრიბუნალების წევრები იყვნენ ან სამხედრო იურისტები, ან კომისრები და, როგორც ვიცით, ვლასოვი – სუფთა სახის სამხედრო იყო. ამასთან ერთად, არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, არ არის გამოქვეყნებული) არანაირი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ვლასოვი ნამდვილად მონაწილეობდა რეპრესიებში და მას ნამდვილად ჰქონდა გამოტანილი საბრალდებო განაჩენები.

მეცნიერებს, რომლებიც ადანაშაულებენ ვლასოვს ღალატში და აბრალებენ მას რეპრესიებში მონაწილეობას (ძირითადად ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ვლასოვი მოღალატეა და ხდება ვლასოვის პიროვნების დემონიზირება), არ მოაქვთ რაიმე საარქივო დოკუმენტები აღნიშნული ვერსიის დასადასტურებლად. იმის დასამტკიცებლად, რომ ვლასოვი ნამდვილად მუშაობდა სამხედრო ტრიბუნალში, არსებობს მხოლოდ ფრაზა მისი ავტობიოგრაფიიდან. ამასთან ერთად, უნდა დავეთანხმოთ კ. ალექსანდროვს, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ თუ ვლასოვი მონაწილეობდა ტრიბუნალის საქმიანობაში, დასკვნებში არ იქნებოდა

---

[1] არსებობს მოსაზრება, რომ რეპრესიებმა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში კი არ დაასუსტა წითელი არმია, არამედ, პირიქით, გააძლიერა. მაგალითად, ამას ამტკიცებს ვიქტორ სუვოროვი თავის წიგნში „Очищение. Зачем Сталин обезглавил свою армию?“. მისი თქმით, ზოგიერთი ოფიცერი დამსახურებულად იყო დახვრეტილი. მაგალითად, მარშალი ტუხაჩევსკი არარეალური გეგმების და იდეების მხარდამჭერი იყო და ითხოვდა ერთ წელიწადში (კონკრეტულად, 1928 წელს) 50-100 ათასი ტანკის გამოშვებას, არტილერიის გაუქმებას და მის ნაცვლად, დინამო-რეაქტიული ქვემეხების დანერგვას და ა.შ. პაველ დიბენკო, მე-2 რანგის არმიის მეთაური, ცნობილი იყო თავისი არაკომპეტენტურობით და სიმხდალით. მიხაილ ფრინოვსკი კი, რომელიც იყო 1 რანგის არმიის მეთაური და სსრკ-ს სამხედრო ფლოტის სახალხო კომისარი 1938-1939 წლებში, საერთოდ არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სამხედრო გამოცდილებით, სპეცსამსახურებიდან იყო მოსული და თავისი კარიერა რეპრესიებით აიწყო (იხ.: Виктор Суворов. Очищение. Зачем Сталин обезглавил свою армию? Москва, «Добрая книга», 2016, გვ. 46, 105-106, 201).

[2] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 73.

[3] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 75.

[4] Николай Коняев. Власов. Два лица генерала, გვ. 14.

დაფიქსირებული ანდრეი ვლასოვის ხელმოწერები.[1] დარწმუნებული ვარ, ასეთი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია დიდი ხნის წინ იქნებოდა ცნობილი.

ომის წინ ვლასოვი დაინიშნა მე-4 მექანიზირებული კორპუსის სარდლად.[2] 1938 წელს მექანიზირებულს კორპუსებს, რეორგანიზაციის შემდეგ, სატანკო კორპუსები უწოდეს, თუმცა 1939 წლის 21 ნოემბერს ისინი დაშალეს და მოტორიზებული დივიზიებით შეცვალეს.[3] საბოლოოდ, გერმანელების წარმატებულმა ბლიცკრიგმა საფრანგეთის წინააღმდეგ სატანკო შენაერთების გადამწყვეტი როლი ყველასათვის ნათელი გახდა და საბჭოთა სარდლობამ აღადგინა მექანიზირებული კორპუსები. შედეგად, მექანიზირებული კორპუსი შედგებოდა ორი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზიისგან. სატანკო დივიზია შედგებოდა ორი სატანკო, მოტომსროლელთა და საარტილერიო პოლკებისგან. აღნიშნულ სატანკო დივიზიაში უნდა ყოფილიყო 375 სხვა და სხვა ტიპის ტანკი. მოტორიზირებულ დივიზიაში უნდა ყოფილიყო ორი მოტომსროლელთა, სატანკო და საარტილერიო პოლკები (შტატის მიხედვით 275 მსუბუქი ტანკი). საერთოდ, მექანიზირებულ კორპუსში ომის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო 36080 ადამიანი, 1031 ტანკი, 258 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, სხვა და სხვა დანიშნულების 5000 მეტი ავტომანქანა, 350 ტრაქტორი და დაახლოებით 1700 მოტოციკლი.[4]

ზუსტად ასეთი „მეურნეობა" შეხვდა ანდრეი ვლასოვს, როდესაც ის მე-4 მექანიზირებული კორპუსის სარდლად დანიშნეს. იმ მომენტისათვის, ვლასოვი უკვე გენერალ-მაიორი გახდა (1940 წლის 17 იანვარს).[5] შესაბამისად, მას უკვე ჰქონდა იმ დონის გამოცდილება, რომ მიეღო აღნიშნული შენაერთი. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-4 მექანიზირებული კორპუსი დაკომპლექტებული იყო იმ დროისათვის უახლესი საბჭოთა ტანკებით: T-34 და KB-1, რომლების რაოდენობა იცვლება სხვადასხვა წყაროში, თუმცა T-34 და KB-1 რაოდენობა თითქმის ყოველთვის აღემატება 400.[6] აქვე

[1] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 82.

[2] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 22. სულ საბჭოთა კავშირში იმ დროს 4 მექანიზირებული კორპუსი იყო. იხ.: Алексей Радзиевский. Танковый удар: танковая армия в наступательной операции фронта по опыту Великой Отечественной войны. Москва: Воениздат, 1977, გვ. 7-8.

[3] Алексей Радзиевский. Танковый удар, გვ. 7-8.

[4] Алексей Радзиевский. Танковый удар, გვ. 8.

[5] Николай Коняев. Власов. Два лица генерала, გვ. 19.

[6] Евгений Дриг. Механизированные корпуса РККА в бою. История автобронетанковых войск Красной

უნდა აღვნიშნო, რომ T-34 და KB-1 იმ მომენტისათვის ტექნიკის უახლესი ნიმუშებს წარმოადგენდა. ახალი ტექნიკის ათვისებას მეტი დრო სჭირდებოდა და იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც პირველ პერიოდში გამოჩნდებოდა (იგულისხმება ის ტექნიკური პრობლემები, რომლებიც ყოველთვის ჩნდებოდა ახალი ტიპის ტექნიკის გამოყენების დროს), სჭირდებოდა გამოცდილი ოფიცერი. შესაბამისად, მე-4 მექანიზირებული კორპუსის სარდლად დანიშვნა კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ანდრეი ვლასოვზე კარგი წარმოდგენის იყო და მას სრულიად ენდობოდა. ამას ადასტურებს მივლინება ჩინეთში და ვლასოვის საქმიანობა 99-ე დივიზიის მეთაურის პოსტზე. ასევე, ეს ადასტურებს იმასაც, რომ, მიუხედავად არც ისე დიდი თეორიული გამოცდილებისა (ვლასოვს არ ჰქონდა დამთავრებული სამხედრო აკადემია. ის მხოლოდ აკადემიის მსმენელი იყო და მისი სამხედრო განათლება შემოიფარგლებოდა ზემოთ აღნიშნული ტაქტიკური კურსებით), ვლასოვი იყო კარგი სამხედრო პრაქტიკოსი, რომელსაც შეეძლო ჩამორჩენილი დივიზიის ხარისხის ამაღლება.

1941 წლის 22 ივნისს, ღამის 4 საათზე ნაცისტურმა გერმანიამ დაიწყო საბრძოლო ქმედებები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გეგმა „ბარბაროსას" მიხედვით. ომის პირველ დღეებშივე გამოიკვეთა გერმანელთა სრული უპირატესობა, რაც, პირველ რიგში, აიხსნებოდა მოულოდნელობის ეფექტითა და საბჭოთა ჯარების თავდაცვითი ბრძოლების წარმოებისთვის მოუმზადებლობით.[1] მართალია, ხელმძღვანელობამ გასცა ბრძანება, რომ საბჭოთა ძალები კონტრშეტევაზე უნდა გადასულიყვნენ, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე უმთავრეს მონაკვეთებზე და გაეგრძელებინათ ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე,[2] მაგრამ ამის შესრულება შექმნილ ვითარებაში უბრალოდ შეუძლებელი აღმოჩნდა. წითელი არმია პანიკაში ჩავარდა და ლამის უბრძოლველად დატოვა ტერიტორიის დიდი ნაწილი. შეიარაღებისა და ტანკების დიდი ნაწილი უბრალოდ მიტოვებულ იქნა.[3]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1941 წლის 22 ივნისისათვის გენერალ-მაიორი ანდრეი ვლასოვი იყო მე-4 მექანიზირებული კორპუსის სარდალი, რომლის შტაბ-

---

Армии в 1940-1941 годах. Москва: АСТ, АСТ Москва, Транзиткнига, 2005, გვ. 160.

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: Марк Солонин. Июнь 41-го. Окончательный диагноз. Москва: Яуза, 2014.

[2] Георгий Жуков. Воспоминания и размышления. Москва: Издательство Агентства печати Новости, 1969, გვ. 251.

[3] დაწვრილებით იხ.: Марк Солонин. 22 июня. Анатомия катастрофы. Москва: Яуза, 2009, გვ. 269-339.

ბინა იმყოფებოდა ქალაქ ლვოვში. ომის პირველი დღეები მე-4 მექანიზირებული კორპუსისათვის საკმაოდ ცუდად დამთავრდა და ერთის მხრივ, გერმანელების, ხოლო, მეორეს მხრივ, უკრაინელი ნაციონალისტების შემოტევების გამო ლვოვი დასატოვებელი ექნა (24-26 ივნისი). მიუხედავად ამისა, მე-4 მექანიზირებული კორპუსის წარუმატებლობის დაბრალება ვლასოვისთვის რთულია, ვინაიდან ის ემორჩილებოდა კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის მე-6 არმიის სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ი. მუზიჩენკოს. კორპუსს, გარდა დანაკარგებისა, ჰქონდა ასევე სხვა პრობლემები. მაგალითად, 32-ე სატანკო დივიზია, რომელიც შედიოდა მე-4 მექანიზირებულ კორპუსში, იბრძოდა მხოლოდ ორი სატანკო პოლკით, რადგანაც მისი მოტომსროლელთა პოლკი მე-6 არმიის სარდლის რეზერვს წარმოადგენდა. დივიზიის საარტილერიო პოლკი არ იყო სათანადო დონეზე დაკომპლექტებული ტრაქტორებით (რომლებსაც გადაჰქონდათ ქვემეხები). გარდა ამისა, კორპუსის მოტომსროლელი ნაწილები, ი. მუზიჩენკოს ბრძანებით, ხშირად იბრძოდნენ ფრონტის სხვა მონაკვეთებზე, რამაც ნამდვილად უარყოფითად იმოქმედა სატანკო ნაწილების ბრძოლის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, არც არის გასაკვირი, რომ ივლისის ბოლოსთვის მე-4 მექანიზირებულ კორპუსსაც თავისი ტანკების 90% ჰქონდა დაკარგული.[1]

ასეთი დანაკარგების მიუხედავად, ა. ვლასოვს რაიმე პრობლემები არ შექმნია, ვინაიდან საყოველთაო პანიკის პირობებში პრაქტიკულად არ არსებობდა შენაერთი, რომელშიც უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. უფრო მეტიც, ნიკიტა ხრუშჩოვის პროტექციით[2] ის დანიშნეს ახლად შექმნილი 37-ე არმიის სარდლად. ამ რანგში ის კიევის დაცვაში მონაწილეობდა მთელ რიგ სხვა არმიებთან ერთად. სწორედ ამ პერიოდს მიუთითებს თავად ვლასოვი, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვანს მისი შეხედულებების ცვლილებაში. თავის წერილში – „რატომ დავიწყე ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა“ – ის ამბობს, რომ მისი შენაერთები ორი თვის მანძილზე წარმატებულად იცავდა კიევს, მაგრამ ბრძანების გამო დატოვა ქალაქი. ვლასოვის თქმით, ის ხედავდა, რომ მისი ქვეყანა ომს ორი მიზეზის გამო აგებდა: 1. რუს ხალხს არ ჰქონდა სურვილი, დაეცვა ბოლშევიკური ხელისუფლება და მათ მიერ შექმნილი

---

[1] Евгений Дриг. Механизированные корпуса РККА в бою, გვ. 161.

[2] Никита Хрущёв. Время. Люди. Власть. (Воспоминания), გვ. 315. საინტერესოა, რომ ნ. ხრუშჩოვი, სხვებისგან განსხვავებით, ვლასოვს გვარით ახსენებს და დადებითად ახასიათებს, თუმცა, ბუნებრივია, მოგვიანებით ვლასოვი მისთვისაც მოღალატედ იქცა. – გ.ც.

ძალადობის სისტემა; 2. არმიის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობისა და მის მართვაში კომისრების ჩარევის გამო.[1] მართალია, ეს წერილი უფრო პროპაგანდისტული მასალაა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ და ჩავთვალოთ ეს წერილი ვლასოვის პირად მოსაზრებად. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ვლასოვი როგორც მინიმუმ, სრულ სიმართლეს არ ამბობს. მართალია, კიევის დაცემაში მას ბრალი მართლაც არ მიუძღვის და ქალაქის დაცვა შეუძლებელი გახადა გერმანელების მიერ სხვა არმიების თავდაცვის ზოლების გარღვევამ და ქალაქისა და მისი შემოგარენის მთლიანად ალყაში მოქცევამ, მაგრამ „კიევის მხოლოდ ბრძანების გამო დატოვება" ნამდვილად არ იყო შესაბამისი. ამისთვის საკმარისია თუნდაც 37-ე არმიის სამხედრო საბჭოს დეპეშის ტექსტის გაცნობა, რომელიც გაგზავნილ იქნა 1941 წლის 17 სექტემბერს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალ გენერალ მ. კირპონოსთან:

„37-ე არმია ოპერატიულ ალყაშია. ამა წლის 16 სექტემბერს კიევის გამაგრებული ოლქის თავდაცვა დასავლეთ სანაპიროზე გარღვეულია ფასტოვის სამხრეთით, რეზერვები ამოწურულია, ბრძოლა გრძელდება. აღმოსავლეთ სანაპიროზე... არსებული ნაწილები ბრძოლებით გადიან ბროვარის მიმართულებით. სამხრეთით... მოწინააღმდეგემ გაარღვია თავდაცვა... ოცდღიანი ბრძოლების შედეგად ნაწილები მცირერიცხოვანი არიან... საჭიროებენ დასვენებას და დიდი სამაშველო ჯარის დახმარებას. მეზობლებთან კავშირი არ არის. აღმოსავლეთ სანაპიროს დიდი რეზერვების გარეშე ვერ დავიცავ... ვითხოვ ბრძანებებს".[2]

როგორც დეპეშიდან ჩანს, 1941 წლის 16-17 სექტემბრისათვის კიევი უკვე განწირული იყო. უფრო მეტიც, ბრძანება ქალაქის დატოვების შესახებ, რომელიც, როგორც იხსენებს თავის მემუარებში გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი ალექსანდრ ვასილევსკი, სწორედ 17 სექტემბერს გაიცა, დაგვიანებული გამოდგა. კიევის ოპერაციის შედეგად გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს 600 ათასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი.[3] ალყიდან გამოსვლა მხოლოდ მცირე

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 179-183.
[2] Николай Коняев. Власов. Два лица генерала, გვ. 23. აღნიშნული დეპეშა კირპონოსმა მიიღო მხოლოდ 18 სექტემბერს, რადგანაც კავშირი ალყაში მოქცეულ არმიებთან დაკარგული ჰქონდა და ინფორმაცია მოსკოვის გავლით მიიღო - გ.ც.
[3] История Великой Отечественной войны Советского Союза 1941-1945, т. 1-6, т. 2, Отражение советским народом вероломного нападения фашисткой Германии на СССР. Создание условий для коренного перелома в войне, Москва: Военное издательство министерство обороны Союза ССР, 1961, გვ. 110;

რაოდენობამ შეძლო. მათ შორის იყო გენერალი ა. ვლასოვიც.

როგორც ჩანს, ვლასოვის მოქმედებები კიევის დაცვის დროს დადებითად შეფასდა. ყოველ შემთხვევაში ამას მოწმობს ნ. ხრუშჩოვის მემუარები. მისი თქმით, ვლასოვმა მოიპოვა მებრძოლი გენერლის პოპულარობა, რომელმაც იცოდა თავდაცვითი ხაზების აშენება, ჯარების მართვა და დარტყმების განხორციელება. რაც მთავარია, მას ძალიან აქებდა სტალინი.[1] შედეგად, ნოემბრის ბოლოს ვლასოვს ჩააბარეს ჩრდილოეთის მიმართულებაზე (ევალებოდა მოსკოვის დაცვა) შემავალი ხელახლა ფორმირებული მე-20 არმია. იმ მომენტისთვის, მოსკოვში უკვე იყო გამოცხადებული საალყო მდგომარეობა.

მე-20 არმიამ, რომლის სარდალი გახდა ანდრეი ვლასოვი, თავისი წვლილი შეიტანა მტრის მოგიერებაში, და საბჭოთა კონტრშეტევის დროს ვლასოვის ჯარები და როკოსოვსკის მე-16 არმია გამოვიდნენ ისტრთან, და მერე კი სოლნეჩნოგორსკთან და ვოლოკოლამსკთან. ვლასოვმა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და წითელი დროშის ორდენი მიიღო.[2] როგორც ვხედავთ, არაფერი არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ვლასოვი არის უკმაყოფილო საბჭოთა ხელისუფლებით და მტრის მხარეს გადასვლას აპირებს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ვლასოვი გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდა. კერძოდ, მასთან შესახვედრად უცხო ქვეყნის ჟურნალისტებს უშვებდნენ. 1941 წლის 16 დეკემბერს, სანამ ვლასოვი ვოლოკოლამსკს აიღებდა, ამერიკელმა ჟურნალისტმა ლოურენს (ლარი) ლესიუერმა ინტერვიუ ჩაწერა ვლასოვთან. ის წერს მის ოპტიმიზმზე, რომ გენერალი პოპულარობით სარგებლობს ჯარისკაცებში და აპირებდა ვოლოკოლამსკის აღებას.[3] ფრანგი ჟურნალისტი ევ კიური შეხვდა ვლასოვს ვოლოკოლამსკის აღების შემდეგ. კიური წერს ვლასოვზე, როგორც ახალგაზრდა მეთაურზე, რომელიც ყველაფერს სტრატეგიული ხედვით უყურებს. კიური ახსენებს, რომ სტალინი ვლასოვისთვის ხელმძღვანელია, ამ სიტყვის როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, და ასევე აღნიშნავდა, რომ ფაშისტები უნდა განადგურდნენ.[4] როგორც ვხედავთ, არ ჩანს

---

Kriegstagebuch des Oberkommandos der Wehrmacht (Wehrmachtführungsstab), 1940-1945. In 8 Bänden. Band I: 1 August 1940 – 31 Dezember 1941. Zusammengestellt und erläutert von Hans-Adolf Jacobsen. Frankfurt am Main: Bernard & Graefe Verlag für Wehrwesen, 1965, გვ. 661.

[1] Н. Хрущёв. Время. Люди. Власть. (Воспоминания), გვ. 342.

[2] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 23.

[3] Larry LeSueur. Twelve Months that Changed the World. New York: Knopf, 1943, გვ. 87-89.

[4] Eve Curie. Journey Among Warriors. London, 1943, გვ. 184.

არანაირი საფუძველი ვლასოვის ნაცისტების მხარეს გადასვლისთვის. პირიქით, ის ცუდი სარდალი არ იყო და არც ანტისაბჭოთა იდეების გავრცელებაში იყო შემჩნეული. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვლასოვის ღალატის მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ არა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, მისი იმდროინდელი გამონათქვამები და მოქმედებები პრაქტიკულად გამორიცხავს, რომ ის ამ დროს უკვე ფიქრობდა გერმანელების მხარეს გადასვლას. შესაბამისად, მის მიერ 1942 წელს გავრცელებულ ღია წერილში მოყვანილი ფაქტები, ცოტა არ იყოს, საეჭვოა.

1942 წლის 8 მარტს ვლასოვი დაინიშნა ვოლხოვის ფრონტის[1] სარდლის მოადგილედ, ხოლო 20 აპრილს მას ჩააბარეს მე-2 დამრტყმელი არმია, რომელიც მონაწილეობდა ლენინგრადის დებლოკირების ოპერაციაში. აღნიშნული ოპერაცია ძალზე რთულად მიმდინარეობდა. როგორც იხსენებს ლენინგრადის ფრონტის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ ხოზინი, წინსვლა ძნელად მიმდინარეობდა.[2] ამიტომ 28 თებერვალს კრემლმა შეცვალა ვოლხოვის ფრონტის მე-2 დარმტყმელი არმის და ლენინგრადის ფრონტის 54-ე არმიის დავალებები. ახალი ბრძანებების შედეგად, ორივე არმიას უნდა განახორციელებინა შეტევა ლიუბანზე (მტრის ადგილობრივი დაჯგუფების განადგურებისთვის), ამის შემდეგ კი – წინსვლის გაგრძელება ტოსნოზე და სივერსკაიაზე და ლენინგრადის დებლოკირება.[3] შეცვლილმა გეგმებმა ვითარება ვერ გამოასწორა და შეტევა შეჩერდა, როდესაც ლიუბანამდე 10-12 კილომეტრი დარჩა. ამის მიზეზი კი ჯარების გადაღლა იყო. გარდა ამისა, ვოლხოვის ფრონტის სარდალი არმიის გენერალი კირილ მერეცკოვი აღნიშნავს, რომ მისი და ლენინგრადის ფრონტის ჯარებს შორის სათანადო კომუნიკაცია არ არსებობდა. ის ასევე აღნიშნავს საბჭოთა ჯარების ტექნიკურ ჩამორჩენილობას (გერმანელები შეიარაღებული იყვნენ ავტომატებით, წითელარმიელები კი – შაშხანებით), მედიკამენტების და ტყვია-წამლის არარსებობას.[4] ამას ასევე ემატებოდა ამინდის საკითხი. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ცივი ზამთარი საბჭოთა მხარის ხელშემწყობი არ აღმოჩნდა.

---

[1] ვოლხოვის ფრონტი (მის შემადგენლობაში შედიოდა 4 არმია: მე-4, 52-ე, 26-ე და 59-ე) შეიქმნა 1941 წლის 17 დეკემბერს და მისი მთავარი ამოცანა სწორედ ლენინგრადის ბლოკადის მოხსნა იყო (ფრონტის შესახებ დაწვრილებით იხ.: Б. Гаврилов. «Долина смерти». Трагедия и подвиг 2-й ударной армии, გვ. 5-6).

[2] М. Хозин. Об одной малоисследованной операции. // *Военно-исторический журнал*, №2, 1966, გვ. 35-46.

[3] М. Хозин. Об одной малоисследованной операции, გვ. 36-37.

[4] Кирилл Мерецков. На службе народу, გვ. 270.

როგორც ვხედავთ, ვოლხოვის ფრონტმა დაკისრებული მისია ვერ შეასრულა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში კი იყო მე-2 დამრტყმელი არმია, რომლის მეთაური იყო გენერალი ნიკოლაი კლიკოვი. გერმანელების კონტრშეტევის შედეგად, 1942 წლის მარტში არმია ალყაში მოექცა. გენერალ-ლეიტენანტმა მიხაილ ხოზინმა ვერ შეასრულა სტავკის ბრძანება, მე-2 დამრტყმელი არმიის უკან დახევის შესახებ.[1] ამ ვითარებაში გენერალი კლიკოვი, რომელიც ავად გახდა, გაათავისუფლეს თანამდებობიდან და მის ნაცვლად დაინიშნა ანდრეი ვლასოვი.[2] მისი ამოცანა იყო დემორალიზებული ჯარისკაცების სულისკვეთების ამაღლება და არმიის ალყიდან გამოყვანა. ეს ნაწილობრივ მოხერხდა კიდეც. მე-2 დამრტყმელი არმიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა შესძლეს ალყის გარღვევა, თუმცა მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი გადარჩა ერთმანეთს არ ემთხვევა. მერეცკოვის თანახმად, ალყიდან გამოვიდა 16 ათასი ადამიანი, დაიღუპა 6 ათასი, და უგზოუკლოდ დაიკარგა 8 ათასი.[3] პუბლიცისტი ალექსეი ისაევი ამბობს, რომ 29 ივნისისთვის ალყიდან გამოვიდა 9462 ადამიანი, ამასთან ერთად, დაჭრილების და დაავადებულთა რიცხვი კი იყო 5494 ადამიანი.[4]

ალყიდან გამოსულთა შორის არ იყო მე-2 დამრტყმელი არმიის მაღალი რანგის ოფიცრების ნაწილი, მათ შორის, ა. ვლასოვი. ვოლხოვის ფრონტის სარდლობა ცდილობდა ეპოვა და გადაერჩინა იგი. მე-2 დამრტყმელი არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსის მოადგილე სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი სოკოლოვი ცდილობდა 25 ივნისს ვლასოვი მოეძებნა. მან იპოვა კარავი, „სადაც ვლასოვი იმყოფებოდა, მაგრამ კარავში იმყოფებოდა მარტო სამხედრო ვაჭრობის მუშაკი ზინა, რომელმაც გვითხრა, რომ ვლასოვი იყო აქ, მაგრამ მერე 382-ე დივიზიის მეთაურთან წავიდა, შემდეგ კი აპირებდა 46-ე დივიზიის სამეთაურო პუნქტზე გადასვლას“. ამასობაში გერმანელმა ჯარებმა საკომანდო პუნქტის მიმართულებით მიმავალი გზა გადაჭრეს და სოკოლოვმა ვლასოვის ძებნა შეწყვიტა.[5]

როგორც ირკვევა, ვლასოვმა სცადა საკუთარი ხელქვეითების დაფანტვა. ყოველ შემთხვევაში, ამას მოწმობს 46-ე მსროლელთა დივიზიის პოლიტგანყოფილების

---

[1] Алексей Исаев. Краткий курс истории ВОВ. Наступление маршала Шапошникова. Москва: Яуза, Эксмо, 2005, გვ. 361.
[2] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 27.
[3] Кирилл Мерецков. На службе народу, გვ. 300.
[4] Алексей Исаев. Краткий курс истории ВОВ, გვ. 368.
[5] Николай Коняев. Власов. Два лица генерала, გვ. 111.

ხელმძღვანელის ალექსანდრ ზუბოვის სიტყვები: „25 ივნისის დღის 12 საათზე მე-2 დამრტყმელი არმიის შტაბი და 46-ე დივიზიის შტაბი ტყეში, ერთ ადგილზე იმყოფებოდნენ. დივიზიის მეთაურმა ჩერნიმ გამაფრთხილა, რომ მტრის ზურგში მივდიოდით, მაგრამ სარდალმა ვლასოვმა გამაფრთხილა, რომ ზედმეტი ხალხის წაყვანისაგან და თქვა, რომ მარტო დარჩენა უფრო მიზანშეწონილი იყო... 27 ივნისს დილით, მე-2 დამრტყმელი არმიის შტაბის უფროსმა, ვლასოვთან საუბრის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება ორ ჯგუფად გაყოფის შესახებ, რადგანაც დიდი რაოდენობით გადაადგილება უკვე შეუძლებელი იყო. დღის 2 საათზე ჩვენ დავიყავით და სხვადასხვა მიმართულებით გავწიეთ“.[1]

ამ დროიდან მოყოლებული ვლასოვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს 12 ივლისამდე, როდესაც ის გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. ის იპოვეს სოფელ ტუხოვეჟიში, ერთ-ერთი გლეხის ქოხში გერმანული 38-ე კორპუსის დაზვერვის კაპიტანმა ფონ შვენდტნერმა და თარჯიმანმა კლაუს პელხაუს მიერ. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მანამდე კაპიტანმა ფონ შვენდტნერმა იპოვა ჯარისკაცის გვამი გენერლის შინელში[2] და უკვე უკან მიბრუნებასაც აპირებდნენ, როდესაც მათ ადგილობრივი მაცხოვრებლისგან მიიღეს შეტყობინება, რომ ქოხში რუსი ოფიცერი იმალებოდა. როდესაც კაპიტანი ფონ შვენდტნერმა მიუახლოვდა ქოხს, გენერალი თვითონ გამოვიდა ქოხიდან და თქვა: „არ მესროლოთ, მე-2 დამრტყმელი არმიის მეთაური ვლასოვი ვარ“.[3]

თვითონ ვლასოვი კი ასე იხსენებს თავის ტყვედ აყვანის ისტორიას. ის ყვება, რომ ორი კვირის განმავლობაში ტყეებში დადიოდნენ და ცდილობდნენ თავისიანებთან გამოსვლას, მაგრამ როდესაც ის შევიდა გლეხთან პურის სათხოვნელად, ამ გლეხმა გერმანელებს ჩააბარა.[4] ასევე ვლასოვი აღნიშნავს, რომ ეს ორი კვირა მან თავის შტაბთან ერთად გაატარა, რაც, როგორც მინიმუმ, გაზვიადება იყო.[5] ჩემი აზრით, ვლასოვმა ეს შეგნებულად გააკეთა, რათა თავი წარმოეჩინა უფრო

[1] Николай Коняев. Власов. Два лица генерала, გვ. 111.
[2] სავარაუდოდ, ეს იყო მე-2 დამრტყმელი არმიის შტაბის ხელმძღვანელი პაველ ვინოგრადოვი, რომელსაც ვლასოვმა თავისი შინელი. თავდაპირველად, როდესაც გერმანელებმა ვინოგრადოვის გვამი აღმოაჩინეს, სწორედ ამ შინელის გამო ის შეცდომით გენერალ ვლასოვად ჩათვალეს – გ.ც.
[3] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 126.
[4] Константин Кромиади. «За землю, за волю!», გვ. 137.
[5] რომც ვირწმუნოთ ეს მტკიცება, გამოვა, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში შტაბის შემადგენლობა ყოველდღიურად მცირდებოდა და ბოლოს მისგან, ვლასოვის გარდა, არავინ დარჩა – გ.ც.

კარგად ინფორმირებულ ოფიცრად და ამით გაემყარებინა თავისი მდგომარეობა არსებულ ვითარებაში.

1942 წლის 13 ივლისს ვლასოვი უკვე იყო სივერსკიში, მე-18 გერმანული არმიის სარდლის, გენერალ გეორგ ლინდემანის შტაბ-ბინაში. 15 ივლისს ვლასოვი გადაიყვანეს ლიოტცენში და 17 ივლისს გერმანელმა სარდლებმა იგი დაკითხეს.[1] ვლასოვმა დაკითხვაზე გაამხილა ლენინგრადის და ვოლხოვის ფრონტების გეგმები, ჩამოთვალა შენაერთების სარდლების გვარები, ასევე მოჰყვა მისთვის ცნობილი სტავკის მოსაზრებებზე და გეგმებზე დანარჩენ მიმართულებებზე, მათ შორის ქვეყნის სამხრეთში, მოჰყვა სამხედრო მრეწველობის მდგომარეობაზე, და ასევე იარაღის და ტყვია-წამლის მომარაგებაზე, მათ შორის მოკავშირეებისგან მიღებულ იარაღზე.[2] ასევე, ვლასოვმა აღნიშნა, რომ ლენინგრადის და ვოლხოვის ფრონტებს არ შეეძლოთ ახალი ოპერაციების ჩატარება.[3] ეს განცხადებები დაედო საფუძვლად საბჭოთა ბრალდებები ღალატში ვლასოვის მიმართ, რომ სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაისროლა გერმანულმა სარდლობამ საჭირო ძალები სტალინგრადთან.[4] მართალია, წითელი არმიის გენერალ-ლეიტენანტს ნებისმიერ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ანდრეი ვლასოვი გარე სამყაროს თითქმის ერთი თვე იყო მოწყვეტილი, მას არ ჰქონდა კავშირი „სტავკასთან" და აღარ ღებულობდა ინფორმაციას ფრონტებისგან. როგორც დაამტკიცა კირილ ალექსანდროვმა, ვლასოვი 22 ივნისიდან მოყოლებული – ამ დღეს დაიწყო მარცხით დამთავრებული მე-2 დამრტყმელი არმიის ალყის გარღვევის მცდელობა – აღარ ფლობდა ისეთ ინფორმაციას, რომლის გახმოვანებაც საბჭოთა ძალებს ზიანს მოუტანდა.[5] ამიტომ ბრალდებები იმაში, რომ თითქოს ვლასოვის გამო წითელმა არმიამ დიდი დანაკარგები განიცადა, კერძოდ, სტალინგრადში, სიმართლეს არ შეესაბამება.

რომ შევაჯამოთ ანდრეი ვლასოვის ბიოგრაფიის ეს ნაწილი, საკმაოდ საინტერესო სურათს მივიღებთ. მას ჰქონდა გავლილი სამხედრო კარიერის პრაქტიკულად ყველა საფეხური, მას შეეძლო ძნელად შესასრულებელი დავალებების

---

[1] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 40.
[2] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 131.
[3] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 128.
[4] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 131.
[5] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 132.

შესრულება (ვგულისხმობ 99-ე დივიზიას). ამასთან ერთად, ანდრეი ვლასოვი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა და საბჭოთა ხელისუფლება მას სრულად ენდობოდა (მუშაობა ჩინეთში, არმიის სარდლად დანიშვნა უკანდახევის შემდეგ). მას დადებითად აფასებდნენ საბჭოთა ხელმძღვანელები (მექანიზირებული კორპუსის სარდლობა, არმიის სარდლად დანიშვნა უკანდახევის შემდეგ, მოსკოვის დაცვაში მონაწილეობა, ალყაში მოქცეული დამრტყმელი არმიის სარდლად და ფრონტის მეთაურის მოადგილედ დანიშვნა). ის იყო საბჭოთა ოფიცრის მშვენიერი მაგალითი – კარგი სამხედრო, პარტიის და სამშობლოს, სტალინის ერთგული და ა.შ. ერთი სიტყვით, ტყვედ ჩავარდნამდე ის იყო იდეალური საბჭოთა ადამიანი, წითელარმიელი, ოფიცერი. 1942 წლის აგვისტოდან კი ჩვენ სრულიად სხვა პიროვნებასთან გვაქვს საქმე, რომელიც მზად არის გერმანელებთან ითანამშრომლოს საბჭოთა რეჟიმის დასამხობად, რომელსაც ის ერთგულად ემსახურებოდა 23 წლის განმავლობაში. რთულია, დაბეჯითებით იმის მტკიცება, თუ რა მიზეზებმა განაპირობა ვლასოვის ასეთი სახეცვლილება. მართალია, 1943 წლის 3 მარტს ქვეყნდება მისი ღია წერილი „რატომ დავადექი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზას“,[1] რომელშიც ის თითქოს ხსნის მიზეზებს, თუ რატომ გადაწყვიტა გერმანელების მხარეს ბრძოლა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი უფრო გერმანული პროპაგანდის ნიმუშია, ვიდრე თავად გენერლის რეალური ფიქრების ამსახველი დოკუმენტი. მიუხედავად ამისა, მაინც უპრიანია, რომ გავეცნოთ ამ წერილის ძირითად პოსტულატებს, რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს ვლასოვის მოტივებზე:

„წითელი არმიის მეთაურად ყოფნისას, მე ვცხოვრობდი მებრძოლებსა და მეთაურებს შორის – რუსი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, რომლებიც ნაცრისფერ შინელებში იყვნენ ჩაცმული. მე ვიცოდი მათი ფიქრები, მათი განცდები. მე არ ვწყვეტდი კავშირს ოჯახთან, შენს სოფელთან და ვიცოდი, როგორ ცხოვრობს გლეხი.

და მე დავინახე, რომ რუსმა ხალხმა, ბოლშევიკების გამარჯვების შედეგად აღარ მიიღო არაფერი, რისთვისაც იბრძოდა სამოქალაქო ომის დროს.

მე ვხედავდი, როგორ უჭირს რუს მუშას, რომ გლეხი ძალით შეაგდეს

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 179-183.

კოლმეურნეობაში, რომ მილიონებით რუსი ქრებოდა, სასამართლოს და გამოძიების გარეშე დაკავებულები. მე ვხედავდი, როგორ ითელებოდა ყველაფერი რუსული, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქვეყანაში და წითელი არმიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მლიქვნელები, რომლებისათვის არ იყო ძვირფასი რუსი ხალხის ინტერესები.

კომისრების სისტემა გახრწნიდა წითელ არმიას. უპასუხისმგებლობა, თვალთვალი, ჯაშუშობა აქცევდნენ მეთაურს სათამაშოდ სამოქალაქო კოსტიუმში და სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პარტიული ჩინოვნიკების ხელში.

მე ვხედავდი, რომ ომს ვაგებდით ორი მიზეზის გამო: რუს ხალხს აღარ სურდა ბოლშევიკური ძალაუფლების და ძალადობრივი სისტემის დაცვა და არმიის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობის, მის ქმედებებში დიდი და პატარა კომისრების ჩარევის გამო“.[1]

როგორც ვხედავთ, ღია წერილის ამ ნაწილში ვლასოვი ხაზს უსვამს თავის კავშირს რუს ხალხთან და ღიად აკრიტიკებს საბჭოთა ხელისუფლებას. დღეს ნათელია, რომ მისი დაკვირვებების დიდი ნაწილი სწორი იყო, მაგრამ უცნაურია, რომ ის აღწერს პროცესებს, რომლებსაც ადგილი მეორე მსოფლიო ომამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა და, მიუხედავად ამისა, მაშინ მას პროტესტი ამასთან დაკავშირებით არ გამოუხატავს. როგორც ჩანს, ის ან მალავდა თავის ნამდვილ შეხედულებებს, ან, რაც პირადად მე უფრო სარწმუნოდ მეჩვენება, იმ პერიოდში ეს არ აღძრავდა მასში რაიმე წინააღმდეგობის სურვილს, რადგანაც თვითონაც საბჭოთა ელიტის ნაწილი იყო.

„მე ბოლო წუთამდე ვრჩებოდი თავის მებრძოლებთან და მეთაურებთან. ჩვენ ცოტანი დავრჩით და ჯარისკაცის მოვალეობა ბოლომდე შევასრულეთ. ალყა გავარღვიე და შევაღწიე ტყეში, თითქმის ერთი თვე ჭაობებში და ტყეში ვიმალებოდი. მაგრამ მთელი თავისი სიმძაფრით დადგა საკითხი: შეიძლება კიდევ რუსი ხალხის სისხლის დაღვრა? რუსი ხალხის ინტერესებშია ომის გაგრძელება? რისთვის ომობს რუსი ხალხი? მე ნათლად ვხვდებოდი, ბოლშევიზმმა რუსი ხალხი მისთვის უცხო ანგლო-ამერიკული კაპიტალისტების ინტერესებისთვის ჩაითრია ომში.

ინგლისი ყოველთვის იყო რუსი ხალხის მტერი. ეს ქვეყანა ყოველთვის

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 180.

ცდილობდა, დაესუსტებინა ჩვენი სამშობლო, მიეყენებინა ზიანი. მაგრამ სტალინმა ინგლისურ-ამერიკული ინტერესებში დაინახა საკუთარი მსოფლიო ბატონობის გეგმების განხორციელების შესაძლებლობა, და ამ გეგმების სიცოცხლეში მიყვანისთვის მან რუსი ხალხის ბედი ინგლისის ბედთან დააკავშირა, მან ჩაითრია რუსი ხალხი ომში, მოახვია თავს უამრავი უბედურება, და ეს ომი არის ყველა უბედურების მწვერვალი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხები ბოლშევიკების ხელისუფლების ქვეშ 25 წელი ითმენდნენ.

არ იქნება დანაშაული სისხლის ღვრის გაგრძელება? ბოლშევიზმი და კერძოდ სტალინი არ არის რუსი ხალხის მტერი?“.[1]

წერილის ეს ნაწილი ცალსახად გერმანული პროპაგანდაა, რადგანაც საბჭოთა კავშირი და ინგლისი მოკავშირეები გახდნენ მხოლოდ 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ (ოფიციალურად, 1941 წლის 12 ივლისიდან, როდესაც ხელი მოეწერა შესაბამის შეთანხმებას[2]), როდესაც გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს. მანამდე მათ შორის არათუ მოკავშირეობაზე არ იყო საუბარი, არამედ სტალინი დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილის წერილებსაც კი არ პასუხობდა.[3] უფრო მეტიც, ამ ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ ისიც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ გერმანიამ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმით, თავად შეუწყო ხელი ინგლისელების გეგმების განხორციელებას.

„იქ, ჭაობებში, მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი მოვალეობაა მოვუწოდო რუს ხალხს ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გამართვისაკენ, რუსი ხალხისთვის სისხლიანი, რუსი ხალხისთვის უაზრო ომის დამთავრებისთვის, ახალი რუსეთის შექმნისთვის, სადაც ყველა რუსი ადამიანი ბედნიერი იქნება.

მე დავრწმუნდი, რომ იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც რუსი ხალხის წინაშე დგას, შესაძლებელია გერმანელ ხალხთან კავშირში, თანამშრომლობაში. რუსი ხალხის ინტერესები ყოველთვის ემთხვეოდა გერმანელი ხალხის ინტერესებს, ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს“.[4]

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 181.

[2] Советско-английские отношения во время Великой Отечественной войны, 1941-1945. Документы и материалы. В 2-х томах. Т. 1. 1941-1943, Под ред. Георгия Кынина и др. Москва: Политиздат, 1983. Москва: Политиздат, 1983, გვ. 82.

[3] თეიმურაზ პაპასქირი. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943. თბილისი: ანი-XXI, 2002, გვ. 18-20.

[4] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 181.

ვლასოვის ღია წერილის ეს ნაწილიც გერმანული პროპაგანდის ნიმუშია. ეს ცალსახად კოლაბორაციონიზმია და მისი სხვაგვარად შეფასება შეუძლებელიცაა. ამავე დროს, არ არის დაკონკრეტებული, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს „თანამშრომლობა გერმანელ ხალხთან“ და თუ რა როლს ითამაშებს გერმანია „ახალი რუსეთის“ მშენებლობაში. ამის ძირითადი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ ვლასოვმა თვითონ არ იცოდა, როგორი სახელმწიფო წყობილება უნდა ყოფილიყო რუსეთში ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ – რესპუბლიკური თუ მონარქისტული. იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რუსეთი ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ, ვლასოვი შემდეგ რამეს წერს:

„როგორ წარმომიდგენია ახალი რუსეთი? ამას მე თავის დროზე ვიტყვი“.[1]

როგორც ვხედავთ, ვლასოვის ღია წერილი, რომელიც, სათაურიდან გამომდინარე, თითქოს სრულად უნდა ხსნიდეს მისი გადაწყვეტილების მიზეზებს, სინამდვილეში ახალ კითხვებს უფრო აჩენს. ბუნებრივია, ომის დროს დატყვევებული გენერლების მტრის მხარეს გადასვლა იშვიათობას არ წარმოადგენს და ასეთ ფაქტებს პრაქტიკულად ყველა ომის დროს ჰქონია ადგილი. როგორც კ. ალექსანდროვი წერს, გერმანულ ტყვეთა ბანაკში საბჭოთა გენერლებს სამი არჩევანი გააჩნდათ: 1. ეთანამშრომლათ მესამე რაიხთან; 2. უარი ეთქვათ თანამშრომლობაზე და ომის დარჩენილი ნაწილი ბანაკში გაეტარებინათ (ეს ე.წ. „პასიური გზა“, როგორც მას კ. ალექსანდროვმა უწოდა, აირჩია გენერლების უმრავლესობამ); და 3. ეცადათ გაქცევა (ასეთი მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო და წარმატებით არ დასრულებულა).[2] მიზეზი, თუ რატომ აირჩია ვლასოვმა პირველი ვარიანტი, მართლაც ძნელი გასარკვევია,[3] რადგანაც ეს საკმაოდ სახიფათო გზა იყო.[4] ყოველ შემთხვევაში,

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 182.

[2] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 133-135.

[3] ლ. ზაიკას და ვ. ბობრენიოვს მოჰყავთ ი. კერნესის მოგონებები, რომ ა. ვლასოვმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ტყვე ოფიცრისაგან გაიგო, თითქოს სტალინმა გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელშიც ის (ანუ ა. ვლასოვი – გ.ც.) დასახელებული იყო სამშობლოს მოღალატედ (იხ: Леонид Заика, Владимир Бобренёв. Жертвы и палачи. По материалам процессов 1919-1953 годов. Москва: «Книжный мир», 2011, გვ. 494-495). ლ. ზაიკასა და ვ. ბობრენიოვის აზრით, ამან მართლაც გამოიწვია გენერლის გაგულისება, მაგრამ ეს ნაკლებად შეიძლებოდა ყოფილიყო უკანასკნელი წვეთი გადაწყვეტილების მისაღებად (იხ.: Леонид Заика, Владимир Бобренёв. Жертвы и палачи, გვ. 495-496). ჩემი აზრით, ეს ინფორმაცია ნამდვილად შეიძლება გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი, მით უფრო, რომ როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ივლისის მიწურულს მოხდა.

[4] პრაქტიკულად ყველა გენერალი, რომელმაც მეორე გზა აირჩია, ომის შემდეგ აღდგენილ იქნა საბჭოთა არმიაში, ასე რომ, რაიხთან თანამშრომლობაზე წასვლა, თუნდაც 1942 წლის ზაფხულში, როდესაც გერმანიის გამარჯვება სავსებით შესაძლებელი იყო, ნამდვილად არ წარმოადგენდა იოლ

ნათელია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა მისმა საუბრებმა ზემოხსენებულ კაპიტან ვილფრიდ შტრიკ-შტრიკფელდტთან 1942 წლის ივლისის მიწურულს.[1]

როგორც შტრიკ-შტრიკფელდტი იხსენებს, ვლასოვმა მასზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ საკმაოდ სწრაფად დაამყარეს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები. პირველი საუბარი არ ეხებოდა მხოლოდ სამხედრო ვითარებას და ბევრ თემას მოიცავდა. შტრიკ-შტრიკფელდტის თანახმად, ვლასოვმა, როგორც სამხედრო მაღალჩინოსანმა, კარგად იცოდა საგარეო და შიდა პოლიტიკური მდგომარეობა, რადგან მას ხშირად უწევდა ურთიერთობა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან. ამასთან, მან, როგორც გლეხის შვილმა, კარგად იცოდა უბრალო ხალხის ცხოვრების პირობები, მიუხედავად იმისა, რომ როდესაც ის ბრუნდებოდა სოფელში, ხალხი მას არ ენდობოდა და ჩუმდებოდა.[2]

როგორც ჩანს, ვლასოვისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე შეხვედრა, რომლის დროსაც საუბარი მიდიოდა გერმანიის და მისი მიზნების შესახებ. მიუხედავად იმის, რომ ვლასოვი და მისი მეგობრები იმყოფებოდნენ გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში, მათთვის საკმაოდ სწრაფად გახდა ცნობილი გერმანიის ხელმძღვანელობის მიერ სლავი მოსახლეობის „ქვეადამიანებად“ (Untermensch) აღქმის შესახებ. ბუნებრივია, ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ, ვლასოვს თანამშრომლობის დიდი სურვილი არ ექნებოდა, მაგრამ შტრიკ-შტრიკფელდმა ფიურერის არასწორი მიდგომა ახსნა მის გარემოცვაში არსებული ხალხით და დაარწმუნა ის, რომ გერმანელი სამხედროები ყველაფერს აკეთებდნენ ჰიტლერის დამოკიდებულების შესაცვლელად. აქვე მან ჰკითხა ვლასოვს, თუ იყო ის მზად, რათა შეერთებოდა სტალინის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო, თუმცა ვლასოვმა თავისი მოთხოვნებიც წამოაყენა. მისი თქმით, საკუთარი

---

გადაწყვეტილებას.

[1] კაპიტანი ვილფრიდ შტრიკ-შტრიკფელდი წარმოშობით ბალტიისპირელი გერმანელი იყო, რომელიც დაიბადა რიგაში, იზრდებოდა სანკტ-პეტერბურგში და პირველი მსოფლიო ომის დროს რუსულ არმიაში მსახურობდა. ომის შემდეგ ის რიგაში დაბრუნდა, სადაც ბიზნესს ეწეოდა. 1939 წლის მიწურულს, სსრკ-გერმანიის პაქტის პირობების თანახმად, ის, როგორც „ფოლქსდოიჩე“, გადაყვანილ იქნა პოზენში (პოზნანი). 1941 წელს ის გახდა ფელდმარშალ ფონ ბოკის შტაბის წევრი, სადაც მუშაობდა გენერალ-მაიორ რაინჰარდ გელენთან ერთად. 1942 წელს ის გადაიყვანეს გენერალური შტაბის განყოფილებაში, სადაც ეწეოდა ანალიტიკურ საქმიანობას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში.

[2] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 110.

ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გამართლება მხოლოდ უმაღლესი იდეებით იყო შესაძლებელი, ამიტომ სტალინის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა შექმნილიყო რუსული არმია, რომელიც დაემორჩილებოდა საკუთარ ეროვნულ მთავრობას და იბრძოლებდა პოლიტიკური თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისთვის. გარდა ამისა, ზავი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ტერიტორიების ანექსიის გარეშე.[1] შტრიკ-შტრიკფელდტის თქმით, ეს სრულ თანხვედრაში იყო სხვა ტყვე საბჭოთა ოფიცრების მოსაზრებებთან, რომლებიც ასევე მზად იყვნენ სტალინის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ზოგადსაკაცობრიო იდეების ეროვნულზე მაღლა დაყენებამ შტრიკ-შტრიკფელდტს ჩაათვლევინა, რომ მან იპოვა საჭირო ოფიცერი და ვლასოვს შესთავაზა, თავისი მოსაზრებები წერილობით ჩამოეყალიბებინა და მიეწოდებინა გერმანიის გენერალური შტაბისთვის.[2] ვლასოვი დათანხმდა და 1942 წლის 3 აგვისტოს, პოლკოვნიკ ვლადიმირ ბოიარსკისთან ერთად, წარმოადგინა ე.წ. ვლასოვ-ბოიარსკის მემორანდუმი.

აღნიშნულ მიმართვაში გაცხადებული იყო, რომ სტალინის მთავრობა ძალაუფლებას ინარჩუნებდა ტერორის სისტემის გამო და მან დაკარგა პოპულარობა მოსახლეობასა თუ ჯარში. მიმართვის ავტორების თქმით, საბჭოთა ხალხში ძლიერდებოდა ომის შემდგომი გაგრძელების უპერსპექტივობის განცდა და ჩნდებოდა დილემა: ან უაზროდ დაღუპვა ფრონტზე, ან გაქრობა შსსკ-ში. ამასთან, სამხედრო წარუმატებლობებში დამნაშავედ ცხადდებოდნენ არა ცალკეული მეთაურები, არამედ კომისრები, რომლებიც ხშირად ერეოდნენ ოპერატიული ქმედებების ჩატარებაში. თავის მხრივ, ეს განაპირობებდა სარდლობის წარმომადგენლების ტყვეობაში თავისი ნებით ჩაბარების შემთხვევებს.[3]

გარდა ამისა, აღნიშნულ დოკუმენტში, ვლასოვი და ბოიარსკი მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე, რომ „საბჭოთა არმიის ოფიცერთა კორპუსი, განსაკუთრებით ის ოფიცრები, რომლებიც ტყვედ აღმოჩნდნენ და რომლებსაც შეუძლიათ აზრების თავისუფლად გაცვლა, კითხვის წინაშე დგანან, თუ როგორ შეიძლება სტალინის მთავრობის ჩამოშორება და ახალი რუსეთის შექმნა. ყველას აერთიანებს სტალინის ჩამოშორების სურვილი და ახალი რუსეთის შექმნა. არსებობს კითხვა: ვის უნდა

[1] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 113-114.
[2] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 114.
[3] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 127-128.

დავუჭიროთ მხარი – გერმანიას, ინგლისს თუ შეერთებულ შტატებს? მთავარი მიზანი – მთავრობის ჩამოშორება – გვეუბნება, რომ უნდა შევუერთდეთ გერმანიას, რომელმაც ომის მიზნად გამოაცხადა ბრძოლა არსებულ რეჟიმსა და მთავრობასთან. თუმცა საკითხი რუსეთის მომავლის შესახებ გაურკვეველია. ეს შეიძლება გადაიზარდოს ინგლისთან და შეერთებულ შტატებთან კავშირში, იმ შემთხვევაში, თუ გერმანია აღნიშნულ საკითხს არ დააზუსტებს".[1]

მემორანდუმის დასკვნითი ნაწილში ვლასოვმა და ბოიარსკიმ გერმანელებს რუსული არმიის შექმნა შესთავაზეს. მათი ჩანაფიქრის მიხედვით, ასეთი შეიარაღებული ფორმირების არსებობა ოპოზიციურ მოძრაობას კანონიერ სახეს მისცემდა და ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალი წესრიგის დამყარების საქმეში დიდ როლს ითამაშებდა. კერძოდ, ეს დღის წესრიგიდან მოხსნიდა მოსაზრებას ღალატის შესახებ, რომელიც გაბატონებული იყო სამხედრო ტყვეებში თუ იმ ხალხში, რომლებიც არაოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ და გაამართლებდა მათ ქმედებებს რუსეთის წინააღმდეგ.[2]

რა შეიძლება ითქვას ამ დოკუმენტზე? პირველ რიგში, ამ საბუთიდან ჩანს, ვლასოვს და მის მიმდევრებს სურდათ მიეპყროთ გერმანელების ყურადღება იმაზე, რომ საჭირო იყო რუსი კოლაბორაციონისტების ოფიციალურად აღიარება, რაც, თავის მხრივ, ღალატის პრობლემას მოხსნიდა იმ ტყვეებში, რომლებიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ და შეუწყობდა ხელს ანტიბოლშევიკური მოძრაობისთვის ოფიციალურ ხასიათის მიცემას. სხვა საქმეა, რამდენად რეალისტური იყო ეს მიდგომა ან როგორ უყურებდნენ ამ საკითხს გერმანელები. ნებისმიერ შემთხვევაში „ვლასოვ-ბოიარსკის მემორანდუმი" არის რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობის „პირველი მერცხალი", ხოლო თავად გენერალ ვლასოვს არავინ არ აიძულებდა თანამშრომლობაზე წასვლას. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა უარი კაპიტან შტრიკ-შტრიკფელდტის შემოთავაზებაზე და უბრალოდ დალოდებოდა ომის დასასრულს. როგორც სხვა გენერლების ბედი გვიჩვენებს, ასეთ შემთხვევაში ის გაივლიდა შემოწმების პროცედურას და აღდგენილი იქნებოდა საბჭოთა არმიაში. მაგრამ მან თვითონ მიიღო გადაწყვეტილება ისეთ პირობებში, როდესაც მას რეალურად საფრთხე არ

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 127.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 128.

ემუქრებოდა.

გერმანელების დამოკიდებულება ვლასოვ-ბოიარსკის წინადადებისადმი მალე გახდა ნათელი. 7 აგვისტოს მათ შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გუსტავ ჰილგერი.[1] ვლასოვმა პირდაპირ განუცხადა გერმანელთა წარმომადგენელს, რომ არსებულ სისტემას საბჭოთა კავშირი უფსკრულისკენ მიჰყავდა, რასაც სტალინის მიერ დაშვებული შეცდომები და ომის მსვლელობა ადასტურებდა. აქვე მან ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად სურსათით მომარაგებაში არსებული პროლემებისა და ომით მოსახლეობის გადაღლისაგან, სტალინი არასდროს არ დანებდებოდა და არც მისი ხელისუფლებიდან ძალით მოშორება მოხდებოდა. ამავე დროს, ვლასოვი აცხადებდა, რომ წითელი არმიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოტენციალი ბოლომდე არ იყო ამოწურული და მხოლოდ გერმანელი ჯარისკაცების მეშვეობით გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. მან აღნიშნა, რომ ტყვე საბჭოთა ოფიცრების უმრავლესობა მხარს დაუჭერდა გერმანიას სტალინის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ გერმანია პროტექტორატს მისცემდა რუსეთს და უკრაინას და ამით უარყოფდა საბჭოთა პროპაგანდას თითქოს რუსეთი გერმანიის კოლონიად უნდა ქცეულიყო.[2]

აღნიშნულმა დებულებებმა ჰილგერი გარკვეულწილად გააღიზიანა, მით უფრო, რომ ვლასოვმა და ბოიარსკიმ ინგლისისა და აშშ-ს ეკონომიკური პოტენციალი

---

[1] ვლასოვსა და ბოიარსკისთან ერთად, რუს ოფიცრებს წარმოადგენდა იოსიფ კერნესი, რომელსაც ო. სმისლოვი მემორანდუმის რეალურ ავტორად თვლის (იხ.: Олег Смыслов. Предатели и палачи. Москва: изд. «Вече», 2013, გვ. 79), რაც, ჩემი აზრით, რეალობას არანაირად არ შეესაბამება. სინამდვილეში, კერნესი ამ შეხვედრაზე სხვა მიზეზის გამო იყო. ის გერმანელების მხარეს გადავიდა 1942 წლის ივნისში და მათ არწმუნებდა, რომ საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობაში იყო საიდუმლო ოპოზიცია, რომლის ხელმძღვანელი იყო მარშალი სემიონ ტიმოშენკო. გერმანელების დარწმუნების მიზნით, კერნესმა მათ გადასცა ე.წ. „ოპოზიციის პროგრამა“ სეპარატული ზავის დადების შესახებ (იხ.: Леонид Заика, Владимир Бобренёв. Жертвы и палачи, გვ. 486). ჰილგერის ერთ-ერთი ამოცანა იყო, გაერკვია, თუ რას წარმოადგენდა კერნესი და მისი პროგრამა (როგორც ჩანს, იგივე მიზანი ჰქონდა მის შეხვედრას ვლასოვსა და ბოიარსკისთან და სწორედ ამიტომ ის სამივე ოფიცერს ერთდროულად გაესაუბრა – გ.ც.). განსხვავებით ვლასოვისა და ბოიარსკისაგან, კერნესმა ეს გამოცდა ვერ გაიარა და ჰილგერმა თავის მოხსენებაში პირდაპირ ჩაწერა: „არც ბ-ნ კერნესთან საუბარმა და არც საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაგზავნილი წერილის შინაარსმა არ დამარწმუნეს მე, რომ საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილის იქით მისი ცნობები რაიმე სხვას შეიცავს“ (იხ.: Леонид Заика, Владимир Бобренёв. Жертвы и палачи, გვ. 497-498).

[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 135. ტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სიტყვები „რუსეთი და უკრაინა“ წარმოშობით პოლონელი ბოიარსკის ნათქვამი უნდა იყოს, რადგანაც ის უკრაინიდან იყო. ამას ადასტურებს ისიც, რომ ვლასოვი პრაქტიკულად ყოველთვის რუსეთს იძახდა. თავის მხრივ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჰილგერს, რომლის მთავარი მისია ამ შემთხვევაში ზემდგომი პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება იყო, თვითნებურად გამოეყენებინა ეს ფორმულა – გ.ც.

ძალიან მაღლა შეაფასეს.[1] გარდა ამისა, მათ ხაზი გაუსვეს, რომ სტალინზე გამარჯვების მისაღწევად რუსი ტყვეების გამოყენება აუცილებელი იქნებოდა, რადგანაც ეს უდიდეს გავლენას იქონიებდა წითელი არმიის ჯარისკაცებზე. ყოველივე ამისთვის კი საჭირო იყო რუსული ცენტრის შექმნა, რომელიც დაარწმუნებდა საბჭოთა სამხედრო ოფიცრებს გერმანიის რეალურ მიზნებში. ამასთან, ვლასოვმა და ბოიარსკიმ ცალსახად განუცხადეს ჰილგერს, რომ თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად საბჭოთა მხარეს საკმარისი ნავთობი ბაქოს დაკარგვის შემთხვევაშიც ექნებოდა.[2]

ყველაფრის მიუხედავად, ვლასოვმა და ბოიარსკიმ ჰილგერზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს. ყოველ შემთხვევაში, 1942 წლის 20 აგვისტოს ვერმახტის სახმელეთო ჯარების უმაღლესმა სარდლობამ გასცა ბრძანება სსრკ-ს დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობიდან მოხალისეთა ფორმირებების შექმნის შესახებ.[3] ბრძანებაში საკმაოდ დეტალურად იყო აღწერილი, თუ რა ეროვნების ხალხი უნდა ყოფილიყო ჩარიცხული აღნიშნულ ფორმირებებში, უკვე არსებული შენაერთებიდან რომელი უნდა ჩათვლილიყო მოხალისეთა ფორმირებებად, სად უნდა გამოეყენებინათ ასეთი ფორმირებები და ა.შ. ამ ბრძანების არსებობა მიანიშნებს იმაზე, რომ გერმანელების მხრიდან აღმოსავლური ფორმირებებისადმი დამოკიდებულება ნელ-ნელა იცვლებოდა. მართალია, ეს არ ნიშნავდა მათი ხელმძღვანელობის პოლიტიკური წრეების მხრიდან აღიარებას,[4] მაგრამ აღნიშნული შენაერთების შექმნისა და არსებულების გაძლიერების პროცესი ნამდვილად დაჩქარდა. გარდა ამისა, დაიწყეს მათი პროპაგანდისტული მიზნებით გამოყენებაც. 1942 წლის სექტემბერში ვერმახტმა დაიწყო სამი პროკლამაციის გავრცელება. ამ პროკლამაციებიდან ორი (№480/PAB/IX/42 და №482/PAB/IX/42) უშუალოდ ვლასოვის ხელმოწერით ვრცელდებოდა, ხოლო ერთს (№481/PAB/IX/42) ხელმოწერა არ ჰქონდა.[5] ჩემი აზრით, მეორე დოკუმენტს ვლასოვმა ხელი არ მოაწერა

---

[1] ჰილგერის თქმით, „გადაჭარბებულად“, რაც საბჭოთა პროპაგანდის შედეგად მიიჩნია (იხ.: Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 136), თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ვითარებას არასწორად სწორედ გერმანელები აფასებდნენ – გ.ც.

[2] Генерал Власов: история предательства, т.1, გვ. 136.

[3] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 137

[4] ასეთი აღიარება მიღებულ იქნა მხოლოდ ომის ბოლო თვეებში, თანაც კონკრეტულად რუსული შენაერთების შემთხვევაში – გ.ც.

[5] ტექსტი იხ.: Борис Двинов. Власовское движение в свете документов, გვ. 79-87.

იმის გამო, რომ მასში არის საბჭოთა სამხედროების მიმართ გაკეთებული მოწოდება დეზერტირობისადმი.[1] ვლასოვის პირველი პროკლამაცია 1942 წლის 10 სექტემბერს მომზადდა და ის მიმართავდა წითელი არმიის მეთაურებს და საბჭოთა ინტელიგენციას. სააგიტაციო ფურცელში ძირითადი ადგილი უკავია „სტალინის ხროვის" კრიტიკას, მაგრამ მასში აღწერილია არა მარტო სამხედრო წარუმატებლობები. ვლასოვი წერს, რომ მას შემდეგ, რაც მან გადახედა 12-15 წლის მომხდარ მოვლენებებს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველა იმ უბედურებაში, რომელიც ხალხს თავს დაატყდა, დამნაშავეა მთავრობა. აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობების სისტემამ ქვეყანა გააღატაკა, საუკეთესო სამხედრო კადრები რეპრესიების შედეგად განადგურდა, ნებისმიერი თავისუფალი აზრის ჩახშობა ხდება და ა.შ.[2]

ამასთან ერთად, პროკლამაციაში არის რამდენიმე მომენტი, რომლებიც ცალსახად გერმანელების ზეწოლის შედეგად დაიწერა. მაგალითად, უარყოფითი დამოკიდებულება მოკავშირეების მიმართ, რაც არ გვხვდება ვლასოვ-ბოიარსკის მემორანდუმში. ეს ნაწილი იწყება იმის აღნიშვნით, რომ „სტალინის ხროვა" ელოდება მეორე ფრონტის გახსნას,[3] შემდეგ კი გადადის უკვე თვითონ მოკავშირეების კრიტიკაში, რომლებიც „ბოლო რუს ჯარისკაცამდე" იბრძვიან.[4] როგორც ჩანს, აქ გათვლა იყო დასავლეთელი მოკავშირეების (ინგლისისა და აშშ-ს – გ.ც.) წინააღმდეგ განწყობილებების გაზრდაზე, რაც ჯერ კიდევ 1918-1920 წლების რუსეთის სამოქალაქო ომის დროიდან იღებდა საფუძველს. ასევე აშკარად გერმანელების მიერ ჩართული იყო ის ნაწილი, სადაც ვლასოვი „ამხილებდა" „ცრუ პროპაგანდას" „ფაშიზმზე, დახვრეტებზე და ტყვეებისადმი სისასტიკეზე".[5] ძნელი წარმოსადგენია, რომ ვლასოვს, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ წითელარმიელი ტყვეები, რომელთა დიდი ნაწილი (მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცი – გ.ც.) ომის პირველივე თვეებში შიმშილისაგან დაიღუპა, თავისი ნებით ჩაეწერა ეს ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ვითარება შედარებით გამოსწორებული იყო. როგორც ჩანს, გერმანელებსაც კარგად ესმოდათ, რომ

[1] Борис Двинов. Власовское движение в свете документов, გვ. 84.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 145-146.
[3] ეს სავსებით სწორი შენიშვნა იყო – გ.ც.
[4] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 146.
[5] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 146.

ინფორმაცია ამის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული, ამიტომ მეორე პროკლამაციაში (რომელსაც ვლასოვმა ხელი არ მოაწერა) განაცხადეს, რომ „ტყვეების დიდი რაოდენობისა და მოულოდნელად მძიმე ზამთრის გამო ზოგიერთმა ტყვეთა ბანაკმა ვერ მიიღო ჩვეული მომსახურება... და სამხედრო ტყვეთა ნაწილი ამის გამო დაზარალდა“.[1]

მესამე პროკლამაცია მიმართული იყო ოფიცრების, ჯარისკაცებისა და პოლიტმუშაკებისადმი და მასში ძირითადი ნაწილი ეკავა მოწოდებას სტალინის რეჟიმის დასამხობად. ამავე დროს, აქ პირველად იყო მოცემული იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც გატარდებოდა ომის დასრულების შემდეგ, როდესაც დამყარდებოდა ახალი წესრიგი. 13-პუნქტიან ჩამონათვალში გამოყოფილი იყო პიროვნებისა და რელიგიის თავისუფლების აღდგენა, კოლექტივიზაციის ლიკვიდაცია და კერძო მიწათმფლობელობის აღდგენა, პოლიტპატიმრების განთავისუფლება და გადასახლებულთა (მათი სურვილის შემთხვევაში) უკან დაბრუნება. გარდა ამისა, გაცხადებული იყო ამნისტია კომუნისტური პარტიის, მათ შორის, პოლიტიკური აპარატის წევრების მიმართ, „რადგანაც ისინი დამნაშავე არ იყვნენ ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში“.[2]

აღნიშნულ პროკლამაციებს დიდი შედეგი არ მოუტანია. ამ დროისთვის საბჭოთა ხელმძღვანელობას უკვე დანერგილი ჰქონდა რამდენიმე მეთოდი ჯარისკაცების მოწინააღმდეგის მხარეს გადასვლის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ: სპეციალური შენაერთების შექმნა, რომლებიც ბრძანების გარეშე უკან დახევისთვის ჯარისკაცებს უბრალოდ ხვრეტდნენ, დეზერტირთა ოჯახების დასჯა, ანტიგერმანული პროპაგანდის გაძლიერება და ა.შ. გარდა ამისა, სტალინგრადის ბრძოლაში ვერმახტის მიერ განცდილი მარცხის შემდეგ დეზერტირობის მსურველთა რიცხვი ავტომატურად შემცირდებოდა.

1942 წლის მიწურულისთვის გერმანიის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ომი ჯერ სულაც არ იყო მოგებული. ამიტომ მიღებულ იქნა ა. როზენბერგის წინადადება, შეექმნათ ეროვნული ორგანიზაციები.[3] 1942 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა ე.წ. „რუსული“ კომიტეტის პირველი ოფიციალური მოწოდება, რომელსაც „სმოლენსკის

---

[1] Борис Двинов. Власовское движение в свете документов, გვ. 83.
[2] Борис Двинов. Власовское движение в свете документов, გვ. 86-87.
[3] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 157.

დეკლარაცია“ ეწოდება.[1] ის რამდენიმე მომენტის გამო იპყრობს ყურადღება. პირველ რიგში, სწორედ ამ დეკლარაციაში იქნა პირველად გამოყენებული ტერმინი „რუსეთის განმათავისუფლებელი არმია“.[2] მართალია, იმ დროისათვის არანაირი „რგა“ ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ გერმანულმა პროპაგანდამ დაუშვა არაგერმანული შეიარაღებული შენაერთის დასახელების გამოყენება, უკვე მიანიშნებდა, რომ პროექტი ჩვეულებრივ პროპაგანდისტულ ფარგლებს გასცდა.

პროკლამაციის მთავარი მიზანია იმის დამტკიცება, რომ გერმანია იბრძვის ბოლშევიზმის, და არა რუსეთის წინააღმდეგ. ეს აზრი რამდენჯერმე მეორდება განცხადებაში. გარდა ამისა, არის ასეთი მომენტიც: „ადოლფ ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მიზანია ახალი ევროპის შექმნა ბოლშევიკებისა და კაპიტალისტების გარეშე, სადაც ყოველი ერი უზრუნველყოფილი იქნება საპატიო ადგილით“.[3] ჩემი აზრით, როგორც ჩანს, ავტორების გათვლა იმაზე იყო, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ კოლექტივიზაციის დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები და 1937 წლის დიდი ტერორი. ლოგიკა მარტივია – ბრძოლა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც დიდი ზიანი მიაყენეს რუსეთის პრაქტიკულად მთელ მოსახლეობას. საინტერესო არის ასევე მეორე ნაწილი – ახალი ევროპა კაპიტალისტების გარეშე. ჩემი აზრით, ეს ნაწილი განცხადებაში ჩაიწერა, ძირითადად, მათთვის, ვინც აღზრდილი იყო საბჭოთა სისტემაში და შესაბამისად, ანტიკაპიტალისტურად იყო განწყობილი. შესაბამისად, პროკლამაციას უნდა გაეერთიანებინა სსრ კავშირის მოსახლეობის ორივე ნაწილი, რომლებიც მზად იყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ებრძოლათ და რომლებსაც სძულდათ კაპიტალისტები (რა თქმა უნდა, პირველ რიგში, აშშ და დიდი ბრიტანეთი).

სმოლენსკის დეკლარაციის მეორე ძირითადი პუნქტი იყო იმის ხაზგასმა, თუ რა მიზნებისათვის იქმნებოდა რუსული კომიტეტი. ეს იყო სტალინისა და ბოლშევიზმის განადგურება, გერმანიასთან საპატიო ზავის დადება და, გერმანიასთან და ევროპის სხვა ხალხებთან ერთად, ახალი რუსეთის შექმნა ბოლშევიკების და კაპიტალისტების გარეშე. შემდგომ კი მოდის 13 პუნქტი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორი იქნება

---

[1] Обращение Русского Комитета к бойцам и командирам Красной Армии, ко всему русскому народу и другим народам (იხ.: Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 158-161).

[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 160. აღსანიშნავია, რომ 1942 წლის შემოდგომაზე ეს სახელწოდება უბრალოდ ფიქციას წარმოადგენდა და 1944 წლის შემოდგომამდე რეალურად არანაირი ცალკე სამხედრო შენაერთი არ არსებობდა – გ.ც.

[3] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 159.

ახალი რუსეთი. ისინი ნაწილობრივ იმეორებს 1942 წლის სექტემბრის მესამე პროკლამაციის დებულებებს: კოლმეურნეობების ლიკვიდაცია, კერძო საქმიანობის აღორძინება, ტერორის რეჟიმის დასრულება და ნამდვილი თავისუფლების დამყარება, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და ა.შ. მაგრამ არის ერთი პუნქტი, რომელიც დანარჩენებისგან განსხვავდება, კერძოდ, მე-8 პუნქტი – ეროვნული თავისუფლების გარანტია.[1]

ძნელი სათქმელია, თუ როგორ აღმოჩნდა მე-8 პუნქტი სმოლენსკის დეკლარაციაში და ვის მიემართებოდა ის. იმ მომენტისათვის გერმანიის ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულად რაიხსკომისარიატი (მაგალითად, უკრაინა, ოსტლანდი, კავკასია) ჰქონდა წარმოდგენილი, რომელსაც გერმანელი მოხელეები მართავდნენ. სწორედ ამის გამო დაუპირისპირდნენ მათ უკრაინელი ნაციონალისტები.[2] თავის მხრივ, ძნელი წარმოსადგენია, რომ „რუსული კომიტეტის" წევრებს სხვა ერების ეროვნული თავისუფლება იმდენად აწუხებდათ, რომ ამის ცალკე პუნქტად გამოყოფა ჩათვალეს საჭიროდ. უეჭველია, რომ ყოველივე ეს პროპაგანდას ემსახურებოდა, მაგრამ 1942 წლის მიწურულისთვის რაიმე რეალური ნაბიჯი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი სისუსტის – ეროვნებათა მრავალფეროვნების გამოსაყენებლად გერმანელებს გადადგმული არ ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ეს პუნქტი ფაქტობრივად თეორიად დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება ეროვნული ორგანიზაციების შექმნის შესახებ მიღებული იქნა, გერმანიის ხელმძღვანელობა მაინც არ ჩქარობდა მათ აქტიურ გამოყენებას და მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებდა. 13 მარტს ვლასოვი იმყოფებოდა ქალაქ მოგილევში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. საინტერესოა, თუ როგორ ეხმაურებოდა ვლასოვი იმას, თუ რა პოლიტიკას ატარებდა გერმანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ვლასოვი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გერმანია წააგებდა ომს, თუ საფუძვლიანად არ შეცვლიდა თავის პოლიტიკას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ. მისი თქმით, საჭირო იყო სტალინის წინააღმდეგ დიდი არმიის გამოყვანა. გარდა ამისა, ვლასოვი წინააღმდეგი იყო გერმანიაში სამუშაოდ იძულებითი მობილიზაციისა,

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 160.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 2, кн. 2, გვ. 31.

რასაც ის საბჭოთა პროპაგადისათვის შესანიშნავ საჩუქრად მიიჩნევდა, რადგანაც, მისი აზრით, ეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუსაძლის მონობას ნიშნავდა. ვლასოვი ასევე ამტკიცებდა, რომ ანტიბოლშევიკურად განწყობილი ოფიცრების დიდი რაოდენობა სწორად იმიტომ ვერ რისკავდა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან შეერთებას, რომ გაურკვეველი იყო რუსების მდგომარეობა და გერმანელების პოლიტიკა რუსების მიმართ.[1]

პრაქტიკულად იგივეს იმეორებდა ვლასოვი, როდესაც ესტუმრა ფსკოვს აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში. ფსკოვში ის ამბობდა, რომ უახლოეს დროში ფიურერი გააკეთებდა განცხადებას, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ რუსი ხალხი არ ჩამოქვეითდებოდა კოლონიის მდგომარეობამდე. ამის შემდეგ, მისი თქმით, დაარსდებოდა განმათავისუფლებელი არმია, რომელიც შეურთდებოდა სტალინის წინააღმდეგ ბრძოლას. თავის მხრივ, ეს გამოიწვევდა წითელი არმიის დაშლას, ვინაიდან რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები გადავიდოდნენ ეროვნული მთავრობის მხარეს და ბოლშევიზმი შიგნიდან იქნებოდა განადგურებული.[2]

შტრიქ-შტრიქფელდი თავის მემუარებში აღწერს მომენტს, როდესაც ვლასოვმა არმიების ჯგუფის „ცენტრის“ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მოინახულა მოსახლეობა, კონკრეტულად ბრესტი-მინსკი-სმოლენსკის რაიონები. ის აღწერს, თუ როგორ ვხდებოდნენ ვლასოვს მოხალისეები და ადგილობრივი მაცხოვრებლები. ბევრს აინტერესებდა, თუ სად არის და სად იმყოფება სმოლენსკის კომიტეტი, სად იმყოფება რუსეთის განმათავისუფლებელი არმია. ვინაიდან ყოველივე ზემოთ აღნიშნული არსებობდა მხოლოდ როგორც პროპაგანდისტული ხერხი, ვლასოვს უწევდა ზოგადი პასუხების გაცემა, რომ სწრაფად არაფერი არ კეთდება და რომ რუსეთი დიდი იყო და ისინი მხოლოდ იწყებდნენ თავის საქმიანობას.[3]

უნდა ითქვას, რომ გერმანიის მმართველ წრეებში იყვნენ პირები, ვისაც არ მოსწონდათ ასეთი პასიური პოლიტიკა. ასე, მაგალითად, ალფრედ როზენბერგმა 22 თებერვალს ჰიტლერს მისწერა წერილი, სადაც ხაზს უსვამდა პრობლემის პოლიტიკურ ხასიათს. მისი თქმით, ყველა შემთხვევაში უნდა შექმნილიყო ეროვნული კომიტეტები (რუსული, უკრაინული, კავკასიური, კაზაკური და ა.შ.),

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 210-211.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 243.
[3] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 202.

როგორც პოლიტიკური ორგანოები, რომლებიც ასეთი სტატუსით დაელაპარაკებოდნენ თავის ხალხებს. ამით, როზენბერგის თქმით, მოხალისეებს საბრძოლო შინაგანი მზადყოფნის გრძნობა შეუნარჩუნდებოდათ და მათი ოჯახებს, რომლებიც ზურგში იმყოფებოდნენ, სტიმული მიეცემოდათ ბრძოლისა და გერმანულ ეკონომიკაში აქტიური მონაწილეობისათვის. გარდა ამისა, ეს აჩვენებდა, რომ რუსები სხვებზე მაღლა არ იდგნენ და რომ აღმოსავლეთის ყველა ხალხი ერთნაირი უფლებებით ისარგებლებდა. ისინი გახდებოდნენ გერმანიის პარტნიორები. როზენბერგი იქვე აღნიშნავდა, რომ ამჟამად არ იყო საფიქრალი, თუ რა ფორმით შენარჩუნდებოდა ეს ყველაფერი ომის შემდეგ, თუმცა ითხოვდა ფიურერის პრინციპულ თანხმობას ამ საკითხზე.[1]

იგივე პოზიცია ჰქონდათ სამხედროებსაც. ვერმახტის ხელმძღვანელობა ასევე ითხოვდა ისეთი პოლიტიკური ცენტრის შექმნას, რომლის ირგვლივ მოხდებოდა ანტიბოლშევიკურად განწყობილი რუსების გაერთიანება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ვერმახტის სარდლობის სამხედრო პროპაგანდის განყოფილების მიერ შემუშავებულმა ორმა სააგიტაციო ფურცელმა, რომლებშიც მოცემული იყო რუსული ნაციონალური კომიტეტის მოწოდება სტალინის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, კარგი შედეგი გამოიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, პროპაგანდას შეეძლო გერმანელების წინააღმდეგ ემოქმედა. აქვე იყო გამოთქმული წინადადება, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის შეექმნათ თავისი ეროვნული კომიტეტები. ამით, როგორც თვლიდნენ ოკუპირებულ აღმოსავლურ ტერიტორიების სამინისტროში, თავიდან მოიშორებდნენ რუსული-იმპერიალისტრი შოვინისტური იდეის აღორძინებას, რომელიც ბოლშევიზმის ადგილს დაიკავებდა.[2]

ზოგადად, სამხედროები აცნობიერებდნენ, რომ შეიარაღებული რუსული ნაწილები უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა, ვიდრე პრობლემებს შექმნიდა. 1943 წლის 21 აპრილს ვერმახტის სარდლობამ გამოსცა ბრძანება №13, რომლის მიხედვით, ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომლებიც გადავიდოდნენ გერმანელების მხარეს, მიეცემოდათ 7-დღიანი ვადა იმისათვის, რომ გადაეწყვიტათ, შეუერთდებოდნენ ისინი რუსულ განმათავისუფლებელ არმიას ან ერთ-ერთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ (უკრაინელთა, კავკასიელთა, კაზაკთა და ა.შ.) რაზმს, თუ

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 169.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 165.

არჩევდნენ მოხალისედ მუშაობას ზურგში ან ბოლშევიკებისგან განთავისუფლებულ ოლქებში.[1]

არსებული ვითარებით უკმაყოფილო იყო გერმანიის სახალხო განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გიობელსი. 1943 წლის 5 აპრილს მან თავის დღიურში ჩაწერა, რომ გაეცნო ვლასოვის ბიოგრაფიას და დაასკვნა, რომ ის ბოლშევიზმის წინააღმდეგ იდეური მიზეზების გამო იბრძოდა. მისი გამოყენება გერმანული პროპაგანდას კარგ შანს მისცემდა, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, თუ ფიურერი რაიმე სასარგებლო განცხადებას გააკეთებდა ამ საკითხთან დაკავშირებით.[2] როგორც შემდეგ გაირკვა, ჰიტლერი ამ მიმართულებით სულაც არ აპირებდა პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებას. მისი მთავრობის სხვადასხვა წევრებისა და სამხედროების თხოვნის მიუხედავად, 1943 წლის 8 ივნისს ბერგჰოფში გამართული შეხვედრისას მან პირდაპირ თქვა, რომ არ სჭირდებოდა რუსული არმია და შეიარაღებული რუსები, მას სჭირდებოდა რუსი მუშები, რომლებიც გერმანელების ნაცვლად იმუშავებდნენ. ჰიტლერმა აღნიშნა, რომ ის არ აპირებდა მოქცეულიყო ისე, როგორც ლუდენდორფი პოლონელების შემთხვევაში.[3] გარდა ამისა, ის თვლიდა, რომ ვლასოვს სარგებლობის მოტანა შეეძლო მხოლოდ ფრონტის იქითა მხარეს.[4]

ჰიტლერის ეს პოზიცია განსაკუთრებით არ მოეწონა გიობელსს, რომელმაც 10 ივნისს თავის დღიურში ჩაწერა, რომ არ ეთანხმებოდა ჰიტლერის გადაწყვეტილებას ვლასოვთან მიმართებაში და იქვე დასძინა: „ჩვენ აღმოსავლეთში ომს ვაწარმოებთ, მაგრამ არანაირ პოლიტიკას არ ვატარებთ“.[5] ასევე გამოთქვა თავისი უკმაყოფილება ჰილგერმაც. 1943 წლის 29 ივნისის წერილში ის აღნიშნავდა, რომ ვლასოვის პროექტის შეჩერება მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებდა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასა და იმ რუს ტყვეებზე, რომლებიც მზად იყვნენ

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 215.

[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 192.

[3] G. Fisher. Vlasov and Hitler. // ჟურნ. *The Journal of Modern History* vol. XXIII, No. 1 (March 1951), გგ. 64. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ხელმძღვანელობა აქტიურად იყენებდა პოლონურ შენაერთებს აღმოსავლეთის ფრონტზე. 1916 წელს, იუზეფ პილსუდსკის მოთხოვნის შემდეგ, ისინი იძულებული გახდნენ, პოლონეთის სამეფოს აღდგენა გამოეცხადებინათ, თუმცა ეს ნაბიჯი მათთვის არც ისე მომგებიანი გამოდგა. 1917 წელს პილსუდსკიმ, რომელმაც ჩათვალა, რომ ცენტრალური ქვეყნების ბლოკი ომს წააგებდა, უარი განაცხადა მათ მხარეს ბრძოლაზე და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ აპირებდა ომის გაგრძელებას. გერმანელებს მოუწიათ პილსუდსკის დაპატიმრება და პოლონური შენაერთების დაშლა. – გ.ც.

[4] G. Fisher. Vlasov and Hitler, გვ. 69.

[5] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 349.

შეერთებოდნენ ვლასოვს, მაგრამ ელოდებოდნენ ოფიციალურ აღიარებას.[1]

საბოლოო ჯამში, ბერგჰოფში მიღებული გადაწყვეტილება სასწრაფოდ იქნა მოყვანილი სისრულეში. როგორც გენერალ-ფელდმარშალ კაიტელის 1943 წლის 1 ივლისის წერილიდან ჩანს, უკვე ამ დროისთვის ვლასოვი და რუსეთის განმათავისუფლებელი არმია პროპაგანდისტული მიზნებით გამოიყენებოდა მხოლოდ იმ ფარგლებში, როგორც ეს სურდა ჰიტლერს.[2] შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის უკვე არსებობდა დიდი რაოდენობით რუსული ეროვნული შეიარაღებული რაზმები, ოფიციალურად მათი გარდაქმნა რუსულ განმათავისუფლებელ არმიაში ვერ ხდებოდა.

ამ მომენტიდან მოყოლებული 1944 წლის მეორე ნახევრამდე ვლასოვი და მისმა მოძრაობა პრაქტიკულად ჩიხში აღმოჩნდა. რუსული კომიტეტი და რუსული განმათავისუფლებელი არმია არ იქმნებოდა, უკვე არსებული ბატალიონები კი გამოყვანილ იქნენ სსრ კავშირის ტერიტორიიდან, რასაც დიდი უკმაყოფილება მოყვა მათ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის. ვლასოვი ძირითადად იმით იყო დაკავებული, რომ ცდილობდა ნებისმიერი გზით გაეგებინებინა მესამე რაიხის ხელმძღვანელებისათვის, თუ რისთვის არსებობდა და რისთვის იბრძოდა მისი ხალხი. საინტერესოა მისი შეხვედრა რობერტ ლაისთან, გერმანიის შრომათა ფრონტის ხელმძღვანელთან, რომელსაც 1943 წლის ივლისში ჰქონდა ადგილი. ვლასოვმა სწრაფად გაარკვია, რომ ლაის არ აინტერესებდა არც რუსული კომიტეტი, არც რგა-ს ბედი და ის დარწმუნებული იყო, რომ გერმანია ომს მოიგებდა, რადგანაც „ფიურერი გენიოსი იყო“. შეხვედრიდან გამოსულმა ვლასოვმა შტრიკ-შტრიკფელდტს უთხრა, რომ ლაისნაირ „უტვინო ადამიანს არასდროს შეხვედრია“ და რომ ფიურერის გარემოცვა სტალინის საუკეთესო მოკავშირეს წარმოადგენდა.[3]

ვითარება შეიცვალა მხოლოდ 1944 წლის მეორე ნახევარში. ამ დროისთვის ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა გერმანიისთვის ბევრად უფრო უარესი იყო, ვიდრე 1943 წლის ზაფხულში. 1944 წლის სექტემბრისთვის გერმანიამ დაკარგა უკრაინა, ბელორუსია, პოლონეთის ნაწილი და თითქმის მთლიანად საფრანგეთი. გარდა ამისა, მისი მოკავშირეების რიცხვს გამოაკლდა იტალია და რუმინეთი. ამიტომ

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 377.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 382.
[3] Вильфрид Штрик-Штрикфельдт. Против Сталина и Гитлера, გვ. 265-268.

არც არის გასაკვირი, რომ ჰიტლერის დამოკიდებულება საკითხისადმი უკვე სხვაგვარი იყო. ამის დასტური გახდა 1944 წლის 16 სექტემბრის ვლასოვის შეხვედრა ჰიმლერთან, რომლის შემდეგაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება რუსული განმათავისუფლებელი არმიისა და რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტის (რხგკ) შექმნა. ამ პროცესს კიდევ ორი თვე დასჭირდა. ოფიციალურად ის დასრულდა 1944 წლის 14 ნოემბერს, როდესაც გამოქვეყნდა ე.წ. „პრაღის მანიფესტი“. ეს იყო პირველი დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტის ეგიდით. რხგკ მიზნად ისახავდა: „ა) სტალინის ტირანიის დამხობას, ბოლშევიკური სისტემისაგან საბჭოთა ხალხები განთავისუფლებასა და ხალხებისათვის იმ უფლებების დაბრუნებას, რომლებიც მათ 1917 წლის სახალხო რევოლუციის (იგულისხმება თებერვლის რევოლუცია – გ.ც.) შედეგად მოიპოვეს; ბ) ომის დამთავრებას და გერმანიასთან საპატიო ზავის დადებას; გ) ახალი თავისუფალი სახალხო სახელმწიფოებრიობის შექმნას ბოლშევიკებისა და ექსპლუატატორების გარეშე“.[1] გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული იყო 15 პუნქტი, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო რუსეთის ომისშემდგომი მოწყობა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პუნქტები ფაქტობრივად დაფუძნებული იყო სმოლენსკის დეკლარაციაზე და წარმოადგენდა მათ ოდნავ გავრცობილ ვარიანტს. კერძოდ, მათში არ იყო დაკონკრეტებული, თუ რა ტიპის სახელმწიფო წყობილება და რა სახის კანონმდებლობა უნდა ყოფილიყო რუსეთში. ეს, ჩემი აზრით, ლოგიკურია, ვინაიდან თვითონ კომიტეტშიც კი არ იყო თანხმობა ამ საკითხებზე. უფრო მეტიც, მართალია, კომიტეტი შეიქმნა, როგორც ორგანო, რომელიც უნდა გამხდარიყო ანტიბოლშევიკური ძალების პოლიტიკური ცენტრი, მაგრამ ეს ფორმალობა იყო, რადგანაც, ზოგიერთი ორგანიზაცია არ ეთანხმებოდა ვლასოვის კურსს, რომელიც ქმნიდა შეიარაღებულ ძალებს ყოფილი საბჭოთა მოქალაქეებისგან.[2]

კომიტეტის სათავეში იდგა პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ თავად ვლასოვი (თავმჯდომარე), გენერალ-ლეიტენანტი გ. ჟილენკოვი, გენერალ-ლეიტენანტი ე. ბალაბინი, გენერალ-მაიორი ფ. ტრუხინი, გენერალ-მაიორი დ. ზაკუტნი, გენერალ-მაიორი ვ. მალიშკინი, პროფ. ს. რუდნევი და პროფ. ფ.

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 757.

[2] Б. Хольмстон-Смысловский. Первая русская национальная армия против СССР. Война и политика. Москва: Вечер, 2011, გვ, 58.

ბოჰატირჩუკი.[1] მათ სხვადასხვა ფუნქციები ეკისრებოდათ. ფ. ტრუხინი გახდა სამხედრო ძალების შტაბის უფროსი. ვ. მალიშკინი იყო მთავარი საორგანიზაციო სამმართველოს ხელმძღვანელი და მის კომპეტენციაში შედიოდა პოლიტიკური, ნაციონალური, სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხები. დ. ზაკუტნი იყო მთავარი სამოქალაქო სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოვალეობა იყო იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებული იყო ტყვეების საცხოვრებელ პირობებთან სამუშაო გარემოსთან, სამართლებრივი მდგომარეობასა და სოციალურ სტატუსთან. გ. ჟილენკოვი იყო პროპაგანდის მთავარი განყოფილების ხელმძღვანელი. მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანო რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და მთავარი ფუნქცია ეკისრებოდა პრესის განყოფილებას, რომელიც ბეჭდავდა გაზეთებს (საერთო ტირაჟი – 250 ათასი) „ხალხის ნება“ (კომიტეტის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო), „სამშობლოსთვის!“ (სამხედრო გაზეთი) და „ჩვენი ფრთები“ (კომიტეტის საჰაერო ძალების ორგანო). მოგვიანებით, 1945 წლის მარტში ჩამოყალიბდა საგარეო ურთიერთობების განყოფილებად (მისი მთავარი მიზანი იყო რხგკ-ს წარმომადგენლების დანიშვნა ნეიტრალური ქვეყნებში), რომლის ხელმძღვანელი გახდა ემიგრანტი იური ჟერებკოვი. კომიტეტის წევრების დაცვა უნდა უზრუნველეყო უსაფრთხოების განყოფილებას, რომლის ხელმძღვანელი გახდა პოდპოლკოვნიკი ნ. ტენზოროვი.[2]

სავარაუდოდ, გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში კომიტეტს გამოიყენებდნენ როგორც მარიონეტულ მთავრობას, თუმცა ამის შანსი 1944 წელს მინიმალური იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მესამე რაიხში კვლავინდებურად არ არსებობდა ზუსტი გეგმა (გარდა უკვე მოძველებული როზენბერგის გეგმისა) იმის თაობაზე, თუ როგორ იქნებოდა მოწყობილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია ომის შემდეგ. კომიტეტი ითვალისწინებდა ასევე საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ეროვნული კომიტეტების წარმომადგენლობას,[3] თუმცა მათ სასტიკი უარი განაცხადეს წევრობაზე და

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 757. ფიოდორ ბოჰატირჩუკი საბჭოთა პერიოდის ცნობილი უკრაინელი ექიმი და მოჭადრაკე იყო. ის იყო უკრაინის ეროვნული საბჭოს წევრი, თუმცა კომიტეტში ის პერსონალურად შევიდა, როგორც ვლასოვთან დაახლოებული პირი. ომის შემდეგ მან მოახერხა კანადაში გადაბარგება და, ზოგიერთი წყაროს მტკიცებით, სწორედ ის იყო ბორის პასტერნაკის რომანის „ექიმი ჟივაგოს“ მთავარი გმირის პროტოტიპი (იხ.: André Schulz. The man who was Dr. Zhivago: Fedor Bohatirchuk. 11/27/2017, იხ. ვებგვერდი: https://en.chessbase.com/post/the-man-who-was-dr-zhivago-fedor-bohatyrchuk#discuss).

[2] Йоахим Хоффманн. История власовской армии. გვ. 322-325.

[3] Константин Кромиади. «За землю, за волю!», გვ. 205.

სპეციალური მიმართვაც გაუგზავნეს გერმანიის ხელმძღვანელობას ამ საკითხთან დაკავშირებით.[1]

ჩანაფიქრის მიხედვით, კომიტეტის სხდომები ყოველთვიურად უნდა გამართულიყო, თუმცა ეს პერიოდულობა მხოლოდ 1944 წლის ნოემბერ-დეკემბერში იქნა დაცული. როგორც უკვე აღინიშნა, კომიტეტის დამფუძნებელი სხდომა გაიმართა 14 ნოემბერს პრაღაში. ამის შემდეგ კომიტეტი იკრიბებოდა ბერლინში, სადაც მეორე სხდომა გაიმართა 18 ნოემბერს, მესამე – 17 დეკემბერს და მეოთხე (უკანასკნელი) – 1945 წლის 27 თებერვალს.[2]

რხგკ-ს მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შეიარაღებული ძალების კოორდინირება. სწორედ მის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო რუსეთის განმათავისუფლებელი არმია (რგა), რომლის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ როგორც ტყვე წითელარმიელებისგან შემდგარი, ასევე ემიგრანტებისგან დაკომპლექტებული ნაწილები და კაზაკები. რგა-ს შექმნა 1942 წლიდან მიმდინარეობდა, თუმცა ფორმალურად ვერმახტის მოკავშირის სტატუსი მას მიანიჭეს მხოლოდ 1945 წლის 28 იანვარს.[3] რგა-ს რეალური ისტორიაც სწორედ ამ თარიღიდან იწყება.

## 3.3. რგა-ს სტრუქტურა და შემადგენლობა

რუსული განმათავისუფლებელი არმიისთვის მოკავშირის სტატუსის მინიჭების შემდეგ ის ვერმახტს ექვემდებარებოდა მხოლოდ ოპერატიულ სივრცეში. რგა-ს მთავარსარდლად დაინიშნა ვლასოვი, მაგრამ, რადგანაც მას ბევრი სხვა ფუნქციაც ჰქონდა, ლოგიკურია, რომ ის ვერ მონაწილეობდა რგა-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში. შტაბის ხელძღვანელი და მთავარსარდლის მუდმივი მოადგილე გახდა გენერალ-მაიორი ფიოდორ ტრუხინი.[4] სწორად ამ უკანასკნელის დამსახურებაა, რომ პრაქტიკულად რამდენიმე თვის განმავლობაში, რხგკ შეიარაღებული ძალების, ანუ რგა-ს შტაბი დაემსგავსა სამხედრო სტრუქტურას.

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 763-765.
[2] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 62.
[3] Й. Хоффман. Власов против Сталина, გვ. 48.
[4] Кирилл Александров. Армия генерала Власова 1944-1945, გვ. 57.

რგა-ს შემადგენლობა ასეთი იყო: გენერალ-მაიორ სერგეი ბუნიაჩენკოს[1] 1-ლი დივიზია (იგივე ვერმახტის დივიზია №600), გენერალ-მაიორ გრიგორი ზვერევის[2] მე-2 დივიზია (იგივე ვერმახტის დივიზია №650), გენერალ-მაიორ მიხაილ შაპოვალოვის[3] მე-3 დივიზია. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ რგა-ს შემადგენლობაში შედიოდნენ საჰაერო ძალები. ამასთან ერთად, რგა-ს შემადგენლობაში ოფიციალურად შევიდა კაზაკების შენაერთები, კერძოდ, „კაზაჩი სტანი" და მე-15 კაზაკთა კავალერიული კორპუსი, თუმცა ეს წმინდა ფორმალური გადაწყვეტილება იყო და რეალურად, როგორც ჩვენ ეს წინა თავში ვაჩვენეთ, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

რგა-ს პირველი დივიზიის ფორმირება დაიწყო 1944 წლის 14 ნოემბერს.[4] შტატის მიხედვით დივიზიაში უნდა ყოფილიყო 10 ათ. ადამიანი, თუმცა მოგვიანებით რაოდენობა 20 ათ. გაიზარდა, ხოლო დივიზიის სტრუქტურა იყო შემდეგნაირი: შტაბი და საშტაბო ასეული, ჟანდარმერიის ოცეული, გრენადერთა სამი პოლკი საპოლკო არტილერიით და ბატალიონებში მძიმედ შეიარაღებული ასეულებით,

---

[1] ყოფილი საბჭოთა პოლკოვნიკი სერგეი ბუნიაჩენკო მსახურობდა კავკასიაში, სადაც 1942 წლის სექტემბერში გასამართლდა სამხედრო ტრიბუნალის მიერ (ჯერ მიესაჯა დახვრეტა, თუმცა შემდეგ განაჩენი შეეცვალა 10-წლიანი პატიმრობით ომის შემდეგ). როდესაც უკვე გასამართლებული ბუნიაჩენკოს შენაერთი მთლიანად განადგურდა 1942 წლის ნოემბერში (ეს მისი ბრალი ნაკლებად იყო. უფრო მეტიც, შენაერთი სერიოზულად იყო დასუსტებული წინა ბრძოლებში, სანამ მას ბუნიაჩენკოს ჩააბარებდნენ – გ.ც.), მას ისევ დაპატიმრება დაემუქრა. შესაბამისად, მისთვის გერმანელების მხარეს გადასვლა თავის გადარჩენის საკითხი იყო. ის ტყვედ იქნა აყვანილი რუმინეთის ჯარების მიერ 1942 წლის დეკემბერში. 1943 წლის მაისში ის გახდა რგა-ს წევრი, 1944 წლის 10 ნოემბრიდან კი – რგა-ს 1-ლი დივიზიის სარდალი.

[2] Кирилл Александров. Офицерский корпус... გრიგორი ზვერევი იყო საბჭოთა ოფიცერი, რომელმაც ომი გერმანიასთან პოლკოვნიკის წოდებაში შეხვდა. აღსანიშნავია ის, რომ ომამდე, 1938-1941 წლების განმავლობაში შსსკ გამოძიებას ატარებდა მის მიმართ, ვინაიდან სამმა დაკავებულმა საბჭოთა ოფიცერმა აღიარა, რომ ისინი „ანტისაბჭოთა შეთქმულებაში" იღებდნენ მონაწილეობას სწორად ზვერევის შემოთავაზებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოფიცრებიდან ორი დააპატიმრეს, მესამე კი – დახვრიტეს, ზვერევთან მიმართებაში გამოძიებას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. ომის დროს ის ორჯერ აღმოჩნდა ტყვეობაში. პირველად მას შემდეგ, რაც მისი დივიზია უმანთან (უკრაინა) ალყაში აღმოჩნდა, თუმცა ზვერევმა უკრაინელად წარადგინა თავი და ის გაათავისუფლეს. მეორედ, როდესაც ტყვეობაში აღმოჩნდა, ის იყო ხარკოვის სამხედრო კომენდანტი და ალყის გარღვევის დროს დაიჭრა (ეს მოხდა 1943 წლის 22 მარტს). რგა-ს შეუერთდა 1943 წლის ივლისში. 1945 წლის 21 თებერვალს გენერალ-მაიორის წოდება მიიღო, 27 თებერვლიდან კი – მე-2 დივიზიის სარდალია.

[3] Кирилл Александров. Офицерский корпус... მიხაილ შაპოვალოვი იყო წითელი არმიის გენერალ-მაიორი. 1941 წლის 2 ივლისს დაინიშნა განსაკუთრებული არმიის 1 ცალკეული მსროლელთა კორპუსის მეთაურად, აგვისტოს დასაწყისში კორპუსი განადგურდა არმავირთან, 14 აგვისტოს კი ის ტყვედ ჩაბარდა. 1944 წლიდან მუშაობდა აბვერში, შემდეგ იყო ბანაკის ხელმძღვანელი, სადაც საბჭოთა ტყვე-ინჟინრები, რომლებიც სსრკ სამხედრო და სამრეწველო პოტენციალის ანალიზით იყვნენ დაკავებული. 1944 წლის დეკემბერში მიიღო რხგკ-ს შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის ჩინი, 1945 წლის თებერვალში კი – მე-3 დივიზიის მეთაურია, რომელიც ფორმირების პროცესში იმყოფებოდა.

[4] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 33.

საარტირელრიო პოლკი (ცხრა ბატარეის შემადგენლობაში), წალკეული სადაზვერვო ბატალიონი (ერთი სატანკო ასეული, ერთი ცხენოსან-მეტყვიამფრქვევი ასეული და ორი კავალერისტული ესკადრონი), მომარაგების პოლკი, ცალკეული სასწავლო ბატალიონი, ცალკეული მესანგრეთა ბატალიონი, მეკავშირეთა ცალკეული ბატალიონი და სამედიცინო ბატალიონი.[1]

რგა-ს მე-2 დივიზია განსხვავდებოდა ბუნიაჩენკოს შენართისგან იმით, რომ მის შემადგენლობაში იყო ბევრი მოხალისეთა ბატალიონი, მაგალითად, 427-ე ბატალიონი აღმოსავლეთ პრუსიიდან, მე-600 და 642-ე ბატალიონები – დასავლეთის ფრონტიდან, 667-ე ბატალიონი – დანიიდან და 815-ე მესანგრეთა-სამშენებლო ბატალიონი. დივიზიის საარტილერიო პოლკის ბირთვად იყო გამოყენებული 621-ე საარტილერიო დივიზიონი.[2] რაც შეეხება რგა-ს მე-3 დივიზიას, მისი შექმნის ბრძანება გაიცა,[3] თუმცა ის ვერ შესრულდა. შედეგად, არსებობდა მხოლოდ შტაბი და 10 ათასი მოხალისე, თუმცა დივიზია პრაქტიკულად მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

შტაბი შედგებოდა 18 განყოფილებისგან. მას ასევე ჰყავდა თავისი სასულიერო პირიც კი, პროტოპრესვიტერის რანგში.[4] შტაბის მუშაობაში იყო საინტერესო ერთი ფაქტი – ყველა ოფიცერი, რომელიც მსახურობდა შტაბში – წითელი არმიის ოფიცერი იყო. მაგალითად, მაიორი ნიკოლაი ბეგლეცოვი, რომელსაც ევალებოდა შტაბის და რხგკ მთავარსარდლის დაცვა,[5] მაიორი ივან გრაჩოვი, რომელიც შტაბის სადაზვერვო განყოფილების ხელმძღვანელი იყო[6] და ა.შ. მართალია, ვლასოვის მოძრაობის უმრავლესობას სწორად საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, წითელი არმიის ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები შეადგენდნენ, აქ იყვნენ ემიგრანტებიც, მაგალითად, ბორის ჰოლმსტონ-სმისლოვსკი.

შეიარაღებული ძალების გარდა, შექმნილი იყო საჰაერო ძალებიც. 1942 წლის აგვისტოში, ორშთან ახლოს, რუსული ეროვნული სახალხო არმიის რიგებში შექმნილ იქნა ავიარგოლი მაიორ ფილატოვის მეთაურობით, თუმცა მას, საბოლოოდ,

[1] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 33.
[2] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 484.
[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 58.
[4] Йоахим Хоффман. Власов против Сталина. 1944-1945, გვ. 49-53
[5] Кирилл Александров. Офицерский корпус…
[6] Кирилл Александров. Офицерский корпус…

თვითმფრინავები არ მისცეს.[1] უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად კოლაბორაციონისტებისგან საჰაერო ნაწილების შექმნა არ იგეგმებოდა და ლუფტვაფე ქმნიდა ნაწილებს, რომლებიც აეროდრომებზე მუშაობდნენ და ჰაერსაწინააღმდეგო ნაწილებში მსახურობდნენ. 1944 წლის ბოლოსათვის ლუფტვაფეში მსახურობდა 22,5 ათასი ადამიანი (რუსი მოხალისეები) და კიდევ 120 ათასი საბჭოთა ტყვე, რომელიც შეადგენდნენ საზენიტო დანადგარების და აეროდრომების დამხმარე პერსონალის ბირთვს.[2] საბრძოლო შენაერთის შექმნა მოხდა 1944 წლის 19 დეკემბერს, როდესაც რაიხსმარშალმა ჰ. გიორინგმა ხელი მოაწერა ბრძანებას რგა-ს საჰაერო ძალების ფორმირებას.[3] ამავე ბრძანების მიხედვით, საჰაერო ძალები დაყოფილი იყვნენ საჰაერო ნაწილებად, საპარაშუტო ნაწილებათ და საზენიტო ნაწილებად. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ეს შეიარაღებული ფორმირება ემორჩილებოდა მხოლოდ და მხოლოდ რგა-ს, რაც ნამდვილად საინტერესოა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გერმანული შეიარაღებული ძალების დახმარებით იქმნება შეიარაღებული ნაწილი და არ ექვემდებარება ვერმახტს ან, ამ შემთხვევაში, ლუფტვაფეს.

რგა-ს საჰაერო ძალების სარდალი გახდა ვიქტორ მალცევი.[4] მალცევს საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა, ის დიდი ტერორის მსხვერპლი გახდა. ომს შეხვდა ყირიმში, იალტაში, რომლის ბურგომისტრი გახდა 1942 წლის მარტში. კოლაბორაციონისტული საჰაერო შეიარაღებული ნაწილის შექმნას ის დაიწყო 1943 წლის შემოდგომაზე, ლუფტვაფეს პოდპოლკოვნიკ ვალტერ ჰოლტერსთან ერთად.[5] ჰოლტერსი დიდხანს ცდილობდა ტყვედ აყვანილი საბჭოთა მფრინავებისგან საჰაერო ნაწილი შექმნას, მით უფრო, რომ 1943 წლის განმავლობაში გერმანელთა მხარეს გადაფრინდა 66 პილოტი თავისი თვითმფრინავებით, 1944 წლის პირველ კვარტალში კი მათ შეემატა კიდევ 22 მფრინავი.[6] 1943 წლის ოქტომბრიდან „ჰოლტერსის საავიაციო ჯგუფის" არსებობას საფუძველი ჩაეყარა. აღნიშნული ჯგუფი რგა-ს საჰაერო ძალებად გადაიქცა მას შემდეგ, რაც ჰოლტერსს შეუერთდა ვიქტორ მალცევი.

---

[1] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 470.
[2] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 470.
[3] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 810-812.
[4] Кирилл Александров. Офицерский корпус...
[5] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ 64.
[6] Йоахим Хоффман. Власов против Сталина. 1944-1945, გვ. 126.

სწორედ მალცევმა შეათანხმა ვლასოვთან საჰაერო ძალების შექმნა, რის შემდეგაც საქმე სწრაფად წავიდა წინ. საბოლოოდ, რგა-ს საჰაერო ძალების სარდლად დანიშვნის შემდეგ ვიქტორ მალცევმა მიიღო რგა-ს გენერალ-მაიორის ჩინი.[1] რგა-ს საჰაერო ძალების საერთო რაოდენობა აღემატებოდა 5 ათასს. საჰაერო ძალები შედგებოდნენ: შტაბისგან, საინტენდანტო და სანიტარული სამსახურებისგან, განსაკუთრებული დანიშნულების ოცეულისგან, შტაბის დაცვის ოცეულისგან, რეზერვის ოფიცერთა ჯგუფისგან, ერთ საავიაციო პოლკისგან, მფრინავების სკოლისგან, კავშირის მე-6 ცალკეული ასეულისგან, საზენიტო არტილერიის მე-9 ცალკეული პოლკისგან, ცალკეული საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, „SS“-ის ბრიგადის „ბელორუსეთის“ ნაკრები ქვეითი ჯგუფი, პროპაგანდისტების სკოლა.[2]

რგას საჰაერო ძალები – უნიკალური შემთხვევაა. ჩვეულებრივ, თუ რომელიმე მხარე ომის დროს ქმნის კოლაბორაციონისტულ შეიარაღებულ ნაწილს, ეს არის ქვეითი ნაწილი, რადგან ქვეითი შეიარაღებული ნაწილის შექმნა ბევრად უფრო ადვილია, მარტივია და ნაკლებ დროს მოითხოვს. საჰაერო ნაწილის შექმნა კი ბევრად უფრო რთულია. პირველ რიგში, საჭიროა მფრინავების გადამზადება (ან პირიქით, მატერიალურ-ტექნიკური სამსახურების გადამზადება იმ შემთვევაში, თუ მფრინავები ბრძოლას თავისი ქვეყნის თვითმფრინავებით გააგრძელებენ). ასევე, ძნელია კონტროლის დამყარება მფრინავებზე, რომელთაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ თავის მხარეს დაბრუნება.

1945 წლის 22 აპრილისთვის რხგკ-ს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენდა 120 ათას ჯარისკაცზე მეტს.[3]

### 3.4. რგა-ს მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში

იქედან გამომდინარე, რომ რუსული განმათავისუფლებელი არმიის შექმნა ოფიციალურად მხოლოდ ომის ბოლო თვეებში გაფორმდა, ბუნებრივია, რომ ის ომის მსვლელობაზე გადამწყვეტ გავლენას ვერ მოახდენდა. ვლასოვის არმიას არც დიდი

[1] Йоахим Хоффман. Власов против Сталина, გვ. 137.
[2] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 189.
[3] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 189.

საბრძოლო გამოცდილება მიუღია, თუმცა ომის ბოლო თვეების განმავლობაში რგა მონაწილეობდა რამდენიმე შეიარაღებულ შეტაკებაში. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ რგა-ს მონაწილეობა რეალურად შემოიფარგლა მხოლოდ 1-ლი დივიზიის ჩართვით. რგა-ს მე-2 დივიზიას, როგორც ცალკე შენაერთს, აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. ის განთავსებული იყო ჰოიბერგში (ვიურტემბერგი), მაგრამ მისი სრულად ფორმირება ვერ მოხერხდა და ამიტომ ის ფრონტის ხაზზე არ გადაუყვანიათ.

1945 წლის დასაწყისში ვითარება ფრონტებზე შემდეგი იყო: დასავლეთის ფრონტზე, გერმანიის უკანასკნელი ფართომასშტაბიანი შეტევის (არდენების ოპერაცია) მოგერიების შემდეგ, მოკავშირეებმა დაიწყეს მაას-რაინის ოპერაცია, რომლის მიზანი იყო ომის უშუალოდ გერმანიის ტერიტორიაზე გადატანა; აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს პოლონეთი და დაასრულეს ბუდაპეშტის ოპერაცია, რომლის შედეგად უნგრეთი გამოეთიშა ომს. გერმანიის წაგება იყო დროის საკითხი და სწორედ ასეთ ვითარებაში რგა ჩაირთო ბრძოლაში, ოღონდ მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რგა-ს ოფიციალური საბრძოლო ნათლობა მოხდა 1945 წლის 9 თებერვალს, როდესაც საბჭოთა 230-ე მსროლელთა დივიზიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება პოლკოვნიკ სახაროვის ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 3 ოცეულისგან.[1] გეგმის მიხედვით, სახაროვის ჯგუფი ღამის საათებში უნდა შესულიყო ნაილევინში, კარლსბიზეში და კერსტენბრუხში და ისე განეხორციელებინა შეტევა საბჭოთა 230-ე მსროლელთა დივიზიის წინააღმდეგ, რომ წითელარმიელებისათვის ნათელი გამხდარიყო – მათ რუსების წინააღმდეგ უწევდათ ბრძოლა.[2]

რა თქმა უნდა, ამ ბრძოლას ჰქონდა პროპაგანდისტული დატვირთვა. მეორე მსოფლიო ომის დროს პირველად იყო გამოყენებული არა გერმანული ნაწილი, რომელშიც მსახურობდნენ რუსი ტყვეები თუ რუსი ემიგრანტები, ან შენაერთი, რომელიც შედგებოდა ტყვედ აყვანილი საბჭოთა ჯარისკაცებისგან და რომლის მეთაურები იყვნენ გერმანელი ოფიცრები, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

---

[1] Йоахим Хоффман. Власов против Сталина, გვ. 203. იგორ სახაროვი საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა. ის იყო ემიგრანტი, რომელიც მსახურობდა ფრანკოს არმიაში და გახდა ესპანური ფალანგის წევრი. 1942 წლიდან სახაროვი მონაწილეობას იღებდა რუსული კოლაბორაციონისტული შეიარაღებული ნაწილების შექმნაში, 1943 წლის ივლისში კი გახდა ვლასოვის ადიუტანტი (იხ.: Кирилл Александров. Офицерский корпус...).

[2] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 139.

ბრძოლაში ჩაერთო ოფიციალური რუსული კოლაბორაციონისტული შეიარაღებული ფორმირება. სახაროვის ჯგუფმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა გერმანელ სამხედროებზე, რომ ჰიმლერმა წერილიც კი მისწერა ვლასოვს, სადაც აღნიშნა, რომ სახაროვის ჯგუფმა პირველ ბრძოლაში შესანიშნავად აჩვენა თავი და მან გასცა ბრძანება ოფიცრების და ჯარისკაცების რკინის ჯვრით დაჯილდოების შესახებ.[1]

რგა-ს ომში ჩაბმის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი იყო მომარაგების საკითხი. ომის ბოლო წლებში გერმანული სამხედრო ქარხნები პრაქტიკულად ყოველდღე იბომბებოდა მოკავშირეების მიერ და, შესაბამისად, სამხედრო ტექნიკის წარმოება და სამხედრო მომარაგება შემცირებული იყო. სწორედ ამის გამო ყოვნდებოდა რგა-ს 1-ლი დივიზიის, რომელიც სრულად იყო დაკომპლექტებული საბრძოლო შემადგენლობით, ფრონტის ხაზზე გადასროლა. ერთი პერიოდი, ჰიმლერიც კი ეწინააღმდეგებოდა რუსული დივიზიის იარაღით მომარაგების იდეას. 1-ლი დივიზია გერმანული იარაღით მოამარაგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახაროვის ჯგუფმა დაამტკიცა, რომ რუსებისგან შექმნილი შენაერთი უკან არ დაიხევდა.[2]

რგა-ს 1-ლი დივიზია ბრძოლაში პირველად 1945 წლის 6 მარტს, მე-9 გერმანული არმიის მოქმედების რაიონში, კერძოდ, ოდერის ფრონტზე. 13 აპრილს 1-მა დივიზიამ უნდა განახორციელა შეტევა ფიურსტენბერგის სამხრეთით, 33-ე საბჭოთა არმიის პოზიციებზე, რომელთაც მდ. ოდერის დასავლეთ სანაპიროზე 4 კილომეტრით სიგრძისა და 2 კილომეტრი სიღრმის პლაცდარმი (კოდური სახელი „ერლენჰოფი“) ეკავათ.[3] ერთი შეხედვით, ეს იყო მშვენიერი ადგილი შეტევის განსახორციელებლად, განსაკუთრებით ახალბედა დივიზიისათვის, რომელსაც თავისი შესაძლებლობები უნდა ეჩვენებინა მოკავშირისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში იყო რამდენიმე პრობლემა. ორი თვის განმავლობაში, რაც საბჭოთა ძალები იმყოფებოდნენ აღნიშნულ პლაცდარმზე, 33-ე არმიის ჯარისკაცებმა კარგად გამაგრებული პოზიციები შექმნეს, ასევე ამას ემატებოდა საარტილერიო ბატარეების დახმარება ოდერის აღმოსავლეთ სანაპიროდან.[4]

---

[1] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 893.

[2] Сергей Дробязко, Олег Романько, Константин Семенов. Иностранные формирования Третьего рейха, გვ. 490.

[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 148.

[4] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 54.

ბუნიაჩენკო თვლიდა, რომ ოპერაციის წარმატებით ჩატარების საწინდარი იყო საარტილერიო და საავიაციო მომზადება.[1] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მომზადება ჩატარებულ იქნა, 1-ლი დივიზიის პირველი ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა: 13 აპრილს ვლასოველებმა მოახერხეს საბჭოთა სანგრების პირველი ხაზის დაკავება, მაგრამ მეორე დღეს, საბჭოთა კონტრშეტევის შედეგად, მათ უკან დაიხიეს.[2] ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ რგა-ს საჰაერო ძალებიც. ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ, ზემოთ აღნიშნული „ერლენჰოფის" პლაცდარმზე შეტევის დროს: ღამის ბომბდამშენების ესკადრილიები მონაწილეობდნენ 1-ელ დივიზიასთან ერთად.[3]

მაშ ასე, პირველი ბრძოლა 1-ლი დივიზიისათვის წარუმატებლად დასრულდა: პლაცდარმი კვლავ საბჭოთა ჯარებს ჰქონდათ დაკავებული. რგა-ს ასეთი დებიუტი ვერც პროპაგანდისტულ ჭრილში იქნებოდა გამოყენებული. ამავე დროს, წარმატებაც პროპაგანდის თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს შეცვლიდა, ვინაიდან, ხელსაყრელი მომენტი იყო დაკარგული. ლოზუნგი – „ნახეთ, რუსებიც კი იბრძვიან ბოლშევიზმის წინააღმდეგ" – საჭირო იყო უფრო ადრე, როდესაც საბჭოთა კავშირის არსებობა ნამდვილად კითხვის ნიშნის ქვეშ იმყოფებოდა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ნაბიჯის ომის პირველი ორი წლის განმავლობაში განხორციელების შემთხვევაში, ისტორია სხვა კუთხით წასულიყო.

ასეა თუ ისე, მაგრამ წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ ბუნიაჩენკომ უკან დახევის ბრძანება გასცა. მე-9 გერმანული არმიის სარდალმა გენერალმა ბუსემ კატეგორიულად მოითხოვა შეტევის გაგრძელება, თუმცა ბუნიაჩენკო სამართლიანად თვლიდა, რომ დივიზიისათვის წინსვლის გაგრძელება განადგურების ტოლფასი იქნებოდა.[4] ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, პირველი დივიზია არ ექვემდებარებოდა ვერმახტს. ის იყო მოკავშირე სტატუტის მქონე შეიარაღებული შენაერთი. შესაბამისად, ფორმალური თვალსაზრისით, გენერალ ბუსეს არ ჰქონდა ბუნიაჩენკოსათვის ბრძანების მიცემის ლეგიტიმური უფლება. ამას ასევე ემატებოდა ის ფაქტის, რომ ბუნიაჩენკო ძალიან უფრთხილდებოდა თავის შენაერთს.

14 და 15 აპრილის განმავლობაში, პირველი დივიზია ემზადებოდა სამხრეთით

[1] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 148.
[2] Сергей Дробязко. Под знаменами врага, 1941–1945, გვ. 318.
[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 95.
[4] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 59.

წასასვლელად, კერძოდ – ჩეხეთში,[1] ძირითადად, იმის გამო, რომ ჩეხოსლოვაკიაში იმ მომენტისათვის გერმანელებისათვის მძიმე ვითარება იყო, საბჭოთა ჯარები შევიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო პრაღაში თითქმის ყოველდღე ელოდებოდნენ ამბოხებას. ბუნიაჩენკო თვლიდა, რომ იმ არეულობაში, რომელიც იყო ჩეხოსლოვაკიაში, გერმანელებსაც, უბრალო ენით რომ ვთქვათ, არ ეცლებოდათ რგა-ს 1-ლი დივიზიისათვის. ამასობაში რგა-ს 1-ლი დივიზია გადაყვანილ იქნა არმიათა ჯგუფ „ცენტრის" შემადგენლობაში, კერძოდ, 275-ე გერმანული ქვეითი დივიზიის დაქვემდებარებაში.[2] მას ევალებოდა გერმანული დივიზიის უკან პოზიციების მომზადება. ბუნიაჩენკო ასეთ ბრძანებას არ დაემორჩილა და განაცხადა, რომ ის სამხრეთით გააგრძელებდა გადაადგილებას, რგა-ს დანარჩენი ნაწილების შესაერთებლად.[3]

პირველი დივიზიის საბრძოლო დებიუტი შედგა უკვე ომის ბოლო თვეებში, როდესაც ყველაფერი ნათელი იყო და თუნდაც 3 სრულფასოვანი დივიზიის შექმნის შემთხვევაში, ვითარება ომის ფრონტებზე არ შეიცვლებოდა. ამ ერთ-ერთ ბრძოლას ოდერის ფრონტზე, კერძოდ პლაცდარმ „ერლენჰოფის" აღების მცდელობა ვლასოველების მიერ, მაინც საჭიროებს ყურადღებას ორი მიზეზის გამო:

1. ეს იყო პირველი ბრძოლა კოლაბორაციონისტულ შეიარაღებულ შენაერთსა და საბჭოთა სამხედრო ნაწილების შორის. ეს იყო ტიპიური სამხედრო შეტაკება, რომელიც ომის ყველა წესებით მიმდინარეობდა და რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მოქმედი და ყოფილი სამხედროები. რგა-ს 1-ლი დივიზია არ იყო სს-ის რომელიღაც ქვედანაყოფი, არ წარმოადგენდა სადამსჯელო რაზმს, არ წარმოადგენდა საკონცენტრაციო ბანაკის დაცვას, რომელიც უკიდურესი ვითარების გამო ფრონტზე გაუშვეს. მის ბირთვს წარმოადგენდნენ ტყვედ აყვანილი წითელარმიელები, რაც ლოგიკურად რომ ვთქვათ, სრულიად გასაგებია. იმ შემთხვევაში, თუ წითელარმიელი მოახერხებდა გაქცევას ტყვეთა ბანაკიდან და დაბრუნდებოდა საბჭოთა კავშირში, მას ან დახვრეტდნენ, ან ეგრეთ წოდებულ „შტრაფბატში" (ანუ საჯარიმო ბატალიონი) გაუშვებდნენ, სადაც დამნაშავე სამხედროები მსახურობდნენ. ამიტომ, გასაგებია, რატომ შეუერთდა რგა-ს ამდენი

---

[1] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 80.
[2] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 159.
[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 160.

ყოფილი წითელარმიელი. მართალია, ვლასოველებმა წააგეს ეს ბრძოლა და ოპერაცია ჩაიშალა, თუმცა, როგორც ფაქტი, ეს შემთხვევა ნამდვილად ყურადღებას იმსახურებს.

2. რგა-ს სამოკავშირე სტატუსი, რაც ანტიბოლშევიკური მოძრაობისათვის ნამდვილად ბევრ რამეს ნიშნავდა. პირველად იყო შექმნილი შეიარაღებული შენაერთი, რომელიც არ ექვემდებარებოდა პირდაპირ ვერმახტის რომელიმე გენერალს, რაც დაამტკიცა ბუნიაჩენკომ, როდესაც არ დაემორჩილა არც ბუსეს ბრძანებას და არც 275-ე გერმანული დივიზიის დაქვემდებარებაში გადასვლას. მართალია, ომის ბოლო თვეებში ეს არაფერს არ ცვლიდა, თუმცა ის, რომ რგა იყო აღიარებული მთავარი ანტიბოლშევიკურ სამხედრო ძალად მრავალთაგან შორის, ნამდვილად მიანიშნებს მის მნიშვნელობაზე.

„ერლენჰოფის“ პლაცდარმისთვის გამართული ბრძოლების შემდეგ რგა-ს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. სამაგიეროდ, მაისის დასაწყისში რგა-ს 1-მა დივიზიამ გერმანელების წინააღმდეგ შეაბრუნა იარაღი და დახმარება გაუწია პრაღაში დაწყებულ ანტიგერმანულ ამბოხებას. ამას წინ უძღოდა დაპირისპირება ბუნიაჩენკოსა და არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ სარდალ გენერალ-ფელდმარშალ შერნერს შორის. ამ უკანასკნელისთვის ბუნიაჩენკოს საქციელი და გადაწყვეტილება, თვითნებურად გადასულიყო ჩეხოსლოვაკიაში, წარმოუდგენელი რამ იყო. შერნერმა რამდენიმეჯერ სცადა რგა-ს 1-ლი დივიზიის შეჩერება. ის იხმობდა ბუნიაჩენკოს თავის შტაბში ვითარების განმარტებისათვის, თუმცა ეს უკანასკნელი, ყოველთვის სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით, არ ცხადდებოდა ამ შეხვედრებზე. საბოლოო ჯამში, 29 აპრილს, ღამით, შერნერი, ვლასოვთან ერთად, თავად ჩავიდა ბუნიაჩენკოსთან.[1] შერნერს ამ დროისთვის უკვე მიცემული ჰქონდა ბრძანება დაჯგუფება „ერცგებირგეს“ სარდალ გენერალ-პოლკოვნიკი ჰოთისთვის, რომ, პრაღის კომენდანტ გენერალ ტუსენთან ერთად, განეიარაღებინა 1-ლი დივიზია.[2] ი. ჰოფმანის მტკიცებით, ვლასოვთან მოლაპარაკების შემდეგ შერნერმა გააუქმა ბუნიაჩენკოს წინააღმდეგ გაცემული ყველა ბრძანება,[3] თუმცა, როგორც ჩანს, ჰოთისთვის მიცემულ ბრძანებას ეს არ შეხებია. მით

[1] Константин Кромиади. «За землю, за волю!», გვ. 266.
[2] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 325.
[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 165.

უმეტეს, რომ შეხვედრის დროს შერნერი ბუნიაჩენკოს სიჯიუტით ძალიან გაბრაზებული დარჩა.[1] მართალია, მხარეები შეთანხმდნენ, რომ რგა არ დაუპირისპირებოდა ვერმახტს თუ ეს უკანასკნელი თავად არ დაიწყებდა საბრძოლო ქმედებებს რგა-ს წინააღმდეგ, მაგრამ ბრძანების არგაუქმებამ, საბოლოო ჯამში, სერიოზული პრობლემები შექმნა მათ შორის. უფრო მეტიც, ბუნიაჩენკო აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში თუ 1-ლი დივიზია თავად იქნებოდა დარტყმის ქვეშ, გერმანელების წინააღმდეგ მთელი ძალებით იბრძოლებდა.[2] ამასობაში ვლასოვი დაუკავშირდა გენერალ-პოლკოვნიკ ჰოთს და აუწყა მას, რომ კონფლიქტი მოგვარებულ იქნა, რითაც ეს უკანასკნელი ძალზე გაახარა, რადგანაც არ გააჩნდა შესაბამისი ძალები პირველი დივიზიის განიარაღებისათვის.[3]

ამასობაში ვითარება ჩეხოსლოვაკიაში მკვეთრად დაიძაბა. პრაღაში იატაკქვეშა ორგანიზაციის, კერძოდ, დიდი პრაღის კომენდატურა „ბარტოშის" მიერ მომზადებულ იქნა ამბოხება, რომლის რომლის ხელძღვანელი იყო გენერალი კარელ კუტლვარში, შტაბის ხელძღვანელი კი – ჩეხოსლოვაკიის არმიის გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ფრანტიშეკ ბიურგერი.[4] როდესაც მეამბოხეებმა გაიგეს, რომ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა სრულფასოვანი დივიზია, 30 აპრილს ბუნიაჩენკოს დაუკავშირდნენ.[5] ამავდროულად, 2 მაისს ბუნიაჩენკომ კოზოედიში, სადაც იმყოფებოდა 1-ლი დივიზიის შტაბი, მიიღო პრაღის კომენდანტ ტუსენის ულტიმატუმი, რომელშიც ეწერა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ დივიზია არ გააგრძელებს მითითებული მიმართულებით (ბრნოსკენ – გ.ც.) სვლას, მის წინააღმდეგ ძალა იქნება გამოყენებული".[6] რამდენიმე საათში ბუნიაჩენკოს მორიგი შეხვედრა ჰქონდა ჩეხ მეამბოხეებთან.[7] გასაგებია, რომ ულტიმატუმის შემდეგ, რომელიც ბუნიაჩენკომ მიიღო ტუსენისგან, მას უკან დასახევი გზა არ დარჩა და ამბოხებულებს დახმარების აღმოჩენას დაპირდა. როგორც ჩანს, მას იმის იმედი ჰქონდა, რომ ომის შემდეგ, ამბოხების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დედაქალაქის განთავისულებაში მონაწილეობის მიღების სანაცვლოდ დივიზია

[1] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 322.
[2] Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 957.
[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 165.
[4] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 183.
[5] Кирилл Александров. Армия генерала Власова 1944-1945, გვ. 354.
[6] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 186.
[7] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 170.

ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებდა.[1]

5 მაისს, ვაცლავის მოედანზე დილის 11 საათზე სროლის ხმა გაისმა და დაიწყო პრაღის ამბოხება.[2] გერმანული გარნიზონი ქალაქში არ აღემატებოდა 10 ათას ჯარისკაცს, ასევე, ამბოხების დროს ქალაქში განლაგებულ ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც პრაღასთან ახლოს მდებარეობდნენ, არა უმეტეს 5 ათასი კაცისა.[3] 1-ლი დივიზიის შტაბი იმყოფებოდა სუხომასტიში, პრაღასთან ახლოს. დივიზიის ძირითადი ნაწილები, 5 მაისის 14 და 16 საათს შორის სამი კოლონით დაიძრა პრაღისკენ.[4] ბუნიაჩენკო მთელი ღამის განმავლობაში იღებდა მეამბოხეების წარმომადგენლებს, რომლებსაც თან მოჰქონდათ პრაღის რუკები და უჩვენებდნენ ადგილებს, სადაც მათ დახმარება დასჭირდებოდათ.[5]

ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლები გაიმართა 7 მაისს. დივიზიის 1-მა პოლკმა დაიწყო შეტევა ქალაქის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებზე. აქ პოლკმა დაიკავა პანკრაცის ციხე და გაათავისუფლა რამდენიმე ასეული პატიმარი, მათ შორის, რამდენიმე ათეული ებრაელი. საღამოსთვის, პოლკმა 3,5 ათასი ტყვე აიყვანა და ხელთ იგდო ჯავშანტექნიკის 70-დე ერთეული (იარაღი და ჯავშანტექნიკა „ბარტოშს" გადასცეს). მე-2 პოლკმა განახორციელა შეტევა ქალაქის სამხრეთის ნაწილში და 1-ლი პოლკის ზურგს იცავდა პრაღაში განლაგებული სს-ის დივიზიის „ვალენშტაინის" ნაწილებისგან. მე-3 პოლკი არ შევიდა პრაღაში. 5 მაისს ის დაიძრა რუზინის აეროდრომისკენ, რომლის დაკავება დიდი მსხვერპლით მოახერხა 7 მაისს. მე-4 პოლკი იბრძოდა სტრაჰოვთან, პეტრიშთან, ჰრადჩანთან, პრაღის კრემლთან და ჩერნინის სასახლესთან.[6]

პრაღის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე თავისი გავლენა ჰქონდა ფრონტებზე შექმნილ ვითარებასაც. საბჭოთა ნაწილები იმ მომენტისათვის იმყოფებოდნენ პრაღიდან 170 კმ-ში (1-ლი უკრაინული ფრონტი), 160 კმ-ში (მე-3 უკრაინული ფრონტი) და 200 კმ-ში (მე-4 უკრაინული ფრონტი). თავის მხრივ, მე-3 ამერიკული არმია, გენ. პატონის მეთაურობით, პრაღიდან 70 კმ-ში იმყოფებოდა.[7] 7 მაისს

---

[1] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 171.
[2] Станислав Ауски. Предательство и измена: войска генерала Власова в Чехии, გვ. 160.
[3] Кирилл Александров. Русские солдаты Вермахта, გვ. 330.
[4] Кирилл Александров. Армия генерала Власова 1944-1945, გვ. 363.
[5] Стансилав Ауски. Предательство и измена: войска генерала Власова в Чехии, გვ. 171.
[6] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 189.
[7] Олег Смыслов. Кто освободил Прагу в 1945 г. Загадки Пражского восстания, გვ. 216.

ვლასოველებისთვის გახდა ცნობილი, რომ ის არ აპირებდა პრაღაში შესვლას,[1] რაც პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. როდესაც ამბოხება დაიწყო 5 მაისს, გენერალი პატონი, ეიზენჰაუერის ბრძანებით, გაჩერდა ხაზზე ჩესკე ბუდეიოვიცე – პლზენი – კარლოვი ვარი.[2] როგორც ვხედავთ, ამერიკელები ბევრად უფრო ახლოს იყვნენ პრაღასთან, ვიდრე საბჭოთა ჯარები, მაგრამ ეიზენჰაუერმა, როგორც მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალმა, მიიღო გადაწყვეტილება, არ ჩაბმულიყო პრაღის ამბოხებაში. მისი თქმით, საბჭოთა ნაწილებს შეეძლო ქვეყნის ცენტრისკენ სწრაფად გადაადგილება და მოვლენებზე კონტროლის დამყარება.[3] სინამდვილეში კი ამერიკელების ასეთი პასიურობა განპირობებული იყო პოლიტიკური მიზეზებით. იალტის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, დაშორიშორების ხაზი გადიოდა პრაღიდან 150 კილომეტრში, სამხრეთით. შესაბამისად, მათ არამიზანშეწონილად ჩათვალეს მეამბოხეების დახმარება. ასეთ ვითარებაში, რგა-ს 1-ლი დივიზიის გამოჩენა ამბოხებულთათვის ნამდვილად სასწაული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი დივიზია იბრძოდა ამბოხებულების მხარეზე, მას შეექმნა პრობლემები ჩეხეთის ეროვნულ საბჭოსთან, რომელიც იყო ამბოხების პოლიტიკური ცენტრი („ბარტოში" – სამხედრო ცენტრი იყო). როგორც იხსენებს, პოლკოვნიკი არტემიევი (პირველი პოლკის მეთაური), როდესაც ვლასოველები შეხვდნენ ჩეხეთის ეროვნულ საბჭოს, მისმა წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი, როგორც ჩეხეთის მთავრობა, არ აპირებენ დახმარების მიღებას გერმანელების დაქირავებულებისგან და სამშობლოს მოღალატეებისგან და რომ ამბოხების შტაბი არ არის ჩეხი ხალხი და მისი მთავრობა. მათი თქმით, წითელი არმია უახლოვდებოდა პრაღას და დღეს-ხვალ გაათავისუფლებდა ქალაქს.[4] ასე გაიგეს ვლასოველებმა, რომ ჩეხური წინააღმდეგობის მოძრაობა ერთიანი არ იყო და მასში არსებობდა როგორც ნამდვილად ეროვნული ძალები, ისე კომუნისტური ელემენტები.

ამ ფონზე მოხდა ერთი საკმაოდ ნიშანდობლივი შემთხვევა. 7 მაისის საღამოს ვლასოველების პოზიციასთან გამოჩნდნენ ამერიკული ჯავშანმანქანები, სადაც პრესის წარმომადგენლები იყვნენ. თავდაპირველად, ამერიკელებს ვლასოველები წითელი არმიის ჯარისკაცებში აერიათ, თუმცა, მას შემდეგ, რაც მათთვის სიმართლე

---

[1] Кирилл Александров. Мифы о генерале Власове, გვ. 188.
[2] Олег Смыслов. Кто освободил Прагу в 1945 г. Загадки Пражского восстания, გვ. 102
[3] Alan Axelrod. Patton: A Biography. London: Palgrave Macmillan, 2006, გვ. 162.
[4] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 101.

ცნობილი გახდა, ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამ განაცხადა: „თქვენი ბრძოლა ნაცისტების წინააღმდეგ პრაღაში დაგეხმარებათ მონანიებაში საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე“.[1] ასეთ პირობებში, როდესაც ჩეხეთის ეროვნული საბჭო არ აღიარებდა ვლასოველებს და პირდაპირ აცხადებდა, რომ მათ აღარ სჭირდებათ 1-ლი დივიზიის დახმარება და როდესაც ნათელი გახდა, რომ ამერიკელები არ აპირებდნენ პრაღის აღებას, ვლასოველებს სხვა გზა უბრალოდ არ ჰქონდათ. 7 მაისს, 23 საათზე, გენერალმა ბუნიაჩენკომ პრაღის დატოვების ბრძანება გასცა და პირველი დივიზია ამერიკული საოკუპაციო ზონისკენ დაიძრა.[2]

არასწორი იქნება იმის თქმა, რომ პრაღის ამბოხება ან, მით უმეტეს, რგა-ს პირველი დივიზიის მონაწილეობა აღნიშნულ ამბოხებაში, კარგად გათვლილი და გააზრებული ნაბიჯი იყო. ამბოხებულებს უბრალოდ უნდოდათ იმ ძალის გამოყენება, რომელსაც წარმოადგენდნენ ვლასოველები, ხოლო თვითონ ვლასოველებს მხოლოდ თავის გადარჩენა უნდოდათ. პრაღის ამბოხებაში რგა-ს პირველი დივიზიის მონაწილეობა დიდწილად გამოწვეული იყო იმით, რომ დივიზია საჭირო მომენტში საჭირო ადგილას აღმოჩნდა. მეამბოხეებისათვის, დივიზიის გამოყენება ნიშნავდა ამბოხების წარმატებით დასრულებას – ყოველ შემთხვევაში, ასეთი შანსი ჩნდებოდა – დივიზიის წევრებისათვის, ამბოხებაში მონაწილეობა ნიშნავდა თავშესაფრის მიღებას და მოკავშირეებისგან აღიარებას (როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-3 ამერიკული არმია ბევრად უფრო ახლოს იყო პრაღასთან, ვიდრე საბჭოთა ჯარები და, შესაბამისად, ლოგიკურია იმის წარმოდგენა, რომ პრაღა აღებული იქნებოდა სწორედ მოკავშირეების ძალებით). ერთი შეხედვით, ეს მშვენიერი გეგმა რამდენიმე დეტალის გამო ჩაიშალა: 1. უმთავრესი, რა თქმა უნდა, აღმოჩნდა მოკავშირეების სარდლობის დამოკიდებულება პრაღისადმი; 2. დაპირისპირება თვითონ ჩეხეთის იატაკქვეშა ორგანიზაციებს შორის, რომელთაც ერთიანი გეგმა არ გააჩნდათ და რომელთა ნაწილსაც ამბოხება არასწორ ნაბიჯად მიაჩნდა; 3. დაპირისპირება პირველი დივიზიას და ჩეხეთის ეროვნულ საბჭოს შორის, რომელმაც თავი გამოაცხადა ჩეხი ხალხის მთავრობა და ფაქტობრივად გააგდო პრაღიდან ბუნიაჩენკოს 1-ლი დივიზია. შესაბამისად, იმედი, რომ 1-ლი დივიზია მიიღებდა თავშესაფარს ჩეხოსლოვაკიაში ამბოხებაში მონაწილების

[1] Йоахим Хоффман. Власов против Сталина, გვ. 270.
[2] Йоахим Хоффман. Власов против Сталина, გვ. 270.

სანაცვლოდ მხოლოდ იმედად დარჩა.

### 3.5. რგა-ს ნაწილების კაპიტულაცია და მისი მეთაურების ბედი

პრაღის დატოვების შემდეგ რგა-ს 1-ლი დივიზიის ერთადერთ იმედად ტყვედ ამერიკელებთან ჩაბარება დარჩა. ბუნიაჩენკოც დაიძრა ლნარჟესკენ, სადაც ამერიკელები იყვნენ დაბანაკებული.[1] დივიზიას რამდენიმე მცირე შეტაკება მოუციდა ესესელებთან, რომლებიც ასევე სამხრეთით, ამერიკულ საოკუპაციო ზონაში გადასვლას ცდილობდნენ, თუმცა გზა პრაღიდან ლნარჟემდე დიდი დანაკარგების გარეშე იქნა გავლილი. 10 მაისს 1-ლი დივიზიის ავანგარდი ამერიკული მე-4 ჯავშანსატანკო დივიზიის პოსტებთან მივიდა. თავდაპირველად ოფიცერმა, რომელსაც აღნიშნული პოსტები ებარა, შემთხვევით ჩათვალა, რომ მის წინაშე წითელი არმიის ნაწილები იყო, თუმცა, ახსნა-განმარტების შემდეგ, ის დათახმდა 1-ლი დივიზიის ნაწილების ამერიკულ საოკუპაციო ზონაში შეშვებაზე. მართალია, ვლასოველებს ტყვეები იყვნენ, მაგრამ ამერიკელებმა ოფიცრებს დაუტოვეს პირადი იარაღი, ჯარისკაცებს კი – 1 შაშხანა 10 ადამიანზე.[2]

ასევე ამერიკელებს ჩაბარდა რგა-ს მე-2 დივიზიაც. ის 9 მაისს აღმოჩნდა კრუმაუში და იქიდან დივიზიის ნაწილების უმრავლესობამ მოახერხა ამერიკულ საოკუპაციო ზონაში გადასვლა, თუმცა დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ზვერევი საბჭოთა ჯარებს ჩაუვარდა ხელთ.[3]

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ვლასოველები გადარჩნენ და რომ რადგანაც ისინი უკვე შევიდნენ ამერიკულ საოკუპაციო ზონაში, მათ სიცოცხლეს არაფერი არ ემუქრებოდა, მაგრამ ეს ასე არ იყო. 1944 წლის ოქტომბრის ჩერჩილისა და სტალინის შეხვედრაზე და 1945 წლის თებერვალში გამართულ იალტის კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოკავშირეებს საბჭოთა მხარისთვის უნდა გადაეცათ მათ ხელთ აღმოჩენილი საბჭოთა მოქალაქეები.[4] ეს ყველაფერი უცნობი იყო რგა-ს მებრძოლებისთვის. რაც შეეხება ანდრეი ვლასოვს, 10

---

[1] Кирилл Александров. Армия генерала Власова 1944-1945, გვ. 379.
[2] Йоахим Хоффман. Власов против Сталина, გვ. 309.
[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 214.
[4] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: თ. პაპასქირი. „დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. 1944წ. სექტემბერი – 1945წ. მაისი, გვ. 59-63, 214-215.

მაისს მან გამართა მოლაპარაკებები ამერიკელ გენერალ უილიამ ჰოგთან, რომელიც სარდალი იყო იმ მონაკვეთზე. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ამერიკელმა გენერალმა ვლასოვს პირდაპირ უთხრა, რომ არგადაცემის გარანტია არ არსებობდა.[1]

ამასობაში ლნაჟეს მოუახლოვდა საბჭოთა ჯარები. ვინაიდან განიარაღების პროცესი არ იყო მკაცრად ჩატარებული, ვლასოველები თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ. 1-ლი დივიზია ელოდებოდა, როდის შევიდოდა უფრო ღრმად ამერიკულ საოკუპაციო ზონაში და ამით საბოლოოდ გადარჩებოდა საბჭოთა ძალებისგან. ამ დროისათვის მათ რიგებში უკვე გამოჩნდნენ საბჭოთა აგიტატორები, რომლებიც ვლასოვის და პირველი დივიზიის სარდლების წინააღმდეგ აგიტაციას ახორციელებდნენ. ისინი ვლასოველებს ეუბნებოდნენ: „დედა-სამშობლო თქვენ გელოდებათ, საბჭოთა კავშირი არ არის შურისმგებელი, საბჭოთა მთავრობა თქვენ არაფერში არ გადანაშაულებთ, ყველას ამნისტია გელოდებათ, თქვენ უბრალოდ ჯარისკაცები ხართ, თქვენი მეთაურები კი ნამდვილი გამყიდველები არიან, ნამდვილი მოღალატეები“ და ა.შ.[2]

საბჭოთა აგიტაციას დიდი ეფექტი არ ჰქონია და თავისი ნებით უკანდაბრუნებულთა რიცხვი მცირე იყო. როგორც ჩანს, ამაზე მოქმედებდა ჩვეულებრივ საბჭოთა ჯარისკაცებთან მომხდარი შეხვედრები. როგორც იხსენებს პოლკოვნიკი არტემიევი, ერთ-ერთ სოფელში, რომელშიც იმყოფებოდნენ ვლასოველები, მანქანით შევიდა საბჭოთა ოფიცერი. ვლასოველებმა დაპატიჟეს ის დასალევად და სალაპარაკოდ. საბჭოთა ოფიცერი ყველანაირად სცილობდა თავის არიდებას. ბოლოს, მან თქვა: „გეყოფათ, ბიჭებო, არ გინდათ! გამიშვით. თქვენთან თუ ვიქნები, მერე პრობლემებს არ ავცდები... მე ჯერ სიცოცხლე მინდა, თქვენ კი მალე ჩამოგახრჩობენ“.[3]

11 მაისს 1-ლი დივიზიის განიარაღების პროცესი დასრულდა. ვესის ტბორთან (ლნაჟესგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით) ვლასოველებმა ამერიკელებს გადასცეს ჯავშანტექნიკის 60 ერთეული.[4] 12 მაისს დილით კი 1-ლი დივიზიისთვის და

[1] Йоахим Хоффман. Власов против Сталина, გვ. 311.

[2] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 107.

[3] Вячеслав Артьемев. Первая дивизия РОА, გვ. 109.

[4] მართალია, დივიზიას კიდევ გააჩნდა შეიარაღება, მაგრამ ეს უკვე უმნიშვნელო რიცხვები იყო. როდესაც რამდენიმე დღეში 1-ლი დივიზია გადასცეს საბჭოთა მხარეს, 162-ე სატანკო ბრიგადამ ნადავლის სახით მიიღო 5 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 5 ტანკი „T-34“, რომელსაც კაპიტალური რემონტი ესაჭიროებოდა, 5 ჯავშანტრანსპორტიორი, 159 პისტოლეტი, 139 შაშხანა, 33

მთლიანად ვლასოვის მოძრაობისათვის პრაქტიკულად ყველაფერი დასრულდა. ბუნიაჩენკო, თავის შტაბის უფროსთან, პოდპოლკოვნიკ ნიკოლაევთან ერთად, გაემგზავრა შლისერგურგში, ამერიკულ შტაბში, სადაც მას უთხრეს, რომ ღნაჟეს რაიონი (შესაბამისად, ვლასოველებიც) გადადიოდა საბჭოთა დაქვემდებარებაში, ხოლო 1-ლი დივიზიის წევრებს ეკრძალებოდათ გადასვლა ამერიკულ ზონაში.[1] დივიზიის შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი – 10000 ადამიანი – გადასცეს საბჭოთა მხარეს. დაბარჩენებმა შესძლეს გადასვლა ამერიკულ საოკუპაციო ზონაში, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი მაინც დააბრუნეს საბჭოთა კავშირში.[2] იგივე ბედი ეწიათ მე-2 დივიზიის ჯარისკაცებსაც. ამერიკელებმა ისინი ასევე საბჭოთა მხარეს გადასცეს.[3]

რაც შეეხება თავად გენ. ანდრეი ვლასოვს, ის 1945 წლის 12 მაისს ტყვედ ჩავარდა. ვლასოვის დატყვევების ორი ვერსია არსებობს: საბჭოთა და რგა-ს წევრების. საბჭოთა ვერსიის თანახმად, ვლასოვი ტყვედ აყვანილ იქნა 25-ე სატანკო კორპუსის ძალების მიერ, რომელთაც სარდლობდა გენერალ-ლეიტენანტ ევგენი ფომინიხი.[4] როგორც ის იხსენებს, მისი სატანკო კორპუსი იმყოფებოდა პრაღა-პლზენის ტრასასთან და შენაერთები ტყეში შევიდნენ ამერიკული კორპუსის შესახვედრად. ფომინიხმა შესთავაზა ამერიკელ სარდალს, რომ ერთობლივი ძალებით განეიარაღებინათ გერმანული და ვლასოვის ძალები, რომლებიც აღნიშნულ ტყეში იმყოფებოდნენ, თუმცა ამერიკელმა ეს არ ისურვა. ფომინიხის თქმით, ვლასოვი დააკავა მისი კორპუსის ერთ-ერთი ბატალიონის ოფიცერმა, კაპიტანმა იაკუშოვმა.

---

ავტომატი და 2 ტყვიამფრქვევი (იხ.: Кирилл Александров. Армия генерала Власова 1944-1945, გვ. 383). როგორც ვხედავთ, იარაღის ასეთი სიმცირე იმას აჩვენებს, რომ ამერიკელებმა დივიზია მთლიანად განიარაღეს.

[1] Catherine Andreyev. Vlasov and the Russian Liberation Movement, გვ. 76.

[2] Свен Стеенберг. Власов, გვ. 229.

[3] Йоахим Хоффманн. История власовской армии, გვ. 255. რგა-ს დაქვემდებარებული ნაწილებიდან საბჭოთა მხარეს არ გადაეცა მხოლოდ რუსული კორპუსი, რომელსაც 1945 წლის 30 აპრილს, გენერალ შტეიფონის სიკვდილის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ანატოლი როგოჟინი. ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა იუგოსლავების ან საბჭოთა ჯარებისთვის ჩაბარებაზე. შედეგად, რუსულმა კორპუსმა ბრძოლებით გაიკაფა გზა ავსტრიაში, სადაც ქალაქ კლაგენფურტში 1945 წლის 12 მაისს დაყარა იარაღი ბრიტანელი ჯარების წინაშე (Русский Корпус на Балканах во время II великой войны. 1941-1945 гг. Исторический очерк и сборник воспоминаний соратников. Под ред. Дмитрия Вертепова. Нью-Йорк: Наши вести, 1963, გვ. 366). როგოჟინმა და დანარჩენმა ოფიცრებმა გააგებინეს ბრიტანელებს, რომ რუსული კორპუსის მებრძოლები არ იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები, რის შემდეგაც ისინი არ გადასცეს საბჭოთა მხარეს, ხოლო 1945 წლის ნოემბერში ტყვეობიდანაც გაათავისუფლეს (Русский Корпус на Балканах, გვ. 392).

[4] Евгений Фоминых. Как был пойман предатель Власов. // Газ. *«Известия»*, №239, 7.10.1962, გვ. 2.

აქვე ფომინიხი აღნიშნავს, რომ ბევრი ოფიცერი-ვლასოველი ეძებდა გზებს, რათა გადასულიყო საბჭოთა მხარეზე. იაკუშოვმა გაიცნო რგა-ს ერთ-ერთი ოფიცერი, ასევე კაპიტანი, რომელიც წარსულში ასევე ბატალიონის მეთაური იყო. სწორედ აღნიშნულმა კაპიტანმა მიაწოდა იაკუშოვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვლასოვი აპირებდა ამერიკული ჯარების ზურგში გადასვლას. იაკუშოვმა მოახერხა ავტოკოლონის გაჩერება, რომელშიც იმყოფებოდა პირველი დივიზიის სარდალი და თვითონ ვლასოვი. კაპიტანმა უბრძანა ბუნიაჩენკოს და სხვა დანარჩენებს მანქანების დატოვება, თუმცა ბუნიაჩენკო არ დაემორჩილა ასეთ ბრძანებას. ავტოკოლონის ერთ-ერთმა მძღოლმა უთხრა საბჭოთა კაპიტანს, რომელ მანქანაში იმყოფებოდა ანდრეი ვლასოვი. იაკუშოვმა აღნიშნულ მანქანაში აღმოაჩინა ორი შეშინებული ქალი და უცნაური ფორმის ხალიჩა, რომელშიც შეხვეული იყო გენერალი ვლასოვი. კაპიტანმა იაკუშოვმა ჩასვა ის მანქანაში, რომლითაც მიაღწია ავტოკოლონამდე და დაიძრა შტაბის მიმართულებით. მაგრამ მძღოლმა კარგად არ იცოდა ის ადგილები, სადაც აღმოჩნდა. ვლასოვმა ისარგებლა მომენტით და გაქცევა სცადა, თუმცა მალე დაიღალა და კაპიტანმა იაკუშოვმა სწრაფად მოახერხა მისი დაკავება.[1]

გენერალ-ლეიტენანტ ფომინიხის მიერ მოყვანილი ვერსია საინტერესოა რამდენიმე მომენტით. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მოხსენება გამოქვეყნებულია 1962 წელს, ცივი ომის პირობებში. შესაბამისად, ანტიამერიკანიზმის გამოხატვა, როდესაც ამერიკელმა ოფიცერმა უარი თქვა გერმანული და ვლასოველების ნაწილების ერთობლივ განიარაღებაზე, სავალდებულო იყო. ასევე გამოსაყოფია ისიც, რომ თურმე ბევრი ოფიცერი-ვლასოველი ცდილობდა დაკავშირებას საბჭოთა მხარესთან და სწორედ ამნაირი ოფიცრის დახმარებით ცნობილი გახდა ფომინიხისათვის, თუ სად იმყოფებოდა ანდრეი ვლასოვი. ჩემი აზრით, ეს მომენტი მოხსენებაში გაჩნდა რგა-ს ოფიცრების მოღალატეობრივი თვისებების ხაზგასასმელად. მათ ჯერ უღალატეს საბჭოთა კავშირს, შემდეგ კი ღალატობენ გერმანიას. გარდა ამისა, ეს მიზნად ისახავდა რგა-ს დეზორგანიზებულ ბანდად, და არა შეიარაღებულ ძალად ჩვენებას. რაც შეეხება შეშინებული ქალების უკან ხალიჩაში გახვეული ვლასოვის აღმოჩენას, ეს უკვე

[1] Е. Фоминых. Как был пойман предатель Власов, გვ. 2.

ცალსახა ტყუილია[1] და აშკარად იმისთვის მოხდა, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ვლასოვი მშიშარაა, რასაც მისი გაქცევის მცდელობა მხოლოდ ადასტურებს. გარდა ამისა, აქ აშკარაა პარალელი ალექსანდრ კერენსკის გაქცევასთან, რომელმაც თითქოს, როგორც აცხადებდა საბჭოთა პროპაგანდა, ქალის, კერძოდ, მედდის ტანსაცმელში გადაცმულმა დატოვა ზამთრის სასახლე.[2] ასევე ცალსახა სიცრუეა ისიც, თითქოს ანდრეი ვლასოვმა გაქცევა სცადა იაკუშოვის მანქანიდან, რადგანაც მას რომ არჩაბარება ჰქონოდა განზრახული, ეს მარტივი გასაკეთებელი იყო. რამდენიმე საბჭოთა ჯარისკაცი მას ვერ შეაჩერებდა, როდესაც ის თავისი ჯარისკაცებით იყო გარშემორტყმული.

მაშ ასე, აღნიშნული მომენტები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ფომინიხის ვერსია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდის პროდუქტია. საერთოდ, დეტალები ანდრეი ვლასოვის დაკავების შესახებ – ალბათ ყველაზე სუსტი ადგილია საბჭოთა ვერსიაში. არ არის ძნელი მისახვედრი, რატომ კეთდებოდა აქცენტი იმაზე, თუ სად იმალებოდა ვლასოვი და რომ ის ცდილობდა გაქცევას. ეს ხდებოდა იმ მიზნით, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება – ანდრეი ვლასოვი ტიპიური მოღალატეა, სულით სუსტი და მშიშარა. ის არ იყო რაიმე ნიჭით დაჯილდოებული ან რაიმეთი გამორჩეული. უფრო ვრცლად ამ თემას მე მოგვიანებით შევეხები.

რაც შეეხება მეორე ვერსიას, ის ეკუთვნის ანდრეი ვლასოვის ადიუტანტ როსტისლავ ანტონოვს და აშკარად უფრო ახლოს არის სინამდვილესთან (უფრო მეტიც, ალბათ სავსებით სწორია). მისი თქმით, ვლასოვის ავტოკოლონა, ამერიკელების თანხლებით,[3] დაიძრა ლნარჟეს სასახლიდან. მალევე ავტოკოლონას გზა გადაუკეტა საბჭოთა ოფიცრების მანქანამ, რომელიც, ანტონოვის თქმით, სასახლეს დილიდან უთვალთვალებდა, ხოლო კოლონის უკან დადგა სატვირთო

---

[1] უფრო მეტიც, ფომინიხს თავის ოფიციალურ მოხსენებით ბარათში ნახსენები აქვს, რომ ვლასოვს „საბანი ჰქონდა მოხურული" (იხ.: Генерал Власов: история предательства, т. 1, გვ. 965). იგივე მონაცემები მოჰყავს მარშალ გ. ჟუკოვსაც თავის მემუარებში. კერძოდ, ჟუკოვის თქმით, ანდრეი ვლასოვი კი საბნის ქვეშ იმყოფებოდა და ავადმყოფ ჯარისკაცად აჩვენებდა თავს (იხ.: Георгий Жуков. Воспоминания и размышления, გვ. 677). ოფიციალურ „დიდი სამამულო ომის ისტორიაში" ასევე აღნიშნულია, რომ ვლასოვმა დახვრეტის მუქარის შემდეგ დატოვა მანქანა, რომელშიც საბნის ქვეშ იმყოფებოდა (იხ.: История Великой Отечественной войны Советского Союза 1941-1945, т. 5, Победоносное окончание войны сфашисткой Германией. Поражение імпералистической Японии, გვ. 329).

[2] Александр Керенский. Россия на историческом повороте. Мемуары. Москва: Республика, 1993, გვ. 310.

[3] აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა – რ. დონაჰიუმ ვლასოვს ამერიკული საოკუპაციო ზონის სიღრმეში გადაადგილება შესთავაზა, მაგრამ ვლასოვმა თავისი ჯარისკაცების დატოვებაზე უარი განაცხადა (იხ.: Кирилл Александров. Армия генерала Власова 1944-194, გვ. 394).

მანქანა საბჭოთა ჯარისკაცებით, თან სასახლისგან 3 კილომეტრით დაშორებით გამოჩნდა კიდევ ერთი სატვირთო მანქანა საბჭოთა ჯარისკაცებით. მანქანიდან, რომელიც გაჩერდა ავტოკოლონის თავში, გადმოვიდა ორი საბჭოთა ოფიცერი (კაპიტანი კუჩინსკი და კაპიტანი იაკუშოვი) და, ამერიკელი ოფიცრის თანდასწრებით,[1] დაიწყო ვლასოვის ძებნა. ერთ-ერთმა ვლასოველმა მიუთითა, თუ რომელ მანქანაში იმყოფებოდა ანდრეი ვლასოვი. ვლასოვის მძღოლმა ამოიღო იარაღი, თუმცა ვლასოვმა ის გააჩერა, გადმოვიდა მანქანიდან და გადაყვანილ იქნა საბჭოთა ოფიცრების მანქანაში.[2]

ასე იგდო საბჭოთა მხარემ ხელთ ანდრეი ვლასოვი. რამდენიმე დღეში კი ფაქტობრივად რგა-ს მთელი ხელმძღვანელობა უკვე საბჭოთა კავშირს გადაეცა. შედეგად, დაიწყო მზადება სასამართლო პროცესისთვის.

